

კნუტ ჰამსუნი

# შიშვილი

ინგლისურიდან თარგმნა  
დევი ბერძენიშვილმა



კნუტ ჰამსუნი, **შიშვილი**

Knut Hamsun, **SULT**

ინგლისურიდან თარგმნა  
დევი ბერძენიშვილმა

რედაქტორი  
გიორგი დარსალია

ტექნიკური მომსახურება  
თამაზ ჩხაიძე

კორექტორები  
ირმა არჩუაშვილი, ნინო ჯორჯაძე

მხატვარი  
ნანა ჭილაძე

ყდაზე გამოყენებულია ფრაგმენტები ვინსენტ ვან გოგის სურათებიდან

პირველი გამოცემა, 2010

© გილდენდალი, 1890  
© სვერე ლინგსტადი, 1996, 1998  
© არეტე, 2010

Translated into Georgian from the English  
Copyright © Sverre Lyngstad, 1996, 1998  
Published by Rebel Inc., 1996 / Penguin Books 1998  
(All rights reserved.)

Original title: SULT  
Copyright © Gyldendal Norsk Forlag, 1890  
(All rights reserved.)

This translation has been published  
with the financial support of NORLA

ISBN-10 99940-54-07-4  
ISBN-13 978-99940-54-07-7  
EAN 9789994054077

პირველი ნაწილი

ეს იმ დროს იყო, როცა ქრისტიანიაში მშვიერი დავებეტიბოდი, უც-  
ნაურ ქალაქში, საიდანაც დამლის გარეშე ჯერ არავის გაულწევია...

ჩემთან მანსარდაში, თვალდახუჭული ვწევარ და ქვემოდან მეს-  
მის, საათმა ექვსჯერ როგორ ჩამოჰკრა; უკვე გათენდა და კიბეზე  
ზემოთ-ქვემოთ სირბილი დაიწყო. ოთახის კართან კედელი „დილის  
გაზეთის“ ძველი ნომრებით იყო გადანეპებული და მკაფიოდ ვხე-  
დავდი შუქურის მეთვალყურის განცხადებას, მისგან ოდნავ მარ-  
ცხნივ კი – მეფუნთუშე ფაბიან ოლსენის მსუქან, უზარმაზარ რეკ-  
ლამას, რომელიც ახლადგამომცხვარ პურს აქებდა.

თვალი როგორც კი შევალე, ჩვეულებისამებრ იმაზე დავიწყე  
ფიქრი ამ დღეს რითი გავხალისებულებიყავი. ბოლო დროს საკმაოდ  
მძიმე ცხოვრება მქონდა; ჩემმა ავლა-დიდებამ ნელ-ნელა „ბიძიას-  
თან“ გადაინაცვლა, ნერვიული, გულფიცხი გავხდი და თავბრუსხვე-  
ვამ რამდენიმე დღით ლოგინსაც კი მიმაჯაჭვა. დროდადრო, როცა  
მიმართლებდა, რომელიმე გაზეთისთვის დანერილ სტატიაში ხუთ  
კრონს ვშოულობდი.

ნელ-ნელა ნათდებოდა და კართან აკრული განცხადებების  
კითხვამ შემეყოლია; იმ გალეულ, თითქოს მომღიმარ ასოებსაც კი  
ვარჩევდი, რომ იუნწყებოდნენ „სუდარები მადამ ანდერსენთან, მთა-  
ვარი შესასვლელიდან, მარჯვნივ“. ამ განცხადებამ კარგა ხანს გა-  
მართო და როცა უკვე ლოგინიდან წამომდგარმა ჩაცმა დავიწყე,  
ქვემოდან საათმა რვაჯერ ჩამოჰკრა.

ფანჯარა გავალე და ეზოში გადავიხედე. იქ სარეცხის თოკი და მოცარიელებული სივრცე ჩანდა; მოშორებით კი გადამწვარი სამ-ჭედლოს შავად მოზიმზიმე ჩონჩხი, სადაც ვილაცები ნახშირის შეგროვებაში იყვნენ ჩართულნი. იდაყვებით ფანჯრის რაფას დავეყრდენი და ცაში დავინწყე ყურება. კარგი, ნათელი დღის მაუწყებელი ამინდი იდგა. ლამაზი შემოდგომა მოვიდა, თავისი სიგრილით, როცა ყოველივე ფერს იცვლის და ჭკნება. ქუჩები უკვე ახმაურდნენ და სახლიდან გარეთ მიხმობდნენ. ეს ცარიელი ოთახი, სადაც იატაკის ფიცრები ყოველ გადადგმულ ნაბიჯზე კენესოდნენ, გამოფუტურობულ და საზიზღარ კუბოს ნააგავდა. მას არც წესიერი საკეტი და არც ღუმელი გააჩნდა. ლამლამობით წინდებით ვიძინებდი, რომ დილამდე ოდნავ მაინც გამომშრალიყვნენ. ჩემი ერთადერთი ნუგეში პატარა, წითელი სავარძელი იყო, რომელშიც საღამოობით ვირწეოდი, ვთვლემდი და სხვადასხვა რალაცებზე ვფიქრობდი. როდესაც სახლში შემოსასვლელი კარი ღია იყო და ძლიერი ქარი უბერავდა, იატაკი და კედლები გულისგამგმირავად ოხრავდნენ და კართან აკრულ „დილის გაზეთში“ ჩემი ხელისოდენა ღრეჭოები ჩნდებოდნენ.

ფანჯარას მოვცილდი. კუთხეში, სანოლთან, პატარა შეკვრაში, საუზმისთვის რაიმეს მოძიება ვცადე, მაგრამ ვერაფერი ვნახე და ისევ ფანჯარასთან მივბრუნდი.

„ღმერთმა უწყის, – ვფიქრობდი ჩემთვის, – საერთოდ მოვახერხებ რაიმე საქმიანობის პოვნას თუ ვერა!“ ამდენმა უარმა, ნახევრად შეპირებამ, მტკიცედ ნათქვამმა „არამ“, გულში ნალოლიავებმა და შემდეგ გაცრუებულმა იმედმა, ახალ-ახალმა მცდელობამ, ყოველ ჯერზე რომ უშედეგოდ მთავრდებოდა, გაბედულება დამაკარგვინა. ბოლოს შევეცადე მოლარედ მემუშავა, მაგრამ დამაგვიანდა; თუმცა გირაოსთვის საჭირო ორმოცდაათ კრონს მაინც ვერ შევიტანდი. ყოველთვის რალაცა ხელს მიშლიდა. ერთხელ სახანძრო რაზმში მუშაობაც ვცადე. ასე ორმოცდაათ კაცამდე ვიდექით შესასვლელ დარბაზში და ყოველი ჩვენგანი ღონიერი და უშიშარი ვაჟკაცის იერის შესაქმნელად მხრებგამართული იდგა. უფროსის მოადგილე ჩვენ შორის დადიოდა, პრეტენდენტებს ათვალიერებდა, კუნთებს უსინ-

ჯავდა, კითხვებს უსვამდა; მე კი როცა ჩამიარა მხოლოდ თავი გააქ-  
ნია და მომიგდო, რომ სათვალისანი ადამიანები ამ საქმისათვის გა-  
მოუსადეგარნი არიანო. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ მივედი იქ, ამ-  
ჯერად უსათვალოდ. ნარბშეკრული ვიდექი და ბასრი მზერით ვიყუ-  
რებოდი, მაგრამ როცა მან ისევ ჩამიარა, მიცნო და მხოლოდ გამი-  
ღიმა. ყველა ამ ბოროტებასთან ერთად ტანსაცმელი იმდენად გა-  
მიცვდა, რომ დამქირავებლებს ჩემს წესიერებაში უკვე ეჭვიც კი  
ეპარებოდათ.

როგორ ნელ-ნელა და განუხრელად მივგორავდი თავდაღმა! ბო-  
ლოს აღარაფერი აღარ შემრჩა, სავარცხელიც კი; ან თუნდაც რამე  
ნიგნი, რომლის კითხვითაც განსაკუთრებით სევდიან ნუთებში ვი-  
ნუგეშებდი თავს. ზაფხულში, ყოველ დღე სასაფლაოებზე და სასახ-  
ლის პარკში მივდიოდი და გაზეთებისთვის სტატიებს ვწერდი. რა  
აღარ იყო ამ სტატიებში, რამდენი საოცარი გამონაგონი, უცნაურო-  
ბა თუ ახირება ჩემი მოუსვენარი ფანტაზიისა! თავზეხელაღებული  
ვიყავი; ყველაზე განყენებულ თემებს ვირჩევდი და ამ სტატიებს,  
მტანჯველი საათების განმაცლობაში რომ ვთხზავდი, არავინ მიბეჭ-  
დავდა. ერთს მოვრჩებოდი თუ არა, მაშინვე სხვას შევუდგებოდი და  
მიუხედავად რედაქტორების უარისა, გულგატეხილობა იშვიათად  
მეუფლებოდა. ვცდილობდი თავი დამერწმუნებინა, რომ ოდესმე  
ბედს ვენეოდი. და მართლაც, დროდადრო, როცა მიმართლებდა და  
რაიმე ხეირიანს ვთხზავდი, სამუშაოში, რომელსაც მხოლოდ ნახევარ-  
ი დღე მიჰქონდა, ხუთ კრონს მიხდიდნენ.

ფანჯარას ისევ მოვწყდი, ხელსაბანთან მივედი და მუხლებთან  
აპრიალებული შარვალი წყლით დავისველე, რომ მისთვის სიძავე  
და უფრო ახლის იერი მიმეცა. ამის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, ქა-  
ლადი და ფანქარი ჯიბეში ჩავიტენე და ოთახიდან გავედი. დია-  
სახლისის ყურადღება რომ არ მიმეპყრო, კიბე ფრთხილად ჩავია-  
რე; ბინის ქირის გადახდის ვადა რამდენიმე დღის წინ ამოიწურა, მე  
კი არაფერი მებადა.

საათმა ცხრაჯერ ჩამოჰკრა. ჰაერში ეტლების გრუხუნისა და  
ადამიანების ხმები ტრიალებდა. ეს მრავალხმიანი დილის ქორო

ფეხითმოსიარულეთა ბაკუნს და მედროგეთა მათრახების ტკაცუნს ერეოდა. ამ ხმაურთანაა მოძრაობამ იმწუთასვე გამომაცოცხლა და ვიგრძენი, საკუთარი თავის რწმენა როგორ მემატებოდა. ყველაზე ნაკლებად სწორედ ასე უბრალოდ, დილიდან, სუფთა ჰაერზე ვაპირებდი სეირნობას. რაში სჭირდებოდა ჩემს ფილტვებს ეს სუფთა ჰაერი? თავს გოლიათივით უძლეველად ვგრძნობდი და ურემს ცარიელი მხრებით გავაჩერებდი. საოცარმა, სასწაულებრივმა გრძნობამ შემიპყრო, რაღაც ნათელმა სისავსემ. შემხვედრ ადამიანებს ვუყურებდი, სახლებზე გამოკიდულ აბრებს კვითხულობდი, ჩამოქროლილი ეტლებიდან ნატყორცნ მზერებს ჰაერში ვიჭერდი, ყველანაირ წვრილმანს ვამჩნევდი. ერთ უმცირეს შემთხვევასაც კი არ ვტოვებდი, რაც გზაზე მხვდებოდა და მეყსეულად ქრებოდა.

რა საუცხოო დღეა, ცოტაოდენი რომ მეჭამა კიდეც! ამ სიხარულით სავსე დილამ მთლიანად მომიცვა, ბედნიერებამ აღმავსო და უეცრად, სრულიად უმიზეზოდ ღილინი წამოვიწყე. ხორციულის დახლთან ქალი იდგა კალათით ხელში და სადილისთვის ძეხვს ირჩევდა; როდესაც გვერდზე ჩავუარე, შემომხედა. პირიდან ერთადერთი კბილი ჰქონდა გამოჩრილი. ბოლო დროს ისეთი ნერვიული და გაღიზიანებული გავხდი, რომ ამ ქალის სახე უცებ საზიზღრად მომეჩვენა; გრძელი, ყვითელი კბილი პირიდან გამოჩრილ ნეკა თითს მიუგავდა, და როდესაც ამომხედა, ისევ ძეხვით სავსე მზერა ჰქონდა. მადა მყისვე გამიქრა და გულისრევა ვიგრძენი. ბაზარს რომ მივალწიე, ონკანის წყალი დავლიე; შემდეგ თავი ავწიე და მაცხოვრის ეკლესიის სამრეკლოს შევხედე – საათი ათს აჩვენებდა.

ქალაქში კიდეც დიდხანს ვიბოროილე, არაფერზე არ ვფიქრობდი, ერთხანს, ყოველგვარი საჭიროების გარეშე, რომელიღაც კუთხესთან შევჩერდი და შემდეგ გვერდით ქუჩაზე გავუხვიე, თუმცა არანაირი საქმე იქ არ მქონია. დინებას მივყვებოდი, სიხარულით სავსე დილაში ვჭყუმიპალაობდი და სხვა, მხიარულ ადამიანებს შორის უდარდელად დავიარებოდი. ჰაერი სუფთა, გამჭირვალე იყო და ჩემს სულს არაფერი ამწუხრებდა.

ათიოდე წუთის განმავლობაში ჩემ წინ ერთი კოჭლი მოხუცი კაცი მიაბიჯებდა. ცალ ხელში შეკვრა ეჭირა და მთელი სხეული დაძაბული ჰქონდა – ცდილობდა უფრო სწრაფად ევლო. მისი მძიმე სუნთქვა მესმოდა და გავიფიქრე, რომ შემეძლო ფუთის წაღებაში დავხმარებოდი; თუმცა მისი დაწევა არ მიცდია. გრენსენტან ახლოს ჰანს პაული შემხვდა, რომელმაც თავი დამიკრა და სწრაფად გამეცალა. ნეტავ სად მიეჩქარებოდა? მე ხომ სრულიად არ ვაპირებდი მისგან კრონის სესხებას, და თანაც, პირველივე შესაძლებლობისთანავე იმ საბნის დაბრუნებას ვაპირებდი, რამდენიმე კვირის წინ რომ გამოვართვი. როგორც კი ოდნავ სულს მოვითქვამ, ველარავინ იტყვის – საბანი არ დაუბრუნაო; ალბათ დღესვე დავინყებ სტატიის წერას მომავლის დანაშაულებზე, ან ნების თავისუფლებაზე, ანდა სულაც რაიმე მნიშვნელოვანზე, რაშიც, სულ მცირე, ათ კრონს მაინც გადამიხდიდნენ... უცებ ვიგრძენი, რომ საქმეს დაუყოვნებლივ უნდა შევდგომოდი, რადგან აზრებმა გადამავსეს; გადავწყვიტე სასახლის პარკში შესაფერისი ადგილი მომენახა და ვიდრე სტატიას არ დავამთავრებდი, დასვენებაზე აღარ მეფიქრა.

ბებერი ხეივანი კი ისევ ისე, ჩემს წინ მიაბიჯებდა და უგვანად იძაბებოდა. ბოლოს და ბოლოს გაღიზიანება დამეწყო, რომ ვილაც ბებერი მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემს წინ მიდიოდა და ამას თითქოს დასასრული არ უჩანდა. იქნებ ზუსტად იქეთ მიემართება, საითაც გეზი მაქვს აღებული და, თუ ეს ასეა, მაშინ სულ თვალწინ უნდა მებლანდებოდეს? ისე გავწერვიულდი, უკვე მეჩვენებოდა, რომ ყოველ გზაჯვარედინზე ნაბიჯს ანელებდა, თითქოს მელოდებოდა საით გავუხვევდი, თავის შეკვრას უფრო მაღლა შემოიგდებდა და ნაბიჯს უჩქარებდა, რომ ჩემთვის გადაეხსნო. მივდიოდი, ამ საცოდავ ხეივანს ვაკვირდებოდი და სულ უფრო მეტი გააფთრება მეუფლებოდა. ვგრძნობდი, ნელ-ნელა სასიხარულო განწყობას როგორ მიფუჭებდა და ამასთან ერთად, თავისი სიმახინჯით თითქოს ამ სუფთა, მშვენიერ დილას აკნინებდა. რაღაც უზარმაზარ, დასახიჩრებულ მწერს ჰგავდა, რომელიც შეუპოვარი სიჯიუტით სადღაც მიილტვოდა და მთელ ტროტუარს ავსებდა. როდესაც აღმართი ავია-



რეთ, ამის ატანა აღარ ვისურვე და ვიტრინასთან გავჩერდი. რამდენიმე წუთის შემდეგ გზა გავაგრძელე, მაგრამ ეს კაცი ისევ ჩემ წინ აღმოჩნდა – ეტყობა ისიც გაჩერდა. ბევრი ფიქრი არ დამჭირებია, სამი-ოთხი დიდი ნაბიჯით დავეწიე და ხელი მხარზე დავკარი.

მეხდაცემულივით გაშეშდა. ერთმანეთს მივაშტერდით.

– ეგებ ცოტაოდენს შემენიოთ... რძისთვის! – ამოღერლა ბოლოს და თავი გვერდზე გადახარა.

ესეც ასე, კაი დღეში ჩავვარდი! ჯიბეები მოვიჩხრიკე და ვთქვი:

– რძისთვის... ჰოო!.. მაგრამ ჩვენს დროში ფული ძნელად იშოვება. მე კი არ ვიცი უკიდურესი გაჭირვება გაქვთ თუ არა.

– გუშინდელი დღიდან, რაც დრამენიდან წამოვედი, პირში ლუკმა არ ჩამიდია, – მომიგო მან. – ერთი ერეც არ მაბადია და სამუშაო ჯერაც არ მიშოვნია.

– ხელოსანი ხართ?

– დიახ, მეჭონე ვარ.

– როგორ?

– მეჭონე. ისე ჩექმების კერვაც მეხერხება.

– ჰო, მაშინ სხვა ამბავია, – ჩავილაპარაკე – ერთ წუთს მომიცადეთ, ფულს ახლავე მოვარბენინებ და რამდენიმე ერესაც მოგცემთ.

თავქუდმოგლეჯილი პილესტრედეტზე გავიქეცი, სადაც ერთ-ერთი სახლის მეორე სართულზე მევახშე მეგულეობდა, რომელთანაც ჯერ ნამყოფი არ ვიყავი. სადარბაზოში შესვლისთანავე ჟილეტი სწრაფად გავიძრე, დავკეციე, ილლიაში ამოვიჩარე, მერე კიბეზე ავედი და კარზე დავაკაკუნე. როცა შევედი თავის დაკვრით მივესალმე და ჟილეტი დახლზე დავაგდე.

– ერთნახევარი კრონი, – თქვა მევახშემ.

– კეთილი, მაღლობელი ვარ, – ვპასუხობ მე – მეტისმეტად ვინრო რომ არ მქონდეს, რა თქმა უნდა, არ შეველეოდი.

ფული და ქვითარი გამოვართვი და გამოვბრუნდი. ყველაფრის გათვალისწინებით ჟილეტის დაგირავება შესანიშნავი აზრი იყო; რაღაც თანხა ადამიანური საუზმისთვისაც დამრჩებოდა, ხოლო საღამოსთვის ჩემი სტატია მომავლის დანაშაულებზეც დაწერილი მექნე-

ბოდა. ერთბაშად ცხოვრება ნათელ ფერებში წარმომესახა და მოხუცს მივაშურე, რომ როგორმე თავიდან მომეცილებინა.

– ინებეთ! – ვუთხარი. – ბედნიერი ვარ, რომ პირველს მე მომმართეთ.

მან ფული გამომართვა და თვალიერება დამიწყო. ნეტავი რას მომაშტერდა? მომეჩვენა რომ განსაკუთრებული დაუინებით ჩემი შარვლის მუხლებს უყურებდა. მისმა უტიფრობამ გამაცოფა. ნუთუ ეს მანანნალა ფიქრობს, რომ ისეთივე გაჭირვებული ვარ, როგორც მაცვია? მე ხომ ათკრონიანი სტატიის წერა თითქმის დაწყებული მქონდა; და საერთოდ, არც მომავალი მაშინებდა და შემართებაც არ მაკლდა. რა არის ამაში უცნაური, რომ ამ მშვენიერ დღეს, უცნობ ადამიანს ცოტაოდენი ფული მივეცი? მისი მზერა არ მომწონდა და ვიდრე წავიდოდი გადავწყვიტე მისთვის ჭკუა მესწავლებინა. მხრები ავიჩიჩე და მივმართე:

– ძვირფასო, თქვენ უსაძაგლესი ჩვევა გქონიათ მუხლებზე დაშტერდეთ კაცს, რომელმაც თქვენთვის მთელი კრონი გაიმეტა.

პირდალებული მოხუცი კედელს მიეყუდა. ამ მათხოვრის გონებაში რალაცა აზრმა გაიელვა, ალბათ იფიქრა, რომ მის გაბიაბრუებას ვაპირებდი და ფული უკან გამომიწოდა.

მე ფეხების ბაკუნი დავიწყე და მოვითხოვე, ფული თავისთვის დაეტოვებინა. ვერ გავიგე, ეგონა, რომ ტყუილად გავისარჯე? ბოლოს და ბოლოს, იქნებ ეს ერთი კრონი მემართა მისი. მე ძველი ვალები ყოველთვის მახსოვს. მას კი საქმე თხემით ტერფამდე პატიოსან, წესიერ კაცთან ჰქონდა. მოკლედ, ეს ფული მისია... ო, არა! მადლობად არ ღირს, ფრიად მოხარული ვარ. ნახვამდის!

წამოვედი. როგორც იქნა აბეზარი ხეივანი თავიდან მომწყდა. ახლა ხელს ველარავინ შემიშლის. ისევ პილესტრედეტზე დავბრუნდი და ერთ მაღაზიასთან გავჩერდი. ვიტრინა სურსათ-სანოვავით გადახუნძლული იყო. გადავწყვიტე შევსულიყავი და გზად რაიმე წამეყოლებინა.

– ყველის ნაჭერი და ფრანგული ფუნთუშა, – წარმოვთქვი და დახლზე ნახევარკრონიანი დავაგდე.

– ამდენის ყველი და პური? – დამცინავად მკითხა გამყიდველმა ქალმა, ისე რომ ჩემსკენ არც კი გამოუხედავს.

– დიახ, ორმოცდაათივე ერესი, – აუმღვრევლად მივუგე.

შენაძენი მივიღე, ბებერ და მსუქან გამყიდველს თავი მდაბლად დაუუკარი და ბორცვზე განლაგებულ სასახლის პარკისკენ სწრაფად გავემართე. იქ სკამი მოვძებნე და საჭმელს ხარბად მივეძაღე. მაშინვე მომეშვა; რა ხანია ესოდენ უხვი ტრაპეზი არ მღირსებია. თანდათან დავწყნარდი და ისეთი ნუგეში ვიგრძენი, თითქოს უკანასკნელ ცრემლამდე მეტიროს. ცოტა ხანში ბოლომდე მოვსულიერდი. ახლა უკვე მეცოცხებოდა ისეთ უბრალო და გულუბრყვილო თემაზე სტატიის წერა, როგორც მომავლის დანაშაულები იყო. ამას ნებისმიერი ადამიანი უბრალოდ წარსულის შესწავლით მიხვდებოდა. მე კი მეგონა გაცილებით მეტისთვის ვიყავი მზად. ენით აღუწერელი სირთულეების გადალახვის სურვილი მკლავდა და ფილოსოფიურ შემეცნებაზე სამნაწილიანი ნაშრომის შეთხზვა გადავწყვიტე, რომელშიც, რა თქმა უნდა, შესაძლებლობა მექნებოდა კანტის ზოგიერთი სოფიზმისთვის გამანადგურებელი დარტყმა მიმეყენებინა... როდესაც მუშაობის დაწყება დავაპირე, აღმოჩნდა, რომ ფანქარი აღარ მქონდა – იმ მევახშესთან დამრჩა, ის ხომ ჟილეტის ჯიბეში მედო.

ო, ღმერთო, მაინც როგორ არაფერი არ გამომდის, რასაც კი ხელს მოვკიდებ! რამდენჯერმე შევიკურთხე, სკამიდან წამოვდექი და ბოლთისცემა დავინყე. ირგვლივ სინყნარე სუფევდა; მოშორებით, დედოფლის პავილიონთან ძიძები ბავშვებს ეტლებით დაასეირნებდნენ, სხვაგან კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ძალიან აღელვებულ ვიყავი და შეშლილივით წინ და უკან დავრბოდი. უბედურება ყოველი მხრიდან თავს მატყდებოდა! სამნაწილიანი ფილოსოფიური თხზულება არ შეიქმნა მხოლოდ იმის გამო, რომ ჯიბეში ათერეიანი ფანქარი არ მქონდა! პილესტრედეტზე რომ გავიქცე და ფანქარი დავიბრუნო? მაშინ პარკში მოსეირნეთა მოზღვავებამდე, სამუშაოდ მაინც საკმაო დრო დამრჩებოდა. ფილოსოფიური შემეცნების ამ თხზულებაზე ხომ ესოდენ ბევრი იყო დამოკიდებული – და ვინ უწყის, ეგებ რამდენიმე ადამიანის ბედნიერებაც კი. ჩემ თავს

ვუთხარი, რომ ის ბევრ ახალგაზრდას წაადგებოდა. კარგად რომ ჩა-  
ვუფიქრდე, კანტზე თავდასხმა სულაც არაა საჭირო: ოდნავი გადახ-  
ვევაც კი საკმარისი იქნება, როცა საუბარი დროსა და სივრცეს შეე-  
ხება; სამაგიეროდ, რენანს – ამ ბებერ კათოლიკეს კი აღარ დავინ-  
დობ... მაგრამ ყველა შემთხვევაში სტატია დასაწერი იყო, რომელიც  
გარკვეული რაოდენობის საგაზეთო სვეტს შეავსებდა; ბინის ქირა  
გადაუხდელი მქონდა, დილაობით, როცა დიასახლისი კიბეზე მხვდე-  
ბოდა თვალჩაცივებით მიყურებდა, რაც მთელი დღის მანძილზე  
მტანჯავდა და იმ ყველაზე ბედნიერ წამებშიც კი ამომიტივტივდე-  
ბოდა ხოლმე, როდესაც ჩემს სულს არანაირი შავი ფიქრი არ ამწუხ-  
რებდა. ამისთვის ბოლო უნდა მომელო. პარკიდან სწრაფი ნაბიჯე-  
ბით გამოვედი და მევახშისკენ გავემართე.

ბორცვიდან ჩამოსულმა ორ ქალბატონს გადავუსწარი. შემ-  
თხვევით ერთ მათგანს სახელოთი გამოვედე, შევხედე და მისი  
სრული, ოდნავ ფერმკრთალი სახე დავინახე. უცებ ის ერთიანად  
აღდება და ლამაზდება. არ ვიცი რატომ, იქნებ იმ სიტყვების გამო,  
გამვლელმა რომ უთხრა, ან მხოლოდ საკუთარი ფარული აზრის-  
გან, ან შეიძლება სულაც იმის გამო, რომ ხელზე შევეხე? მაღალი  
მკერდი მგზნებარედ ადი-ჩამოდის და ქოლგის სახელურს ძლიე-  
რად უჭერს ხელს. რა დაემართა?

გავჩერდი და ისევ წინ გავატარე. ეს ყველაფერი ისეთი უცნაუ-  
რი მეჩვენა, რომ უბრალოდ გზის გაგრძელება შეუძლებელი იყო.  
გალიზიანებული, ფანქრის ისტორიის გამო საკუთარ თავზე ვჯავ-  
რობდი და საჭმელმა, რომელიც დიდი ხნის შიმშილობის შემდეგ  
მუცელში ჩავიყარე, გამაფიცხა. ჩემმა აზრებმა უჩვეულო მდინა-  
რება შეიძინეს. ვგრძნობ, როგორ მეუფლება ამ ქალბატონის შეში-  
ნების, დადევნების და რაიმე უსიამოვნების მიყენების უცნაური  
სურვილი. ისევ ვეწევი, გვერდზე ვუვლი, შემდეგ მოულოდნელად  
ვტრიალდები და მასთან პირისპირ ვჩნდები, რომ კარგად შევათვა-  
ლიერო. ვდგავარ, პირდაპირ თვალეში ვუყურებ და უცებ თავში  
ისეთი სახელი მომდის, რომელიც აქამდე არასდროს არ გამეგო,  
სახელი ნარნარი და ამაღელვებელი – ილაიალი. საკმარისად მომი-

ახლოვდა თუ არა, ვიმართები და მტკიცედ ვეუბნები: „ქალბატონო, ნიგნი არ დაგეკარგოთ!“

ამას რომ ვამბობდი, ჩემი გულისცემაც მესმოდა.

– ჩემი ნიგნი? – ეკითხება თანამგზავრ ქალბატონს და აგრძელებს გზას.

კიდევ უფრო დავიბოლმე და უკან გავყევი. რა თქმა უნდა, იმ ნუთში სრულად ვაცნობიერებდი, რომ სიგიჟეს ჩავდიოდი, მაგრამ მის მოსათოკად ძალა არა მყოფნიდა; მლელვარება წინ მიმაქანებდა, ყველაზე უაზრო მოქმედებებისკენ მიბიძგებდა, რომელთაც თანამიმდევრულად ვასრულებდი კიდევ. რამდენსაც არ ვეუბნებოდი საკუთარ თავს, რომ იდიოტივით ვიქცეოდი, მაინც არაფერი მშველოდა. ქალბატონის ზურგსუკან სულელურ გამომეტყველებებს ვიღებდი და როცა ისევ გადავუსწარი, რამდენჯერმე ხმამაღლა ჩავახველე. შემდეგ ოდნავ დაშორებით დინჯად მივდიოდი, ზურგზე მის მზერას ვგრძნობდი და ჩემი უსაქციელობის გამო, უნებურად თავი სირცხვილისგან დახრილი მქონდა. ნელ-ნელა უცნაური შეგრძნება მეუფლებოდა, რომ თავად სადღაც შორს ვიყავი და ქვის ფილებს თავჩაღუნული მე კი არა, ვილაც სხვა მიუყვებოდა.

რამდენიმე ნუთში, როცა ქალბატონი პაშას ნიგნების მალაზიას მიუახლოვდა, მე უკვე პირველ ვიტრინასთან ვდგავარ, ვეგებები და ვუმეორებ: „ქალბატონო, ნიგნი არ დაგეკარგოთ!“

– კი მაგრამ რომელი ნიგნი? – კითხულობს შეშინებული, – შეგიძლიათ გამაგებინოთ, რა ნიგნზე ლაპარაკობს?

ჩერდება. მისი შეცბუნება ბოროტად მახარებს, დაბნეული მზერა აღფრთოვანებაში მაგდებს. მისი ფიქრები ვერაფრით სწვდება ჩემს უაზრო ფრაზას; მას არანაირი ნიგნი არა აქვს, ერთი ფურცელიც კი, თუმცა მაინც კაბის ჯიბეებში ეძებს, ხელებზე იყურება, აქეთ-იქით თავს ატრიალებს, უკან იხედება, გზაზე ხომ არ დამივარდაო, და თავის მგრძნობიარე ქორფა ტვინს უკიდურესად ძაბავს იმის გასაგებად, თუ რა ნიგნზე ვლაპარაკობ. ხან წითლდება, ხანაც ფითრდება, სახის გამომეტყველება ეცვლება და მისი მძიმე სუნთქვის ხმა მესმის; კაბის ღილებიც კი შეშინებული თვალებით მიყურებენ.

– ნუ მიაქცევ ყურადღებას, – ეუბნება მას თანმხლები და თავისკენ ხელით ექაჩება. – ის ხომ მთვრალია! ნუთუ ვერ ხედავ, რომ ეს კაცი მთვრალია!

იმ წუთას საკუთარი თავისგან რა შორსაც არ უნდა ვყოფილიყავი, მაინც ვემორჩილებოდი უცნაურ და უხილავ ძალებს, ყურადღების მიღმა მაინც არაფერი მრჩებოდა. აი! დიდმა ყავისფერმა ძაღლმა ქუჩა გადაკვეთა და ბულვარისკენ გაძუნძულდა, შემდეგ კი გეზი უფრო შორს, გასართობი პარკისკენ აიღო; მელქიორის ვიწრო საყელური ეკეთა. ოდნავ მოცილებით, ამავე ქუჩაზე, მეორე სართულზე ფანჯარა გაიღო, იქიდან მოსამსახურე გოგომ გადმოიხედა და სახელოებაკაპინებულმა ფანჯრებს გარეთა მხრიდან დაუნყო ნმენდა. ჩემს ყურადღებას ვერაფერი უსხლტებოდა, ნათელი გონება მქონდა და თავდაჯერებული ვიყავი; ყოველი შთაბეჭდილება, თითქოს შუქის მკვეთრი გაელვება ცხადად და მკაფიოდ მსჭვალავდა. ორივე ქალბატონს, ჩემს წინ რომ იდგნენ, ქუდზე ცისფერი ფრთები და კისერზე შოტლანდურა აბრეშუმის შარფები ეკეთათ. მომეჩვენა, რომ ისინი დები იყვნენ.

ბოლოს შეტრიალდნენ, სისლერის მუსიკალურ მაღაზიასთან შეჩერდნენ და ლაპარაკი დაიწყეს. მეც გავჩერდი. შემდეგ ისინი შემობრუნდნენ და იმავე გზით უკან წამოვიდნენ, გვერდზე კიდევ ერთხელ ჩამიარეს, უნივერსიტეტის ქუჩაზე გაუხვიეს და წმინდა ულაფის მოედნისკენ აუყვნენ. მთელი ეს დრო ვცდილობდი, არ ჩამოვრჩენოდი და ფეხდაფეხ მივყვებოდი. ერთხელ შემობრუნდნენ და შიშნარევი ცნობისმოყვარეობით შემხედეს, მაგრამ სახეზე გაბრაზების ნიშანწყალი არ ეტყობოდათ. ჩემს საქციელს ისეთი მოთმინებით იტანდნენ, რომ შემრცხვა და თვალები დავხარე. მათთვის თავის მობეზრება უკვე აღარ მინდოდა და მაღლიერების გრძნობით სავსე მზერით მივაცილებდი იმის მოლოდინში, რომ სადმე შევიდოდნენ და თვალსაწიერიდან გაქრებოდნენ.

ორი ნომრით აღნიშნულ დიდ ოთხსართულიან სახლთან ისინი კიდევ ერთხელ შებრუნდნენ და შენობაში შევიდნენ. შადრევანთან გაზის შუქურას მივეყუდე და კიბეზე მათი ნაბიჯების ხმას მივაყუ-

რადე, რომელიც მეორე სართულზე შენყდა. შუქურას მოვცილდი და შენობას ავხედე. შემდეგ რალაც სასწაული ხდება: ზემოთ ფარდები შრიალებენ, შემდეგ ფანჯარა იღება, იქიდან თავი ჩნდება და მისი უცნაური მზერა ჩემზე ჩერდება. „ილაიალი“ – ვჩურჩულებ და ვგრძნობ, როგორ ვნითლდები. რატომ არავის დაუძახა დასახმარებლად? რატომ ყვავილების ქოთანს არ მესროლა ან გასაგდებად ვინმე არ ჩამომიგზავნა? გაშეშებულიები ერთმანეთს თვალებში ვუყურებთ; მთელი ნუთი გავიდა; ფანჯრიდან ტროტუარისკენ აზრები მიდი-მოდიან, მაგრამ სიტყვასაც არ ვძრავთ. ის ტრიალდება. სულში ბიძგს, ოდნავ შესამჩნევ თრთოლას ვგრძნობ; ჯერ მხარის, მერე ზურგის გაუჩინარებას ვხედავ. ამ აუჩქარებელმა დაცილებამ, მისი მხრის მოძრაობამ თითქოს ნიშანი მომცა და მთელი ჩემი არსებით ვიგრძენი ეს დახვეწილი სალამი, რომელმაც ერთბაშად საოცარი სიხარულით ამავსო. ცოტა ხანს ადგილზე გავჩერდი, შემდეგ მოვტრიალდი და ქუჩას გავუყევი.

უკან გახედვას ვერ ვებედავდი და არ ვიცოდი, ფანჯარასთან ისევ მიბრუნდა თუ არა; ამის ფიქრში უფრო მეტად ავფორიაქდი და ავწერვიულდი. სავარაუდოდ ის სწორედ ამ წამს აკვირდებოდა ყოველ ჩემს მოძრაობას და იმის ცოდნა, რომ ვილაც მითვალთვალვებდა, ჩემთვის ყოვლად აუტანელი იყო. თავს ძალა დავატანე და გზას გავუყევი. სწორედ იმის გამო, რომ ვცდილობდი მოხდენილად მეველო, ფეხები მიკანკალებდა და სიარული არამდგრადი გამიხდა. უდარდელი და გულგრილი იერის შესაქმნელად უგერგილოდ ვიქნევდი ხელებს, ვიპურჭყებოდი და თავი ქედმაღლურად უკან მქონდა გადანული, მაგრამ ამაოდ. მთელი ეს დრო ზურგზე გამომცდელ მზერას ვგრძნობდი და ტანზე დროდადრო სიცივის ტალღები მივილიდა. ბოლოს როგორც იქნა პატარა ქუჩას შევეფარე, საიდანაც პილესტრედეტს გავეშურე ფანქრის დასაბრუნებლად.

ფანქარი ყოველგვარი სირთულის გარეშე დავიბრუნე. მევახშემ ჟილეტი თავისი ხელით გამომიტანა და მთხოვა, ბარემ ყველა ჯიბე შემემოწმებინა; მართლაც კიდევ რამდენიმე გირაოს ქვითარი ვიპოვნე, რომლებიც ჯიბეში ჩავიდე და თავაზიან მეპატრონეს წინდა-

ხედულობისთვის მადლობა გადავუხადე. ეს კაცი სულ უფრო და უფრო მომწონდა და უცებ მასზე კარგი შთაბეჭდილების მოხდენა გადავწყვიტე. გასასვლელისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და შემდეგ, თითქოს რალაც დამავინწყდა, ისევ მივბრუნდი; მომეჩვენა, რომ ვალდებული ვიყავი ამეხსნა და საქმის ვითარებაში ცოტათი მაინც გამერკვია. ყურადღების მისაპყრობად ჩუმად წავივილინე, შემდეგ ფანქარი ხელში დავიჭირე და მალლა ავნიე.

ვუთხარი, რომ ამ სიშორეზე რალაც ფანქრის გულისთვის მობრუნება აზრადაც არ მომივიდოდა, თუმცა აქ სხვა, განსაკუთრებული ამბავია. მართალია ამ ფანქარს გასაცოდავებული იერი აქვს, მაგრამ სწორედ მისი წყალობით ვიქეცი იმად, რასაც ახლა წარმოვადგენ. ასე ვთქვათ, ცხოვრებაში ჩემი ადგილი მაპოვნინა...

მეტი არაფერი მითქვამს. მეპატრონე კი ზედ დახლთან მივიდა.

– მართლა ასეა? – თქვა მან და ცნობისმოყვარედ შემომხედა.

აულელებლად განვაგრძე, რომ ამ ფანქრით, ფილოსოფიურ შემეცნებაზე ჩემი სამტომიანი თხზულებაა დაწერილი. ნუთუ მის შესახებ არაფერი სმენია?

მეპატრონეს მოეჩვენა, რომ სახელი და სათაური გაგონილი ჰქონდა.

ღიახ, ვთქვი, ეს ჩემი თხზულებაა, ნამდვილად! ამიტომაც არ უნდა გაუკვირდეს, რომ ამ გალუული ფანქრის დაბრუნება მოვინდომე, ის ძალიან ძვირფასია ჩემთვის, მეჩვენება რომ თითქმის პიროვნებაა. რაც არ უნდა იყოს, მისი კეთილი მოპყრობით დიდად მადლობელი ვარ და ამას არასოდეს დავივიწყებ; ღიახაც – არ დავივიწყებ; სიტყვა სიტყვაა; რა ვქნა, ასეთი კაცი ვარ და ის ამას სრულიად იმსახურებს. ნახვამდის!

კარისკენ ისე გავემართე, თითქოს ადამიანთა სვებედის განმკარგავი ვყოფილიყავი. მევახშემ თავი ორჯერ მდაბლად დამიკრა, როდესაც დასამშვიდობებლად კიდევ ერთხელ შემოვბრუნდი.


კიბეზე ქალი შემხვდა, რომელსაც ხელში დიდი სამგზავრო ჩანთა ეჭირა. ისეთი მედიდური იერი მქონდა, კედელს აეკრო და გამატარა. უნებურად მონყალების გასაღებად ჯიბეში ხელი ჩავიყავი.



როცა ვერაფერი მოვჩხრიკე, შეეცბი და თავდახრილმა ჩავუარე. ცოტა ხანში გავიგონე, როგორ აკაკუნებდა მევახშის კარზე. კარებს რკინის გისოსები ჰქონდა და იმნუთასვე ვიცანი ადამიანის ხელის შეხებით გამონვეული ზრიალა ხმა.

მზე სამხრეთიდან ანათებდა, დაახლოებით თორმეტი საათი იქნებოდა. ქუჩებში ხალხის რაოდენობა მატულობდა, სეირნობის დრო მოდიოდა. ქალაქელები ერთმანეთს ესალმებოდნენ, უღიმოდნენ და კარლ იუჰანის ქუჩას ტალღებივით მიუყვებოდნენ. უნივერსიტეტთან, კუთხეში ჩემი ნაცნობები დავლანდე, რომლებიც გამვლელებს ათვალთვლებდნენ. მოკუნტულმა შეუმჩნევლად ჩავუარე. შემდეგ სასახლის პარკის მაღლობს ავუყევი და თავი ღრმა ფიქრებს მივეცი.

როგორი უდარდელი და ხალისიანი ჩანდა ეს ხალხი! ცხოვრების გზაზე ისე თავისუფლად მისრიალებდნენ, როგორც საცეკვაო მოედანზე. ვერც ერთი შემხვედრის თვალეში მნუხარება ვერ ნავიკითხე, მათ მხრებს არანაირი ტვირთი არ ამძიმებდა, მათ უშფოთველ სულებს ბნელი საზრუნავის და ფარული ტანჯვის აჩრდილიც არ გაჰკარებოდა. მე კი, ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც ეს-ესაა ცხოვრება დავიწყე, მათ შორის დავბორიალობდი და უკვე დავიწყებული მქონდა, რა არის ბედნიერება! ეს აზრი არ მცილდებოდა და ვგრძნობდი, რომ საშინელი უსამართლობის მსხვერპლი ვიყავი. რატომ იყო ეს ბოლო თვეები ასეთი გაუსაძლისი ჩემთვის? აღარსად იყო ჩემი უშფოთველი განწყობა და საითაც არ გავიხედე, ყველგან მწარე იმედგაცრუება დამხვდა. საკმარისი იყო სკამზე ჩამომჯდარიყავი ან რამე ნაბიჯი გადამედგა, რომ მაშინვე რალაც მცირე, ტრივიალური შემთხვევები, უმნიშვნელო ნვრილმანები ჩემს შინაგან სამყაროში იჭრებოდნენ და ძალების ტყუილუბრალოდ დახარჯვას მაიძულებდნენ. ძაღლს, რომელმაც გვერდზე ჩამირბინა, ყვითელ ვარდს, რომელიც ვილაც ვაჟბატონს საკინძეში ეკეთა, შეეძლო საფიქრალი აეშალა და დიდი ხნით დავეტყვევებინე. მაინც რა დამემართა? ნუთუ ღეთის რისხვამ მიწია? მაგრამ რატომ მაინცდამაინც მე და არა ვინმე სხვას, რომელიც თუნდაც სამხრეთ ამერიკაში ცხოვრობს? რაც უფრო დიდხანს ვფიქრობდი ამაზე, მით უფრო



უცნობადი ხდებოდა ჩემთვის, რატომ ვიყავი ის რჩეული, ვისზედაც შემოქმედი ექსპერიმენტს ატარებდა. უცნაურია, რომ მთელს მსოფლიოში სწორედ მე გამომძებნო და არა, ვთქვათ, ნახმარი ნიგნების გამყიდველი ფაშა ანდა სანაოსნოს აგენტი ჰენეხენი?!

მივდიოდი და ამ ფიქრებს ვერაფრით ვიშორებდი თავიდან. შემოქმედის ასეთი თვითნებობის საპასუხოდ, რომელიც სხვათა ცოდვების გამოსყიდვას მე მაიძულებდა, მთელი რიგი ურყევი არგუმენტი მქონდა. როდესაც თავისუფალი სკამი მოვძებნე და დავჯექი, ეს საკითხი მაინც არ მასვენებდა და სხვა რამეზე ფიქრის საშუალებას არ მაძლევდა. მაისის იმ დღიდან, როცა ჩემი უიღბლობები დაიწყო, ვგრძნობდი, როგორ ნელ-ნელა მეუფლებოდა სისუსტე, ზედმეტად მოვითენთე, ნებისყოფა და მიზანსწრაფვა დავკარგე, თითქოს სხეულში რაღაც წვრილი მტაცებლების გუნდი ჩამისახლდა, რომელიც შიგნიდან მღრღნიდა. ვინ იცის, ეგებ ღმერთმა ჩემი განადგურება გადაწყვიტა? სკამიდან წამოვდექი და ბოლთის ცემა დავიწყე.

ამ წუთას მთელი ჩემი არსებით ვიტანჯებოდი და ხელებიც კი ისე მტკივნეულად მტეხდა, რომ არ ვიცოდი სად წამელო. ამასთან ერთად ცოტა ხნის წინ მიღებული მსუყე საკვები მანუხებდა. გადანაყრებული და გაღიზიანებული თავაუღებლად დავდიოდი წინ და უკან; გამვლელები ლანდებივით ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ. ბოლოს ჩემს სკამზე ორი კაცი ჩამოჯდა, სიგარები გააბოლეს და ხმამაღალი ლაპარაკი დაიწყეს. გავბრაზდი და შენიშვნის მიცემა დავაპირე, მაგრამ ამის მაგივრად პარკის მეორე ბოლოში წავედი, სხვა სკამი მოვძებნე და იქ დავჯექი.

ფიქრი ისევ ღმერთზე დავიწყე. უსამართლოდ მეჩვენებოდა, რომ ის ჩემი სამუშაოს შოვნის მცდელობებს მუდმივად ხელს უშლიდა; მე ხომ მხოლოდ საარსებო პურს ვითხოვდი. შემჩნეული მქონდა, რომ საკმარისი იყო, რამდენიმე დღე გადაბმულად მეშიმშილა, ჩემი ტვინი თითქოს და განრეტყვას იწყებდა, თავი მიცარიელდებოდა, მსუბუქდებოდა და მას მხრებზე ვეღარ ვგრძნობდი, და მეგონა, ვილაცას რომ ვუყურებდი, თვალები უჩვეულოდ ფართოდ მეხილებოდა.

სკამზე ვიჯექი და ამ გაუთავებელი ტანჯვის გამო ღვთის მიმართ სამდურავი სულ უფრო მემატებოდა. თუკი ის მცდის და დაბრკოლებებს იმისთვის მახვედრებს, რომ მიმიახლოვოს და ჩემი სული განწმინდოს, თამამად შემიძლია დავარწმუნო, რომ ის ცოტათი ცდება. თვალები ზეცას მივაპყარი და აღშფოთებისგან ლამის ტირილამდე მისულმა, სულის მოსაოხებლად ერთხელ და სამუდამოდ ყველაფერი ვუთხარი მას.

გამახსენდა რასაც ბავშვობაში მასწავლიდნენ, ყურებში ბიბლიის სტრიქონები ამიულერდა და საკუთარ თავთან სარკასტულად თავის ქნევით დავიწყე ლაპარაკი. რატომ ვზრუნავდი იმაზე თუ რა უნდა მესვა და მეჭამა, ჩემი ხრწნადი სხეული რითი შემემოსა? განა მამაზეციური ისე არ მკვებავს, როგორც ბელურებს? მან არ მოიღო მონყალეა ჩემს მიმართ და მან არ გამომარჩია? ხელი ღვთისა ჩემს ნერვებს და მერე კი მათ ძაფებსაც შეეხო. შემდეგ კი უფალმა ხელი უკან გამოსწია და აი, მასზე განყვეტილი ძაფები და ნერვების ნაკუნებია; და დარჩა ნაპრალი გახსნილი ხელითგან მისითა და ჭრილობა ჩემს ტვინში. მაგრამ მისი მარჯვენის შეხების შემდეგ უფალმა მიმატოვა, მათ აღარ შეხებია და ვნება არა მქონია. მშვიდობით, გახსნილი ჭრილობით გამომისტუმრა, და არა მქონდა არარა ვნება ღვთისაგან, რამეთუ იგია უფალი ჩვენი უკუნითი უკუნისამდე.....

ქარმა სტუდენტების ბულვარიდან მუსიკის ჰანგები მოიტანა. ესე იგი უკვე ორ საათს გადაცილებული იყო. რალაცის დაწერის, მუშაობის სურვილი გამიჩნდა. ჯიბიდან ქალღმერთი და ფანქარი ამოვიღე, რომელსაც სადალაქოში გასაპარსი ტალონების წიგნაკი ამოჰყვა. გვერდები გადავითვალე, ექვსი ცალი იყო დარჩენილი. „მადლობა ღმერთს!“ უნებურად აღმომხდა. ერთ-ორ კვირას კიდე შემეძლება გაპარსვა და წესიერი ადამიანის იერის შენარჩუნება! ამ მცირედენმა მონაპოვარმა ჩემი სულიერი განწყობა იმწამსვე გააუმჯობესა; ტალონები გულდასმით გავასწორე და ისევ ჯიბეში ჩავიდე.

მაგრამ წერის თავი ნამდვილად არ მქონდა. რამდენიმე სტრიქონი შევთხზე და გავჩერდი. აზრები სადღაც შორს იყვნენ გაბნეულნი და თავს ვერაფრით ვერ ვუყრიდი. ყველაფერი აზრს მიფანტავდა და

მაცდენდა, ყოველი მხრიდან ახალი შთაბეჭდილებები მიტევდნენ. ქინქლები და კოლოები ქალაღდზე ჯდებოდნენ და ხელს მიშლიდნენ; მათ განსადევნად რაც ძალი და ღონე მქონდა, სულს ვუბერავდი, მაგრამ ამოდ. ისინი ტრიალდებოდნენ, ქალაღდს ეკრობოდნენ და ისე ებლაუჭებოდნენ, რომ პანია ფეხები ელუნებოდათ. უბრალოდ შეუძლებელი იყო მათი მოცილება. ისინი ქალაღდზე რაიმე მოსაჭიდს, ხეშეშა და უსწორმასწოროს ყოველთვის იპოვიან და იქამდე ისხდებიან, სანამ თვითონვე არ მოუნდებათ გაფრენა.

რალაც დრო ამ პატარა სისხლისმწოველებმა შემიქციეს კიდევ და ფეხი ფეხზე გადადებული საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ვაკვირდებოდი მათ. უეცრად კლარნეტის პანგები მომესმა და ჩემმა ფიქრებმა ახალი მიმართულება მიიღეს. გულდანყვეტილმა იმის გამო, რომ სტატიას ვერ ვწერდი, ქალაღდი ჯიბეში ჩავიდე და სკამზე გადავინიე. ასეთ ნუთებში ჩემი თავი ისეთი ნათელია, რომ ტვინის ყოველგვარი დაძაბვის გარეშე ყველაზე დახვეწილი აზრები მომდის. უკან გადანეული ვზივარ, საკუთარ მკერდს, ფეხებს ვათვალიერებ და ვხედავ, სისხლის მიმოქცევისგან ფეხი როგორ მითამაშებს. თავს ვწევ, ფეხებს ვუყურებ და რალაც უცნაური, არნახული შეგრძნება მიპყრობს; ჩემს ნერვებზე არაჩვეულებრივი ტალღები გადარბიან და მორთოლვარე შუქივით ნათდებიან. როდესაც ფეხსაცმელებზე დავიხედე, თითქოს ძველ მეგობარს შევხვდი ან ჩემი არსების რომელიღაც ნაწილი დამიბრუნდა; მთლიანობის, ერთიანობის გრძნობა სულს მიკრავს, თვალეები ცრემლებით მევსება და ჩემი ფეხსაცმელები ნაზი ჩურჩულის ხმად აღვიქვი. „ეს სისუსტეა!“ მკაცრად ვეუბნები საკუთარ თავს. მუშტებს ვკრავ და ვიმეორებ: „სისუსტეა!“ ამ უაზრო გრძნობების სასაცილოდ აგდება დავინწყე, საკუთარ თავს შეგნებულად ვამასხარავებდი; მყარ, ჯანსაღ სიტყვებს წარმოვთქვამდი და ცრემლების მოსაშორებლად თვალებს მაგრად ვხუჭავდი. შემდეგ, თითქოს ჩემი ფეხსაცმელები არასოდეს მენახოს, ყურადღებით ვაკვირდები მათ: როგორ გამოიყურებიან, როგორ იცვლებიან ჩემი ფეხების მოძრაობასთან ერთად, როგორი ფორმა აქვთ, როგორ გაექექათ ტყავი; და აღმოვაჩინე, რომ ნაოჭები და გა-

მოხუნებული ნაკერები მათ თავისებურ იერს და ერთგვარად რალაც სახეს ანიჭებენ. ჩემი არსების რალაც ნაწილაკი ამ ფეხსაცმელებში იყო გადასული და მათგან რალაც მახლობელი, ცხოველი სუნთქვა მოდიოდა, თითქოს ეს ჩემი საკუთარი სუნთქვა ყოფილიყოს...

ამ ფანტაზიების თამაშში საკმაოდ დიდი ხანი, ალბათ, ერთი საათი გავატარე. შემდეგ კი სკამის მეორე ბოლო პატარა მოხუცმა კაცმა დაიკავა, რომელმაც დაჯდომისას მძიმედ ამოიოხრა და თქვა: „ხო-ო-ო-ო, მასეა, მასე!“

მისი ხმა მომესმა თუ არა, თავში თითქოს ქარბორბალა დამიტრიალდა. ჩემს ფეხსაცმელებს მოვეშვი და მომეჩვენა, რომ ის ბუნდოვანი განწყობა, რომელიც ცოტა ხნის წინ მქონდა, ერთი, ან სულაც ორი წლის წინ განვიცადე და ახლა ის ნელ-ნელა ჩემი მეხსიერებიდან იშლებოდა. მოხუც კაცს დავუწყე ყურება.

ნეტავ ამ პატარა კაცუნასთან რა მესაქმებოდა? არც არაფერი! ერთადერთი გაზეთის ძველმა ნომერმა დამაინტერესა, რომელიც ხელში ეჭირა სარეკლამო განცხადებების მხრიდან მოკეცილი და რომელშიც რალაც უნდა ყოფილიყო შეხვეული. ცნობისმოყვარეობამ იმდენად შემიპყრო, გაზეთს თვალი ვერ მოვაცილე. თავში გიჟურმა აზრმა გამიელვა, რომ ეს არაჩვეულებრივი, ერთადერთი გაზეთია და ამან ცნობისმოყვარეობა ისე გამიღვივა, სკამზე ავწრიალდი. იქ შესაძლოა დოკუმენტებია, რომელიღაც არქივიდან მოპარული სახიფათო ქალაქებია! ფიქრი რალაც საიდუმლო გეგმაზე, შეთქმულებაზე დავინყე.

მოხუცი წყნარად იჯდა და რალაცაზე ფიქრობდა. რატომ უკავია გაზეთი უკუღმა, და არა როგორც ყველას – სათაურით წინ? რა ხრიკებია? როგორც ეტყობოდა ამ შეკვრისთვის ხელის გაშვებას არაფრის დიდებით არ აპირებდა. ის კი არა და, მისი საკუთარი ჯიბისთვის მინდობაც ვერ გაებედა. თავს დავდებდი, რომ ამ შეკვრის უკან რალაც ამბავი იმალებოდა.

პირდაპირ ვიცქირებოდი და ვფიქრობდი. უკვე ის გარემოება, რომ ამ საიდუმლოების გარკვევა შეუძლებელი ჩანდა, ცნობისმოყვარეობით მკლავდა. ჯიბეებს ვიჩხრეკდი, რათა ამ კაცისთვის რაიმე შემეთა-

ვაზებინა და ურთიერთობაში შევსულიყავი. სადალაქოს გასაპარსი ნიგნაკი ამოვიღე, მაგრამ ისევ უკან ჩავაბრუნე. უცებ გადავწყვიტე ბოლომდე უსირცხვილოდ მოვექცეულიყავი, გვერდითა ცარიელ ჯიბეზე ხელი მივიტყაპუნე და ვთქვი: „სიგარეტს ხომ არ ინებებდით?“

გმადლობთ, ის არ ენევა, ის თითქმის ბრმაა, თვალების ავადმყოფობის გამო... რამე ჯანმრთელი ხომ უნდა დარჩეს... თუმცა, დიდი მადლობა შემოთავაზებისათვის!

დიდი ხანია რაც თვალები დაუავადდა? ალბათ მისთვის გაზეთის კითხვაც არ შეიძლება?

დიახ, სამწუხაროდ, გაზეთისაც არა.

ჩემკენ შემოტრიალდა. თვალებზე ლიბრი ჰქონდა გადაკრული და ამის გამო შუშისას წაავადნენ; ბუნდოვანი, გულისამრევად უსიამო მზერა ჰქონდა.

– აქაური არა ხართ? – მკითხა მან.

– დიახ. – ნუთუ მას იმ გაზეთის სათაურის წაკითხვაც არ შეუძლია ხელში რომ უჭირავს?

– გაჭირვებით. – ის მაშინვე მიხვდა, რომ აქაური არ ვიყავი. ჩემი გამოთქმით მიხვდა. ეს ისეთი მარტივია, მას ხომ ძალიან ფაქიზი სმენა აქვს. ღამლამობით, როცა ყველას სძინავს, მეზობელი ოთახიდან სუნთქვის ხმები ესმის..... – მინდოდა თქვენთვის მეკითხა სად ცხოვრობთ?

სიცრუე თავისთავად, ყოველგვარი განზრახვისა თუ ფარული აზრის გარეშე ამომიტივტივდა თავში და მივუგე: „წმინდა ოლაფის მოედანი, სახლი ნომერი ორი“.

– მართლა? – მან წმინდა ოლაფის მოედანზე ყოველი კენჭი იცის. იქ შადრევანია, რამდენიმე ქუჩის ფარანი, ხეები, მას ყველაფერი ახსოვს... – რომელ ნომერში ცხოვრობთ?

მინდოდა ბოლო მომელო ამისათვის, წამოვდექი და გაზეთზე აკვიატებული აზრისგან განაძებულმა, გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა ეს საიდუმლოება გამეხსნა.

– თუკი თქვენთვის გაზეთების წაკითხვაც აკრძალულია, მაშინ რატომ...

– თქვენ, მგონი თქვით, რომ ორ ნომერში ცხოვრობთ, არა? – ისე გააგრძელა მან, რომ ჩემი მოუსვენრობა არც კი შეიმჩნია. – თავის დროზე ამ სახლის ყველა ბინადარს ვიცნობდი. რა ჰქვია სახლის პატრონს?

თავიდან მოსაცილებლად, ჩემს მწვალებელს უცბად, იქვე მოგონილი გვარი მივახალე.

– ჰაპპოლატი!

– დიას, ჰაპპოლატი. – შებორძიკების გარეშე გაიმეორა მან ეს რთული გვარი და თავი დამიკრა.

გაოცებული ვუყურებდი; ძალიან სერიოზული იერით იჯდა და სახეც შეფიქრიანებული ჰქონდა. ამ სულელური გვარის, რომელიც თავში შემთხვევით მომივიდა, თქმა ძლივს მოვასწარი, ამ კაცმა კი ის უკვე გაითავისა და თან ისე იქცეოდა, თითქოს ადრეც გაგონილი ჰქონდა. ამასობაში მოხუცმა თავისი შეკვრა სკამზე დადო და ვიგრძენი, ცნობისმოყვარეობის ტალღები როგორ მომეძალნენ. შევამჩნიე, რომ გაზეთს რამდენიმე ცხიმის ლაქა ჰქონდა.

– თქვენი სახლის პატრონი მეზღვაურია, არა? – მკითხა მოხუცმა. მის ხმაში ირონიის ნასახიც არ იყო. – მგონი, მახსოვს, მეზღვაური იყო.

– მეზღვაური? მაპატიეთ, თქვენ ალბათ მის ძმას იცნობთ; ეს კი აგენტია, ჯ.ა. ჰაპპოლატი.

ვიფიქრე ასე მოვუღებდი ბოლოს, მაგრამ ის ყველაფერზე მორჩილად მეთანხმებოდა.

– გაგონილი მაქვს, ნიჭიერი კაცი, – აგრძელებდა თავისას მოხუცი.

– ხო, საზრიანი ვინმეა, ჩინებული საქმოსანი, – მიეუგე, – ათასგვარი რალაცის გაყიდვების აგენტი: წითელი მოცვი ჩინეთიდან, ბუმბული და ღინლი რუსეთიდან, ტყავი, ხე, მელანი...

– ოჰო, გაგიჟდება კაცი! – აღვზნებულმა გამანყვეტინა მოხუცმა.

თანდათან ამან საინტერესო სახე მიიღო. სიტუაციას სრულად ვფლობდი და ტყუილს ტყუილზე ვაცხობდი. ისევ ჩამოვჯექი, გაზეთი, საიდუმლო ქაღალდები გადამავეინყდა, საუბარში ცხარედ ჩა-

ვერთე და ჩემს მოსაუბრეს სიტყვასაც კი ვანწყვეტინებდი. ამ ქონდრისკაცის მიამიტობამ ისე გამათავებდა, რომ მიწოდდა სიცრუეში უმოწყალოდ ჩამეხრჩო და ამგვარად დახვეწილად გამეტყუბა მისი წინააღმდეგობა.

ჰაპპოლატის გამოგონებულ ელექტრონულ ლოცვანზე თუ სმენია რამე?

– ელექ... როგორ თქვით?

ლოცვანზე, რომელსაც ელექტრონული ასოები აქვს სიბნელეში გასანათებლად! უზარმაზარი საქმეა, მილიონობით კრონია დაბანდებული, ასოთამწყობები, მბეჭდავები, ასობით მექანიკოსი, სულ შვიდასი კაცია, როგორც გავიგე.

– რასაც მუდამ ვამბობდი. – რბილად შენიშნა მოხუცმა და გაჩუმდა. ყოველი ჩემი სიტყვის დაუფიქრებლად სჯეროდა და მაინც არაფერი აკვირვებდა. ამან ცოტა არ იყოს გული ამიცრუა, რადგან მეგონა ჩემი მონაჩმახი სრულიად აურევდა ტვინს.

კიდევ ორი უნუგემოდ დაუჯერებელი ამბავი მოვროშე და ეშხში შესულმა მოვახსენე, რომ ჰაპპოლატი მთელი ცხრა წლის მანძილზე სპარსეთში კაბინეტის მინისტრი იყო. „თქვენ ალბათ ვერც კი წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს სპარსეთში კაბინეტის მინისტრობა“, ასე ვუთხარი. იქ, მინისტრი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენთან – მეფე. ეს თითქმის იგივეა, რაც სულთანი, თუკი მან იცის ეს რას ნიშნავს. მაგრამ ჰაპპოლატი თავის სიმაღლეზე იდგა და ერთხელაც არაფერში შემცდარა. და შემდეგ ილაიალიზე, მის ქალიშვილზე, ზღაპრულ პრინცესაზე დავიწყე თხრობა, რომელსაც სამასი მხევალი ჰყავდა და ყვითელი ვარდების სარეცელზე ეძინა; ის უმშვენიერესი არსება იყო, რომელიც ოდესმე მენახა, ღმერთმა დამსაჯოს თუ მისი ბადალი სადმე შემხვედროდეს!

– მართლა ასეთი ლამაზი იყო? – განყენებულად იკითხა მოხუცმა და თვალები დახარა.

ლამაზი? ის ბრწყინვალე იყო, გასაოგნებლად მშვენიერი! თვალები ხავერდოვანი, ხელები ქარვის მსგავსი! მისი ერთი მზერაც კი გაცდუნებდა, როგორც კოცნა და როცა მიხმობდა, მისი ხმა ჩემს



სულს ღვინოსავით ათრობდა. და რატომაც არ უნდა ყოფილიყო ასეთი ულამაზესი? ხომ არ იფიქრა, რომ ის უბრალო მოლარე იყო თუ რაღაც ამდაგვარი სახანძრო უწყებაში? დიახაც იცოდეს, რომ ის ზეციური არსება იყო, უბრალოდ ზღაპარი.

– დიახ, რა თქმა უნდა, – ცოტა შეცბუნებული დამეთანხმა მოხუცი.

მისი სიმშვიდე უკვე მოსაწყენი იყო; მე კი, საკუთარი ხმის ჟღერადობით აღგზნებული, სრულიად სერიოზულად ვლაპარაკობდი. მიტაცებული ქალღებები, შეთქმულება, რომელიც უცხო სახელმწიფოს სასარგებლოდ იგეგმებოდა, ამ ყველაფერზე უკვე აღარ ვფიქრობდი; პატარა, თხელი შეკვრა ჩვენ შორის სკამზე იდო, მაგრამ მასში ჩახედვისა და შიგთავსის გარკვევის არანაირი სურვილი აღარ მქონდა. საკუთარ თხრობაში მთლიანად ჩაფლული ვიყავი, თვალწინ გასაოცარი ხილვები მედგა, სისხლი თავში მქონდა ავარდნილი და უმონყალოდ ვიტყუებოდი.

ამასობაში მოხუცი თითქოს წასასვლელად მოემზადა. ფეხზე წამოდგა და ლაპარაკი მკვეთრად რომ არ შეენწყვიტა, მკითხა: „როგორც ჩანს, ჰაპპოლატი დიდძალი ქონების პატრონია, არა?“

როგორ ბედავს ეს საზიზლარი, დაბრმავებული ბებერი, ამ უცხოური, ჩემი მოგონილი გვარის ისე ხმარებას, თითქოს მისი წაკითხვა ქალაქის ნებისმიერი მოვაჭრის აბრაზე იყოს შესაძლებელი. თან ერთხელაც არ წაბორძიკებულა და ბგერაც არ გამოუტოვებია, ისე მტკიცედ და მყარად ჩაებეჭდა ეს გვარი მეხსიერებაში. იმედგაცრუებული და გაბრაზებული ვიყავი ამ პირრწინებაზე, რომელსაც არაფერი უბნევდა თავგზას და არაფერი აეჭვებდა.

ასე რომ, გაღიზიანებულმა ვუპასუხე, „ეს არ ვიცი; სინამდვილეში, ამის შესახებ საერთოდ არაფერი არ ვიცი. ისე კი, ნება მიბოძეთ ერთხელ და სამუდამოდ გითხრათ, რომ ინიციალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მას იუჰან არენდტ ჰაპპოლატი ჰქვია.“

– იუჰან არენდტ ჰაპპოლატი, – ჩემი აღტკინებით ცოტა არ იყოს საგონებელში ჩავარდნილმა გაიმეორა მოხუცმა და გაჩუმდა.

– მისი ცოლისთვის უნდა შეგეხებათ, – გაცოფებულმა განვაგრძე. – ისეთი ჩაკურატებული... იქნებ არ გჯერათ, რომ ნამდვილად მსუქანი იყო?

– არა, რას ამბობთ, რასაკვირველია ეყოლებოდა; ასეთ კაცს...

ყოველ ჩემს გამოსვლას მოხუცი სიტყვების შერჩევით, მდაბლად და წყნარად პასუხობდა, თითქოს ზედმეტის თქმის ეშინოდა, რომ არ გავებრაზებინე.

– რა ჯანდაბაა, ხომ არ ფიქრობთ, რომ აქ ვზივარ და ტყუილებით გავსებთ? – დავიღრიალე მოთმინებიდან გამოსულმა. – იქნებ იმასაც ფიქრობთ, რომ ჰაპპოლატის გვარის მქონე ადამიანი არც კი არსებობს ამ ქვეყანაზე? პირველად ვხედავ ასეთ ჯიუტ და საზიზღარ ბებერს! ნეტავი რა ბზიკმა გიკბინათ? ყველა სიკეთესთან ერთად მათხოვრადაც ჩამთვალეთ, რომელიც საკვირაო, გამოსასვლელი ტანისამოსით მოიკაზმა და ჯიბეში სიგარეტიც კი არ უდევს, არა? ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ ამგვარ მოპყრობას ჩვეული არ ვარ. იცოდეთ, ამას არც თქვენგან ავიტან და არც არავისგან. ახლა ყველაფერი გითხარით!

მოხუცი ამ დროისათვის უკვე ფეხზე იდგა და პირდაღებული უხმოდ მისმენდა. შემდეგ სკამიდან თავის შეკვრას ხელი დასტაცა და თავისი პატარა, ბებრული ნაბიჯებით თითქმის სირბილით გამშორდა.

ვიჯექი და მის ზურგს ვუყურებდი, უფრო და უფრო ეღუნებოდა. არ ვიცი, ეს შთაბეჭდილება საიდან გაჩნდა, მაგრამ მომეჩვენა, რომ ასეთი უსინდისო, უზნეო ზურგი ჯერ არასდროს არ მინახავს და ოდნავაც არ ვნუხდი, რომ ეს არსება ბოლოს ასე გამოვლანძღე...

სალამოვდებოდა. მზე ჩადიოდა. ხეებზე ფოთლები წყნარად შრიალებდნენ. საქანელასთან შეჯგუფული გადიები საბავშვო ეტლებს სახლში წასაგორებლად ამზადებდნენ. მშვიდი და აუმღვრეველი ვიყავი. ჩემი ამასწინდელი მღელვარება ნელ-ნელა ჩაცხრა, დავსუსტდი, მოვითენთე და ძილი მომერია. ისიც აღარ მანუხებდა, რომ დღეს ზედმეტად ბევრი პური მქონდა ნაჭამი. საუკეთესო განწყობაზე სკამზე გადავწექი და თვალები დავხუჭე; ძილი სულ უფრო და უფრო მერეოდა, თავი წამდაუნუმ მივარდებოდა და უკვე თითქმის ჩაძინებული ვიყავი, როცა პარკის დარაჯმა მხარზე ხელი დამადო და მითხრა:

– აქ ძილი არ შეიძლება.

- არა, - ვთქვი და მაშინვე წამოვდექი. მთელი ჩემი უიმედო მდგომარეობა ერთბაშად თვალწინ დამიდგა. რაიმე უნდა ვიღონო, რაიმე მოვიფიქრო! სამსახურის შოვნა ვერ მოვახერხე; რეკომენდაციები რომელთაც წარვადგენდი, ახლა უკვე მოძველებული იყო, მათ ავტორებს კი ნაკლებად იცნობდნენ, ისინი საკმარისი გავლენით არ სარგებლობდნენ. ამასთან ერთად, ამ ზაფხულის განმავლობაში იმდენი უარი მივიღე, რომ საკუთარი თავის რწმენა დავკარგე. თუმცა, ყველა შემთხვევაში ბინის ქირა გადასახდელი მქონდა და ფული საიდანმე უნდა მეშოვნა. დანარჩენი მოიცდიდა.

მექანიკურად ქალაქი და ფანქარი ისევ მოვიმარჯვე. ჩამოვჯექი და ფურცლის კუთხეებს "1848" მივანერე. რა იქნება, ერთი შთამაგონებელი აზრი მომივიდეს, დამეფულოს და სიტყვები მიკარნახოს! წინათ ხომ ასეც მომხდარა, ასეთი წუთები ნამდვილად ყოფილა, როცა ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ვრცელი და ბრწყინვალე სტატიის შეთხზვა შემეძლო.

სკამზე ვზივარ და ფურცელზე ისევ 1848-ს ვწერ. ეს თარიღი წაღმა-უკულმა, სხვადასხვა ზომით იმის მოლოდინში გამომყავს, რომ სადაცაა გამოსადეგი იდეა მენწვევა. თავში რაღაც აზრები ნაკუნ-ნაკუნ შრიალებენ. მიმქრალი დღე უიმედოს და სენტიმენტალურს მხდის. შემოდგომა მოვიდა და უკვე დაიწყო ყველაფრის ღრმა ძილით შებორკვა. ბუზებმა და სხვა მწერებმა პირველად შეიგრძნეს მისი სუნთქვა და ზემოთ ხეებში და დაბლა მიწაზე სიცოცხლის ჭიდილის ხმები ისმის, რომელსაც დანებება არ უნდა. იგი აღელვებულია, ხმაურიანი, მოუსვენარი და ძალ-ღონეს არ იშურებს თავის გადასარჩენად. მცოცავი არსებანი ხავსიდან თავიანთ მოყვითალო თავებს ისევ აჩენენ, კიდურებს ასავსავენ, გრძელი ულვაშებით მიწას ეხებიან, სანამ მალლა ანეული თათუნებით ზურგზე გადაყირავდებიან. ყოველი მცენარე პირველი სიცვიის შემოსვლისთანავე განსაკუთრებულ, განუმეორებელ ელფერს იღებს; ფერმკრთალი ღეროები მზეს მიელტვიან, ჩამოცვენილი ფოთლები აბრეშუმის ჭიებივით შრიალებენ. შემოდგომა, წარმავლობის უდიდესი მეჯლისი; სისხლისფრად წითელმა ვარდებმა აღმოდებული, არნახული ელფერი მიიღეს.

თავს დასალუპად განწირული მწერივით ვგრძნობდი, რომელიც ძილისთვის შემზადებული სამყაროს ნანგრევებშია მოქცეული. არნახულმა შიშმა შემიპყრო, წამოვხტი და ბილიკზე რამდენიმე დიდი ნაბიჯი გადავდგი. „არა!“, შევყვირე და მუშტები შევკარი, „ეს უნდა დამთავრდეს!“ ისევ დავჯექი და კიდევ ერთხელ მოვიმარჯვე ფანქარი, რომ სტატია რადაც არ უნდა დამჯდომოდა დამენერა. მხრების ჩამოყრის უფლება არ მქონდა, რადგან ბინის გადაუხდელი ქირა თვალწინ მიტრიალებდა.

ნელ-ნელა აზრები მილაგდებოდნენ. დიდი სიფრთხილით, აუჩქარებლად შესავლის ორი ფურცელი დავწერე; ამ შესავლის გამოყენება, თითქმის ნებისმიერი თემისთვის შეიძლებოდა, როგორც მოგზაურის ჩანაწერებისათვის, ისე პოლიტიკური მომხილვისათვის, გააჩნია როგორ მოვისურვებდი. ყველაფრისთვის საუცხოო დასაწყისი იყო.

შემდეგ იმის მოფიქრებას შევეცადე, ვისზე ან რაზე დამენერა, მაგრამ არჩევანი ვერაფერზე ვერ შევაჩერე. ამ უნაყოფო ძალისხმევამ აზრები ისევ ამირია, ვიგრძენი, რომ ტვინი მუშაობაზე უარს აცხადებდა, თავი კი იცლებოდა და იცლებოდა, და ბოლოს მსუბუქი და ცარიელი გახდა. ეს ხახადაღებული სიცარიელე მთელი ჩემი არსებით აღვიქვი და ვიგრძენი, რომ მთლიანად, თავიდან ფეხებამდე გამოცარიელებული ვიყავი.

„უფალო, ღმერთო ჩემო!“ შევყვირე სასომიხდილმა და ეს შეძახილი ზედიზედ რამდენჯერმე, სიტყვის დაუმატებლად გავიმეორე.

ქარი ფოთლებს ავისმაუნყებლად აშრიალებდა. ცოტა ხანს კიდევ ვიჯექი, ჩაფიქრებული ფურცლებს დავყურებდი, შემდეგ ისინი დავკეცე და აუჩქარებლად ჯიბეში ჩავიდე. აცივდა, მე კი ჟილეტი აღარ მქონდა; ქურთუკი ბოლომდე შევიკარი და ხელები ჯიბეებში ჩავიყავი. შემდეგ ავდექი და წავედი.

ახლა მაინც გამიმართლოს, ამ ერთადერთ ჯერზე! დიასახლისმა უკვე მეორედ მომთხოვა ქირის ფული თვალებით, მე კი იძულებული გავხდი სირცხვილისგან თავჩაღუნული მივსალმებოდი და გვერდზე გავმძვრალიყავი. ასე აღარ შემეძლო; ერთხელაც როცა ასეთი თვა-

ლებით შემომხედავს, მზერას გავუსწორებ ყველაფერს პატიოსნად ავუხსნი. დიდ ხანს ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა.

როდესაც პარკის შესასვლელს მივუახლოვდი, ისევ ის ბებერი ჯუჯა დავინახე, რომელიც მე განრისხებულმა გავაქციე. საიდუმლო შეკვრა სკამზე გაეშალა, ზედ ბლომად სხვადასხვა სასუსნავი ენყო და შეექცეოდა. მინდოდა მივსულიყავი და ჩემი საქციელის გამო ბოდიში მომეხადა, მაგრამ ისე საზიზღრად ჭამდა, ვერ შევძელი. ბებრული თითები, ცხიმიან სენდვიჩებს ათი დაკოჟრილი ბრჭყალივით საზიზღრად ესობოდა. გულისრევა ვიგრძენი და უხმოდ ჩავუარე. ვერ მიცნო, გამოფიტული თვალებით მზერა შემავლო და სახეზე ნაკვთი არ შეტოკებია.

გზა გავაგრძელე.

ჩვეულებისმებრ ყველა იმ ადგილას ვჩერდებოდი, სადაც გაზეთები იყო გამოკრული და სამუშაო ადგილების შესახებ განცხადებებს ვკითხულობდი და ძალიან გამიხარდა, როცა ჩემთვის შესაფერის ადგილს მივაგენი: გრონლანდსლერეთის ქუჩაზე სურსათით მოვაჭრე ეძებს ხარჯთაღმრიცხველს დღის ბოლოს ერთი-ორი საათით; ანაზღაურება შეთანხმებით. მისამართი ჩავიწერე და უფალს უხმოდ მადლობა შევწირე; სხვებთან შედარებით ყველაზე დაბალ ხელფასს მოვითხოვე, ორმოცდაათი ერე საკმარისზე მეტია, ანდა ორმოცი ერე, ნებისმიერ პირობას დავყაბულდები.

როდესაც სახლში დავბრუნდი, მაგიდაზე დიასახლისის დაწერილი ფურცელი დამხვდა, სადაც ის ქირის წინასწარ გადახდას ან ოთახის შეძლებისდაგვარად სასწრაფოდ დაცლას მთხოვდა. ამასთან თავი შეურაცხყოფილად არ უნდა მეგრძნო, რადგან ეს აუცილებლობა იყო. პატივისცემით, ქ-ნი გუნდერსენი.

მოვაჭრე კრისტის, გრონლანდსლერეთის ქუჩის 31 ნომერში სამუშაოზე განაცხადი დავუწერე, კონვერტში ჩავდე და ქუჩის კუთხესთან საფოსტო ყუთში ჩავაგდე. შემდეგ უკან ამოვბრუნდი, ჩემს დასარწევ სავარძელში ჩავჯექი და ფიქრებში წავედი. ამასობაში ნელ-ნელა ჩამობნელდა, დაღლა ვიგრძენი და ძილი მომერია.

დილით ძალიან ადრე გამეღვიძა. როცა თვალები გავახილე ჯერ კიდევ ბნელოდა და მხოლოდ საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ გავიგონე, როგორ ჩამოკრა ქვედა სართულზე საათმა ხუთჯერ. ძილის გაგრძელება ვცადე, მაგრამ არ გამომივიდა. უფრო და უფრო ვფხიზლდებოდი და თავში მილიონი ფიქრი მიტრიალებდა.

უეცრად თავში რამდენიმე კარგი წინადადება მომივიდა, რომელიც სკექტრისთვის ან სტატისთვის გამოდგებოდა, შესანიშნავი ენობრივი მიგნება, რომლის მსგავსიც არასოდეს მქონია. წამოწოლილი ამ სიტყვებს ვიმეორებ და მათ განუმეორებლობაში ვრწმუნდები. მალე მათ სხვები მოჰყვნენ. უცებ სრულიად გამოფხიზლებული წამოვინიე და საწოლთან მდგარი მაგიდიდან ფურცელსა და ფანქარს გადავწვდი. ჩემში თითქოს საბადომ ამოხეთქა, ერთ სიტყვას მეორე მიჰყვა, ისინი ფურცელზე თანმიმდევრულად ლაგდებიან, ჩნდება სიუჟეტი; იცვლებიან ეპიზოდები, თავში დიალოგები და მოვლენები მიელავენ და თავს სრულიად ბედნიერად ვგრძნობ. შეპყრობილივით, ფურცელს ფურცელზე შეუსვენებლად ვავსებ. აზრები ისე სწრაფად და ისეთი სიუხვით მატყდებიან, რომ გულმოდგინე მცდელობის მიუხედავად, უამრავი რამის ჩანერას ვერ ვასწრებ. შემოჯარულნი, სულის მოთქმის საშუალებას არ მაძლევენ; მთლიანად თემის ტყვეობაში ვარ და თითოეული სიტყვა რომელსაც ვწერ, სრულად გათავისებული მაქვს.

ეს გამოგნებელი მდგომარეობა დიდხანს, ძალიან დიდხანს გრძელდება და ბოლოს, როდესაც ვჩერდები და ფანქარს გვერდზე ვდებ, მუხლებზე თხუთმეტი-ოცი დაწერილი ფურცელი მინყვია. თუკი ამ ფურცლებს მართლა რაიმე ფასი აქვთ, მაშინ გადარჩენილი ვარ! ლოგინიდან ვხტები და ვიცვამ. უფრო და უფრო თენდება და უკვე შემიძლია ჩემს კარზე აკრული შუქურის ზედამხედველის განცხადების გარჩევა. ფანჯრიდან კი საკმარისი დღის სინათლე შემოდის, რომ გაჭირვების შემთხვევაში დავენერო. მეც მაშინვე შევუდექი დაწერილის გადათეთრებას.

ამ ფანტაზიებიდან სინათლისა და ფერების უცნაურად მკვერივი მხეფები ჩნდება; აღელვებული, ჩემს მოულოდნელ წარმატებას თვალს ვადევნებ და საკუთარ თავს ვეუბნები, რომ ამაზე უკეთესი ჯერ არაფერი წამიკითხავს. ბედნიერება მათრობს, სულში სიხარული მიგიზგიზებს და გამარჯვებას ვზეიმობ. ფურცლების დასტას ხელით ვწონი და დაახლოებით ხუთ კრონად ვაფასებ. განა ხუთ კრონზე ვინმე ვაჭრობას დამინყებს, პირიქით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ხელნაწერი თავისი შინაარსის გათვალისწინებით ათი კრონიც კი ღირს. სულაც არ ვაპირებდი ამ განსაკუთრებული ნაშრომის მუქთად გაცემას; რამდენადაც რაიმე გამეგებოდა, ასეთი თხზულებები გზაზე არ ეყარა. გადავწყვიტე ათი კრონი მომეთხოვა.

ოთახი სულ უფრო და უფრო ნათდებოდა, კარის მიმართულე-ბით გავიხედე და უკვე ზედმეტი ძალისხმევის გარეშე შემეძლო წვრილი, დაჩონჩხილი ასოების წაკითხვა, რომლებიც ქალბატონი ანდერსენის საუკეთესო სუდარებს მთავარი შესასვლელიდან მარ-ჯვნივ გვთავაზობდნენ. ასე თუ ისე, საათმა უკვე საკმაო ხნის წინ ჩამოჰკრა შვიდჯერ.

ფანჯარას მოვცილდი და ოთახის შუაგულში გავჩერდი. ყვე-ლაფრის გათვალისწინებით, ქალბატონ გუნდერსენის უარი საკმა-ოდ დროულიც კი იყო. ეს ოთახი სულაც არ შემეფერებოდა; ფან-ჯრებზე უგემოვნებო მწვანე ფარდები ეკიდა, ხოლო კედლებზე ისე ცოტა ლურსმანი იყო ჩაჭედებული, რომ ტანსაცმელს ვერ ჩამოკი-დებდი. კუთხეში მდგარი საბრალო დასარწევი სავარძელი კი დასარ-წევი სავარძელის იმიტაცია უფრო იყო; რომ შეხედავდი შეიძლება სიცილით გაგუდულიყავი. ზრდასრულისთვის ისეთი დაბალი და ვიწრო იყო, რომ იქიდან წამოდგომა ჩექმიდან ფეხის ამოძრობის ტოლფასი იყო. ერთი სიტყვით, ეს ოთახი გონებრივი სამუშაოსთვის არ იყო განკუთვნილი და აქ დარჩენას არ ვაპირებდი. არც ერთ შემ-თხვევაში არ ვაპირებდი! ამ სოროში ცხოვრებას შეგუებული, ზედ-მეტად დიდხანს ვიყავი გაჩუმებული.

იმედითა და სიხარულით ფრთაშესხმულმა, ჯერ ისევ ამ სა-უცხოო თხზულებაზე აზრებით სავსემ, რომელსაც შიგადაშიგ ჯიბი-

დან ვიღებდი და ვკითხულობდი, გადავწყვიტე დაუყოვნებლივ ჩავ-  
ლაგებულობდი. ჩემი შეკვრა, ერთი წითელი ცხვირსახოცი გავშალე,  
ერთი-ორ სუფთა საყელოს და რამდენიმე დაჭმუჭნულ გაზეთს რომ  
შეიცავდა, რომელთაც სახლში პურის მოსატანად ვიყენებდი, საბანი  
დავახვიე და სუფთა საწერი ფურცლების მარაგი ჯიბეში ჩავიდე.  
შემდეგ, რომ არაფერი დამრჩენოდა, ოთახის კუთხეები გულდასმით  
შევათვალიერე და როცა ვერაფერი ვიპოვე, ფანჯარაში გადავიხე-  
დე. მოღრუბლული და ნესტიანი დილა იყო. გადამწვარ სამჭედლოს-  
თან კაციშვილი არ ჭაჭანებდა; ეზოს დანესტიანებული თოკი კედ-  
ლებს შორის მჭიდროდ იყო დაჭიმული. ყოველივე ეს ადრეც მქონდა  
ნანახი, ამიტომაც ფანჯარას მოვცილდი, საბანი ილღის ქვეშ ამო-  
ვიდე, თავი დავუკარი შუქურის ზედამხედველს, თავი დავუკარი  
ქალბატონ ანდერსენის სუდარებს და კარი გავაღე.

უცებ დიასახლისი გამახსენდა; ხომ უნდა შემეტყობინებინა მის-  
თვის ჩემი გამგზავრება, დაე იცოდეს, რომ საქმე წესიერ ადამიან-  
თან ჰქონდა. ამას გარდა, მინდოდა ბარათი დამენერა, სადაც ოთახ-  
ში ორიოდ ზედმეტი დღით გაჩერებისათვის, მაღლობას გადავუხ-  
დიდი. ისეთი დარწმუნებული ვიყავი, რომ საკმაო ხნით უზრუნველ-  
ყოფილი ცხოვრება მქონდა, რომ უახლოეს დღეებში ხუთი კრონის  
მოტანასაც კი დავპირდი; ერთი სული მქონდა, მეჩვენებინა თუ რა-  
დენ კეთილშობილი ადამიანი ცხოვრობდა მის ქერქვეშ.

ბარათი მაგიდაზე დავტოვე.

კართან ისევ გავჩერდი და შემოვტრიალდი. სიცოცხლისკენ შე-  
მობრუნების ნათელმა გრძნობამ განმაახლა და უფლისა და მთელი  
სამყაროს მიმართ მაღლიერების გრძნობით ამავესო. საწოლთან მუხ-  
ლი მოვიყარე და შემოქმედს დიდი წყალობისათვის, რომელიც ამ  
დილით მარგუნა, მაღლობა ხმამაღლა შევწირე. ვიცოდი, დიახაც ვი-  
ცოდი, რომ ეს აღმაფრენის ტალღა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ  
განვიცადა და ქალღმერთს გადავიტანე, ჩემს სულში ზეცის ნებით  
განხორციელებული სასწაული და გუშინდელი ღალადის პასუხი იყო.  
„უფლის ნებაა! უფლის ნებაა!“ ვყვიროდი ჩემთვის და საკუთარი  
სიტყვებით გულაჩუყებული ავქვითინდი; დროდადრო გაჩუმება და



მიყურადება მინევდა, კიბეზე რომ ვინმე ამოსულიყო. ბოლოს ნა-  
მოვდექი, კიბის აუარებელი საფეხური ფეხაკრეფით ჩავიარე და  
ჭიშკარს შეუმჩნევლად მივალწიე.

ქუჩები დილით ადრე მოსული წვიმისგან პრიალებდნენ, ქალაქის  
თავზე მძიმე და დაბალი ცა ეკიდა, საიდანაც მზის სხივიც კი არ  
ატანდა. კი მაგრამ დღის რომელი საათია? გაკვირვებული ვიყავი.  
ჩვეულებისამებრ ქალაქის ციხისკენ წავედი და დავინახე, რომ საა-  
თი ცხრის ნახევარს უჩვენებდა. ესე იგი, ერთი-ორი საათი უნდა მო-  
მეკლა – რედაქციაში ათამდე და თერთმეტამდეც კი მისვლას აზრი  
არ ჰქონდა. უბრალოდ ქუჩებში უნდა მეხეტიალა და საუზმისთვის  
რაიმე მომეხერხებინა. თუმცა ამ დღეს მშიერად დარჩენის შიში  
სრულიად არ მქონდა; მადლობა ღმერთს, რომ ამ დრომ უკვე ჩაია-  
რა! ეს ავი სიზმარი მორჩა, წარსულს ჩაბარდა და დღეიდან ჩემი საქ-  
მეები უკეთ წარიმართება!

ილღიაში მწვანე საბანი მქონდა ამოჩრილი და ამის გამო თავს  
უხერხულად ვგრძნობდი; ასეთი ფუთის ყველას თვალწინ ტარება  
უბრალოდ შეუძლებელი იყო. ხალხი რას იფიქრებდა? ამიტომაც  
ისეთი ადგილის ძებნა დავიწყე, სადაც მისი დროებით, უსაფრთხოდ  
დატოვება იქნებოდა შესაძლებელი. შემდეგ თავში აზრი მომივიდა,  
რომ „სემბში“ მისვლა და მისი შეფუთვა შემეძლო; მაშინ ის იმნამს  
უკეთეს იერს მიიღებდა და აღარაფერი სასირცხვილო აღარ მექნე-  
ბოდა. „სემბის“ მაღაზიაში შევედი და ერთ-ერთ თანამშრომელს ამ  
თხოვნით მივმართე.

მან ჯერ საბანს შეხედა და შემდეგ მზერა ჩემზე გადმოიტანა.  
როცა საბანი ჩამომართვა მომეჩვენა, რომ ამრეზით მხრები აინურა.  
თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი.

– ფრთხილად, ახალგაზრდა! – შევძახე. – ამაში ორი ძვირფასი  
მინის ლარნაკია გახვეული. ამანათს სმირნაში ვაგზავნი.

ამან გაჭრა, ხრიკმა შესანიშნავი შედეგი გამოიღო. კაცი ყოველი  
მოძრაობით თითქოს პატიებას მთხოვდა, რომ მაშინვე ვერ მიხვდა,  
თუ რაოდენ ძვირფასი ნივთები იყო ამ საბანში გახვეული. როცა თა-  
ვის საქმეს მორჩა, მადლობა ისე გადაუხადა, თითქოს სმირნაში

ძვირფასეულობა არაერთხელ გამეგზავნოს, და უკვე გამოსვლისას, მან კარიც კი გამიღო.

ბაზრის მოედანზე გავედი და იქ მყოფ ხალხში დავინყე ბორიალი. ვცდილობდი, ქოთნის ყვავილებით მოვაჭრე ქალების სიახლოვეს ვყოფილიყავი. მძიმე, წითელი ვარდები, ნესტიანი დილის ჰაერში დანოტივებულები ელვარებდნენ და ისე გამომწვევად გამოიყურებოდნენ, რომ დავხარბდი და მონყვეტის ცდუნება დამეუფლა. ფასის კითხვის საბაბით მათ რამდენჯერმე მივუახლოვდი. ფული რომ მქონოდა, დაუფიქრებლად ვიყიდდი; ბოლო-ბოლო, ყოველთვის შემეძლო სხვა რამეზე მეთქვა უარი და ასე ამენაზღაურებინა დანახარჯი.

ათი საათი ხდებოდა და რედაქციის ოფისისკენ გავემართე. „მაკრატელი“ ძველი გაზეთების გროვაში ფუთფუთებს, რედაქტორი ჯერ არ მოსულა. ხელნაწერს ვაწვდი, ვცდილობ მივახვედრო, რომ ეს უბრალო ქალაქების დასტა არ არის და დაბეჯითებით ვთხოვ, რომ როცა რედაქტორი გამოჩნდება, პირდაპირ ხელში გადასცეს. პასუხის გასაგებად კი მოგვიანებით მე თვითონ შემოვივლი.

– კეთილი! – მითხრა „მაკრატელმა“ და ისევ თავის გაზეთებს მიუბრუნდა.

მომეჩვენა, რომ ზედმეტად მშვიდად მიუდგა ამ საქმეს, მაგრამ კრინტი არ დამიძრავს, მოჩვენებითი გულგრილობით თავი დავუკარი და წამოვედი.

ახლა უამრავი თავისუფალი დრო მქონდა. ნეტავ გამოიდაროს მაინც! საზიზღარი ამინდი იდგა. ნიავიც კი არ უბერავდა; ქალბატონებს ქოლგები წინდახედულად გაშლილი ჰქონდათ და მამაკაცებს კი თავზე სასაცილო შესახედაობის შალის ქუდეები ეხურათ. ვარდების და ბოსტნეულის დასათვალიერებლად ისევ ბაზრისკენ გავემართე. შემდეგ კი მხარზე ვილაცის ხელი ვიგრძენი და შევტრიალდი: „ქალწულა“ დილა მშვიდობისას მეუბნება.

– დილა მშვიდობისა? – გავიმეორე ნახევრად შეკითხვის ინტონაციით. ვცდილობ დროზე გავეცალო „ქალწულას“, რომელიც გულზე არასოდეს მეხატებოდა.

ის ცნობისმოყვარეობით ჩემს შეკვრას უყურებს, რომელიც ილიაში მაქვს ამოჩრილი და მეკითხება:

– ეს რა გაქვთ?

– „სემბთან“ შევიარე და კოსტუმისთვის ნაჭერი შევიძინე, – გულგრილად ვპასუხობ, – მომბეზრდა ასეთი გაქექილი ტანისამოსით სიარული. ბოლოს და ბოლოს საკუთარ გარეგნობას როდემდე არ უნდა მივაქციო ყურადღება.

ის გაკვირვებული მიყურებს.

– ისე, საერთოდ როგორაა საქმე? – მეკითხება მცირე დუმილის შემდეგ.

– ოჰ, უკეთესად ვერც კი წარმოვიდგენდი!

– ესე იგი რაღაცას საქმიანობთ, არა?

– რაღაცას ვსაქმიანობ? – ვიმეორებ ვითომ გაცეხებული. – კრისტიანის საბითუმო ფირმაში ხარჯთაღმრიცხველად ვმუშაობ. არ იცოდით?

– აჰ, მართლა? – ამბობს და ოდნავ უკან იწევს. – ო, ღმერთო ჩემო, რომ იცოდეთ როგორ გამიხარდა. ვიმედოვნებ, ფულს ყველა მთხოვნელს არ დაურიგებთ. კარგად ბრძანდებოდეთ.

მცირე ხანში კი ისევ უკან მობრუნდა, ხელჯოხით შეკვრაზე მიმითითა და მითხრა:

– ნება მიბოძეთ, ჩემი მკერავი გირჩიოთ. ისაკსენზე მოდურ მკერავს ვერსად ნახავთ. უბრალოდ, ჩემი სახელით მიაკითხეთ.

ნეტავი რა რჯიდა, რომ ჩემ საქმეებში ცხვირს ჰყოფდა? რაში ესაქმება რომელ მკერავთან მივალ? გავბრაზდი. ეს ცარიელი და გაპრანჭული ვაუბატონი მალიზიანებდა და საკმაოდ უხეშად შევახსენე, რომ ჩემი ათი კრონი ემართა. პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, ვინანე ვალი რომ მოვთხოვე; შემრცხვა და თვალები დავხარე. ამა-სობაში ერთი ქალბატონი მოგვიახლოვდა, გზის დასათმობად სწრაფად უკან გავინიე, დრო ვიხელთე და გავეცალე.

საით ნავიდე, სად მოვიცადო? კაფეში ცარიელი ჯიბეებით შესვლა არ შემეძლო და ისეთი ნაცნობიც არ მეგულეობდა, ამ დროს რომ სტუმრად მივსულიყავი. ინსტინქტურად ქალაქში გავბოდიხალ-

დი. რალაც დრო ბაზრიდან გრენსენის ქუჩამდე მისვლაში მოვკალი, დაფაზე ახალი გამოკრული „სალამოს ამბები“ წავიკითხე, შემდეგ კარლ-იუჰანის ქუჩისკენ გავემართე და გზაში მაცხოვრის ტაძრისკენ ავუხვიე, სადაც სასაფლაოზე, სამლოცველოსთან მყუდრო ადგილი მოვძებნე.

სიჩუმეში ვიჯექი. ნესტიან ჰაერზე ვთვლემდი, ვფიქრობდი და მამცივნებდა. დრო მიდიოდა. მართლა დარწმუნებული უნდა ვყოფილიყავი, რომ ჩემი თხზულება შთაგონებით შექმნილი მცირე ზომის შედეგრი იყო? ღმერთმა უწყის, აქა-იქ რამდენი შეცდომა გაიპარა. კარგად რომ დავფიქრდე, ხომ შეიძლება სულაც არ მიიღონ, უბრალოდ არ მიიღონ და მორჩა! იქნებ ის სრულიად ჩვეულებრივი, ან სულაც უვარგისია. რა გარანტია მაქვს, რომ უკვე ნაგავში არ მოისროლეს?.. სულიერი სიმშვიდე უკვე დარღვეული მქონდა, წამოვხტი და სასაფლაოდან გამოვვარდი.

აკერის ქუჩაზე მაღაზიის ვიტრინაში შევიხედე და დავინახე, რომ თორმეტს ოდნავ გადაცილებული იყო. ამან უფრო მეტად მომშალა, რადგან იმედი მქონდა, შუადღეს კარგა გადაცილებული იქნებოდა. რედაქტორთან ოთხ საათამდე მისვლას არანაირი აზრი არ ჰქონდა. ჩემი თხზულების ბედის მიმართ მრუმე წინათგრძნობა მანვებოდა; რაც უფრო მეტს ვფიქრობდი, მით უფრო შეუძლებლად მეჩვენებოდა, რომ ასე მოულოდნელად, ნახევრადმძინარე მდგომარეობაში, როცა ტვინს ციებ-ცხელება ჰქონდა შეყრილი, რაიმე ხეირიანის დანერა მომეხერხებინა. რასაკვირველია, ეს თავისმოტყუება იყო და მთელი დღია სულ ტყუილად მიხაროდა! რალა თქმა უნდა!.. სწრაფად გავიარე ულევალის გზა, გავცდი წმინდა ჰანსჰუგენის გორაკს, შემდეგ ცარიელ მინდვრებში მოვხვდი, სამხერხაოსთან მიმდებარე დაცარიელებულ მშენებლობებს და ყანებს ჩავუარე და ბოლოს დიდ გზაზე აღმოვჩნდი, რომელსაც დასასრული არ უჩანდა.

აქ კი გავჩერდი და მიბრუნება გადავწყვიტე. სიარულმა გამათბო და უკან ნელი ნაბიჯით გამოვბრუნდი. ძალიან დათრგუნული ვიყავი. გზაზე თივით დატვირთული ორი ურემი შემხვდა. მეურმეები, – ორივე ფეხშიშველი, მრგვალი, უდარდელი სახით, – თივაზე გულად-

მა იწვინ და მღეროდნენ. მივდიოდი და ვფიქრობდი, რომ ისინი აუცილებლად გამომელაპარაკებოდნენ, რაიმე შენიშვნას მომცემდნენ ან ოინს მომიწყობდნენ. როდესაც მივუახლოვდი, ერთ-ერთმა ხმამაღლა მკითხა, ილლიის ქვეშ რა მქონდა.

– საბანი, – ვუპასუხე

– რომელი საათია? – მკითხა ისევ.

– ზუსტად არ ვიცი, დაახლოებით სამი იქნება.

ორივემ გადაიხარხარა და გზა განაგრძეს, უცებ წკეპლის დარტყმისგან ყურთან ამენვა და თავიდან ქუდი მომძვრა. ჯეელებმა ოინისაგან თავი ვერ შეიკავეს. აღშფოთებულმა ხელი ყურზე ვიტაცე, არხთან დავარდნილი ქუდი ავიღე და გზა გავაგრძელე. წმინდა ჰანსაუგენის გორაკთან კაცი შემხვდა, რომელმაც მითხრა რომ ხუთი იყო დაწყებული.

ხუთი დაიწყო! უკვე ხუთი საათი დაიწყო! ქალაქისკენ და რედაქციის ოფისისკენ თითქმის სირბილით გავემშურე. რედაქტორი ალბათ დიდი ხანია იქ არის, ან შესაძლოა უკვე წავიდა კიდეც! მონაცვლეობით ხან მივრბოდი, ხანაც ნაბიჯს ვანელებდი, გამვლელებს ვუსწრებდი, რამდენჯერმე კინალამ ეტლის ქვეშ აღმოვჩნდი, ცხენებს ვეჯიბრებოდი, გიჟივით ვირჯებოდი, რომ როგორმე დროზე მიმესწრო. შენობაში შევევარდი, კიბის საფეხურები რამდენიმე ნახტომში დავძლიე და კარზე დავაკაკუნე.

პასუხი არ არის.

წავიდა! უკვე წავიდა! ვფიქრობ და კარის სახელურს ვქაჩავ. ღიაა. ერთხელაც ვაკაკუნებ და შევდივარ.

რედაქტორი მაგიდასთან ზის, ფანჯრისკენ იყურება და კალმით ხელში რალაცის დაწერას აპირებს. როდესაც სუნთქვაშეკრული ვესალმები, სანახევროდ მიბრუნდება, თავს აქნევს და ამბობს: „თქვენი ხელნაწერის წასაკითხად ჯერ დრო არ მომეცა.“

მიხარია, რომ ყოველ შემთხვევაში ჩემი ნამუშევარი ჯერ არ დაუნუნებია და ვეუბნები: „რა თქმა უნდა, მესმის. თანაც, სულ არაა საჩქარო. რამდენიმე დღეში ხომ არ შემოგიაროთ, ანდა...?“

– დიახ, დიახ შევხედავ. თუმცა, მე ხომ თქვენი მისამართი მაქვს.

სრულიად დამავინწყდა მეთქვა, რომ არანაირი მისამართი აღარ მქონდა.

მიღება დამთავრებულია, თავი დაუჯარი და წამოვედი. იმედის ნაპერწკალი ისევ გამიღვივდა, დაკარგული ჯერ არაფერი არ მქონდა. პირიქით, კიდევ მრავალი წარმატების მოპოვება შეიძლებოდა. თავში ფანტაზია გამიჩნდა, თითქოს დიდ ზეციურ კრებაზე ეს-ესაა გადაწყდა, რომ ჩემი თხზულებისათვის ათი კრონით დავეჯილდოვებინე...

ნეტავ ღამის გასათევი ადგილი მქონდეს! გამალებული ვფიქრობ, ამალამ თავი რას შევაფარო, და ეს საკითხი იმდენად მიპყრობს, რომ შუა ქუჩაში ვჩერდები. მავინწყდება სად ვარ და ვდგავარ, როგორც ეული ტივტივა შუაგულ ოკეანეში, ყოველი მხრიდან მრისხანე ტალღებით გარემოცული. გაზეთების გამყიდველი ბიჭუნა „ვიკინგს“ მანვდის. საინტერესოა, ძალიან საინტერესო! თავი ავნივ და გამაჟრჟოლა – ჩემს წინ ისევ „სემზია“.

სწრაფად შემოვბრუნდი, შეშინებული და დარცხვენილი; ვცდილობ შეკვრა დავმალო, რომ მაღაზიის ფანჯრებიდან არ დამინახონ, და ეკლესიის ქუჩაზე დავეშვი. ინგებრეტს გავცდი, თეატრს ჩავუარე, ლოჯის შენობასთან ჩავუხვიე და სანაპიროსკენ, ფორტის მიმართულებით წავედი. თავისუფალი სკამი მოვძებნე და ისევ ფიქრებში ჩავიძირე.

ამალამ თავშესაფარი სად ჯანდაბაში უნდა მეპოვა? ნუთუ სადმე რაიმე ხვრელი არ არსებობს, სადაც შევძვრები და დილამდე დავიმალები? სიამაყე უფლებას არ მაძლევდა, ჩემს ყოფილ ოთახში დავბრუნებულიყავი; აზრიც კი არ დავუშვი, რომ ნათქვამ სიტყვას გადავსულიყავი. ეს იდეა აღშფოთებით უარყვავი და მხოლოდ დარცხვენით ჩამელიმა, როცა პატარა, წითელი, დასარწვევი სავარძელი წარმოვიდგინე. უეცრად წარმოსახვის ნებით დიდ, ორფანჯრიან ოთახში აღმოვჩნდი ჰეგდეჰაუგენზე, სადაც ადრე ვცხოვრობდი. მაგიდაზე უზარმაზარი სენდვიჩებით სავსე ლანგარი დავინახე, რომელიც შემდეგ ბიფშტექსად, მაცდურ ბიფშტექსად, თოვლივით ქათქათა ხელსანმენდად, პურის ნაჭრებად და ვერცხლის ჩანგლად გადა-

იქცა. კარი გაიღო: ჩემი დიასახლისი შემოვიდა და ჩაის დამატება შემომთავაზა...

ხილვები და სიზმრები! საკუთარ თავს ვუთხარი, რომ ახლა თუ რაიმეს შევქამდი ავფორიაქდებოდი, ისევ ციებ-ცხელება დამენწყებოდა და თავში გიჟური ფანტაზიების კორიანტელი მექნებოდა. საჭმელს ვერ ვიტანდი, ასეთი ვიყავი და ეს ჩემი უცნაურობა, განსაკუთრებული თვისება იყო.

შესაძლებელია, მოგვიანებით, სალამოს თავშესაფარი სადმე გამოჩენილიყო. არსადაც არ მეჩქარებოდა: უარეს შემთხვევაში, ადგილს სადმე ტყეში გამოვძებნიდი, ქალაქის ყველა გარეუბანი ჩემს განკარგულებაში იყო და ჰაერშიც ყინვა არ იგრძნობოდა.

ზღვა რაღაც მძიმედ იყო გარინდებული. გემები და მოუხეშავი, ბლაგვცხვირიანი ბარუები მის ტყვიისფერ ზედაპირს სერავდნენ, აქაფებდნენ, წინ მიცურავდნენ, მილებიდან კი ბუმბულივით მოფრინავდა კვამლი, მანქანები გრუხუნებდნენ და ყრუ დარტყმებით ამმორებულ ჰაერს აზანზარებდნენ. არც მზე იყო და არც ქარი. ჩემს უკან სველი ხეები იდგნენ, ხოლო სკამი, რომელზედაც ვიჯექი, ცივი და ნესტიანი იყო. დრო გადიოდა; თვლელმა დამენწყო და ძილი მომერიო, ხერხემალთან სიცივემ გადამირბინა. მალე ვიგრძენი, რომ ქუთუთოები მეხურებოდა. და მეც მათ ამის ნება დავრთე....

როდესაც გამელვობა, უკვე ბნელოდა; გაშტერებული და გათოშილი წამოვხტი, ჩემს შეკვრას ხელი დავავლე და იქაურობას გავეცალე. გასათბობად ნაბიჯს სულ უფრო ვუჩქარებდი, ხელებს ვიქნევდი, ფეხებს ვიზელდი, რომლებსაც თითქმის ველარ ვგრძნობდი, და ამასობაში სახანძრო სახლთან აღმოვჩნდი. ცხრა საათი იყო; რამდენიმე საათი მძინებია.

სად უნდა წავსულიყავი? სადმე ხომ უნდა გავჩერებულიყავი. ვიდექი, სახანძროს შენობას ვუყურებდი და ვფიქრობდი, იქ როგორ შემელნია, დრო შემერჩია, როცა დარაჯი სიფხიზლეს მოადუნებდა და შემდეგ რომელიმე კარში შევპარულიყავი. საფეხურებზე ავდივარ და მზად ვარ ლაპარაკი გავუბა. დარაჯმა კი მაშინვე თავისი ცუელი აღმართა, ფეხზე წამოიჭიმა და მელოდება, რას ვეტყვი. ცუელი,

რომელიც პირდაპირ ჩემსკენაა მომართული, ნერვებს ცივად მიკაფავს. შეიარაღებული კაცის წინაშე შიშისგან ვმუნჯდები და უნებურად უკან ვხტები. კრინტის დაუძრავად, მხოლოდ უკან-უკან ვიხევ; ღირსების შესანარჩუნებლად, შუბლზე ხელს ვისვამ, ვითომ რაღაც დამავინწყდა და ვიპარები. როცა ისევ ტროტუარზე აღმოვჩნდი, ისეთი შვება ვიგრძენი, თითქოს მართლაც სერიოზულ საფრთხეს ავცდი. და იქაურობა სწრაფად დავტოვე.

გაყინული, მშვიერი და სულ უფრო აღელვებული, კარლ იუჰანის ქუჩას მივუყვებოდი. საკმაოდ ხმამაღლა ლანძღვა დავინწყე და სულ არ მანუხებდა თუ ვინმე ამას გაიგონებდა. სტორტინგთან, პირველი ლომის სიახლოვეს, ისევ და ისევ ზეშთაგონების წყალობით, ნაცნობი მხატვარი გამახსენდა, ახალგაზრდა კაცი, ერთხელ გასართობ პარკში სილის განწნას რომ გადავარჩინე და რომელსაც მოგვიანებით ვესტუმრე კიდეც. თითები გავატკაცუნე და ტორდენსკიოლდის ქუჩისკენ გავემართე, კარი მოვძებნე სადაც ფირფიტაზე „კ. ზაქარია ბარტელი“ ეწერა და დავაკაკუნე.

კარი თვითონ გააღო; ლუდის და თამბაქოს სუნით ყარდა.

– სალამო მშვიდობისა! – ვთქვი მე.

– სალამო მშვიდობისა! ოჰ, თქვენ ხართ? ასე გვიან რა ეშმაკმა მოგიყვანათ? ლამპის შუქზე ის ხომ ძალიან ცუდად ჩანს. თქვენი ბოლო სტუმრობის შემდეგ თივის ზვინი მივახატე და რაღაცებიც გადავაკეთე. დღე მობრძანდით, ახლა მის ნახვას არანაირი აზრი არა აქვს.

– იქნებ მაინც შემახედოთ! – ვთქვი მე. თუმცა რომელ სურათზე იყო საუბარი სულ აღარ მახსოვდა.

სრულიად შეუძლებელია! – მიპასუხა მან. ყველაფერი ყვითლად მოგეჩვენებათ. გარდა ამისა, – მომიახლოვდა და ჩურჩულით განაგრძო. – დღეს გოგონა მყავს, ასე რომ არაფრით არ შემიძლია.

– აბა, ასეთ შემთხვევაში ლაპარაკიც კი ზედმეტია!

უკან დავიხიე, ღამე ნებისა ვუსურვე და წამოვედი.

ერთადერთი გამოსავალი სადმე ტყეში წასვლა იყო. ნეტავ მიწა მაინც არ ყოფილიყო ასეთი ნესტიანი! ჩემ საბანს ღრო და ღრო ხე-



ლით ვეფერებოდი და ნელ-ნელა იმ აზრს ვეგუებოდი, რომ ღამის გათენება ღია ცის ქვეშ მომიწევდა. ქალაქში თავშესაფრის მოძიება ისეთი ხანგრძლივი და მტკივნეული აღმოჩნდა, რომ დავიღალე, ყველაფერი მომბეზრდა და ნეტარებით შევიგრძენი ის სიმშვიდე, როცა ქუჩას მორჩილად, ყოველგვარი ფიქრის გარეშე მიუწყებოდი. უნივერსიტეტის საათთან გავჩერდი, თავი ავნიე, დავინახე, რომ თერთმეტი იყო დანყებული და ქალაქის გარეუბნისკენ გავემართე. ჰეგდეჰაუგენზე სასურსათო მაღაზიასთან გავჩერდი, რომლის ვიტრინაში სხვადასხვა საკვები ჩანდა. დახლზე ფრანგული ფუნთუშის გვერდით, კატას ეძინა; იქვე რკინის კოლოფში ღორის ქონი და რამდენიმე ქილა მარცვლეული იყო. ცოტა ხანს ვიდექი, ამ სიუხვეს ვუყურებდი, მაგრამ რადგადაც ფული არ მქონდა, შევტრიალდი და გზა განვაგრძე. ძალიან ნელა მივდიოდი, ქალაქის შემოსასვლელს გავცდი, წინ მივიწვედი, სულ წინ მივიწვედი, საათების განმავლობაში მივდიოდი და ბოლოს ბოგსტადის ტყეს მივაღწიე.

აქ გზიდან გადავედი და დასასვენებლად ჩამოვჯექი. შემდეგ დასანოლად ასე თუ ისე გამოსადეგი ადგილის ძებნა დავიწყე, ღვია და მანანა შევაქუჩე და ლოგინი პატარა მალლობზე მოვიმზადე, სადაც ოდნავ მშრალი იყო, შეკვრა გავხსენი და საბანი ამოვიღე. დიდხანს სიარულით დაღლილი და არაქათგამოცლილი მაშინვე დავწექი. ვიდრე საბოლოოდ მოვენყობოდი, ბევრი ვინრიალე; ყური ცოტა მტკიოდა, წკეპლის დარტყმისგან გასიებული მქონდა და ნოლა მხოლოდ ერთ გვერდზე შემეძლო. ფეხსაცმელი გავიძვრე, ზემოდან შესაფუთი ქალაღი გადავაფარე და თავქვეშ ამოვიდე.

ირგვლივ ყველაფერი იდუმალ სიბნელეში იყო ჩაფლული. ყველაფერი, ყველაფერი დუმდა. მაგრამ მალლა ნიაქართა მარადიული სიმღერა ჟღერდა, შორეული, მონოტონური გუგუნის, რომელიც არასოდეს არ წყდება. ისე დიდხანს ვიყავი მიყურადებული ამ უსასრულო, სევდიან ხმას, რომ თანდათან გავბრუნდი; ეს მხოლოდ მოხეტიალე სამყაროების სიმფონიები თუ იქნებოდა, ვარსკვლავების ჰიმნი...

– ქვესკნელივითა! – ჩავილაპარაკე და გასამხნევევლად ხმამალლა გავიცინე. – ეს ქანაანის ჭოტები გაჰკვივან!

ავდექი, ისევ დავწექი, ფეხსაცმელი ჩავიცვი და სიბნელეში დავინყე ბორიალი. შემდეგ ისევ დავწექი და რიურაჟამდე, სანამ არ ჩამეძინა, შიშსა და სიბრაზეს ვებრძოდი.

როდესაც თვალები გავახილე, უკვე კარგად განათებული იყო. ვიგრძენი, რომ დრო შუადღეს უახლოვდებოდა. ფეხსაცმელი ჩავიცვი, საბანი ისევ ქალაქში შევახვიე და ქალაქისკენ გავბრუნდი. მზე გუშინდელივით არ ჩანდა და გაყინული ვიყავი. ფეხები გახევებული მქონდა და თვალები კი ისე მეცრემლებოდა, თითქოს დღის შუქი მაბრმავებდა.

აღმოჩნდა, რომ უკვე სამი საათი იყო. შიმშილი სულ უფრო და უფრო მტანჯავდა. დავსუსტდი. მივდიოდი და დრო და დრო გულისრევის შეგრძნება მქონდა. შემდეგ საზოგადოებრივ სასადილოსთან გადავუხვიე, დაფაზე გამოკრულ მენიუს ფასებს გავეცანი და მხრები ისე ავიჩიჩე, თითქოს საქონლისა და ღორის ხორცს საჭმელად არ ვთვლიდი; იქიდან სადგურის მოედნისკენ წავედი.

უცებ თავბრუსხვევა ვიგრძენი. მივდიოდი და ვცდილობდი, ამისთვის ყურადღება არ მიმექცია, მაგრამ ბოლოს ისე ძლიერად დამატრიალა, რომ იძულებული გავხდი კარის წინ, საფეხურზე ჩამოვმჯდარიყავი. გონებაში ყველაფერი შემეცვალა, თითქოს, ტვინში ფარდა, ან რალაც ნაჭერი გამეხა. ერთი-ორჯერ სუნთქვა შემეკრა და გაოგნებული ადგილიდან ვერ ვიძვროდი. მგრძნობელობა არ დამიკარგავს. მშვენივრად ვუწყობდი, რომ გუშინდლიდან მოყოლებულს, ყური ცოტათი მტკიოდა და როდესაც ნაცნობმა ჩამიარა, მაშინვე ვიცანი, ფეხზე წამოვდექი და მივესალმე.

ეს რა ახალი, მტანჯველი შეგრძნება დამემატა? იმის ბრალი ხომ არ იყო, რომ ღამე ნესტიან მიწაზე გავათენე? თუ ეს იმიტომ დამემართა, რომ ჯერ არ მისაუზმია? და საერთოდაც, ასეთ აბსურდულ ცხოვრებას, უბრალოდ, აზრიც კი არ ჰქონდა; წმიდაო ქრისტე! ასეთი განსაკუთრებული სასჯელი რით დავიმსახურე! უბრალოდ ვერაფრით მივხვდი. უცებ გავიფიქრე, რომ ძალიან იოლად შემეძლო

ყალბაბანდად გადაქცევა და საბნის დაგირავება. ამაში ერთ კრონს მივიღებდი, რაც სამჯერ გვარიანად დამაპურებდა; და რალაც ხანს კიდევ გავძლებდი, სანამ რაიმე სხვა არ გამოჩნდებოდა. ჰანს პაულის კი როგორმე მოვატყუებდი. უკვე ლომბარდის სარდაფისკენ მივდიოდი, მაგრამ შესასვლელთან გავჩერდი, თავი ყოყმანით დავაქნიე და უკან გამოვბრუნდი.

რაც უფრო ვშორდებოდი იქაურობას, მით უფრო კმაყოფილი ვიყავი, რომ ეს დიდი ცდუნება დავძლიე. იმის შეგნება, რომ პატიოსანი ვიყავი, თავში ამივარდა და დიდების გრძნობით აღმავსო, რომ ნებისყოფიანი მამაკაცი, თეთრი შუქურა ვიყავი ადამიანთა მღვრიე ზღვის შუაგულში, სადაც დამსხვრეულ ხომალდთა ნარჩენები ტივტივებდნენ. სხვისი ნივთის საჭმლის გულისთვის დაგირავება, ყოველი ლუკმის შემდეგ სინდისის ქენჯნა, საკუთარი გაიძვერობის მხილება და სირცხვილის გრძნობა – არა, არასოდეს! არასოდეს! ასეთი აზრი არ შეიძლება სერიოზულად მომსვლოდა თავში, შეიძლება ითქვას, ის არც კი ყოფილა; ხოლო შემთხვევითი, ნუთიერი აზრების გამო ადამიანის დადანაშაულება არ შეიძლება. განსაკუთრებით მაშინ, როცა გაუსაძლისი თავის ტკივილი გაქვს და სხვისი ნივთის მუდმივი თრევა სიქას გაცლის.

ადრე თუ გვიან რაიმე გამოსავალი უთუოდ გამოჩნდება! აი, მაგალითად ის ვაჭარი გრონლანდსლერეტიდან, რომელსაც ჩემი სამსახური წერილობით შევთავაზე, რა, კარის ზღურბლი ავუტალახე? დილიდან საღამომდე ტელეფონით ვურეკავდი და უარს ვიღებდი? არა. უბრალოდ საერთოდ არ მივსულვარ და ამიტომაც არ ვიცი პასუხი. იქნებ ამისგან რაიმე გამოვიდეს კიდეც, იქნებ ამჯერად ბედმა გამიღიმოს. ბედის გზა ხშირად უცნაურია და შეუცნობელი. ამგვარად გრონლანდსლერეტის ქუჩისკენ გავემართე.

ამ უკანასკნელმა განსაცდელმა კიდე უფრო დამასუსტა. ძალიან ნელა მივდიოდი და ვფიქრობდი, რა მეთქვა იმ მოვაჭრესთვის. იქნებ კეთილი გული აქვს; თუ კარგ გუნებაზე იქნება, შესაძლოა თხოვნის გარეშე, წინასწარ ერთი კრონიც კი მომცეს; ასეთ ადამიანებს ზოგჯერ ამდაგვარი უცნაურობებიც ახასიათებთ.

სადარბაზოში შევიძურნე, შარვალი მუხლებთან ნერწყვით დავისველე, რომ უფრო რესპექტაბელური იერი მიმეცა, საბანი ბნელ კუთხეში, ყუთის უკან შევტენე, ქუჩა გადავჭერი და პატარა მაღაზიაში შევაბიჯე.

იქ ვილაც კაცი ძველი გაზეთებისგან პაკეტებს აკეთებდა.

– ბატონი კრისტის ნახვა მინდოდა.

– მე გახლავართ, – გამომეპასუხა ის.

მაშინ გაგახსენებთ, ჩემი სახელია ესა და ეს და პატივი მქონდა თქვენთვის ჩემი სამსახური წერილობით შემეთავაზებინა. იმის გაგება მინდოდა, ეს ადგილი ისევ თავისუფალია თუ არა?

მან რამდენჯერმე გაიმეორა ჩემი სახელი და გაიცინა.

– კეთილი, შეგიძლიათ ციფრების მიმართ თქვენი დამოკიდებულებაც იხილოთ, – მოვაჭრემ გულის ჯიბიდან ჩემი წერილი ამოიღო.

– თქვენი წერილი 1848 წლითაა დათარიღებული. – თქვა მან და ახარხარდა.

– დიახ, აქ აშკარად შეცდომაა. – დარცხვენილმა ამოვთქვი, – უნდა ვალიარო, ალბათ ყურადღება გამეფანტა.

– მოგეხსენებათ, რომ ვალდებული ვარ ისეთი კაცი ავიყვანო, რომელსაც ციფრები არასოდეს არ შეეშლება. თუმცა სამწუხაროა, თქვენ ისეთი ლამაზი ხელი გაქვთ და საერთოდაც, თქვენი წერილი ძალიან მომეწონა, მაგრამ...

მცირე ხანს ვადროვე; იმის დაჯერება რთული იყო, რომ ეს მისი ბოლო სიტყვა იყო.

მოვაჭრე ისევ თავის პაკეტებს მიუბრუნდა.

– დიახ, ეს სასირცხვოა, ძალიან სასირცხვო, მაგრამ ალბათ ზედმეტია იმის თქმა, რომ მსგავსი არასოდეს განმეორდება; ხომ არ შეიძლება კალმის შემთხვევითი შეცდომის გამო, ხარჯთაღმრიცხველად მუშაობისათვის საერთოდ უვარგისად ჩამთვალოთ?

– არა, მე ამას არ ვამბობ, – მიპასუხა, – უბრალოდ, ამას ისეთი მნიშვნელობა მივანიჭე, რომ მაშინვე სხვა ავიყვანე.

– როგორც გავიგე, ადგილი დაკავებულია, არა? – ვიკითხე.

– დიახ.

- ღმერთო ჩემო! ესე იგი, ვერაფერს მოვიმოქმედებ?
- როგორც ჩანს ასეა. ძალინ ვნუხვარ, მაგრამ...
- მშვიდობით!

საშინელი გააფთრება დამეუფლა. სადარბაზოში დამალულ საბანს დავტაცე ხელი, კრიჭაშეკრული ტროტუარზე მშვიდობიან ხალხში შევევარდი, ისე რომ ბოდიშიც არ მომიხდია. როცა ვილაც ბატონი გაჩერდა და მკაცრი შენიშვნა მომცა, მივუბრუნდი, პირდაპირ ყურში რაღაც უაზრობა ჩავძახე, ცხვირნინ მუშტები დავუქნიე და ცოფისგან დაბრმავებულმა, რომელიც ვერაფრით ვერ მოვთოკე, გზა გავაგრძელე. მან პოლიციელს დაუძახა და უცებ ყველაზე ძალიან პოლიციელთან ჩხუბი მომინდა. ნაბიჯი გაზრახ შევანელე, რომ დამნეოდნენ, მაგრამ არავინ დამდევნებია. რა აზრი შეიძლებოდა დამალულიყო იმაში, რომ ყველა ჩემი გულწრფელი, ანთებული, მცდელობა, მუდამ ნარუმატებლად მთავრდებოდა? რატომ დავწერე 1848? რას ნიშნავდა ჩემთვის ეს დანყვევლილი წელი? ახლა უკვე ისეთი მშვიერი ვიყავი, რომ ნაწლავები მუცელში გველებივით დადიოდნენ. ამასთან მცირე იმედიც კი არ იყო, რომ მოგვიანებით ცოტაოდენ საჭმელს ვიშოვიდი. დროთა განმავლობაში, სულიერად და ხორციელად, სულ უფრო და უფრო ვიფიტებოდი და ყოველ ახალ დღეს უფრო და უფრო ნაკლებად ღირსეულად ვიქცეოდი. უსინდისოდ ვიტყუებოდი. საწყალ ადამიანებს ბინის ქირას არ ვუხდიდი, თავში სხვისი საბნის მითვისების მდაბალი აზრიც კი მომივიდა და არანაირი სინანული ან სირცხვილის განცდა არ მქონია. შიგნიდან ვიხრწნებოდი, რაღაც შავი ობი მეკიდებოდა. იქ, ზეცაში კი უფალი თვალს არ მაცილებდა, უყურებდა, რომ ჩემი დაღუპვა ყველა წესის დაცვით - ნელა, თანდათან და შეუქცევადად მომხდარიყო. მაგრამ ჯოჯოხეთში ბრაზმორეული ეშმაკები ადგილს ვერ პოულობდნენ და თმებს იგლეჯდნენ იმის გამო, რომ ამდენი ხნის მანძილზე მომაკვდინებელი ცოდვა ჯერ ჩადენილი არ მქონდა, რისთვისაც ღმერთი სამართლიანად ჩამიძახებდა ჯოჯოხეთში ...

ნაბიჯს ავუჩქარე, თითქმის გავიქეცი, გაშმაგებულმა მოულოდნელად მარცხნივ შევეუხვიე და გაჩახჩახებულ, ლამაზ სადარბაზოში

შევაბიჯე; ერთი წამითაც კი არ გავჩერებულვარ, მაგრამ სადარბაზოს საოცარი დიდებულება მეხსიერებაში ელვის სისწრაფით ჩამებეჭდა. როცა კიბეზე ავრბოდი, კარების ყველაზე უმნიშვნელო დეტალები, ორნამენტები და იატაკი ჩემი შინაგანი ხედვის წინ მედგა. მეორე სართულზე ზარი გიჟივით დავრეკე. მაინცდამაინც მეორე სართულზე რატომ გავჩერდი? და ხელი ზუსტად ამას, კიბიდან ყველაზე მოშორებულ ზარის თოკს რატომ ვტაცე?

კარი შავით განწყობილ ნაცრისფერკაბიანმა ახალგაზრდა ქალმა გააღო; რაღაც ხანს გაკვირვებით მიყურა, შემდეგ თავი გააქნია და თქვა:

– არა, დღეს არაფერი არ გვაქვს! – და თითქოს კარის დასახურად გაიწია.

მაინცდამაინც მასთან რატომ მოვედი? მათხოვარი ვეგონე, და მეც უცებ გონს მოვეგე და დავმშვიდდი. ქუდი მოვიხადე, მონინებით თავი დაუუკარი და თითქოს მისი სიტყვები არც კი გამეგონოს, უზრდილობიანესად წამოვსთქვი:

– ბოდიშს გიხდით, ქალბატონო, ზარის ასე ხმამალალი დარეკვისათვის, მისი უღერადობა უცნობია ჩემთვის. აქ ავადმყოფი უნდა ცხოვრობდეს, რომელიც ეტლით გამსეირნებელს ეძებს, არა?

წამიერად ქალი შეეყოვნდა, თითქოს ჩემს სულელურ მონაჩმას აცნობიერებდა. ეტყობოდა, ვერ გარკვეულიყო რა ეფიქრა ჩემზე.

– არა, – თქვა ბოლოს. – აქ არავითარი ავადმყოფი არ ცხოვრობს.

– ნუთუ? ერთი ხანშიშესული ბატონი, რომელიც დღეში ორი საათი უნდა ასეირნო, საათში ორმოცი ერეს საფასურად.

– არა.

– მაშინ კიდევ ერთხელ ბოდიშს ვიხდი, – ვთქვი მე. – ალბათ პირველ სართულზე უნდა მეკითხა. მე მხოლოდ რეკომენდაციის მიცემა მინდოდა ერთი ჩემი ნაცნობისთვის, ვისი ბედ-იღბალიც მაღელვებს. მე ვედელ-იარლსბერგად მიხმობენ. – თავი კიდევ ერთხელ დავუკარი და ნაბიჯით უკან გავინიე; ახალგაზრდა ქალბატონი თმის ძირებამდე განითლდა და უხერხულობისაგან გამეშეებულმა, კიბეზე ჩამავალს თვალი გამაყოლა.

სიმშვიდე ისევ დამიბრუნდა და თავიც გამინათდა. ქალბატონის სიტყვებმა, რომ დღეს მას არაფერი არა აქვს, ჩემზე ცივი შხაპივით იმოქმედა. უკვე იქამდე მივედი, რომ ნებისმიერი ჩემი შემხედვარე ფიქრში იტყოდა: „აგერ მათხოვარი მოდის, ერთ-ერთი მათგანი, რომელიც საკვებს კარდაკარ ითხოვს.“

მიოლერის ქუჩაზე სასაუზმესთან გავჩერდი და შემწვარი ხორცის მადისაღმძვრელი სუნის ყნოსვა დავინწყე; თვითონაც არ ვიცოდი რატომ, შიგნით შესასვლელად კარის სახელურს წავეტანე, მაგრამ გონს დროზე მოვეგე და წამოვედი. როდესაც ბაზართან გავედი, დასასვენებლად ადგილის ძებნა დავინწყე, მაგრამ ყველა სკამი დაკავებული იყო და მყუდრო, ადგილის პოვნა ეკლესიის გარშემო ვცადე. თუმცა ამაოდ. „რა თქმა უნდა!“ პირქუშად ჩავილაპარაკე. „რა თქმა უნდა! რალა თქმა უნდა!“ და გზა განვაგრძე. სავაჭრო რიგის კუთხეში შადრევანთან გავჩერდი, წყალი დავლიე და ისევ გზას გავუყევი. სიარულში ფეხს ვითრევი, ყოველ ვიტრინასთან ვჩერდებოდი და ჩავლილ ეტლებს მზერით ვაცილებდი. თავი მიხურდა და საფეთქლებთან რაღაც უცნაური დარტყმების ხმა მესმოდა; შესმული წყალი არ შემერგო და დროდადრო ლებინებისგან თავს ძლივს ვიკავებდი. ბოლოს მაცხოვრის ტაძრის სასაფლაოს მივალწიე. დავჯექი, იდაყვებით მუხლებს დავეყრდენი და თავი ხელებში ჩავრგე; როცა ამგვარად მოვიკრუნჩხე, უკეთ გავხდი და მკერდში ჩხვლეტები გამიქრა.

ვიღაც ქვისმთლელი გრანიტის ფილაზე დალოდავდა და წარწერას კვებდა; ცისფერი სათვალე ეკეთა და უცებ ჩემი ნაცნობი მომაგონა, რომელიც თითქმის დავინწყებული მყავდა, ის კაცი ბანკში მუშაობდა და ერთხელ კაფე ოპლანდსკეში შევხვდი.

სირცხვილის გრძნობის დაძლევა რომ შემეძლოს, მივაკითხავდი! მთელ სიმართლეს მოვუყვებოდი, რომ გამიჭირდა და კბილებით სული ძლივს მიჭირავს. გასაპარსი ტალონების წიგნაკის შეთავაზება შემეძლო... ხო მართლა, სულ გადამავინწყდა ამ წიგნაკის არსებობა! იქ თითქმის ერთი კრონის ტალონებია! აღელვებულმა, ჩემი საუნჯის ძებნა დავინწყე. უცებ ვერ ვიპოვე, წამოვხტი, ვიჩხრიკეები, შიშისგან ცივმა ოფლმა დამასხა და ბოლოს გვერდითა ჯიბის ფსკერზე სუფთა

და დაწერილ ქაღალდებთან ერთად ვპოულობ, რომელთაც არავითარი ფასეულობა არ გააჩნიათ. ეს ექვსი ტალონი რამდენჯერმე წაღმარეულმა გადავითვალებ; მაინცდამაინც არ მჭირდება, გაპარსვა აღარ მინდა, ასეთი ხუმტური, ფანტაზია მაქვს. მათ მაგივრად შემეძლო ნახევარი კრონი, კონგსბერგისეული ბრჭყვიალა მონეტა მქონოდა! ბანკი ექვსზე იკეტებოდა და შემეძლო ჩემს ნაცნობს, შვიდი-რვა საათისთვის, კაფე ოპლანდსკესთან დავდარაჯებოდი.

ეს აზრი დიდხანს მახარებდა. დრო მიდიოდა, ჩემს ირგვლივ ნაბლის ფოთლებში ქარი ხმაურობდა. სალამოვდებოდა. მაგრამ განადამამცირებელი არ არის, ახალგაზრდა კაცს, რომელიც ბანკში მუშაობს ხელში ექვსი გასაპარსი ტალონით მიადგე? ვინ იცის, იქნებ მას ერთის მაგივრად ორი ასეთი წიგნაკი აქვს, თანაც ჩემზე უფრო ლამაზი და სუფთა ტალონებით სავსე. ჯიბეებში იმ იმედით, რომ რაიმეს კიდევ მოვძებნიდი და მივამატებდი, ხელები მოვიფათურე, მაგრამ ვერაფერი ვერ ვიპოვე. იქნებ ჩემი შარფი შემეთავაზებინა? ქურთუქს მაინც ბოლომდე ვიკრავდი, რადგან უილექტი აღარ მქონდა, ასე რომ მის გარეშეც მშვენივრად გავძლებდი. შარფი, რომელიც დიდი ბაფთით მქონდა შეკრული და თითქმის ნახევარ მკერდს მიფარავდა, მოვიხსენი, გულმოდგინედ გავწმინდე და წიგნაკთან ერთად სუფთა, თეთრ ფურცელში გავახვიე. შემდეგ სასაფლაოდან გამოვედი და კაფე ოპლანდსკეს მივაშურე.

ქალაქის საპყრობილეზე საათი შვიდს უჩვენებდა. კაფესთან შორიახლოს, რკინის გისოსებთან ვტრიალებდი და შემსვლელ-გამომსვლელს ყურადღებით ვათვალიერებდი. ბოლოს რვა საათისთვის, სუფთად და ელეგანტურად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი დავინახე, რომელიც კაფეს შესასვლელისკენ მიემართებოდა. როდესაც დავინახე, გული ჩიტვივით შემიფრთხილდა და მიუსალმებლად ვეცი.

– ნახევარი კრონი, ძველო მეგობარო! – თავხედურად მივმართე.

– ეს კი გირაოდ აიღეთ. – და ხელში პატარა შეკვრა შევაჩეჩე.

– არა მაქვს! – წამოიძახა მან. – ღმერთს გეფიცები! – და ცხვირწინ საფულე გადმომიბრუნა. – გუშინ სალამოს გავერთე და ახლა გამოფხეკილი ვარ. დამიჯერე, არაფერი არა მაქვს.



– რა თქმა უნდა, ჩემო მეგობარო, მესმის, – მივუგე მის სიტყვებს დანდობილმა. ასეთი უმნიშვნელო ამბის გამო ტყუილს ხომ არ იტყობა; ის კი არა და, მომეჩვენა, რომ ჯიბეებში უშედეგო ფათური-სას ცისფერი თვალებიც კი აუნწყლიანდა. უკან გავიხიე. – მაპატიეთ! უბრალოდ თავი რთულ ვითარებაში ამოვყავი.

უკვე საკმაო მანძილით დაცილებული ვიყავი, როცა დამიძახა და ის შეეკრა გამახსენა.

– დაიტოვეთ, დაიტოვეთ! – გამოვძახე – მომანიჭეთ სიამოვნება! იქ რამდენიმე წვრილმანია, შეიძლება ითქვას, ყველაფერი, რაც კი გამაჩნია. – სალამოს ბინდბუნდში ჩემმა სიტყვებმა ისე უნუგეშოდ გაიჟღერეს, რომ გული ამიჩუყდა და ავტირდი.

ქარი ძლიერდებოდა, ღრუბლები ცაზე სწრაფად მიჰქროდნენ და სიბნელესთან ერთად სიცივეც მატულობდა. ქუჩაში ტირილით მივდიოდი და საკუთარი თავი სულ უფრო და უფრო მეცოდებოდა. ხანდახან რამდენიმე სიტყვა, წამოდახილი ამომსკდებოდა და თითქმის გამომშრალი თვალები ისევე ცრემლებით მევსებოდა: „უფალო, რა უბედური ვარ! უფალო, რა უბედური ვარ!“

ერთი საათი გავიდა, რომელიც ისე ნელა მიზოზინობდა, რომ უსასრულო ჩანდა. რალაც დრო ტურვის ქუჩაზე, სადარბაზოს შესასვლელებთან, საფეხურებზე ვიჯექი. და როცა ვინმე ჩამოივლიდა, ან სადარბაზოში შევბოდი, ან ვდგებოდი და უაზროდ პატარა მაღაზიების განათებულ ვიტრინებში ვიყურებოდი, სადაც ფულიანი ხალხი შეძენილ ნივთებს აფასებდა; ბოლოს, ეკლესიასა და სავაჭრო რიგს შორის, დანყობილი ფიცრების უკან მყუდრო ადგილი ვიპოვე.

ამალამ ტყეში წასვლას ვერაფერი მაიძულებდა; საამისოდ ძალა სულ აღარ მქონდა, ხოლო გზა უსასრულოდ გრძელი იყო და გადავწყვიტე, ღამე როგორმე აქ გამეტარებინა. თუ სიცივე გაუსაძლისად შემანუხებდა, ეკლესიასთან ვიბორიალებდი; გადავწყვიტე, რომ ამაში მოსარიდებელი არაფერი იყო. ფიცრებს მივეყუდე და ჩავთვლიმე.

ნელ-ნელა სიჩუმე ისადგურებდა, მაღაზიები იკეტებოდნენ, გამვლელთა ნაბიჯების ხმამაც იკლო, ბოლოს სინათლე ფანჯრებშიც ჩაქრა...

თვალეების გახელისას ჩემს წინ ვილაც კაცი დავინახე; თვალეებში ბრჭყვიალა ღილები მომხვდა; და მივხვდი, რომ პოლიციელი იყო; სახე არ უჩანდა.

– სალამო მშვიდობისა! – მითხრა მან.

– სალამო მშვიდობისა! შეშინებულმა ვუპასუხე. უხერხულობა ვიგრძენი და ფეხზე წამოვდექი. მცირე ხანს გაუნძრევლად იდგა.

– სად ცხოვრობთ? – მკითხა ბოლოს.

უნებურად ჩემი ძველი მისამართი ვუთხარი, სადაც ცოტა ხნის წინ, მანსარდაში, მოცუტეულ ოთახში ვცხოვრობდი.

ცოტა ხანს ისევ მდუმარედ იდგა.

– რამე დავაშავე? – ვიკითხე შეშინებულმა.

– არა, არც არაფერი! – მიპასუხა, – მაგრამ უმჯობესია სახლში წახვიდეთ, აქ გაიყინებით.

– დიახ, მართალი ბრძანდებით, დღეს ცივა.

ღამე ნებისა ვუსურვე და ინსტინქტურად ჩემი ყოფილი სახლისკენ გავემართე. სიფრთხილეს თუ დავიცავდი, შემეძლო უჩუმრად ავსულიყავი – რეასაფეხურიანი კიბე იყო, და აქედან, მხოლოდ ბოლო ორი საფეხური ქრატუნებდა.

ზღურბლთან ფეხსაცმელი გავიძვრე და ისე შევედი. სახლში სიჩუმე იდგა; მეორე სართულზე საათის ნელი ტიკტიკი და ბავშვის ხმადაბალი ტირილი ისმოდა; მეტი არანაირი ხმა აღარ გამიგია. ჩემი კარი მოვძებნე, ანჯამებზე ოდნავ წამოვწიე, ჩვეულებისამებრ, გასაღების გარეშე გავალე, ოთახში შევედი და კარი უხმაუროდ გამოვიხურე.

ოთახი ზუსტად ისეთივე მდგომარეობაში დამხვდა – ფარდები გადანეული და ლოგინი ცარიელი იყო. მაგიდაზე ქალაღი, როგორც ეტყობოდა, ჩემი ბარათი დავინახე; როგორც ჩანდა, ჩემი წასვლის შემდეგ დიასახლისს აქ არც კი შემოუხედავს. თეთრი კვადრატის ხელით მოვსინჯე და გაკვირვებულს ხელში წერილი შემრჩა. წერილი? ფანჯარასთან მიმაქვს, ნახევრად სიბნელეში ასოებს ძლივს ვარჩევ და ბოლოს საკუთარ სახელი ვკითხულობ. „ჰოო! – ვფიქრობ

– ეს ალბათ დიასახლისისგანაა, რომელიც ოთახში შემოსვლას მიკრძალავს, თუკი დაბრუნებას გადავწყვეტ!”

და ოთახიდან ისევ ნელა, ძალიან ნელა გამოვდივარ. ერთ ხელში ფეხსაცმელები მიჭირავს, მეორეში წერილი და ილიაში საბანი მაქვს ამოჩრილი. კბილს კბილზე ვაჭერ, ჭრაჭუნა საფეხურებს ფეხაკრეფით ვძლევ და კიბეს მშვიდობიანად ჩავდივარ. ისევ სადარბაზოში აღმოვჩნდი.

ფეხსაცმელი ისევ ჩავიცვი, თასმების შეკვრას საკმაო ხანი მოვანდომე, შემდეგ რალაცა დრო გაუნძრევლად ვიჯექი და წერილით ხელში წინ უაზროდ ვიყურებოდი.

შემდეგ ავდექი და წამოვედი.

ქუჩაში გაზის ფარანი ბუუტავს, სინათლეს მივუახლოვდი, შეკვრა ბოძთან დავდე და ნელა, ძალიან ნელა წერილის გახსნას შევეუდექი.

ჩემს შიგნით თითქოს ალმა იფეთქა, საკუთარი სუსტი ხმა მესმის, უაზრო, სიხარულის შეძახილი: წერილი რედაქტორისგან იყო, ჩემი თხზულება მიიღეს და უკვე სტამბაშია გადაგზავნილი! „რამდენიმე უმნიშვნელო შესწორება.....ორი-სამი შემთხვევითი კალმის შეცდომა..... იმედისმომცემი თხზულებაა..... ხვალისთვის დაიბეჭდება..... ათი კრონი.“

სიცილ-ტირილით ქუჩაში გავიქეცი, შემდეგ გავჩერდი, მუხლებზე დავეცი და ზეცას მადლობა შევნირე. დროც გადიოდა.

მთელი ღამე, გარიჟრაჟამდე, სიხარულით გონწართმეული ქუჩებში სიმღერ-სიმღერით დავეხეტებოდი და ვიმეორებდი: იმედისმომცემი თხზულება, ესე იგი პატარა შედეგრი, გენიოსის ხელწერაა. და ათი კრონი!



მეორე ნაწილი



ორიოდე კვირის შემდეგ, საღამოს სახლიდან გასული, ისევ ერთ-ერთ სასაფლაოზე ვიჯექი და რაღაც გაზეთისთვის სტატიას ვწერდი; ამასობაში ათი საათი გახდა, დაბნელება დაიწყო და მალე ჭიშკარი უნდა ჩაეკეტათ. შიმშილი მტანჯავდა, ძლიერი შიმშილი. ის ათი კრონი სამწუხაროდ სწრაფად შემომელია; უკვე ორი, თითქმის სამი დღე არაფერი მეჭამა და ისეთ სისუსტეს ვგრძნობდი, წერაც კი მიძნელდებოდა. ჯიბეში მხოლოდ გატეხილი ჯაყვა და გასაღებების აცმა მქონდა, მაგრამ არც ერთი ერე.

რადგან სასაფლაოს ჭიშკარი იკეტებოდა, რა თქმა უნდა, სახლში უნდა წავსულიყავი; მაგრამ ჩემი სრულიად ბნელი და ცარიელი საცხოვრებელის (მეთუნუქის მიტოვებული სახელოსნო, სადაც ბოლოს და ბოლოს რაღაც ხნით დარჩენის ნება დამრთეს) მიმართ ინსტინქტურმა შიშმა მაიძულა უმისამართოდ მებორიალა. მერიის გავლით სანაპიროზე, შემდეგ სადგურზე აღმოვჩნდი და საბოლოოდ სკამზე ჩამოვჯექი.

საღამოს ბინდბუნდში, ზღვის ლამაზმა და უშფოთველმა ზედაპირმა დამამშვიდა, შავბნელი აზრები გამიქრო და ჩემი გაჭირვება გადამავიწყა. ჩვეულებისამებრ, ახლახან დაწერილის გადაკითხვა გადავწყვიტე, რომელიც ჩემი ავადმყოფური წარმოდგენით, საუკეთესო უნდა ყოფილიყო, რაც კი აქამდე შემითხზავს. ხელნაწერი ჯიბიდან ამოვიღე, უკეთ გასარჩევად თვალეზთან ახლოს მივიტანე და ფურცელ-ფურცელ დავიწყე კითხვა. ბოლოს დავიღალე და ქაღალ-

დები ისევ ჯიბეში ჩავიდე. ყველაფერი გაჩუმებულიყო; ზღვას მოცისფრო-სადაფისფერი დაჰკრავდა, ირგვლივ ჩიტები დაფრინავდნენ. ცოტა მოშორებით პოლიციელი დაიარება, მეტი სულიერი არსად სჩანს და მთელი ყურე მდუმარებაშია ჩაძირული.

ჩემი ავლა-დიდება კიდევ ერთხელ გადავათვალიერე: გატეხილი ჯაყვა, გასაღებების აცმა, მაგრამ არც ერთი ერე. უცებ ხელი ჯიბეში ჩავიყავი და ისევ ქალღმერთები ამოვიღე. ეს მექანიკური, გაუცნობიერებული ნერვული მოძრაობა იყო. სუფთა, დაუნერვლი ფურცელი მოვძებნე, და – ღმერთმა უნყის, საიდან მომივიდა ეს აზრი – პარკი შეეკარი, პირი გულდასმით გადაუჟეცე, რომ ისეთი იერი ჰქონოდა, თითქოს შიგნით რაღაც არისო და ქვაფენილისკენ მოვისროლე; მცირე ხნით ის ქარმა აიტაცა, შემდეგ კი მოშორებით დაეცა.

ამასობაში შიმშილმა შემომიტია. თეთრ პარკს ვუყურებდი, რომელიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს იქ მართლაც ვერცხლის მონეტები ჩაედოთ და უკვე მე თვითონ მეჩვენებოდა, რომ ის რაღაცით იყო სავსე. გახარებული ვცდილობდი ფულის რაოდენობის გამოცნობას და, თუ გამოვიცნობდი, მაშინ ის ჩემი უნდა გამხდარიყო. პარკის ფსკერზე პატარა, შესანიშნავი ათერიანი მონეტები წარმოვიდგინე, რომელთაც ზემოდან მსუქანი, მოჭრილი ათკრონიანი მონეტები ფარავდნენ – მთელი პარკი, ფულით გამოტენილი! დაჟინებით ვუყურებდი და მისი მოპარვის სურვილი მიჩნდებოდა.

უცებ პოლიციელის ჩახველების ხმა ისმის. რამ მომაფიქრა, რომ მეც იგივე მომემოქმედა? წამოვდექი და მის გასაგონად სამჯერ დავახველე. როცა იმ პარკს მიუახლოვდება, ნეტავ როგორ ეცემა? ჩემი ოინი მახარებდა, აღფრთოვანებისგან ხელებს ვიფშვნეტდი და გულში თავდავინყებით ვილანძღებოდი. ნახე როგორ გაგაცუცურაკო, შე ძაღლო! ამ ქურდობის გამო, თავს პირდაპირ ჯოჯოხეთში ამოყოფ! შიმშილისგან მთვრალი, მონამლული ვიყავი.

რამდენიმე წუთში პოლიციელი ჩემსკენ მოდის, რკინის ქუსლები ქვაფენილზე კაკუნობენ. აქეთ-იქით იყურება, არსად არ მიეჩქარება, მთელი ღამე წინ აქვს; სანამ საკმაოდ ახლოს არ მივიდა, პარკს ვერ ამჩნევს. შემდეგ ჩერდება და აკვირდება. პარკი მაცდურად,



თეთრად ქათქათებს, როგორც ეტყობა მასში რაღაც თანხაა, არა? რაღაც თანხაა ვერცხლის მონეტებით?.. პარკს ხელში იღებს. ჰმ! ის მსუბუქია, ძალიან მსუბუქი. ალბათ ქუდზე მისამაგრებელი ძვირფასი ბუმბული... დიდი ხელებით პარკს ფრთხილად ხსნის და შიგნით იხედება. მე კი ვხარხარებდი, გიჟივით ვხარხარებდი და ხელებს მუხლებზე ვიტყაპუნებდი. მაგრამ პირიდან ერთი ხმამალალი ბგერაც არ წამცდენია, ჩემი ხარხარი უხმო იყო, ფარული გოდება...

ქვაფენილზე ისევ ქუსლების კაკუნის ხმა გაისმა, პოლიციელმა გზა სანაპიროს გასწვრივ გააგრძელა. თვალეზე ცრემლმომდგარი ვიჯექი, სუნთქვა მეკვროდა და მხიარულებით აღტყინებული ვიყავი. შემდეგ ხმამალალი საუბარი დავინწყე და საკუთარ თავს პარკის ამბავი ვუამბე, თან სანყალი პოლიციელის მოძრაობებს ვაჯავრებდი, ცარიელ პეშვში ვიყურებოდი და ისევ და ისევ ჩემთვის ვიმეორებდი: „როცა პარკი გადააგდო, მაშინ ჩაახველა! მაშინ ჩაახველა, როცა პარკი გადააგდო!“ ცოტა ხანში ამ ფრაზას რამდენიმე ახალი სიტყვა დავუმატე, გადავაკეთე და უფრო მახვილგონივრული ჟღერადობა მივანიჭე. „მან ერთხელ ჩაახველა – ჰმ-ჰმ!“

ამ სიტყვებით თამაშმა დამალა. უკვე გვიანი საღამო იყო და ჩემი მხიარულებაც გაქრა. მთვლემარება, სასიამოვნო დაქანცულობა დამეუფლა, რომელსაც წინააღმდეგობას არ ვუწევდი. სიბნელე უფრო ჩამონვა, მსუბუქმა ნიავმა დაუბერა და ზღვის ნყნარ, სადაფისფერ ზედაპირს ჭავლმა დაჰკრა; ცის ფონზე გემების ანძები მკაფიოდ იხატებოდნენ, თვითონ კი მდუმარე, ჩასაფრებულ ურჩხულებს ჰგავდნენ. ტკივილი არ მანუხებდა, ჩემი შიმშილი ზღვარს გადასცდა; სასიამოვნო სიცარიელეს ვგრძნობდი, აღარაფერი მალეღვებდა და საკუთარი მარტოობა მახარებდა. ფეხები სკამზე შევანწყვე და წამოვწექი, მარტოობით ტკობა ასე ყველაზე მოსახერხებელი იყო. ჩემს განწყობას არანაირი ღრუბელი არ ჩრდილავდა და არც რაიმე მანუხებდა. მეჩვენებოდა, რომ ყველა ჩემი ოცნება თუ სურვილი ამიხდა და გახელილი თვალეებით, თითქოს საკუთარ თავს განმორებული, ფიქრებით ნეტარებით აღსავსე შორეთისაკენ მივექანებოდი.

არც ერთი ბგერა არ მანუხებს; მსუბუქმა ბინდმა ჩემს მზერას მთელი სამყარო დაუმალა და სიმშვიდეში ჩამძირა. მხოლოდ სიჩუმის დახშული და მონოტონური ჩურჩული ავსებს ჩემს სმენას. როდესაც დაღამდება, ეს შავი ურჩხულები შთანმთქავენ და შორს, ზღვის გადაღმა, უცხო ქვეყნებში გამიტაცებენ, სადაც ძეხორციელი არ ცხოვრობს. ისინი პრინცესა ილაილის სასახლესთან მიმიყვანენ, იქ კი ისეთი ბრწყინვალეობა მელოდება, როგორც არავის არ ღირსება. თავად კი გაჩახჩახებულ დარბაზში ოქროცურვილი ვარდების ტახტრევანზე დამხვდება, სადაც ყველაფერი ამეთვისტოსგანაა ნაკეთები და როცა შევალ, მივუახლოვდები და მის წინაშე მუხლს მოვიყრი, ხელს გამომინჯდის და ხმამაღლა მომესალმება: „მოგესალმები, რაინდო, ჩემს სასახლესა და სამფლობელოში! მე შენ ოც ზაფხულს გელოდი და ყოველ ნათელ ღამეს გიხმობდი, და როცა შენ იტანჯებოდი, მე ვტიროდი, ხოლო როცა გეძინა, მშვენიერ სიზმრებს შთაგბერავდი...“ და აი, მზეთუნახავმა ხელი ჩამკიდა, გზა მიმანიშნა და გრძელი დერეფნებით გავყავარ იქ, სადაც ზღვა ხალხი „ვამას“ გაჰყვირის, ნათელი ბალების მიღმა, სადაც სამასი ნორჩი ქალიშვილი თამაშობს და იცინის, სხვა დარბაზისკენ, სადაც ყველაფერი ზურმუხტისგანაა ნაკეთები. აქ ყოველივე მზის შუქითაა მოფენილი, დერეფნებსა და თაღებში საამური სიმღერები ისმის და ირგვლივ კეთილსურნელება იფრქვევა. მისი ხელი ჩემს ხელში მიჭირავს და ვგრძნობ, შეშლილი, ჯადოქრული ძალები ჩემს სისხლს როგორ აყელთებენ; მკლავი მოვხვიე და ის ჩამჩურჩულებს: „აქ არა, იქით ნავიდეთ!“. და ჩვენ მენამულ დარბაზში შევდივართ, სადაც ყოველივე ლალისაგანაა ნაკეთები, გაკაშკაშებული სიდიადე, რომელშიც ვიძირები. შემდეგ მის ხელებს ვგრძნობ, რომლებიც მეხვევიან, სახეზე მის სუნთქვას ვგრძნობ და მისი ჩურჩული მესმის: „სალამი, ჩემო სიყვარულო! მაკოცე! კიდევ..... კიდევ...“

ჩემი სკამიდან ვარსკვლავებს ვხედავ და ჩემი აზრები სინათლის ქარიშხალთან ერთად მიჰქრიან....

წამონოლილს იქვე ჩამეძინა და პოლიციელმა გამაღვიძა. ისევ აქ ვიყავი და გაჭირვებულ ცხოვრებას უნდა დავბრუნებოდი. ჩემი პირ-

ველი გრძნობა ბრიყვული გაოცება იყო, რომ ღია ცის ქვეშ აღმოვჩნდი, რომელიც მალე მწუხარებამ შეცვალა; გული დამწყდა, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვიყავი და კინალამ ავტირდი. სანამ მეძინა, უწვიმია, ტანსაცმელი მთლიანად დამისველდა და მთელ სხეულში გამჭოლ სიცივეს ვგრძნობდი. ამასობაში კიდევ უფრო დაბნელებულიყო და პოლიციელის სახეს ძლივს ვარჩევდი.

– მაშ ასე, ახლავე ადექით! – წარმოთქვა მან.

მაშინვე ავდექი; ისევ დაწოლა რომ ებრძანებინა, დავმორჩილდებოდი. დათრგუნული და ძალაგამოცლილი ვიყავი, თანაც შიმშილმა ისევ ტანჯვა დამიწყო.

– ჰეი, დამთხვეულო, მოიცადე! – დამიძახა პოლიციელმა. – ქუდი დაგრჩა! აი ასე, ახლა კი მიბრძანდი!

– იცით, მეც მომეჩვენა, რომ რაღაც... რომ რაღაც დამრჩა... – დაბნეულმა ამოვილულლულე. – გმადლობთ! ღამე ნებისა!

და წავჩანჩალდი.

ახლა პურის ყუა რომ მქონოდა! მშვენიერი, შავი პურის ყუა, რომელსაც ქუჩებში ხეტიალისას გავლრღნიდი! და წარმოვიდგინე შავი პურის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც განსაკუთრებულად კარგი იქნებოდა რომ მქონოდა. მწარედ მშოიდა, სიკვდილს ვნატრობდი და გრძნობების მოზღვავეებისგან ვტიროდი. ჩემი გაჭირვება არასოდეს დამთავრდება! უცებ შუა ქუჩაში გავჩერდი და ლანძღვა-გინება დავიწყე. როგორ მომმართა? დამთხვეულოო? მე ვუჩვენებ იმას, როგორ უნდა დამიძახოს დამთხვეული! გამოვტრიალდი და უკან გავიქეცი. სიბრაზისგან ვიწვოდი. ქუჩაში რაღაცას ფეხი წამოვკარი და დავეცი, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე, წამოვხტი და ისევ გავიქეცი. როცა სადგურის მოედანს მივუახლოვდი, ისე დავიღალე, რომ სანაპირომდე მირბენის თავი აღარ მქონდა; თანაც ამ სირბილში სიბრაზემაც გადამიარა და ბოლოს სულის მოსათქმელად გავჩერდი. განა სულ ერთი არ იყო, რა თქვა ვიღაც პოლიციელმა? კი. მაგრამ სულ არ ვაპირებდი ყველაფრის მოთმენას! რა თქმა უნდა! საკუთარ თავს გავანყვეტინე. ესეთს რა უნდა მოჰკითხო!.. ეს გამართლება საკმარისად მომეჩვენა; ჩემთვის ვიმეო-

რებდი, რომ ესეთს კაცი ვერაფერს მოჰკითხავდა და კიდევ ერთხელ გამოვბრუნდი.

ღმერთო, აი სასჯელიც ესაა! ბრაზმორეული ვფიქრობდი ჩემთვის: თავში ხომ უნდა მოგივიდეს, ასეთ ბნელ ღამეს, გიჟივით, სველ ქუჩებში სირბილი! შიმშილი აუტანლად მტანჯავდა და მოსვენებას არ მაძლევდა. დროდადრო მის ჩასახშობად ნერწყვს ვყლაპავდი და ეს თითქოს მშველოდა კიდევ. უკვე რამდენიმე კვირის მანძილზე არ დავნაყრებულვარ და ახლა შესამჩნევად დავსუსტდი. როდესაც გამიმართლებდა და როგორღაც ხუთ კრონს ვიშოვიდი, ისე ცოტა ხანს მყოფნიდა, რომ ახალი შიმშილის დაწყებამდე მოსულიერებას ვერ ვასწრებდი. ყველაზე ცუდად ზურგი და მხრები მემორჩილებოდა; მკერდში ტკივილი მაინც და მაინც ძლიერი არ მქონდა. მის გაყურებას კარგი ჩახველებით ან ტანის წინ გადახრით ვახერხებდი; მაგრამ ზურგი და მხრები ნამდვილი სასჯელი იყო. ასე სასტიკად ბედი რატომ არ მწყალობდა? ნუთუ უფლება არ მქონდა, სხვათა მსგავსად, მაგალითად როგორც ბუკინისტური ნიგნებით მოვაჭრე პაშას, ანდა ორთქლმავალი გემების აგენტ ჰენეჰენს ისე მეცხოვრა? განა გოლიათური მხრებისა და მძლავრი ხელების პატრონმა ვითაკილე და არ ვეცადე, ხისმჭრელად დამეწყო მუშაობა მიოლერის ქუჩაზე, რათა ყოველდღიური სარჩო მომეპოვებინა? განა ზარმაცი ვარ? ნუთუ სამუშაო არ მიძებნია, ლექციებს არ ვუსმენდი, სტატიებს არ ვწერდი, არ ვკითხულობდი და დღედაღამ შეპყრობილივით არ ვმუშაობდი? განა მომჭირნე არ ვიყავი, როცა მიუხედავად შესაძლებლობისა პურსა და რძეს ვჯერდებოდი, ხოლო უარეს დროს ცარიელი პურით ვკმაყოფილდებოდი და როდესაც არაფერი მქონდა, განა არ ვშიმშილობდი? ნუთუ სასტუმროში ან დიდ ბინაში პირველ სართულზე ვცხოვრობდი? ჯერ მანსარდაზე, შემდეგ კი მეთუნუქის სახელოსნოში ვცხოვრობდი, რომელიც ბოლო ზამთარს სრულიად მიატოვეს, რადგან შიგნით გაუთავებლად თოვლის ნამქერი იყრებოდა. ასე რომ, ახლა უკვე აღარაფერი მესმოდა.

მივდიოდი, ყველაფერ ამაზე ვფიქრობდი და სულში გაბოროტების, შურისა თუ გამწარების მისხალიც არ მქონდა.

საღებავების მაღაზიასთან გავჩერდი და ვიტრინის თვალიერება დავიწყე; ქილებზე წარწერების გარჩევა ვცაადე, მაგრამ სიბნელის გამო ვერ მოვახერხე. ამ ახალმა ახირებამ ამაღელვა და გაბრაზებულმა, რომ ამ ქილების შიგთავსი ვერ გავარკვიე, ვიტრინას ხელი მივარტყი და გავეცალე. შემდეგ ქუჩაში მოშორებით მდგარი პოლიციელი დავინახე, სწრაფი ნაბიჯით მივეჭერი და სრულიად უმიზეზოდ განვაცხადე:

– ახლა ათი საათია.

– არა, ახლა ორია, – მიპასუხა გოცებულმა.

– არა, ათია, – გავჯიუტდი. – ახლა ათი საათია. – ბრაზისგან ღრენის მსგავსი ხმა ამოიხდა, მუშტები შევკარი, უფრო მივუახლოვდი და უუთხარი: მისმინეთ, არ იცით რას ნიშნავს – “ათი საათია”?

მცირე ხანს ჩაფიქრებული, გულდასმით მაკვირდებოდა და მერე საკმაოდ რბილად მითხრა:

– ყოველ შემთხვევაში, ის დროა სახლისკენ მიდიოდეთ, არა? თუ გნებავთ, ცოტას გაგაცილებთ კიდეც.

ამ კაცის მოულოდნელად მეგობრულმა მომართვამ იარაღი ამყარა. თვალეზე ცრემლი მომგვარა და ჩემი პასუხი დააჩქარა: “დიდი მადლობა! უბრალოდ კაფეში შევრჩი. ნუ შენუხდებით. ძალიან დიდი მადლობა.”

პოლიციელმა დამშვიდობების ნიშნად, ხელი თავთან მიიტანა და წავიდა. მისმა თავაზიანობამ გამაოგნა და ავტირდი, რომ ხუთი კრონით ვერ დავასაჩუქრე. დიდხანს ვიდექი, მზერით ვაცილებდი და როცა თვალს მიეფარა, შუბლში ხელი ვიტყიცე და უფრო მაგრად ავტირდი. სიღარიბის გამო საკუთარ თავს ვწყევლიდი, უკანასკნელი სიტყვებით ვლანძლავდი, შეურაცხმყოფელ სახელებს ვუგონებდი და ვცდილობდი, თავი რაც შეიძლება ნარჩევი უნმანურობებით შემემკო. სახლს რომ მივუახლოვდი, მაშინლა გავჩერდი და ჩიშკართან მისულმა აღმოვაჩინე, რომ გასაღები დაკარგული მქონდა.

რა თქმა უნდა, გამწარებულმა საკუთარ თავს მივმართე, გასაღები რატომ არ უნდა დამეკარგა? ეზოში სადაც ვცხოვრობ თავლაა, მის ზემოთ მეთუნუქის სახელოსნო; ჩიშკარი ღამე იკეტება და მას

ვერავინ, ვერავინ ვერ გაალებს. ასე რომ გასაღები რატომ არ უნდა დამეკარგა? დამხრჩვალ ვირთხასავით სველი, ოდნავ, სულ ოდნავ მოშიებული, მუხლებში უცნაურ სისუსტეს ვგრძნობდი და გასაღები რატომ არ უნდა დამეკარგა? სულაც არ გამიკვირდებოდა, მთლიანად სახლი აკერში გადაბარგებულიყო მხოლოდ იმის გამო, რომ მე მასში შესვლა მინდოდა... და შიმშილისა და უმწეობის გამო საკუთარ თავს მეტი სისასტიკით დავცინოდი.

თავლიდან ცხენების ფლოქვების ცემის ხმა მესმოდა და ზემოთ ჩემს ფანჯარას ვხედავდი; მაგრამ ჭიშკრის გაღება და შესვლა არ შემეძლო. და ასე დაღლილმა და გაჯავრებულმა სანაპიროზე მიბრუნება და გასაღების მოძებნა გადავწყვიტე.

ისევ განვიმდა და ვგრძნობდი, წყალი ბეჭებშუა როგორ ჩამდიოდა. უცებ საპყრობილესთან მშვენიერმა აზრმა გამიელვა: გადავწყვიტე ჭიშკრის გაღება პოლიციელისთვის მეთხოვა. იქვე მდგარ ოფიცერს მიუზბრუნდი და გულწრფელად ვთხოვე ნამომყოლოდა და თუ ამის შესაძლებლობა ჰქონდა, ჩემთვის ჭიშკარი გაეღო.

დიახ, რა თქმა უნდა, თუ ამის შესაძლებლობა ჰქონდა! მაგრამ მას ეს არ შეეძლო, რადგანაც გასაღები არ ჰქონდა. პოლიციის გასაღებები მხოლოდ საგამოძიებო განყოფილებაში იყო.

აბა როგორ მოვქცეულიყავი?

უმჯობესი იქნებოდა ღამე სასტუმროში გამეთენებინა.

კი, მაგრამ სასტუმროში ნამდვილად ვერ გავჩერდებოდი, ფული საერთოდ არ მქონდა. სახლიდან კაფეში წავედი, ალბათ ესმოდა ჩემი...

რალაცა ხანი მერიის საფეხურებზე ვიდექით. პოლიციელი ჩაფიქრებული მათვალისწინებდა. ჩვენს უკან კოკისპირულად წვიმდა.

– მაშინ სამორიგეო ნაწილში მოგინევთ წასვლა და განაცხადის გაკეთება, რომ თავშესაფარი არა გაქვთ, – თქვა მან.

განვაცხადო, რომ თავშესაფარი არა მაქვს? ამაზე არ მიფიქრია. ეს მართლაც მშვენიერი აზრი იყო! რჩევისთვის პოლიციელს მადლობა გადავუხადე. ესე იგი, უბრალოდ უნდა მივიდე და ვთქვა, რომ თავშესაფარი არ მაქვს?

დიახ, სულ ესაა!...

– გვარი? – მკითხა მორიგემ.

– ტანგენი, ანდრეას ტანგენი.

არ ვიცი რატომ მოვიტყუე. აზრები ჩემს თავში უნესრიგოდ დაჰქროდნენ და უნებლიეთ მაიძულებდნენ, ყველანაირი ხრიკი მეხმარა; ეს უცხო გვარი ელვის სისწრაფიდ მოვიგონე და უცებვე დავახეთქე. სრულიად უმიზეზოდ ვიტყუებოდი.

– საქმიანობა?

გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ჰმ! ჯერ გადანყვეტილი მქონდა თავი მეთუნუქედ გამესალებინა, მაგრამ ვერ გავბედე; ისეთი გვარით წარვსდექი, მეთუნუქეს ნაკლებად შეეფერებოდა და, გარდა ამისა, სათვალე მეკეთა. მაშინ გავკადნიერდი, ნაბიჯი გადავდგი და საზეიმოდ, მტკიცე ხმით წარმოვთქვი: “ჟურნალისტი გახლავართ”.

მორიგე შეკრთა, თუმცა ჩემი სიტყვები ჩაინერა. მე კი მედიდურად, თავშესაფრის გარეშე დარჩენილი კაბინეტის მინისტრით ვიდექი. ჩემი პასუხის დაყოვნებამ მორიგეში ეჭვიც კი არ დაბადა – ეს ხომ გაუგონარი ამბავი იყო: ჟურნალისტი საპყრობილეში, რომელიც თავშესაფარს ითხოვს!

– რომელ გაზეთთან თანამშრომლობთ, ბატონო ტანგენ?

– “მორგენბლადეთთან”, – ვუპასუხე. – სამწუხაროდ, დღეს სალამოს ცოტა გვიანობამდე მომინია...

– ამაზე ნულარ ვისაუბრებთ! – გამანყვეტინა მორიგემ და გამიღიმა, – როდესაც ახალგაზრდები სახლიდან გადიან... გასაგებია... – ფეხზე წამოდგა, თავი მდაბლად დამიკრა და იქვე მყოფ პოლიციელს მიმართა: “ბატონი სარეზერვო ოთახში მიაცილეთ. ღამე ნებისა!”

ჩემი თავხედური საქციელისგან ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ზურგზე ჭიანჭველებმა გადამირბინესო და გასამხნეველად მუშტები შეეკარი.

– გაზის შუქი მხოლოდ ათ წუთს ანთია. – კართან გამაფრთხილა პოლიციელმა.

– მერე ქრება?

- დიახ, მერე ქრება.

ლოგინზე ჩამოვჯექი და გასაღების გადატრიალების ხმა გავიგონე. განათებული ოთახი მყუდრო ჩანდა; ჭერქვეშ მყოფი, წვიმის ხმას სიამოვნებით ვუსმენდი. ასეთ საუცხოო ოთახს ვერც კი ვინატრებდი! თავს გაცილებით მშვიდად ვგრძნობდი. ქუდით ხელში სანოლზე ვიჯექი, კედელზე გაზის გამნათებელს ვუყურებდი და გონებაში პოლიციასთან ჩემი პირველი შეხების ამბავს ვატრიალებდი. დიახ, ეს ჩემი პირველი შეხება იყო და რა მარჯვედ გავაცუცურაქე ისინი. ჟურნალისტი ტანგენი, როგორ მოგნონთ? შემდეგ კი იმ ბატონს ჩემი “მორგენბლადეთით” პირდაპირ გულში მოვარტყი. “ამაზე ნულარ ვისაუბრებთ“, ჰო? ცხრიდან ღამის ორ საათამდე სტუმრად შევრჩი, გასაღები და რამდენიმე ათასი კრონით გამოტენილი საფულე კი სახლში დამრჩა! “ბატონი სარეზერვო ოთახში მიაცილეთ“.

უეცრად ყოველგვარი მინიშნების გარეშე გაზის მანათობელი ქრება, ნელ-ნელა კი არ იკლებს, კი არ ბუუტავს, ერთბაშად ქრება; სრულ სიბნელეში ვზივარ. ვერც საკუთარ ხელებს და ვერც ოთახის თეთრ კედლებს – ვერაფერს ვერ ვხედავ. ერთადერთი არჩევანი ძილია. ტანსაცმელი გავიძვრე და დავწექი.

მაგრამ არ მეძინებოდა და ვერც დავიძინე. რალაც ხანს ვინეჯი და მკვრივ, გაუვალ და შეუცნობელ სიბნელეს ვუყურებდი, რომელსაც აზრით ვერ ვწვდებოდი. სიბნელე მეტისმეტად სქელი იყო და მთრგუნავდა. თვალები დავხუჭე, ავლიღინდი და მძიმე განცდების გასაფანტად სანოლში წრიალი დავიწყე, მაგრამ ამან არ მიშველა. სიბნელე ჩემს აზრებს დაეპატრონა და ერთი ნუთითაც არ მომეშვა. იქნებ მეც ამ სიბნელეს შევერიე და გაუჭინარდი? სანოლიდან ვხტები და ხელების ქნევას ვიწყებ.

ნერვიულმა აღგზნებამ მთლიანად ამიტანა და მისი დაოკება ვერაფრით ვერ შევძელი. და აი, უცნაური ფანტაზიებით შეპყრობილი, საკუთარ თავს ძილისპირულს ვუმღეროდი და დამშვიდებას ვცდილობდი. ამგვარი ძალიხმევისაგან ოფლმაც კი დამასხა. სიბნელეს გულმოდგინედ ვუყურებდი, რომელიც ისეთი სქელი იყო, როგორიც



არასოდეს მინახავს. ეჭვიც კი არ მეპარებოდა, რომ ეს განსაკუთრებული სიბნელე, მრისხანე სტიქია იყო, რომლის შესახებ ჯერ არავინ იცოდა რამე. თავში ყველაზე სულელური აზრები მომდიოდა და ყველაფერი შიშს მგვრიდა. სანოლს ზემოთ, კედელზე პატარა ნახვრეტიცა, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიქცია. ეს ნახვრეტი, ლურსმნის ნაკვალევი, რაღაც ნიშანია კედელზე დატოვებული. თითებით მოვსინჯე და სული შევუბერე. ვცდილობ მისი სიღრმის გარკვევას. არა, ეს არ შეიძლება უბრალო ნახვრეტი იყოს; ეს ძალიან ეშმაკური და საიდუმლოებით მოცული ნახვრეტიცა, რომელსაც უნდა მოვერიდო. ამ აზრმა ისე ჩამითრია, რომ ცნობისმოყვარეობითა და შიშით შეპყრობილი ბოლოს სანოლიდან წამოვდექი, ჩემი ჯაყვა მოვძებნე და ნახვრეტის სიღრმე გავზომე, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ის მეზობელ საკანში არ გადიოდა.

ისევ დავნექი და დაძინება ვცაადე, მაგრამ ამის მაგივრად ისევ სიბნელეს დავუნყეჭიდილი. წვიმამ გადაიღო და ჩამიჩუმი არ ისმოდა. დიდხანს ვაყურადებდი, მინდოდა ქუჩიდან ნაბიჯის ხმა გამეგო და ვერ დავმშვიდდი, სანამ არ მომესმა – სავარაუდოდ პოლიციელმა ჩაიარა. უცებ თითების ტკაცუნა და სიცილი დავინწყე. ეს რაღა ჯანდაბა იყო! ჰა! წარმოვიდგინე, რომ ახალი სიტყვა მოვიგონე. სანოლიდან წამოვინიე და ვთქვი: კუბოაა ასეთი სიტყვა ენაში არ არსებობს, ის მე გამოვიგონე. როგორც ყოველი სიტყვა ისიც ასობისაგან შედგება. ღმერთო დიდებულო, შენ სიტყვა აღმოაჩინე... კუბოაა..... დიდი გრამატიკული მნიშვნელობის სიტყვა.

ეს სიტყვა სიბნელეში მკაფიოდ მეხატებოდა. თვალგახელილი.

საკუთარი მიგნებით გაკვირვებული სანოლზე ვზივარ და გახარებული ვიციანი. შემდეგ ჩურჩული დავინწყე: ხომ შეიძლება მისმენდნენ, მე კი ჩემი გამოგონების საიდუმლოდ შენახვა მინდოდა. მე უკვე შიმშილის სიგიჟეში შევაბიჯე. ცარიელი და ტკივილისგან თავისუფალი ვიყავი და ფიქრები საკუთარ ნებაზე მივუშვი. სიჩუმეში საკუთარ თავთან ვმსჯელობდი და ამ ახალი სიტყვის განმარტებას ვცდილობდი. არა, ის არც ღმერთს და არც გასართობ პარკს არ უნდა ნიშნავდეს, და ვინ თქვა, რომ ის სამხეცეს უნდა ნიშნავდეს? მუშ-

ტები შევკარი და გავიმეორე: ვინ თქვა, რომ ის სამხეცეს უნდა ნიშნავდეს? რომ ჩაუფიქრდე, იმის აუცილებლობაც არ არის, რომ ის კლიტეს ან განთიადს ნიშნავდეს. ასეთი სიტყვისთვის მნიშვნელობის მოძებნა რთული არ იყო. მოვიცდი და მერე გამოჩნდება. ამასობაში კი თვალს მოვატყუებ.

საწოლზე ვწევარ, ჩუმად ვხითხითებ, მაგრამ არაფერს ვამბობ, არანაირ აზრს არ გამოვხატავ; მაგრამ რამდენიმე წუთში ავლელდი, ახალი სიტყვა მოსვენებას არ მაძლევს, ნამდაუნუმ მიბრუნდება, ბოლოს კი ჩემს აზრებს მთლიანად ეპატრონება და ხითხითს მანყვეტინებს. უკვე გადაწყვეტილი მქონდა, ეს სიტყვა რას არ უნდა ნიშნავდეს, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ დამედგინა, რას უნდა ნიშნავდეს. "ეს უმნიშვნელო საკითხია!" – ხმამაღლა ვუთხარი საკუთარ თავს, ხელი ხელს ჩავჭიდე და რამდენჯერმე გავიმეორე, რომ ეს უმნიშვნელო საკითხი იყო. მადლობა ღმერთს, სიტყვა ნაპოვნი გახლდათ და მთავარი ეს იყო, მაგრამ ფიქრები არ მასვენებენ და ძილს მიფრთხობენ; ასეთი იშვიათი სიტყვისთვის შესაფერისი განმარტება ვერაფრით ვერ მოვიძებნე და ბოლოს ისევ საწოლზე წამოვჯექი. თავი ხელელებში ჩავრგე და ვამბობ: არა, ნამდვილად შეუძლებელია, რომ ის ემიგრაციას ან თამბაქოს ფაბრიკას ნიშნავდეს და თუკი მას, რაღაც ამდაგვარის მნიშვნელობა ექნებოდა, ამაზე დიდი ხნის წინ შევჩერდებოდი და შესაბამის დასკვნებსაც გავაკეთებდი. არა, ეს სიტყვა ნამდვილად რაღაც სულისმიერს, გრძნობას, განწყობას შეეფერებოდა. აქამდე როგორ ვერ მივხვდი? მეხსიერებაში ვიჩხრიკები რაიმე სულიერი ცნების მოსაძიებლად და უცებ მეჩვენება, რომ ვილაციის ხმა მესმის, რომელიც მსჯელობაში მეჭრება და გაბრაზებული ვპასუხობ: ბოდიში მომითხოვია და თქვენისთანა იდიოტი ქვეყანაზე ჯერ არავის არ შეხვედრია! როგორ შეიძლება ის "ნართს" ნიშნავდეს? ეშმაკს წაუღიხარ! მაინც რა მიზეზით უნდა დავთანხმებოდი ამ განმარტებას – "ნართი", როდესაც თავიდანვე ამის წინააღმდეგი ვიყავი? სიტყვა ხომ ჩემი მოგონილი იყო და სრული უფლება მქონდა, რაც მომეპრიანებოდა ის მნიშვნელობა მიმეცა მისთვის. რამდენადაც აზრი ჯერ არ გამომიხატავს...

მაგრამ აზრებს გახლება ემატებოდათ. ბოლოს სანოლიდან ნამოვხტი და წყლის ონკანის ძებნა დავიწყე. წყურვილი არ მანუხებდა, მაგრამ თავი ისეთი ცხელი მქონდა, რომ ინსტინქტურად წყლისკენ გავიწიე. როდესაც დავლიე და ისევ დავწექი, გადავწყვიტე, ყოველ მიზეზგარეშე დამეძინა. თვალები დავხუჭე და თავს ძალა დავატანე, რომ დაემშვიდებულიყავი. რამდენიმე წუთი გაუნძრევლად ვიწექი. შემდეგ ოფლმა დამასხა და ძარღვებში სისხლის გამშავებული მიმოქცევა ვიგრძენი. განა ძალიან სასაცილო არ იყო, როცა ქალაღდის პარკში ფულს ძებნა დაუნყო! და მხოლოდ ერთხელ ჩაახველა! არ გამიკვირდება თუ ისევ იქ დაბოდილობს! ჩემს სკამზეა ჩამომჯდარი? სადაფის ცისფერი ზღვა..... გემები...

თვალები გავახილე. რა აზრი ჰქონდა მათ დახუჭვას, თუკი მაინც ვერ ვიძინებდი! გარს ისევ ის კუნაპეტი სიბნელე მეხვია, ისევ ის უძირო, უკუნი მარადისობა, რომლის გარღვევასაც ჩემი აზრი ვერ ახერხებდა. რასთან შეიძლებოდა მისი შედარება? სასონარკვეთილმა ამ უკუნეთის გამოსახატად, ყველაზე შავბნელი სიტყვის გამოძებნა ვცადე. ისეთი შავბნელი სიტყვის, რომ მისი წარმოთქმის შემდეგ პირი გამშავებოდა. ღმერთო ჩემო, რა სიბნელეა! ფიქრებით ისევ ყურეს, გემებსა და ჩასაფრებულ, შავ ურჩხულებს დაეუბრუნდი. მათ ჩემი შეტყუება, შეპყრობა და ზღვის გადაღმა გატაცება სურდათ, შორეულ მიწაზე, ბნელი სამეფოების გავლით, რომელიც არც ერთ სულიერს არ უნახავს. მეჩვენება, თითქოს გემით მივცურავ, ღრუბლებში ავიჭერი და დაბლა ვეშვები, ვეშვები... შიშისგან ჩახლერილი ხმით დავიყვირე და სანოლს ჩავებლაუჭე; ეს საშინელი ფრენა იყო, ლოდით ვარდებოდი. რა საოცარი გრძნობა დამეუფლა, როცა ხელებით სანოლის მყარი კიდეები ვიგრძენი და თავი სამშვიდობოს ვიგრძენი. ეს სიკვდილია, ვუთხარი საკუთარ თავს და ახლა მოკვდები! ვინეკი და ცოტა ხანს საკუთარ, გარდაუვალ სიკვდილზე ვფიქრობდი. შემდეგ სანოლზე წამოვინიე და მკაცრად ვიკითხე: "ვინ თქვა, რომ უნდა მოკვდებ? თუკი სიტყვა ჩემი გამოგონილია, სრული უფლება მაქვს გადავწყვიტო, რას უნდა ნიშნავდეს იგი...." მაშინაც კი როცა ვლაპარაკობდი, საკუთარი ბოდვის ხმა

მესმოდა. ჩემი სიგიჟე სისუსტისა და გამოფიტვის შედეგი იყო, მაგრამ გონება არ დამიკარგავს. უცებ აზრმა გამიელვა, რომ გავგიჟდი. შეძრწუნებული საწოლიდან ვხტები. ბარბაცით მივდივარ კართან და მის გალებას ვცდილობ, რამდენჯერმე მთელი ტანით ვეჯახები, კედელს თავს ვურტყამ, ხმამაღლა ვკვნესი, თითებს ვიჭამ, ვკვითინებ და ვინყევლები...

ყოველივე მდუმარე იყო. მხოლოდ ჩემი ხმა აწყდებოდა კედლებს და ექოდ მიბრუნდებოდა უკან. ფეხებში ძალა წამერთვა და იატაკზე გავიშხლართე. მაღლა, ჩემს თვალწინ კედელზე, მონაცრისფრო კვადრატი დავლანდე, რომელიც თეთრდებოდა, რალაცას მანიშნებდა და უცებ მივხვდი, რომ ეს დღის შუქი იყო. უდიდესი შვებით ამოვისუნთქე. იატაკზე გაშოტილი, ამ დალოცვილი, ფერმკრთალი სინათლის შემყურე სიხარულისგან ვტიროდი, მადლიერებით აღსავსე ფანჯარას კოცნებს ვუგზავნიდი და შეშლილივით ვიქცეოდი, მაგრამ ამავე დროს სრულიად გააზრებულად ვმოქმედებდი. მთელმა ჩემმა დათრგუნულობამ გამიარა, ტკივილი და სასონარკვეთილება გამიქრა. არაფერი აღარ მჭირდებოდა და ვერც ვერანაირ სურვილს ვერ ვიგონებდი. გულხელდაკრეფილი იატაკზე ვიჯექი და მოთმინებით გათენებას ველოდებოდი.

რა საშინელი ღამე იყო! უცნაურია, რომ ხმაური არავის გაუგია, გაკვირვებული ვფიქრობდი ჩემთვის. თუმცა მე ხომ სარეზერვო ოთახში, ყველა პატიმარზე მაღლა ვიყავი განთავსებული. უსახლკარო კაბინეტის მინისტრი, თუ შეიძლება, რომ ასე ითქვას. ისევ მშვენიერ გუნებაზე ფანჯარას შევყურებდი, რომლის იქეთ რიჟრაჟი იწყებოდა და თავს იმით ვირთობდი, რომ კაბინეტის მინისტრს ვთამაშობდი. საკუთარ თავს ფონ ტანგენს ვუნოდებდი და ვცდილობდი თანამდებობის პირის საკადრისად მემოქმედა. ფანტაზიები არ დამცხრომია, უბრალოდ თავს გაცილებით მშვიდად ვგრძნობდი. ჩემი დაწყევლილი დაბნეულობის გამო, საფულე სახლში რომ არ დამრჩენოდა! ბატონი მინისტრი პატივს ხომ არ დამდებს და ნებას დამართავს, რომ მას ჩემი საწოლი შევთავაზო? და სრულიად გულწრფელი მედიდურობით, საწოლთან მივედი და დავწექი.

ახლა უკვე იმდენად განათებული იყო, ოთახის კედლების კონტურებს ვარჩევდი და ცოტა ხანში კარის დიდი სახელურიც დავინახე. ფიქრებში წავედი; ერთფეროვანი, გამალიზიანებლად მკვრივი სიბნელე, რომელიც საკუთარი თავის დანახვის საშუალებასაც არ მძლევდა, გაფანტულიყო; ძარღვებში სისხლი უფრო მშვიდად მოძრაობდა და მალე ვიგრძენი, რომ თვალები დამეხუჭა.

კარზე კაკუნის ხმამ გამაღვიძა. წამოვხტი და სწრაფად ჩავიცვი; ტანისამოსი გუშინდელი ღამის შემდეგ ისევ სველი იყო.

– დაბლა, მორიგესთან ჩამობრძანდით, თუ შეიძლება, – თქვა პოლიციელმა.

“ესე იგი, ისევ მომინევს სხვადასხვა ფორმალობების გავლა!” – შიშით გავიფიქრე.

პირველ სართულზე, დიდ ოთახში ჩავედი, სადაც ოცდაათი თუ ორმოცი უსახლკარო ადამიანი იჯდა, რომლებსაც სათითაოდ, სიის მიხედვით იძახებდნენ და სადილის ტალონს აძლევდნენ. მორიგე განუწყვეტლივ ეკითხებოდა გვერდზე მდგომ პოლიციელს: “ტალონი გაციტო? ტალონების გაცემა არ დაგავინყდეთ. ისინი ხომ მშვირები არიან.”

ამ ტალონებს ვუყურებდი და ვნატრობდი, ხელში ერთი მაინც ჩამეგდო.

– ანდრეას ტანგენი, ჟურნალისტი!

ნაბიჯი წინ გადავდგი და თავის დაკვრით მისალმება გამოვხატე.

– კი მაგრამ თქვენ აქ როგორღა მოხვდით?

ყველაფერი ავუხსენი, იგივე, გუშინდელი ისტორია მოუწყევი. თვალების დაუხამხამებლად, სრულიად გულწრფელად მოვიტყუე: სახლიდან გასულს ოდნავ შემავიანდა, კაფეში შევრჩი, გასაღები დამეკარგა...

– გასაგებია, – თქვა მორიგემ და გაიღიმა. – ხომ კარგად გეძინათ?

– კაბინეტის მინისტრით! – მიუგე, – როგორც კაბინეტის მინისტრს!

– ძალიან მოხარული ვარ! – მითხრა მან და ფეხზე წამომიდგა. –  
კარგად ბრძანდებოდეთ!

წამოვედი.

ტალონი, ჩემთვისაც მოეცათ ტალონი! სამი უგრძესი დღე და  
ღამე არ მიჭამია! პურის ნაჭერი მაინც! მაგრამ ტალონი არავის არ  
შემოუთავაზებია. მე კი თხოვნა ვერ გავბედე, რადგან მაშინვე ეჭვის  
თვალთ შემომხედავდნენ. ჩემი ვინაობის დასადგენად პირად საქ-  
მეში ქექვას დაიწყებდნენ და ცრუ ჩვენებისთვის დამაპატიმრებ-  
დნენ. საყელოსთან ხელებჩაჭიდებული და მილიონერივით თავანუ-  
ლი საპყრობილეს შენობიდან გამოვედი.

მზე უკვე საკმაოდ ათბობდა. ათი საათი იყო და იონგსტორვეტის  
მოედანი ეტლებსა და ფეხით მოსიარულეებს გადაევსოთ. რა გზას  
დავადგე? ჯიბეზე ხელი ნავიტყაპუნე და ხელნაწერი მოვსინჯე.  
თერთმეტ საათზე შევეცდები რედაქტორთან შევიხედო. ბალუს-  
ტრადასთან ვიდექი და ჩემს ქვემოთ ცხოვრების ორომტრიალს ვაკ-  
ვირდებოდი. ამასობაში ჩემმა ტანსაცმელმა აორთქლება დაიწყო.  
შიმშილმა ისევ გაიღვიძა, მკერდი მტკივნეულად შემიკუმშა, ტანში  
კრუნჩხვასავით გამირობინა და სუსტი, მაგრამ მკვეთრი დარტყმა მო-  
მაყენა. ნუთუ არც ერთი მეგობარი ან ნაცნობი არ მყავდა, ვისთანაც  
მისვლა შემეძლო? მეხსიერებაში ვიქექებოდი და ვცდილობდი ისეთი  
ადამიანი გამეხსენებინა, ვინც ათ ერეს მომცემდა, მაგრამ ვერავინ  
მოვძებნე. მაგრამ რა მშვენიერი დღე იყო, ირგვლივ იმდენი მზე და  
სინათლე მათბობდა; ზემოთ კი ცა ლიერის მთების გასწვრივ ოკეა-  
ნისავით მიცურავდა...

ჩემდა უნებურად სახლისკენ გავწიე.

ძალიან მშვიდი ვიყავი. ძირიდან ხის ნაფოტი ავიღე და ლეჭვა და-  
ვუნყე. ამან მიშველა. აქამდე ამაზე როგორ არ ვიფიქრე!

ჭიშკარი ღია იყო. მეჯინიბემ ჩვეულებისამებრ დილა მშვიდობი-  
სა მისურვა.

– კარგი ამინდია! – თქვა მან.

- დიახ! - ვუპასუხე. მეტი სათქმელი არ მომაფიქრდა. ერთ კრონს ხომ არ ვესესხო? თუ ექნებოდა, ალბათ სიამოვნებით მასესხებდა კიდევ. თანაც ერთხელ მისთვის წერილიც კი მქონდა დაწერილი.

ის კი იდგა და აშკარად რალაცის თქმა უნდოდა.

- ხოო, კარგი ამინდია. ჰმ! დღეს დიასახლისს უნდა გადავუხადო და იქნებ ხუთი კრონი მასესხოთ? სულ რამდენიმე დღით. გახსოვთ, ერთხელ რომ ხელი გამიმართეთ.

- ნამდვილად არ შემოძლია, იენს ოლაი. ახლა არა. შესაძლოა მოგვიანებით, ალბათ სალამოსათვის... - ვუპასუხე და ჩემი ოთახის კიბეს ავუყევი.

სანოლზე გადავეარდი და სიცილი დაეიწყე. რა ბედნიერებაა, რომ იმან დამასწრო! ჩემი ღირსება გადარჩენილი იყო. ხუთი კრონი - ღმერთმა დაგლოცოს! ასეთივე წარმატებით შეგეძლო ჩემთვის დამპკოკენის სამზარეულოს მეხუთედი წილი ან აკერში უძრავი ქონება გეთხოვნა.

ამ ხუთი კრონის გახსენებაზე, უფრო და უფრო ხმამალა გამეცინა. არა, მაგარი ვარ! ხუთი კრონი! შესაფერისი ადამიანი არ გამოძებნა? მხიარულებამ ისე მომიცვა, რომ თავი ვერაფრით ვერ დავიოკე: ფუჰ, რა საჭმლის სამზადისის სუნია! შემწვარ-მოხრაკულის. ფუჰ! ფანჯარა გავალე, რომ ეს საზიზღარი სუნი როგორმე გამენიავებინა. მიმტანო, თუ შეიძლება, ერთი სტიეკი! მაგიდისკენ მივტრიალდი, ჩემი გატეხილი მაგიდისკენ, რომელსაც წერის დროს მუხლებით ვამაგრებდი, თავი მდაბლად დავუკარი და ვკითხე: უკაცრავად, მაგრამ ღვინოს ხომ არ ინებებდით? არა? მე ტანგენი გახლავართ, კაბინეტის მინისტრი ტანგენი. სამწუხაროდ, სახლიდან გასულს ოდნავ შემავიანდა... ჭიშკრის გასაღები...

ფიქრები ისევ წამომეშალნენ და ისევ გიჟური სრბოლა დაიწყეს. ვაცნობიერებდი, რომ უთავბოლოდ ვლაპარაკობდი და თან ყოველი სიტყვა, თავისი მნიშვნელობით მესმოდა. საკუთარ თავს ვუთხარი: "აი, ახლა შენ ისევ უთავბოლოდ ლაპარაკობ!", მაგრამ თავს მაინც ვერაფერი მოვუხერხე. თითქოს სიზმარში ვლაპარაკობდი და ამავე

დროს არ მეძინა. თავი მსუბუქი, ყოველგვარი ტკივილისა და ძალადობისგან თავისუფალი, გონება კი სრულიად აუმღვრეველი მქონდა. განგებას მინდობილი მივცურავდი.

შემობრძანდით! დიახ, მხოლოდ შემობრძანდით! როგორც ხედავთ აქ ყველაფერი ლალითაა ნაკეთები. ილაიალი! ილაიალი! წითელი, რბილი აბრეშუმის ტახტი! როგორ მგზნებარედ უღელავს მკერდი! მაკოცე! ჩემო სიყვარულო – კიდევ, კიდევ. მკლავები შენი ოქროცურვილია, შენი ბაგეები აალებული... მიმტანო, მე სტეიკი შეგიკვეთეთ...

მზე ფანჯრებში ანათებდა. პირველი სართულიდან ცხენების ჭამის ხმები მესმოდა. ვიჯექი, ჩემს ხის ნაფოტს ვლრლნიდი და საუცხოო განწყობაზე, ბავშვივით ბედნიერი ვიყავი. დროდადრო ჯიბეში ხელნაწერს ვგრძნობდი; თუმცა მასზე ერთხელაც არ მიფიქრია. ინსტინქტურად ვხვდებოდი, რომ ის აქ იყო, ამას ჩემი სისხლი მახსენებდა. ბოლოს ამოვიღე.

დასველებულიყო და მზეზე გავშალე. შემდეგ ოთახში ბოლთის ცემა დავინწყე. ჩემს გარშემო დამთრგუნველი სანახაობა იყო! იატაკზე წვრილ-წვრილი თუნუქის ნაკუნები ეყარა, მაგრამ არც სკამი იყო დასაჯდომად, და შიშველ კედელზე ერთი ლურსმანიც კი არ იყო მიჭედებული. ყველაფერმა “ბიძიას” სარდაფში გადაინაცვლა და შეიჭამა. რამდენიმე ფურცელი მტვრის სქელი ფენით დაფარულ მაგიდაზე – ეს იყო და ეს მთელი ჩემი ავლა-დიდება; ეს ძველი, ლოგინზე გადაფარებული მწვანე საბანი, რამდენიმე თვის წინ ჰანს ჰაულიმ მათხოვა... ჰანს ჰაული! თითები გავატკაცუნე! ჰანს ჰაული პეტერსენი დამეხმარება! ცვდილობ მისი მისამართი გავიხსენო. ჰანს ჰაული რამ დამავინყა! მას, რა თქმა უნდა, ძალიან ეწყინება, რომ მაშინვე არ მივმართე. ქუდი სწრაფად დავიხურე, ხელნაწერის ფურცლები წამოვკრიფე და კიბეზე ჩავირბინე.

– მომისმინეთ, იენს ოლაი, – დავიყვირე თავლის შესასვლელთან. – დარწმუნებული ვარ, რომ სალამოსთვის რალაცას მოგიხერხებთ!

საპყრობილეს ვუახლოვდები, ვხედავ, რომ თორმეტი საათია დაწყებული და გადანყვეტილებას ვიღებ, დაუყოვნებლად რედაქცი-



ამი შევირბინო. ოფისის კართან გავჩერდი, ფურცლების თანმიმდევრობა გადავამოწმე, ხელისგულებით ფრთხილად მივასწორ-მოვასწორე, ისევ ჯიბეში ჩავიდე და დავაკაკუნე. როცა შევედი, საკუთარი გულისცემის ხმა მესმოდა.

“მაკრატელი” როგორც ყოველთვის აქაა. მორიდებით რედაქტორს ვკითხულობ. პასუხი არ არის. კაცი ისევ ისე ზის და მაკრატელით პროვინციული გაზეთებიდან წვრილ-წვრილ ამბებს წრის.

მივუახლოვდი და ჩემი კითხვა გავუმეორე.

– რედაქტორი ჯერ არ მოსულა, – როგორც იქნა მიპასუხა “მაკრატელმა”, ისე, რომ ჩემთვის ზედაც არ შემოუხედავს.

როდის იქნება?

ვერ მეტყვის, ნამდვილად ვერ მეტყვის.

რედაქცია რომელ საათამდე მუშაობს?

ვერანაირ პასუხს ვერ ველირსე და იძულებული გავხდი, წამოვსულიყავი. “მაკრატელს” საუბრისას ჩემკენ ერთხელაც არ გამოუხედავს; ჩემი ხმა გაგონილი ჰქონდა და იმით მიცნო. აქაურებს ეტყობა ათვალწუნებული ვყავარ, რაკი პასუხის გაცემის ღირსადაც არ მთვლიან. არ გამიკვირდება, რომ ეს რედაქტორის განკარგულებაა კი იყოს. რაც მართალია-მართალია, ჩემი ცნობილი, ათკრონიანი თხზულების შემდეგ ხელნაწერებით წავლეკე, თითქმის ყოველ დღე უვარგისი ნაჯღაბნი მიმქონდა, რომლის ნაკითხვა და დაბრუნება უხდებოდა. ეტყობა გადანყვიტა, ამისთვის ბოლო მოელო და თადარიგი დაიჭირა.... ქალაქის ცენტრისკენ წავედი.

ჰანს პაული პეტერსენი, სოფლელი სტუდენტი, ხუთსართულიანი სახლის მანსარდაში ცხოვრობდა და შესაბამისად, ჰანს პაულ პეტერსენი ღარიბი კაცი იყო. მაგრამ ერთი კრონი რომ ჰქონოდა, არ დაინანებდა. შემეძლო ჩამეთვალა, რომ ის უკვე ხელში მეჭირა. გზაში წინასწარ მიხაროდა ის ერთი კრონი, რადგანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ მას აუცილებლად მივიღებდი. როცა სადარბაზოს კართან მივედი, დაკეტილი დამხვდა და ზარის დარეკვა მომიხდა.

– სტუდენტ პეტერსენის ნახვა მინდოდა, – ვთქვი და შესვლა ვცადე. – ვიცი რომელ ოთახში ცხოვრობს.

– სტუდენტი პეტერსენის? – გაიმეორა მოახლე გოგონამ. – მან-სარდაში რომ ცხოვრობდა? სხვაგან გადავიდა.

ის ადგილი სად იყო, არ იცოდა, მაგრამ სთხოვეს, რომ მისი წერილები ჰერმენსენზე, ტოლდბოდის ქუჩაზე გადაეგზავნა და მოახლემ ნომერი მითხრა.

იმედითა და რწმენით აღსავსე, ჰანს პაულის მისამართის დასადგენად ტოლდბოდის ქუჩას მივაშურე. სხვა გამოსავალი არ მქონდა და იძულებული ვიყავი ამ უკანასკნელ იმედს ჩავბლაუჭებოდი. ახლად აშენებულ სახლს ჩავუარე, რომლის წინაც ორი ღურგალი ფიცრებს რანდავდა. ნახერხის გროვაში რამდენიმე სუფთა ნაფოტი ამოვარჩიე. ერთი პირში ჩავიდე, დანარჩენი კი ჯიბეში შევინახე და გზა გავაგრძელე. შიმშილისგან ვკვნესოდი. საფუნთუშეს ვიტრინაში უჩვეულოდ დიდი ზომის პური დავინახე, რომელიც ათი ერე ღირდა. ყველაზე დიდი პური, რომლის ყიდვაც ამ ფულით შეიძლებოდა...

– სტუდენტ პეტერსენის მისამართის გაგება მინდოდა!

– ბერნტ ანკერის ქუჩა, ნომერი 10, მანსარდა.

იქ მივდივარ? ოჰ, მაშინ თუ არ შევწუხდები, იქნებ მისი წერილებიც წამელო?

კიდევ ერთხელ, იმავე გზით, ქალაქის გარეუბნისკენ მივემართები, ღურგლებს ისევ ჩავუარე, რომლებიც ახლა უკვე სხედან და მუხლებში მოქცეული რკინის ჯამებიდან გემრიელ, ცხელ სადილს მიირთმევენ. საფუნთუშესაც გავცდი, სადაც პური ვიტრინაში ისევ ისე დევს და ბოლოს, როდესაც ბერნტ ანკერის ქუჩას ვალწევ, ღონემიხდილი კინალამ ზღართანს ვადენ. კარი ღია მხვდება და მანსარდისკენ მიმავალ დამრეც კიბეზე ავდივარ. ჯიბიდან წერილებს ვიღებ, რომ შესვლისთანავე ჰანს პაული კარგ გუნებაზე დავაყენო. როცა ჩემს მდგომარეობას ავუხსნი, უარს უეჭველად არ მეტყვის და საშველად ხელს გამომიწვდის; ჰანს პაული ხომ ისეთი დიდი გულის პატრონი იყო და მე ამას ყოველთვის ვამბობდი.

კარზე ბარათი დამხვდა: “ჰ.პ. პეტერსენი, სტუდ. ღვთისმეტყველბრუნდა სახლში”.

დავჯექი, პირდაპირ იატაკზე დავჯექი, ძალღვივით დაღლილი, უსასოობით გაშეშებული. რამდენჯერმე მექანიკურად ვიმეორებ: დაბრუნდა სახლში! დაბრუნდა სახლში! და სრულიად ვდუმდები. თვალები ამომშრალი მქონდა და არანაირი აზრი თუ გრძნობა არ გამაჩნდა. სრულიად უმოქმედოდ ვიჯექი და ფართოდ გახელილი თვალებით წერილებს ვიყავი მიშტერებული. არ ვიცი რამდენ ხანს ვიჯექი ასე. ათი წუთი გავიდა, შესაძლოა ოცი ან მეტი, მე კი ისევ იმავე ადგილას, თითის შეუტოკებლად ვიჯექი. ეს ყველაფერი რალაც უაზრო სიზმარს წააგავდა. მერე კიბეზე ნაბიჯების ხმა ისმის, ვდგები და ვამბობ:

– სტუდენტ პეტერსენს ვეძებ. მისთვის ორი წერილი მაქვს.

– სახლში წავიდა, – მპასუხობს ქალი. – მაგრამ არდადეგების შემდეგ ჩამოვა. წერილებს კი თუ გნებავთ მე გადავცემ.

– გმადლობთ, თქვენ ძალზედ თავაზიანი ბრძანდებით, – მივუგე მე. – ესე იგი, მობრუნებისთანავე წაიკითხავს. შესაძლოა, იქ რალაც მნიშვნელოვანიც ეწეროს. კარგად ბრძანდებოდეთ.

როცა გარეთ გამოვედი, შუა ქუჩაში გავჩერდი და მუშტებშეკრულმა ხმამალა წარმოვსთქვი:

– ჩემო ძვირფასო ღმერთო, ერთ რამეს გეტყვი – შენ ასეთი და ასეთი ხარ! – შემდეგ კბილი კბილს მივაჭირე და ღრუბლებს გაშმაგებით მუშტი მოვუღერე, – წყეულიმც ვიყო, მაგრამ შენ ასეთი და ასეთი ხარ!

რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და შემდეგ, ისევ გავჩერდი. მოულოდნელად გადავსხვაფერდი, გულზე ხელები მორჩილად დავიკრიფე, თავი გვერდზე გადავხარე და ტკბილი, მოკრძალებული ხმით ვიკითხე: “მართლა მიმართე მას, შვილო ჩემო?”

ამან ყალბად გაიჟღერა.

“მას, მთავრული ასოებით, კათედრალივით დიდი ასოებით უნდა ითქვას!“, კიდევ ერთხელ, “მართლა შეჰვედრე მას, შვილო ჩემო?“, თავი ჩავხარე და დამწუხრებულმა ვუპასუხე: “არა.”

და ამანაც ყალბად გაიჟღერა.

“ბრიყვო, შენ არ ძალგიდს ფარისევლობა! დიახ, უნდა გეთქვა, დიახ, მე შევევედრე მამას და ღმერთსა ჩემსას! და ეს სიტყვები გა-

ჭირვებით, ყველაზე სანყალობელი ხმით უნდა გამოგეთქვა, როგორც კი ოდესმე გაგონილი გქონდა. აბა, ერთხელაც სცადე! დიახ, ახლა უკეთესია, მაგრამ ამასთან ერთად, ისე მძიმედ უნდა ქშენდე, როგორც დოღგამოვლილი ულაყი. აი ასე!”

მივდიოდი და საკუთარ თავს ვმოძღვრავდი, როცა მბეზრდებოდა, ბრაზიანად ფეხებს ვაბაკუნებდი და საკუთარ თავს, იმ გამვლელების გასაკვირად, რომლებიც ჩემსკენ იყურებოდნენ, ხისთავას ვეძახდი.

მთელი ამ ხნის მანძილზე ხის ნაფოტს ვლეჭავდი, გაუჩერებლად მივდიოდი და ვერც კი შევამჩნიე, ჯარნბანეტორვეტის მოედანზე როგორ აღმოვჩნდი. მაცხოვრის ტაძარზე საათი ორის ნახევარს უჩვენებდა. შეფიქრიანებული ცოტა ხანს გავჩერდი. სახეზე ოფლი მახამდა და თვალებში ჩამდიოდა. “ნავსადგურისკენ ხომ არ ნავსულიყავი?” – ჩემთვის ვიკითხე. – “რა თქმა უნდა, თუკი საამისოდ გცალია.” საკუთარ თავს კვერი დაუუკარი და ნავსადგურში წავედი.

გემები რეიდზე იდგნენ, წამოქოჩრილი ზღვა მზეზე ელვარებდა. აქაურობა სიცოცხლით ჩქეფდა. გემები დროდადრო გაჰკიოდნენ, ზურგზე ყუთებაკიდებული მტვირთავები მიმოდინდნენ და ორჩხომელებიდან მხიარული სიმღერები ისმოდა. ჩემგან ოდნავ მოშორებით ვილაც ქალი ნამცხვრეულით ვაჭრობს. ისეა თავის საქონელს გადაფოფრილი, გეგონება თავისი გაშავებული ცხვირით აკენკვას უპირებს; მაგიდაზე ნუგბარეული ჰქონდა დახვავებული და მე მას ზიზღიანად ზურგს ვაქცევ. მთელი ნავსადგური არ ააყროლა, ფუჰ! გაანიავეთ სანაპირო! გვერდით მჯდომ ბატონს ვუბრუნდები და დაბეჯითებით იმის მტკიცებას ვინყებ, თუ როგორი მიუღებელია ნებისმიერ ადგილას ნამცხვრით ვაჭრობა.... არ მეთანხმებით?... მაგრამ იმის აღიარება მაინც მოგიწევთ, რომ... ბატონი ეტყობა მიხვდა რომ აბდაუბდას მოვყევი, სათქმელი ბოლომდეც კი არ დამამთავრებინა, ადგა და წავიდა. მეც წამოვდექი და იმ მტკიცე გადანყვეტილებით დავედევენე, რომ მისთვის ჩემი სიმართლე დამემტკიცებინა...

– ეს, თუნდაც სანიტარული თვალსაზრისითაა დაუშვებელი, – დავენიე და მხარზე ხელი მივუტყაპუნე.

– მაპატიეთ, მე ჩამოსული ვარ და სანიტარული წესებისა არაფერი გამეგება, – მიპასუხა მან და შეშინებულმა შემომხედა.

ჩამოსული თუ არის, მაშინ სხვა ამბავია... რითი შემძლია ექმსახურო? აქაურობა ხომ არ დავათვალიერებინო? არა? ამას სიამოვნებით, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე გავაკეთებდი...

მაგრამ მას აშკარად ჩემი თავიდან მოცილება უნდოდა და სასწრაფოდ ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა.

ჩემს სკამს დავუბრუნდი და ისევ ჩამოვჯექი. თავს ძალიან მოუსვენრად ვგრძნობდი და შორიახლოს აჟღერებულმა არღანმა ეს გრძნობა კიდევ უფრო გამიმძაფრა. ერთფეროვანი, ლითონის მუსიკა ვებერს უკრავს, რომლის მელოდიაზე პატარა გოგონა სევდიან ბალადას მღერის... ეს გულისჩამწყვეტი ფლეიტის მსგავსი ბგერები სისხლში მოძრაობენ, ჩემი ნერვები, თითქოს ეხმიანებიანო, თრთოლვას იწყებენ და ცოტა ხანში სკამის საზურგეზე გადანოლილი, მელოდიას ჩუმი ლილინით ვყვები. მშიერი ადამიანი რა შეგრძნებებს აღარ განიცდის! ვგრძნობ, ეს ბგერები როგორ დამეუფლნენ, მათში ვითქვიფები, დავცურავ და მკაფიოდ აღვიქვამ, ეს ნაკადი მთების მიღმა, სინათლეში ცეკვა-ცეკვით როგორ მიტაცებს...

– გაიღეთ ერე! – მეუბნება გოგონა, რომელიც არღნის თანხლებით მღერის და რკინის ჯამს მიწოდებს. – სულ ერთი ერე!

– ახლავე, – დაუფიქრებლად ვპასუხობ, ვხტები და ხელებს ჯიბეებში ვაფათურებ, მაგრამ ბავშვი თვლის, რომ უბრალოდ დავცინი და სასწრაფოდ, ხმის ამოუღებლად მცილდება. ასეთი უსიტყვო მორჩილება ველარ ავიტანე – გამოლანძღვა მერჩინა. ტკივილმა მომიცვა და უკან მოვუხმე. ერთი ერეც არა მაქვს-ვუთხარი, – მაგრამ მალე, შესაძლოა ხვალვე გაგიხსენო. რა გქვია? ლამაზი სახელია, არასდროს დამავიწყდება. ასე რომ ხვალამდე...

მაგრამ მშვენივრად მესმოდა, რომ მან ჩემი სიტყვები არ დაიჯერა, თუმცა კრინტიც არ დაუძრავს. მე კი სასონარკვეთილი ვტიროდი, რომ ამ პატარა, ქუჩის ბავშვს ჩემი არ სჯეროდა. ერთხელაც დავუძახე და ქურთუკის ლილების შეხსნა დავიწყე – ყილეტის მიცემა

მინდოდა. "ამას წინასწარ დაგიტოვებ", კუთხარი, "ერთი წუთით მოიცადე..."

ჟილეტი კი არ მქონდა.

ეს ჟილეტი საიდანლა მომაფიქრდა? უკვე მერამდენე კვირაა მის გარეშე დავდიოდი. რა დამემართა? განცვიფრებული გოგონა ფაცხა-ფუცხით გამეცალა და მეც მისი შეჩერება ველარ შევძელი. ხალხი ჩემს გარშემო მოგროვდა და ხმამალლა იცინის. პოლიციელი კი ვითარების გამოსარკვევად მათ შორის უკვე გზას იკვალავს.

– არაფერი, – ვეუბნები მას. – ნამდვილად არაფერი არ მომხდარა! უბრალოდ, აი იმ გოგონასთვის, ჩემი ჟილეტის მიცემა მინდოდა... უფრო სწორად მამამისისთვის... ტყუილად იცინით. უბრალოდ, სახლში კიდევ ერთი მაქვს.

– ქუჩა აურზაურის ადგილი არ არის! – განაცხადა პოლიციელმა. – ასე რომ, თქვენ გზას დაადექით. – მითხრა მან და მსუბუქად ხელი მიბიძგა. – ეს თქვენი ქალაღდება? – მომაცხა ზურგში.

– ეშმაკმა ნაილოს, დიახ, ეს ჩემი საგაზეთო სტატიია, ძალიან მნიშვნელოვანი ხელნაწერია!..

ფურცლები ხელიდან თითქმის გამოვტაცე, დავრწმუნდი, რომ წესრიგში იყო და ყოველგვარი შეყოვნების გარეშე, უკანმიუხედავად რედაქციის ოფისისკენ გავემართე. მაცხოვრის ტაძრის საათი ოთხს უჩვენებდა.

რედაქცია დაკეტილი დამხვდა. კიბეზე უჩუმრად, ქურღივით ჩამოვედი და გასასვლელთან დაბნეული გავჩერდი. ახლა რალა გავაკეთო? კედელს ვეყუდები, ქვაფენილს ვაჩერდები და ვფიქრდები. ფეხებთან მობრჭყვიალე ქინძისთავს ვამჩნევ, ვიხრები და ვიღებ. ჩემს ქურთუკს ღილები რომ დავაჭრა, ნეტავ რამდენს მომცემენ? ალბათ დიდ ხეირს არც უნდა ველოდო, ღილები ხომ მხოლოდ ღილებია; მიუხედავად ამისა, მაინც ყურადღებით შევათვალე რე და აღმოვაჩინე, რომ ახლებივით იყვნენ. ყველა შემთხვევაში ეს ჭკვიანური აზრი იყო: ჩემი გატეხილი ჯაყვით ავჭრიდი და სარდაფში ჩავაბარებდი. ამ ხუთი ღილის გაყიდვის იმედით მაშინვე გამოვცოცხლდი და ვთქვი: "ყველაფერი კარგად იქნება, აი ნახავ!" უზომო სიხარულ-

მა შემიპყრო, ერთი მეორეს მიყოლებით ღილების აჭრას შევუდექი და თან უხმოდ ვლაპარაკობდი:

დიას, საქმე იმაშია, რომ ერთგვარად გავლატაკდი, დროებითი სიძნელეები მაქვს... თქვენ ამბობთ გაიცრიცნენ? ენა წინ ნუ გისწრებთ, გთხოვთ! სიამოვნებით ვნახავდი ისეთ ადამიანს, რომელიც ღილებს ჩემზე მეტად უფრთხილდება. ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ ყოველთვის გახსნილი ქურთუკით დავდივარ; ასეთი ჩვევა გამომიმუშავდა, უცნაურია.....თუ არა გნებავთ, რა გაენცობა... მაგრამ ამათში ათ ერეზე ნაკლებს არ დავჯერდები, სულ მცირე... არა, ღმერთო ჩემო, ვინმეს ოდესმე უთქვამს, რომ ეს თქვენ უნდა გააკეთოთ? შეგიძლიათ, რომ მოკეტოთ და მაცალოთ... თუ ასეა, მაშინ პოლიციელს დაუძახეთ. სანამ ოფიცერთან ერთად არ მობრუნდებით, დაგელოდებით და არაფერს არ მოგპარავთ... კეთილი, მშვიდობით, მშვიდობით! გვარად ტანგენი გახლავართ, სახლიდან ცოტა გვიან გამოვედი...

მერე კიბეზე ნაბიჯების ხმა ისმის. მყისვე სინამდვილეს ვუბრუნდები; ეს "მაკრატელია", ვიცანი თუ არა ღილებს ჯიბეში ვიყრი. გვერდზე ჩავლას აპირებს, უცებ გულდასმით თავისი ფრჩხილების თვალიერებას იწყებს და ჩემ მისალმებასაც არ იმჩნევს. ვაჩერებ და რედაქტორს ვკითხულობ.

– აქ არ არის.

– თქვენ სტყუით! – ვუთხარი და საკუთარი თავხედობით გაოგნებულმა გავაგრძელე, – აუცილებლად უნდა დაველაპარაკო. პრემიერ-მინისტრთან დაკავშირებით რალაც შეტყობინება მაქვს.

– არ შეგიძლიათ, რომ მე მითხრათ?

– თქვენ? – ვთქვი და ავათვალე რამოვავთვალე რე.

ამან შედეგი გამოიღო. მაშინვე ზემოთ მიმიპატიჟა და კარი გამიღო. მღელვარებისგან სული შემიხუთდა, გასამხნეველად კბილი კბილს დავაჭირე, დავაკაკუნე და რედაქტორის კაბინეტში შევედი.

– გამარჯობათ! თქვენ ხართ? – თბილად მომესალმა. – ჩამოჯექით, თუ შეიძლება.

მაშინვე კარისკენ რომ მიეთითებინა, თავს გაცილებით უკეთ ვიგრძნობდი. თვალეზე ცრემლი მომადგა და ვთქვი: "ბოდიშს გიხდით..."

– დაბრძანდით, – გამიმეორა მან.

დავჯექი და ავუხსენი, რომ ახალი სტატია მქონდა დანერილი, რომელიც დიდი ტკივილისა და ძალისხმევისა ფასად შეიქმნა და ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ის ამ გაზეთში დაბეჭდილიყო.

– აუცილებლად წავიკითხავ, – მითხრა მან და სტატია გამომართვა. – ყველაფერი, რასაც წერთ, ალბათ დიდი ძალისხმევის ფასად გიჯდებათ, მაგრამ უკიდურესად დაძაბული ხართ. უფრო ზომიერად წერა რომ შეგეძლოთ! მუდამ გადამეტებული მგზნებარება გაქვთ. თუმცა ამას მაინც წავიკითხავ. – და ისევ თავის საქმეს მიუბრუნდა.

მე კი ისევ ვიჯექი. გამებედა და ერთი კრონი მეთხოვა? ამეხსნა, ეს მუდმივი მგზნებარება რატომ მქონდა? ის რა თქმა უნდა დამეხმარება; პირველი შემთხვევა ხომ არ იყო.

წამოვდექი. ჰმ! მაგრამ ბოლოს, მასთან რომ ვიყავი, ფულზე დაიჩივლა და ჩემთვის თანხის შესაკონინებლად მოლარე სადღაც გაგზავნა. ალბათ ახლაც ასე იქნება. არა, ეს დაუშვებელია. განა ვერ ვხედავდი, რომ მუშაობდა?

– კიდევ რაიმე ხომ არ გნებავთ? – მკითხა მან.

– არა! – ვუპასუხე და შევეცადე ჩემი ხმისთვის სიმტკიცე მიმენიჭებინა. – როდის შემოვირბინოთ?

– ოჰ, ნებისმიერ დროს როცა ჩამოვივლით, – მომიგო მან. – ვთქვათ, ასე, ორი დღის შემდეგ.

ჩემი თხოვნა ვერ ამოვლერღე. ამ კაცის თავაზიანობას საზღვარი არ უჩანდა და ამის არდაფასება არ შეემძლო. ჯობდა შიმშილით მოვმკვდარიყავი. და წამოვედი.

რედაქციიდან კრონის უთხოვნელად წამოსვლა მაშინაც კი არ მინანია, როცა შიმშილმა ისევ ტანჯვა დამიწყო. ჯიბიდან ხის ნაფოტი ამოვიღე და პირში ჩავიდე. თავი ისევ უკეთ ვიგრძენი. აქამდე ამის გაკეთება რატომ არ მომაფიქრდა? “უნდა გრცხვენოდეს!” ხმამალლა მივმართე საკუთარ თავს. “თავში როგორ მოგივიდა ამ კაცისთვის კრონი გეთხოვა და უხერხულ მდგომარეობაში ჩაგყენებინა?” და ამგვარი უსირცხვილობის გამოვლენისთვის თავი მკაცრად ვამხილე. “ცხოვრებაში მსგავს სიმდაბლეს არ წავ-



წყდომივარ! ადამიანს მივარდე, ლამის თვალები ამოუკანრო, მხოლოდ იმის გამო, რომ შენ, საცოდავ ძალღს, კრონი დაგჭირდა. ასე რომ, გაინძერი! სწრაფად! სწრაფად, შე ხეპრე! მე შენ გასწავლი ჭკუას!

საკუთარი თავის დასასჯელად ქუჩიდან ქუჩაზე დავრბოდი, საკუთარ თავს მივერეკებოდი, ფიქრებში ვტუქსავდი და როგორც კი სირბილს ვანელებდი, თავს ცოფიანივით ვუყვიროდი. ამასობაში კი პილესტრადეტზე აღმოვჩნდი. როდესაც ბოლოს და ბოლოს გავჩერდი, გააფთრებისგან ტირილი მომინდა, რადგან მეტი სირბილის თავი აღარ მქონდა, მთელი სხეულით ვკანკალებდი და რომელიღაც საფეხურზე ჩამოვჯექი. “არა, დაიცადე!” ვთქვი და იმისთვის რომ საკადრისად დავსჯილიყავი, ავდექი და თავი ვაიძულე ფეხზე ვმდგარიყავი. საკუთარ თავს დავცინოდი და ჩემი უძლურება მახარებდა. ბოლოს, რამდენიმე წუთის შემდეგ, თავი დავაქნიე და თავს ჩამოჯდომის უფლება მივეცი; მაგრამ მაშინაც კი საფეხურებზე ყველაზე მოუხერხებელი ადგილი ავირჩიე.

ღმერთო, რა ტკბილი ყოფილა დასვენება! შუბლიდან ოფლი მოვინმინდე და სუფთა ჰაერს ყლუპ-ყლუპად ვსვამდი. რა ვირბინე! მაგრამ საკუთარი თავის მიმართ სიბრალულის გრძნობა არ გამჩენია, ასეც მომიხდება. რატომ მინდოდა იმ კრონის გამორთმევა? ახია ჩემზე! და საკუთარ თავს ალერსიანად, როგორც დედა შვილს, ისეთი ლაპარაკი დავუწყე. ამან გული უფრო ამიჩუყა და დაღლილი და ღონემიხდილი ავტირდი. ეს ჩუმი და გულამოსკვნილი ტირილი იყო, შინაგანი გოდება ცრემლების გარეშე.

ერთ ადგილას თხუთმეტ წუთზე მეტ ხანს დავყავი. ადამიანები მიახლოვდებოდნენ და მცილდებოდნენ და არავის შევუწუხებია. ჩემს გარშემო ბავშვები თამაშობდნენ და ქუჩის მეორე მხარეს, ხეზე პატარა ჩიტი ჭიკჭიკებდა.

თავზე პოლიციელი დამადგა და მითხრა: “აქ რატომ ზიხართ?”

– აქ რატომ ვზივარ? – გავიმეორე. – იმიტომ, რომ ასე მომწონს.

– უკვე მთელი ნახევარი საათია თვალს გადევნებთ, თქვენ ხომ ნახევარი საათია რაც აქა ხართ?

- დიახ, დაახლოებით ასეა, - ვუპასუხე. - და მერე რა? - გაბრაზებული წამოვხტი და იქაურობას გავეცალე.

როცა ბაზარს მივალწიე, გავჩერდი და დაბლა ყურება დავინწყე. იმიტომ, რომ ასე მომწონს! ეს რა პასუხია? უნდა გეთქვა: იმიტომ, რომ დაღლილი ვარ, და ეს რაც შეიძლება სანყალობლად უნდა გეთქვა. ხისტავა ხარ და თვალთმაქცობას ვერასდროს ვერ ისწავლი. იმიტომ რომ გადავიღალე! და ცხენივით, მძიმედ უნდა ამოგესუნთქა.

როდესაც სახანძროს მივუახლოვდი ისევ გავჩერდი, რადგან თავში ახალი აზრი მომიფრინდა. თითები დავატკაცუნე, ხმამაღალი სიცილი წამსკდა, რამაც გამვლელთა გაკვირება გამოიწვია, და ვთქვი: "იცი, ახლა უნდა წახვიდე და პასტორ ლევიონს ესტუმრო. დიახ, რატომაც არ უნდა წახვიდე. დასაკარგი არაფერი გაქვს, თანაც ასეთი მშვენიერი ამინდია."

პაშას წიგნების მაღაზიაში შევედი, მისამართების წიგნში პასტორ ლევიონის ადგილსამყოფელი მოვძებნე და გავემართე. ახლა ან არასდროს! - ვუთხარი თავს. და ყოველგვარი ხუმრობის გარეშე! სინდისიო, ამბობ? სისულელეა, შენ ზედმეტად ღარიბი ხარ იმისთვის, რომ საკუთარ სინდისს ელოლიავო. მშვიერი ხარ და არ დაგავინწყდეს, რომ მნიშვნელოვან საქმეზე, ყველაზე აუცილებელის სათხოვნელად მიდიხარ. მაგრამ თავი მხარზე უნდა დაიდო და გულისშემძვრელი ხმით ილაპარაკო. არ გინდა? მაშინ იცოდე, რომ შენთან აღარ ვარ. შეხედე, როგორი გატანჯული ხარ, ღამლამობით უზარმაზარ, სიჩუმის ურჩხულებს და ბნელეთის ძალებს ებრძვი, შიშშიღობ და ღვინო და რძე გწყურია და ვერ შოულობ. აქამდე ამ გზით მოაღწიე და არაფერი არ გაბადია. მაგრამ მაღლობა ღმერთს, წყალობისა გჯერა და რწმენა ჯერ კიდევ არ დაგიკარგავს! და იმისათვის რომ მოწყალებისა გჯეროდეს, გულზე ხელები უნდა დაინყო და სატანაზე ეშმაკი გახდე. მამონას რაც შეეხება, მისი ყველანაირი გამოვლინება გძულს; სხვა საქმეა ლოცვანის წიგნი და სამახსოვროდ ორიოდე კრონი მიიღო... პასტორის კართან გავჩერდი და წავიკითხე: "მიღების საათები: 12-დან 4-მდე."

ახლა სისულელეების გარეშე! სახუმარო ამ საქმეში არაფერია! ასე რომ თავი დახარე, ცოტა კიდევ... ზარი კერძო შესასვლელთან დავრეკე.

– პასტორის ნახვა მინდოდა, – ვუთხარი მოახლეს. მაგრამ ლმერთის ხსენება მაინც ვერ ჩავურთე.

– გასულია, – მიპასუხა მან.

გასულია! გასულია! გეგმები ერთბაშად ჩამეშალა, მომზადებული სიტყვები გამოუსადეგარნი გახდნენ. ასე შორს სიარულმა რა შედეგი მომიტანა? ადგილიდან ფეხი ვერ მოვიცვალე.

– მნიშვნელოვანი საქმე გაქვთ? – მკითხა მოახლემ.

– არა, არა! – ვუპასუხე. – სრულიად უმნიშვნელო! უბრალოდ, დღეს ისეთი მშვენიერი ამინდია, რომ გასეირნება და პასტორისათვის ჩემი პატივისცემის გამოხატვა მინდოდა მხოლოდ.

ორივენი გაუნძრევლად ვიდექით. განზრახ ისე გავიჭიმე, რომ ქინძისთავით შეკრული ქურთუკი დაენახა; გუნებაში ვევედრებოდი ჩემი მოსვლის მიზეზი ამოეცნო, მაგრამ ეს სანყალი ვერაფერს მიხვდა.

ამინდი ღვთის წყალობით მართლაც მშვენიერია. დიასახლისიც არ არის?

დიახ, სახლშია, მაგრამ რევმატიზმი აქვს, ვერ ინძრევა და ტახტზეა წამოწოლილი... ალბათ ბარათის ან რაიმეს დატოვება მსურს?

არა, სრულიადაც არა. უბრალოდ ზოგჯერ, სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად სასეირნოდ ასე გამოვდივარ. ეს ისეთი სასარგებლოა, განსაკუთრებით სადილის შემდეგ.

წამოვედი. ლაქლაქის გაგრძელებას რა აზრი ჰქონდა? თანაც ამ დროს თავბრუსხვევა დამეწყო; ეს კი სახუმარო არ იყო, რადგან შეიძლება სადმე დავვარდნილიყავი კიდევ. “მიღების საათები: 12-დან 4-მდე.” კარზე დაკაკუნება მთელი ერთი საათით დავაგვიანე: მოწყალების დრო ამონურული იყო!

ბაზრის მოედანზე, ტაძართან ახლოს სკამზე ჩამოვჯექი. ლმერთო, როგორი შავბნელი მეჩვენებოდა მომავალი! არ ვტიროდი, რადგან ამის თავი აღარ მქონდა; ბოლო ზღვრამდე გატანჯული, უმოძ-

რაოდ, უმიზნოდ ვიჯექი და შიმშილი მანამებდა. განსაკუთრებით მკერდი მქონდა გახურებული, შიგნეული გაუსაძლისად მეწვოდა. ნაფოტის დალეჭვა ვცადე, მაგრამ ამანაც აღარ მიშველა; ამდენი უსარგებლო მუშაობით ყბები დამელალა, შევეშვი და ხელიც ჩავიქნიე! ამასთან ერთად, ფორთოხლის ქერქის ყავისფერმა ნაკუნმა, რომელიც ქუჩაში ვიპოვე და მაშინვე ლეჭვა დაუწყე, გულისრევის შეგრძნება დამმართა. ავად ვიყავი; მაჯებზე ამობერილი ძარღვები გალურჯებული მქონდა.

მაშინ დროს რატომღა ვწელავდი? მთელი დღე კრონის შოვნას შევალე, რომელსაც კიდევ რამდენიმე საათით ჩემი სიცოცხლის გახანგრძლივება შეეძლო. როდესაც ყველაფერი უკვე ნათქვამი და გაკეთებული იყო, რა აზრი ჰქონდა, გარდაუვალის ერთი დღით ადრე თუ გვიან მოხდენას? წესიერი კაცი ჩემ ადგილას დიდი ხნის წინ სახლში წავიდოდა და აღსასრულს მორჩილად შეეგებებოდა. გონება გადამენმინდა: კვდებოდი. შემოდგომა იდგა და ყველაფერს ეძინა. ყველა ღონე ვიხმარე, ყველაფერი ვცადე. ამ აზრს ველოლიავებოდი და ყოველ ჯერზე, როცა კი იმედის ნაპერწკალი გამოკრთებოდა, მწუხარებით ვჩურჩულებდი: "სულელო, შენ უკვე კვდები!" რალაც წერილები მქონდა დასაწერი, ყველაფერი მოსაწესრიგებელი, მოსამზადებელი მქონდა. უნდა დამებანა და ლოგინი კოხტად გამეშალა. თავქვემ სუფთა საწერ ფურცლებს დავიდებ – ეს ყველაზე წმიდათანმიდა იყო, რაც კი გამაჩნდა. ხოლო მწვანე საბანი შემეძლო...

მწვანე საბანი! უცბად გამოვფხიზლდი, თავში სისხლი ამივარდა და გულმა ბაგაბუგი დამიწყო. სკამიდან წამოვხტი და სიარული დავინწყე; სხეულის ყველა ნაკვთში სიცოცხლემ ისევ გაიღვიძა და გაუჩერებლად ვიმეორებდი: მწვანე საბანი! მწვანე საბანი! ნაბიჯს სულ უფრო ვუჩქარებ, თითქოს რალაცის დაწვეას ვლამობდე და მალე ისევ ჩემს სახლში – მეთუნუქის სახელოსნოში ვარ.

დაუყოვნებლად და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე სანოლთან მივდივარ და ჰანს პაულის საბანს ვახვევ. თავში ისეთი მშვენიერი აზრი მომივიდა, გამიკვირდებოდა, რომ მას არ გადავერჩინე! საკუთარი, სამარცხვინო ჭოჭმანი დავძლიე და ყველაფერზე ხელი ჩავიქ-

ნიე. ბოლოს და ბოლოს წმინდანი ხომ არ ვიყავი, რომ იდიოტივით ზნეობას გადავყოლილიყავი, ჯერ კიდევ სალი გონება მქონდა...

საბანი ილლიაში ამოვიდე და სთენერის ქუჩის ხუთი ნომრისკენ გავეშურე.

დავაკაკუნე და დიდ, უცნობ დარბაზში პირველად შევაბიჯე. თავს ზემოთ კარის ზანზალაკმა ბევრჯერ და სასონარმკვეთად გაინკარუნა. მეზობელი ოთახიდან ვილაც საჭმლით პირგამოტენილი კაცი გამოვიდა და დახლის უკან დადგა.

– გეთაყვა, ამ სათვალეში ნახევარი კრონი მასესხეთ! – ვთქვი. – რამდენიმე დღეში აუცილებლად გამოვისყიდი.

– რაა? ჩარჩო ხომ რკინისაა?

– დიახ.

– არა, არ შემიძლია.

– რა თქმა უნდა, არა. ეს ხუმრობა იყო. აი აქ კი საბანი მაქვს, რომელიც უკვე აღარ მჭირდება და ვიფიქრე იქნებ თქვენ გამოგადგეთ.

– სამწუხაროდ საბნების მთელი სანყოფი მაქვს, – მომიგო მან, და როცა საბნის გაშლა დავიწყე, თვალი ჰკიდა და წამოიძახა: “ბოლომს გიხდით, მაგრამ ეს არც გამომადგება რამეში.”

– მინდოდა ჯერ შიდა მხარე გენახათ, გარედან გაცილებით უკეთ გამოიყურება.

– ალბათ ასეცაა, მაგრამ მაინც არ მჭირდება, არ მინდა, თქვენ კი ამაში ათ ერესაც არავინ მოგცემთ...

– გასაგებია, რომ არაფრად არ ღირს, – დავეთანხმე. – მაგრამ ვიფიქრე ეგებ სხვა ძველ საბანთან ერთად გაყიდულიყო.

– არა, ამაოდ სცდებით.

– ოცდახუთი ერე? – ვთქვი მე.

– არა ბატონო! უბრალოდ არ მინდა, არ მსურს, რომ ეს სახლში მქონდეს.

საბანი ისევ ილლიის ქვეშ ამოვიდე და სახლში წამოვედი. თითქოს არც არაფერი მომხდარა, საბანი ლოგინს გადავაფარე, გულმოდგინედ გავასწორე და ჩემი ბოლო ქმედების დავინწყებას შევეცა-

დე. ეტყობა როცა ამ მდაბალ ავანტიურაზე წავედი, სრულ ჭკუაზე არ უნდა ვყოფილიყავი; და რაც უფრო დიდხანს ვფიქრობდი ამაზე, საკუთარი ქმედება უფრო უაზრობად მეჩვენებოდა. რა თქმა უნდა, ეს სისუსტის, რაღაც შინაგანი დაუძღურების გამოხატულება იყო. ყოველ შემთხვევაში, ხაფანგში მაინც არ გავები, რაღაც ძალამ მითხრა, რომ თავს უბედურებაში ვყოფდი და მევახშეს პირველად სათვალე შევთავაზე. ახლა კი ბედნიერი ვიყავი, რომ არ შეეცოდე და სიცოცხლის ბოლო საათები არ ჩავიშხამე.

ისევ ქუჩებში დავხეტიალობდი.

მაცხოვრის ტაძართან ახლოს, სკამზე კიდევ ერთხელ ჩამოვჯექი და ცოტა ხნის წინანდელი მღელვარებისგან გასავათებულმა, შიმშილისგან გაცვეთილმა და დაავადებულმა თავი დავხარე. დრო გადიოდა.

ისედაც ღია ცისქვეშ მერჩივნა ყოფნა; ამ დროს გარეთ მეტი სინათლე იყო ვიდრე სახლში; ამას გარდა, მეჩვენებოდა, რომ სუფთა ჰაერზე მკერდში ტკივილი ნაკლებად მღრღნიდა. სახლში მიბრუნება კი მაინც მალე მომიწევდა.

ვთვლემდი, ვფიქრობდი და ძალიან ვიტანჯებოდი. ქვაფენილიდან კენჭი ავიღე, გადავწმინდე, პირში ჩავიდე და წუნნა დავუნყე; მეტი მოძრაობა თვალეებითაც კი არ გამიკეთებია. ხალხი მიდი-მოდიოდა. ჰაერს ეტლების გრუხუნის, ფლოქვების ცემის ხმა და ლაპარაკი ავსებდა.

შემძლო ბედი ღილებით მეცადა, მაგრამ, რა თქმა უნდა, აქედან არაფერი გამოვიდოდა, თან მართლა ავად ვიყავი. თუმცა, სახლში დაბრუნება მაინც იმ ჩემი ნაცნობი “ბიძიას“ სარდაფის გავლით მიწევდა.

ბოლოს როგორც იქნა ავდექი და ღონემიხდელი ქუჩებში გავლასლასდი. შუბლი მიხურდა, ციებ-ცხელება მეწყებოდა და რაც შემძლო ვჩქარობდი. ისევ იმ საფუნთუშეს ჩავუარე, სადაც ვიტრინაში ის პური ჰქონდათ გამოფენილი. წამოდი, ჩვენ აქ არაფერი გვესაქმება, წარმოვთქვი ნაძალადევი სიმტკიცით. მაგრამ რა მოხდა რომ შევიდე და პურის ნატეხი ვითხოვო? ეს მყისიერი აზრი იყო,

რომელმაც ნაპერწკალივით გაიელვა; გრცხვენოდეს! ჩავიჩურჩულე, თავი გავაქნიე და გზა გავაგრძელე, თან საკუთარ თავს დავცინოდი. შესანიშნავად ვიცოდი, რომ ამგვარი თხოვნით მალაზიაში შესვლას აზრი არ ჰქონდა.

სადარბაზოს შესასვლელთან შეეყვარებულები ჩურჩულებდნენ. ოდნავ მოშორებით ფანჯრიდან გოგომ გადმოიხედა. ისე ნელა და ფრთხილად მივაბიჯებდი, თავში ნებისმიერი აზრი შეიძლება მქონოდა – და გოგო ქუჩაში გამოვიდა.

– როგორ ხარ, მეგობარო? რა გჭირს, ავად ხარ? ღმერთო შენ გვიშველე, რა სახეა! – და გოგო სწრაფად გამერიდა.

მაშინვე გავჩერდი. რა სახე უნდა მქონოდა? მართლა ხომ არ კვკვდებოდი? ლოყებზე ხელები ჩამოვისვი: გამხდარი, რა თქმა უნდა ძალიან გამხდარი, ლოყები ლამბაქებივით მქონდა შეწეული. ღმერთო ჩემო! გზა განვაგრძე.

შემდეგ ისევ გავჩერდი. როგორც ჩანს წარმოუდგენლად გამხდარი ვიყავი. ყვრიმალეებში ღრმად ჩაცვენილი თვალები მქონდა. საინტერესოა ნეტავ რას ვგავდი? ერთი ეშმაკმა იცის, მხოლოდ შიმშილის გამო ასეთ საფრთხობელად რატომ უნდა გადაიქცე! ისევ სიმამაგემ შემიპყრო, ეს თითქოს ბოლო აფეთქება, კრუნჩხვა იყო. ღმერთო შენ გვიშველე, რა სახეა, ეჰ! მე, მხრებზე ისეთი თავის პატრონი, რომელსაც მთელ ქვეყანაზე ბადალი არ მოეძებნებოდა და ისეთი მუშტები მქონე, ნიძლავზე ქალაქის მეკურტნეს რომ გააცამტყვრებდა, ქრისტიანიის ცენტრში შიმშილისგან საფრთხობელად ვიყავი გადაქცეული! რა აზრი და ჩანაფიქრი იყო ამაში? სალორეში ვცხოვრობდი. დილიდან-საღამომდე ვცოდვილობდი. კითხვით თვალები გავიფუჭე და შიმშილით ტვინი გამიხმა. სანაცვლოდ კი რა ჯანდაბა მივიღე? ქუჩაში მოსიარულენიც კი მიფრთხიან და ჩემს დანახვაზე “ღმერთო ჩემოს” გაჰყვირიან; მაგრამ ამას უკვე ბოლო მოელო, გასაგებია; ეს უნდა დამთავრდეს ან ეშმაკმაც წამილოს!.. ცოფმორეულს მაძაგძაგებდა და კბილებს ვაღრჭიალებდი. დროდადრო სისუსტე მერეოდა, ვქვითინებდი, ვილანძღებოდი და მივლასლასებდი ისე, რომ გამვლელებს ყურადღებას არც კი ვაქცევდი. ისევ საკუ-

თარი თავის ტანჯვა დავიწყე, შუბლით ფარნის ბოძებს ვეხლებოდი, ფრჩხილებს ხელებში ღრმად ვისობდი, როცა უთავბოლოდ ლაპარაკს ვიწყებდი, გაგვიყვებული ენას ვიკვნივტი და ტკივილის გრძნობაზე ვხარხარებდი.

– კი, მაგრამ რაღა უნდა ვქნა? – ბოლოს საკუთარ თავს მივმართე. რამდენჯერმე ფეხები დავაბაკუნე და გავიმეორე: “რაღა უნდა ვქნა?” ვილაც შემთხვევითმა გამვლელმა ღიმილით მითხრა: “უნდა ნახვიდეთ და ითხოვოთ დაგაპატიმრონ.”

თვალი გავაყოლე. ეს ბატონი ცნობილი გინეკოლოგი, მეტსახელად “ჰერცოგი” იყო. ჩემს მდგომარეობას ისიც კი ვერ მიხვდა – კაცი, რომელსაც ვიცნობდი და ხელიც ჩამომირთმევია. დავწყნარდი. დამაპატიმრონ? რა თქმა უნდა, შეშლილი ვიყავი; ის მართალი იყო. სიგიჟეს სისხლში და ტვინში ნაპერწკლებად ვგრძნობდი. აი თურმე როგორ დავამთავრებდი! დიახ, დიახ! ნელი, სამგლოვიარო ნაბიჯით მივდიოდი. მაშასადამე, ასეთი ბედი მელოდა!

უეცრად ისევ გავჩერდი. ოღონდ ეს არა, ვთქვი, ოღონდ ეს არა! შიშისგან ხმა წამერთვა. ვიხვენებოდი, რომ დაპატიმრებას ავცდენოდი. თავს ხომ ისევ საპყრობილეში ამოვყოფდი, სადაც ისეთ ბნელ საკანში ჩამამწყვედენენ, სინათლის სხივიც რომ ვერ ატანდა. ოღონდ ეს არა! სხვა საშუალებებიც იყო, რომლებიც ჯერ არ მომიხინჯავს. მაგრამ აუცილებლად ვცდი, უკან არ დავიხევ, დროს არ დავინანებ და სახლიდან სახლში ვივლი. აი მაგალითად, სისლერის მუსიკალური მაღაზია, იქ ჯერ არ შემიხედავს. რაღაცა მაინც გამოჩნდება.... მივდიოდი და საკუთარ თავს ამგვარად ველაპარაკებოდი, სანამ ისევ გრძნობები არ მომეძალნენ და არ ავტირდი. ნებისმიერი რამ, ოღონდაც არ დამაპატიმრონ!

სისლერი? იქნებ ეს ზემთავონებაა? მისი სახელი თავში თავისთავად მომივიდა; ძალიან შორს კი ცხოვრობდა; მაგრამ მივაკითხავ, ნელა, სვენებ-სვენებით ვივლი. ეს ადგილი კარგად ვიცოდი, ძველ კარგ დროს იქ ნოტების ფურცლების შესაძენად ხშირად დავდიოდი. რა იქნება ნახევარი კრონი რომ ვთხოვო? თუმცა ამან შეიძლება შეაცბუნოს; ალბათ აჯობებდა ერთი მთლიანი კრონი მეთხოვა.



მაღაზიაში შევედი და პატრონი მოვიკითხე; მიმითითეს სადაც უნდა მივსულიყავი. ოთახში მოდურად ჩაცმული სიმპათიური კაცი დამხვდა, რაღაც ქაღალდებს ათვალიერებდა.

ბოდიშის მაგვარი ამოვილულულე და მოსვლის მიზეზი ავუხსენი. გასაჭირმა მაიძულა თქვენთვის მომემართა... ფულს ძალიან სწრაფად დაგიბრუნებთ... როგორც კი სტატიიაში ჰონორარს ავიღებ... განუზომელ სიკეთეს ჩაიდენთ ჩემს...

ლაპარაკი ჯერ დამთავრებულიც კი არ მქონდა, როცა ის ისევ მაგიდას მიუბრუნდა და თავისი საქმიანობა განაგრძო. როდესაც გაჩუმდი, აღმაცერად შემომხედა, თავისი ლამაზი თავი გააქნია და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე უარი, უბრალოდ "არა" მითხრა.

მუხლები მიკანკალებდა და პატარა, გაპრიალებულ კარადას მივეყრდენი. გადავწყვიტე კიდევ ერთხელ მეცადა. მისი სახელი რაღა მაინც-დამაინც ფატერლანდში ყოფნის დროს მომივიდა? მარცხენა ფერდში ჩხვლეტა ვიგრძენი და ოფლმა დამასხა. ჰმ. ძალიან დასუსტებული და, ვშიშობ, ავადაც ვარ. მაგრამ თითქმის დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ არაუგვიანეს ორ დღეში ვალის დაბრუნების შესაძლებლობა მექნება. თუკი ის ხელს გამიმართავდა?

– ძვირფასო, ჩემთან რატომ მოხვედით? – თქვა მან, – თქვენ ჩემთვის სრულიად უცნობი, ქუჩიდან მოსული კაცი ხართ. გაზეთს მიმართეთ, სადაც გიცნობენ.

– მაგრამ მე მხოლოდ ერთი დღითა გთხოვთ! – ვთქვი მე. – რედაქცია უკვე დაკეტილია, მე კი ძალიან მშვიერი ვარ.

მან თავის კანტური დაიწყო და მაშინაც არ გაჩერებულა, როცა უკვე კარის სახელურს ჩაეჭიდე ხელი.

– "მშვიდობით!" – ვთქვი მე.

– ეს ზეშთაგონება არა ყოფილა, – გავიფიქრე და მწარედ ჩამელიმა. ასეთი სიმალლიდან შთაგონებას მეც კი მოვახერხებდი. ქუჩიდან ქუჩაზე გადავდიოდი. დრო და დრო საფეხურებზე მცირე შესვენებებს ვაკეთებდი. ოღონდაც არ დამაპატიმრონ! ბნელი საკნის შიში თანმდევდა და მოსვენებას ერთი ნუთითაც კი არ მაძლევდა; ყოველ

ჯერზე, როგორც კი პოლიციელს თვალს მოვკრავდი, მაშინვე გვერდით ქუჩაზე ვუხვევდი, რომ არ შეეფეთებოდი. აბა, ახლა ასი ნაბიჯი გადავითვალოთ და ბედი ისევ ვცადოთ! ოდესმე რაიმე ხომ უნდა გამოვიდეს.

ძაფების პატარა მალაზია იყო, სადაც ფეხი არასოდეს არ შემიდგამს. დახლთან უბრალო შესახედაობის კაცი იდგა, რომლის უკან მომიჯნავე ოთახის ფაიფურის აბრიანი კარი, სავსე თაროებისა და მაგიდების გრძელი რიგი იყო. დავიცადე, სანამ მალაზიიდან ბოლო მყიდველი, ახალგაზრდა ქალბატონი, ლოყებზე პანია ჩაღრმავებები რომ ჰქონდა, არ გავიდა. როგორი ბედნიერი იერი ჰქონდა! არ მინდოდა ჩემს ქურთუკზე ქინძისთავი დაენახა და შეეცტრიალდი.

– რითი გემსახუროთ? – მკითხა დახლიდარმა.

– მეპატრონის ნახვა მინდოდა?

– იოთუნჰაიმენის მთებში გაემგზავრა, – მიპასუხა მან. – მნიშვნელოვანი საქმე გაქვთ?

– პურისტვის რამდენიმე ერე მჭირდება, – ნაძალადევი ღიმილით ვთქვი მე. – მშიერი ვარ და ჯიბეში ერთი ერეც არ მიდევს.

– ასეთ შემთხვევაში მეც თქვენნაირი მდიდარი ვარ, – მომიგო მან და ყუთებში ძაფების გადალაგება დაიწყო.

– უარს ნუ მეტყვით, ახლა ნუ მეტყვით! – უცებ სიცივემ დამიარა. – დამიჯერეთ, შიმშილით ვკვდები, – უკვე რამდენიმე დღეა პირში ლუკმა არ ჩამსვლია.

დახლიდარს კრინტი არ დაუძრავს, მთელი სერიოზულობით ერთი მეორეს მიყოლებით ჯიბეები ამოიტრიალა. როგორ თუ სიტყვაზე არ ვენდობოდი?

– მხოლოდ ხუთ ერესა გთხოვთ, – ორ დღეში კი ათს მოგიბრუნებთ.

– რა, გინდათ ფული სალაროდან მოვიპარო? – მოთმინებადაკარგულმა იკითხა მან.

– დიახ! – ვუპასუხე. – ის ხუთი ერე სალაროდან აიღეთ.

– ასეთი რამ არა მჩვევია, – მომიჭრა მან და დაამატა, – საკმარისია, თანაც უკვე ვიკეტებით.

იქიდან შიმშილით ღონემიხდილი და სირცხვილით გათანგული წამოვედი. ეს უნდა დამთავრებულყო! ეს უკვე მეტისმეტი იყო. რამდენი წელია მედგრად ვიდექი, მძიმე წუთებში ღირსება არ დამიკარგავს და ახლა უცებ ასეთ მათხოვრობამდე დავეცი. ერთ დღეში, ჩემი უსირცხვილობით ყველა ამაღლებული აზრი დავასამარე და გული დავაბინძურე. თვალცრემლიანი, საცოდავ გამყიდველებს ურცხვად მოწყალებას ვთხოვდი. და ამან რა მომიტანა? განა ისევ ლუკმაპურის გარეშე არ დავრჩი? ისე მოვიქეცი, რომ საკუთარი თავი შემეზიზნა. დიახ, ეს უნდა დამთავრებულყო! თუმცა ამ დროს სახლის ჭიშკარს კეტავდნენ და თუ ლამის გათენებას ისევ ციხის საკანში არ ვაპირებდი, უნდა მეჩქარა.

ამან ძალა მომცა. საკანში ლამის გათენება არ მინდოდა. მოკაკევიული მივდიოდი, ჩხვლეტები ოდნავ მაინც რომ მიმეყუჩებინა, მარცხენა ფერდზე ხელს ვიჭერდი, თან ტროტუარს თვალს არ ვაცილებდი, არ მინდოდა შემხვედრი ნაცნობები მომსალმებოდნენ; სახანძრო დეპოსკენ მივიჩქაროდი. მაღლობა ღმერთს, მაცხოვრის ტაძრის საათი მხოლოდ შვიდს უჩვენებდა და ჭიშკრის დაკეტვამდე კიდევ სამი საათი მრჩებოდა. როგორ ტყუილად შემეშინდა!

მთელი დღის განმავლობაში რა აღარ ვცადავ, ქვეყანა შევანრიალე, მაგრამ ერთხელაც არ გამიმართლა! – გავიფიქრე ჩემთვის. ეს რომ ვინმესთვის მომეყოლა, არავინ დამიჯერებდა, და რომ დამეწერა, იტყოდნენ შეთხზულიაო. ერთხელაც კი არა! ეტყობა თავს ზევით ძალა არ არის; მთავარია საწყალი კაცის მდგომარეობაში აღარ აღმოვჩნდე. ფუჰ! რა სიმდაბლეა; დამიჯერე, ზიზლის გრძნობას იწვევ ჩემში! როცა ყველა იმედი გადაინურა, ესე იგი გადაინურა! სხვათა შორის, რა იქნება, რომ თავლიდან ერთი პეშვი შერია მოვიპარო? ამ აზრმა სინათლის ზოლივით, სხივივით გამიელვა – ვიცოდი, რომ თავლა მაინც დაკეტილი იყო.

ამ ამბავს ჩემზე დიდად არ უმოქმედია და ლოკოკინასავით ნელა მივლასლასებდი. საბედნიეროდ, მთელი დღის განმავლობაში წყლის დაღვევა მხოლოდ ახლალა მომინდა და მის ძებნაში აქეთ-იქეთ ვიყურებოდი. სავაჭრო ცენტრიდან შორს ვიყავი, კერძო სახლში კი შეს-

ვლა არ მინდოდა. რა თქმა უნდა, თავის შეკავება შემეძლო – სახლამდე თხუთმეტი წუთის სავალი მქონდა დარჩენილი, თანაც ჯერ კიდევ უცნობი იყო, ერთი ყლუპი წყალი ჩემზე როგორ იმოქმედებდა. კუჭი აღარაფერს აღარ იღებდა და ნერწყვის ჩაყლაპვის დროსაც გულისრევის შეგრძნება მქონდა.

კი მაგრამ ღილები? ჯერ ხომ ღილებით ბედი არ მიცდია! გავშემოდი და გამეღიმა. იქნებ როგორმე გამოსავალი მოიძებნოს? იმედი ბოლომდე გადანურული არ იყო. ამათში ათ ერეს უეჭველად მომცემდნენ, ხვალ სადმე ათ ერეს ისევ ვიშოვიდი, ხოლო ხუთშაბათს სტატიაში გადამიხდიან და ყველაფერი შეიძლება მოგვარდეს კიდევც! ისე, ღილები როგორ გადამავიწყდა! ჯიბიდან ამოვიღე და თვალიერება დაეუნყე; სიხარულისგან თვალები დამეზინდა და ჩემს წინ ქუჩას ცუდად ვხედავდი.

როგორ კარგად ვიცოდი ის დიდი სარდაფი, სადაც ბნელ საღამოებში მივიპარებოდი ხოლმე, ჩემი სისხლისმწოველი მეგობარი! მთელმა ჩემმა ავლა-დიდება, დაწყებული წვრილმანი ნივთებიდან, წიგნებით დამთავრებულმა, ნელ-ნელა იქ გადაინაცვლა. აუქციონების დროს მიხაროდა, როცა მეჩვენებოდა, რომ ჩემი წიგნები კარგი პატრონის ხელში ხვდებოდნენ. მსახიობ მაგელსენს ჩემი საათი ჰქონდა და ეს ამბავი თითქმის მემამყებოდა. კალენდარი, სადაც ჩემი პოეზიის პირველი მოკრძალებული მცდელობა იყო დაბეჭდილი, ნაცნობმა შეიძინა. პალტო კი ფოტოგრაფს შეხვდა, რომელიც მას თავის სახელოსნოში აქირავებდა. ასე რომ საწუნუნო არაფერი მქონდა.

ღილები ხელში გამზადებული მეჭირა და ისე შევაბიჯე. “ბიძია” მაგიდასთან იჯდა და რალაცას წერდა.

– არ მეჩქარება, – წარმოვთქვი იმის შიშით, რომ არ გამელიზიანებინა და საქმისთვის თავიდანვე უარყოფითი მსვლელობა არ მიმეცა. ჩემი ხმა ისე ყრუდ გაისმა, რომ ძლივს ვიცანი, გულს კი ბრაგაბრუგი გაუდიოდა.

ჩვეულებისამებრ გაიღიმა, დახლთან მივიდა, ორივე ხელით ზედ ჩამოეყრდნო და ხმაამოუღებლად სახეში შემომხედა.

– რალაც მოვიტანე და მინდა შეხედოთ. იქნებ გამოგადგეთ... მე მხოლოდ ხელს მიშლიან... აი ეს ლილებია.

– კეთილი. აბა რა ლილებია ამისთანა? იკითხა მან და ჩემს ხელისგულს დახედა.

– შესაძლებელია ამათში რამდენიმე ერე ავილო? რამდენსაც თქვენ თვითონ ჩათვლით საჭიროდ... თქვენი შეხედულებისამებრ...

– ამ ლილებში? – გოცეებული მომაჩერდა. – ამ ლილებში?

სიგარის შესაძენად ან რამდენიც იქნება. “უბრალოდ აქვე ვიყავი და შემოსვლა გადავწყვიტე.”

ბებერმა მევახშემ ჩაიცინა და უსიტყვოდ თავის მაგიდას მიუბრუნდა. ისევ იმავე ადგილას ვიდექი. ამ საქმის დიდი იმედი არ მქონდა, მაგრამ მაინც ვფიქრობდი, რომ შეიძლება რალაც მშველოდა. ამ სიცილმა კი სასიკვდილო განაჩენი გამომიტანა. ალბათ სათვალის შეთავაზებასაც არ ჰქონდა აზრი.

– მზად ვარ სათვალეც დაგიტოვოთ, ეს თავისთავად იგულისხმებოდა, – ვთქვი და სათვალე მოვიხსენი. – მხოლოდ ათი ერე ან თუ გნებავთ ხუთი იყოს.

– თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ სათვალეს ვერ გამოგართმევთ. თქვა მევახშემ. – ეს ადრეც მითქვამს.

– მაგრამ მე საფოსტო მარკა მჭირდება, – ყრუდ ამოვთქვი. – იმ წერილების გაგზავნაც კი არ შემიძლია, რომელიც დასანერი მაქვს. ათი ან ხუთერეიანი მარკა მაინც მომეცით.

– ღმერთმა გიშველოთ, მაგრამ ახლა თქვენ გზას გაუდექით! – მითხრა მან და ხელი კარის მიმართულებით გაიქნია.

ჩვენ ამას დავივინწყებთ! ვუთხარი საკუთარ თავს. მექანიკურად სათვალე გავიკეთე, ლილეები ავიღე და წამოვედი. როგორც ყოველთვის, ღამე ნებისა ვთქვი და კარი ზურგსუკან მოვიკეცი. ახლა უკვე ველარაფერს ვერ გავანწყობდი! კიბის დასანყისში გაეჩერდი და ლილეები კიდევ ერთხელ შევათვალე. წარმოიდგინე, სრულიად არ დაინტერესებულა! არა და თითქმის ახალი ლილებია; უბრალოდ ვერაფერი ვერ გავიგე.

ვიდრე ასე ჩაფიქრებული ვიდექი, ვილაც კაცმა ჩამიარა და სარდაფის კიბეს ჩაუყვა. სიჩქარეში მსუბუქად გვერდი წამკრა; ორივემ ერთმანეთს მოვუბოდიშეთ და მე შევბრუნდი და თვალი გავაყოლე.

– შენ ხარ? – მოულოდნელად ქვემოდან ამომძახა.

შემდეგ ზემოთ ამოვიდა და ვიცანი.

– ღმერთო დიდებულო, რას გავხარ! აქ რამ მოგიყვანა?

– რალაც საქმე მქონდა. მაგრამ შენც ვხედავ იქ მიდიხარ.

– ხო. რა მიიტანე?

მუხლები მიკანკალებდა, კედელს მივეყუდე, ხელისგული გადავუშალე და ლილები ვაჩვენე.

– რა უბედურებაა! – წამოიძახა მან. – ეს უკვე მეტისმეტია.

– ღამე ნებისა! ვუსურვე და წასასვლელად მოვემზადე. უკვე ცრემლები მახრჩობდნენ.

– ერთი წუთით დამელოდე! – თქვა მან.

რალას უნდა დაველოდო? ისიც ხომ “ბიძიასთან” მიდიოდა. იქნებ ნიშნობის ბეჭედი მიჰქონდა, რამდენიმე დღე შიმშილობდა, დიასახლისის ვალი აქვს.

– კარგი, – მივუგე. – თუ დიდხანს არ შეეყოვნებდი...

– რალა თქმა უნდა, – მითხრა მან და მხარზე ხელი მომკიდა. – მაგრამ გამოგიტყდები და შენი არა მჯერა, ვიცი რა იდიოტიცა ხარ, ამიტომ ერთად ჩავიდეთ.

მივხვდი რისი გაკეთებაც უნდოდა. მოულოდნელად თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი და ვუპასუხე:

– არ შემიძლია! შეპირებული ვარ, რვის ნახევარზე ბერნტ ანკერის ქუჩაზე უნდა ვიყო და...

– რვის ნახევარზე, არა? მაგრამ ახლა უკვე რვა საათია. შეხედე, ხელში საათი მიჭირავს და ესაა რაც ქვემოთ მიმაქვს. ასე რომ ერთად მოგვინევს ჩასვლა, მშიერო ცოდვილო! სულ ცოტა ხუთ კრონს მაინც გიშოვი.

და ხელით კარისკენ მიბიძგა.

მესამე ნაწილი





მთელმა კვირამ სიუხვესა და სიხარულში ჩაიარა.

გასაჭირიდან თავი დავიძვრინე. საჭმელი ყოველდღე მქონდა, მხნეობა მემატებოდა და ყოველდღე ახალ-ახალი ჩანაფიქრი მებადებოდა. ერთდროულად სამ თუ ოთხ მონოგრაფიაზე ვმუშაობდი, რომლებსაც ჩემს ღარიბ ტვინში გაელვებულ აზრებს ვაქსოვდი და მეჩვენებოდა, რომ უწინდელზე უკეთ გამომდიოდა. ბოლო სტატია, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებდი და რომლის დაწერა დიდი ძალისხმევისა და დროის ფასად დამიჯდა, რედაქტორმა უკანვე მომიბრუნა. გაცოფებულმა და შეურაცხყოფილმა ისე გავანადგურე, აღარც გადამიკითხავს. მომავალში შევეცდები სადმე სხვა გაზეთში მოვეწყო, რომ საკუთარ თავს მეტი შესაძლებლობები გავუხსნა. უარეს შემთხვევაში, თუკი ამანაც არ მიშველა, ნავსადგურში გემი მეგულეობდა სახელად “მონაზონი“, რომელიც გასასვლელად მზად იყო, და ალბათ მასთან ერთად არხანგელსკში ან საითაც გზა ეჭირა გამგზავრებას მეც შევძლებდი. ასე რომ შესაძლებლობები მრავლად იყო.

ბოლო კრიზისს ჩემთვის უკვალოდ არ ჩაუვლია. თმისცვენა დამენყო, თავისტკივილები მტანჯავდა და ნერვებიც მლალატობდა. დღის განმავლობაში ხელებზე ნაჭრებ შემოხვეული ვწერდი, რადგან მათზე საკუთარი ნასუნთქი მალიზიანებდა. როდესაც იენს ოლაი, ჩემს ქვემოთ თავლის კარს ხმაურიანად კეტავდა ან უკანა ეზოში ძალლი ყეფას იწყებდა, ძვალ-რბილში სიცივე დამივლიდა ხოლმე. ჯანმრთელობა საგრძნობლად შემერყა.

ყოველ ცისმარე დღეს დაძაბული ვმუშაობდი, ჭამისთვის დროის გამოძებნას ძლივს ვახერხებდი და წერას ისევ ვაგრძელებდი. იმ დღეებში ჩემი სანოლიც და ჩემი პატარა, მორყეული სანერი მაგიდაც სხვადასხვა ფურცლებითა და ჩანანერებით იყო გადავსებული, რომლებსაც ხან გადავაკეთებდი, გავასწორებდი, გადავშლიდი, ხანაც იმ წუთს მოგონილს ჩავამატებდი და მაშინვე ახალ სტატიაში მივუჩინდი ადგილს. მოუხეშავ ადგილებს სიტყვაკაზმულობით ვაცოცხლებდი და წინადადებიდან წინადადებაზე ძლივძლივობით გადავდიოდი. ერთ საღამოსაც ერთი ასეთი სტატია ბოლოს და ბოლოს დავასრულე. ბედნიერმა და გახარებულმა, თხზულება ჯიბეში ჩავიდე და “კომანდორს“ მივაშურე. უკვე დრო იყო ფულზე მეფიქრა, რადგან თითქმის აღარაფერი მქონდა დარჩენილი.

“კომანდორმა“ მთხოვა, სულ ერთი წუთით მადროვეთო..... თვითონ კი წერა განაგრძო.

ამ პატარა და ვიწრო ოფისის თვალიერება დავიწყე. ბიუსტები, ლითოგრაფიები, ამონაჭრები გაზეთებიდან, ნაგვის უზარმაზარი კალათა, რომელიც ისე გამოიყურებოდა, გეგონებოდა კაცის შთანთქვა შეეძლო. ამ უშველებელმა ხახამ, პირდაღებულმა დრაკონმა, რომელიც მუდამ მზად იყო დანუნებული ხელნაწერების – ახლად გამქრალი იმედების – ჩასაყლაპად, ძალიან დამასევდიანა.

– დღეს რა რიცხვია? – მოულოდნელად მეკითხება თავისი მაგიდიდან “კომანდორი“.

– ოცდარვა! – ვპასუხობ და მიხარია, რომ სამსახური გავუნე.

– ოცდარვა. – იმეორებს და წერას განაგრძობს. ბოლოს ორიოდ წერილს კონვერტში აცურებს, რაღაც ფურცლებს კალათაში ყრის და კალამს მაგიდაზე დებს. შემდეგ სავარძელზე ტრიალდება და მიყურებს. როცა ამჩნევს, რომ ისევ კართან ვარ ატუზული, ხუმრობანაზავი სერიოზულობით სკამისკენ მითითებს.

ისე ვტრიალდები, რომ არ დაინახოს, ჟილეტი რომ არ მაცვია, ქურთუკს ვიხსნი და ხელნაწერს ჯიბიდან ვიღებ.

– ეს პატარა მიმოხილვაა კორეჯოზე. თუმცა, ერთობ უჩვეულო ხერხით დანერვილი...

ხელნაწერს მართმევს და მის გადათვალთვლებას იწყებს. შემდეგ ჩემსკენ ტრიალდება.

აი თურმე როგორ გამოიყურება ახლოდან ეს კაცი, რომლის სახელი ჯერ კიდევ ადრეულ ახალგაზრდობაში მქონდა გავონილი. წლების მანძილზე მისი გაზეთი ჩემზე უდიდეს გავლენას ახდენდა. ტალღოვანი თმა, ნათელი, ოდნავ მოუსვენარი ყავისფერი თვალები აქვს და შიგადაშიგ ნაუსრუტუნებს ხოლმე. შოტლანდიელ პასტორსაც კი ვერ ექნებოდა ასეთი მოკრძალებული იერი, როგორიც ამ საშიშ მწერალს აქვს, რომლის ნებისმიერი მისამართით თქმული სიტყვა, მუდამ თავის სისხლიან ნაკვალევს ტოვებდა. შიშნარევი ცნობისმოყვარეობითა და აღტაცებით ვუმზერ. თვალებზე მომდგარ ცრემლებს ძლივს ვიკავებ, მინდა ჩემი სიყვარული გამოვხატო იმ ყველაფრისთვის, რაც მისგან ვისწავლე, და ვთხოვო, რომ მე, სანყალ ეშმაკს, რომელსაც ისედაც მძიმე დროება აქვს, ტკივილი არ მომაყენოს.

მან ერთი შემომხედა და ჩაფიქრებულმა ხელნაწერი მაგიდაზე დადო. მისთვის რომ უარის თქმა გამეიოლებინა, ხელი ოდნავ გავინვდინე და ვთქვი: “ეს ალბათ არ გამოგადგებათ, არა?” და გავიღიმე, რომ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ეს ჩემთვის უმნიშვნელო იყო.

– ჩვენ მხოლოდ პოპულარულ სტატიებს ვბეჭდავთ, – მპასუხობს, – ჩვენს მკითხველს ხომ იცნობთ! შეგიძლიათ, რომ ოდნავ გაამარტივოთ? ან, ისეთი რამე მოიტანოთ, რაც ხალხისთვის უფრო გასაგები იქნება?

მისი თავაზიანობა მაოცებს. ჩემთვის ნათელია, რომ სტატია დამინუნეს, მაგრამ ამაზე სასიამოვნო უარს ალბათ ვერ მივიღებდი. მეტად რომ აღარ მომეცდინა, ნაჩქარევად ვპასუხობ: “რა თქმა უნდა შემიძლია.”

კარისკენ გავემართე. ჰმმ. უნდა მაპატიოს, რომ ამის გამო მოვაცდინე. თავს ვუკრავ და კარის სახელურს ვეჭიდები.

– თუ გნებავთ, – თქვა მან, – სიამოვნებით შემიძლია ცოტაოდენი ავანსი გადაგიხადოთ იმაში, რასაც შემდეგ დამინერთ.

თვითონვე ხედავდა, რომ მწერლობაში არ ვვარგოდი, ამიტომ მისი შემოთავაზება ცოტა არ იყოს დამამცირებელი იყო და ვუპასუხე:

– არა, გმადლობთ, ამჟამად როგორღაც თავი გამაქვს. თუმცა შემოთავაზებისათვის კიდევ ერთხელ დიდ მადლობას გიხდით. კარგად ბრძანდებოდეთ!

– კარგად ბრძანდებოდეთ! – მიპასუხა “კომანდორმა” და სანერ მაგიდას მიუბრუნდა.

ყოველ შემთხვევაში ასეთ თავაზიან მოპყრობას არ ვიმსახურებდი და მისი მადლიერი დავრჩი; ეს ნამდვილად უნდა დამეფასებინა. გადავწყვიტე მასთან მხოლოდ მაშინ მოვსულიყავი, როცა ისეთი სტატია მექნებოდა, რომელიც სრულად დამაკმაყოფილებდა; როდესაც ისეთ რალაცას მივუტან, რომ “კომანდორი” გაკვირვებული დარჩება და ათ კრონს უყოყმანოდ გადამიხდის. სახლში დავბრუნდი და ისევ კალამი მოვიმარჯვე.

შემდეგი რამდენიმე დღე, როცა რვა საათი ხდებოდა და უკვე გაზის ფანრებს ანთებდნენ, მუდამ ასეთი რამ მემართებოდა:

მთელი დღის მუშაობის შემდეგ, როცა ჭიშკრიდან ქუჩაში სასერიწოდ გავდივარ, შავებში ჩაცმული ქალბატონი მხვდება, რომელიც გვერდზე ჩავლისას მზერით მაცილებს. ყურადღება მივაქციე, რომ ყოველთვის ერთნაირად აცვია, სახეზე ერთი და იგივე მძიმე რიდე აქვს ჩამოფარებული, რომელიც მკერდამდე ჩამოსდის, ხელში კი სპილოსძვლისტარიანი პატარა ქოლგა უჭირავს.

უკვე მესამე საღამო იყო, რაც ერთსა და იმავე ადგილას ვხედავდი და როგორც კი ჩავუვლიდი, ნელა ტრიალდებოდა და სანინაალმდეგო მიმართულებით მიდიოდა.

ჩემისთანა ნერვიული ტვინის პატრონს თავში მაშინვე სულელური აზრი გამიჩნდა, რომ ის აქ ჩემ გამო მოდიოდა. ბოლოს თითქმის მზად ვიყავი გამოვლაპარაკებოდი, მეკითხა, ვინმეს ხომ არ ეძებდა, ჩემი დახმარება ან სახლამდე გაცილება – ჩემი ცუდად ჩაცმულობის მიუხედავად, – და ბნელ ქუჩებში დაცვა ხომ არ სჭირდებოდა. მაგრამ ბუნდოვან შიშს ვგრძნობდი, რომ ამას ხარჯი, ღვინით გამასპინძლება ან ეტლით გასეირნება მოჰყვებოდა, მე კი ფული თითქმის

აღარ მქონდა; ცარიელი ჯიბეები ჩემზე დამთრგუნველად მოქმედებდნენ და გვერდზე ჩავლისას სახეში შეხედვასაც ვერ ვბედავდი. გუშინდელი საღამოდან პირში ლუკმა არ მქონდა ჩასული და შიმშილმა ისევ ჯიჯგნა დამიწყო. ეს რა თქმა უნდა არც ისეთი დიდი დრო იყო, უკვე არაერთხელ მომინია რამდენიმე დღით ამის მოთმენა, მაგრამ უკვე საგანგაშოდ ვსუსტდებოდი. უნინდელივით შიმშილობა აღარ შემეძლო, საკვების გარეშე გატარებულ ერთ დღესაც კი შეეძლო თავბრუსხვევის გამოწვევა და როგორც კი წყალს ვსვამდი, მაშინვე გულისრევა მენწყებოდა. ამას გარდა ღამ-ღამობით ვიყინებოდი, გაუხდელად ვწვებოდი და მაინც ვიყინებოდი. სიცვიისგან ვითოშებოდი და სიზმრებში ვწვალვობდი. ძველი საბანი არ მშველოდა და დილით, როცა ვიღვიძებდი, გარედან შემოჭრილი ყინულოვანი ქარისგან ცხვირი გაჭედილი მქონდა.

ქუჩაში მივდიოდი და იმაზე ვფიქრობდი, ჩემი მორიგი სტატიის დასრულებამდე როგორ გამეძლო. სანთელი რომ მქონოდა, ღამე მუშაობას შევეცდებოდი და როგორც კი ემხში შევიდოდი ორ საათში ამ საქმესაც მოვრჩებოდი; ხვალ კი "კომანდორთან" შევძლებდი მისვლას.

დაყოვნების გარეშე კაფე ოპლანდსკეში შევედი, რომ ბანკში მომუშავე ჩემი ნაცნობი მომეძებნა და მისგან სანთელისთვის ათი ერე გამომერმია. ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შემიშვეს. ოთახები მოვიარე, სადაც სტუმრები ჭამდნენ, სვამდნენ და საუბრობდნენ. სულ ბოლოს, წითელ ოთახშიაც შევიხედე, მაგრამ ის ჩემი ნაცნობი იქაც არ იყო. დათრგუნული და გაბრაზებული ქუჩაში გამოვედი და სასახლის მიმართულებით წავედი.

დალახვროს ემშაკმა, ნუთუ ჩემს უიღბლობას ბოლო არ მოეღება! გაშმაგებული, დიდი ნაბიჯებით მივდიოდი, ქურთუკის საყელო აწეული მქონდა და მუშტებად შეკრული ხელები შარვლის ჯიბეებში მწყო. მივდიოდი და საკუთარ უბედურ ვარსკვლავს ვწყევლიდი. მთელი შვიდი-რვა თვის მანძილზე არც ერთი დალხინებული წუთი არ მქონია და მთელი ჩემი სილატაკის მიუხედავად მაინც პატიოსნების... ჰე-ჰე! ყველგან და ყველაფერში პატიოსნების შენარჩუნებას

ვცდილობდი! ღმერთო დიდებულო, რა სულელი ვიყავი! გავიხსენე როგორ მქენჯნიდა სინდისი, როცა ერთხელ ჰანს პაულის საბანი მე-ვახშესთან მივიტანე და ჩემს ავადმყოფ სინდისზე ქედმაღლურად ვქირქილებდი, მინაზე ზიზლიანად ვიპურჭყებოდი და საკუთარი სიბრიყვის გასამასხრებელ შესაფერის მწარე სიტყვებს ვერ ვპოულობდი. აი ეს ახლა უნდა მომხდარიყო! ამ წუთას ქუჩაში მონაფე გოგონას დანაზოგი ანდა საწყალი ქვრივის უკანასკნელი გროში რომ მეპოვა, ავიღებდი, ჯიბეში ჩავიდებდი, მოვიპარავდი და მთელი ღამე მშვიდად, ტკბილად დამეძინებოდა. ამდენს ტყუილად ხომ არ ვიტანჯებოდი, მოთმინების ფიალა გადავსებული მქონდა და ყველაფრის ჩამდენი ვიყავი.

სასახლეს სამჯერ თუ ოთხჯერ შემოვუარე და შემდეგ სახლში წასვლა გადავწყვიტე, გზად ცოტა ხნით პარკში შევისეირნე და ბოლოს კარლ იუჰანის ქუჩას გავუყვევი.

დაახლოებით თერთმეტი საათი იქნებოდა. გარშემო თითქმის ბნელოდა, ხალხი, ზოგი დანწყილებული და ზოგიც ხმაურიან ჯგუფებად შეკრული ყველგან დაბორილობდა. დიადი წუთები, პაემანების უამი იდგა, როდესაც სულები ერთმანეთს ფარულად ერწყმიან და საამო თავგადასავლები იწყება. კაბების შრიალი, ამაღელებელი, მოკლე, ვნებიანი სიცილი, ცხელი, სულისშემგუბველი სუნთქვა; მოშორებით გრანდ ოტელთან ვილაციის ხმა იძახდა: "ემმა!" მთელი ქუჩა ჭაობივით იყო, რომელსაც ორთქლი ასდიოდა.

უნებურად ორიოდე კრონის მოსაჩხრეკად ჯიბეებში ხელს ვიფათურებ. ვნება, რომელიც გამვლელთა ყოველ მოძრაობაში თრთოდა, გაზის ფანრების მკრთალი შუქი, წყნარი, ფეხმძიმე ღამე – ეს ყველაფერი ჩემზე მოქმედებას იწყებდა: ირგვლივ ჰაერი სავსე იყო ჩურჩულით, ხელის მოხვევით, მღელვარე გამოტყდომებით, დაუმთავრებელი სიტყვებით, მოკლე შეყვირებებით. ბლუმკვისტის შესახვევთან რამდენიმე კატა ერთმანეთს ხმაურიანად ესიყვარულებოდა. მე კი ორი კრონიც არ გამაჩნდა. ასეთი სილატაკე ჩემთვის ნამდვილი ნამება იყო, რა დამცირებაა, რა სირცხვილი! ისევ დავიწყე ფიქრი საწყალი ქვრივის უკანასკნელ გროშზე, მოსწავლის ქუდზე ან ცხვირსახოცზე,

მათხოვრის ფუთაზე, რომელთა მოპარვასაც ვაპირებდი, მცირე ყოყმანის გარეშე მეძველმანესთან წავიღებდი და აღებული ფულით დროს გავატარებდი. საკუთარი თავის სანუგეშოდ და გულის მოსაფხანად, ჩემს ირგვლივ მოსიარულე ბედნიერი ადამიანების ნაკლევანებების გამოჩხრეკა დავინყე; ყოველი წყვილის დანახვაზე აღშფოთებით მხრებს ვიჩიქდი და ამრეზით ვიყურებოდი. ეს თვითკმაყოფილი კოკლოზინა სტუდენტები, რომელთაც ჰგონიათ, რომ ევროპელი დარდიმანდებივით იქცევიან, როცა ვინმე მკერავს მკერდზე შეეხებიან! ეს ახალგაზრდა მამაკაცები, ბანკირები, კომერსანტები, ბულვარის აშიკები, რომლებიც მეზღვაურთა ცოლებს და საქონლის ბაზრის გასიებულ თოჯინებსაც კი არ თაკილობდნენ, რომლებიც პირველსავე შესახვევში, ერთი კათხა ლუდის გულისთვის, ყველაფრისთვის მზად იყვნენ. ესეც სირინოზები! მათი ლოგინები, ჯერაც არ გაგრილებულა მეხანძრისა თუ მეჯინიბის სტუმრობის შემდეგ... ტახტი მუდამ თავისუფალია, ყველასთვის ხელმისაწვდომი, მობრძანდით, ამოდით!.. მთელი მონდომებით სავალი გზისკენ ვიფურთხებოდი და სრულიად არ მანუხებდა ვინმეს მოხვედებოდა თუ არა. ბრაზმორეული ამ ადამიანებს, ჩემ თვალწინ ერთმანეთს რომ მიელტკოდნენ და წყვილდებოდნენ, აგდებით უყურებდი. თავი მალლა მეჭირა და საკუთარი სისუფთავის შეგრძნებით, ბედნიერი ვიყავი.

სტორტინგთან ერთი გოგო შემომხვდა, რომელმაც რალაცნაირად გამჭოლად შემომხვდა.

– სალამო მშვიდობისა! – ვუთხარი.

– სალამო მშვიდობისა! – გაჩერდა.

– ჰმ... ასე გვიან როგორ დადიხართ? – განა ახალგაზრდა ქალიშვილისთვის სახიფათო არ არის ასეთ დროს კარლ იუჰანის ქუჩაზე სეირნობა? არა? კი მაგრამ, ნუთუ ვინმე არასოდეს არ გამოლაპარაკებია, შეურცხყოფა არ მიუყენებია, – პირდაპირ რომ ვთქვათ, თავისთან სახლში არ მიგენწოდნენ?

გაოცებული მიყურებდა, ცდილობდა ჩემს სახეზე ამოეკითხა, რისი თქმა მინდოდა. მერე უცებ ხელკავი გამიყარა და ჩაილაპარაკა: “მამ წავიდეთ!”

წავედით. როცა მეეტლევებს გავცდით, გავჩერდი, ხელი გავითავისუფლე და ვთქვი: "მომისმინე საყვარელო, ერთი ერეც არა მაქვს, სჯობია ჩემს გზას დავადგე."

თავიდან ჩემი არ სჯეროდა, მაგრამ როცა ჯიბეები მომისინჯა და ვერაფერი მოიხელთა, გაგულისებულმა თავი უკან გადასწია და დოცლაპია მიწოდა.

- ღამე მშვიდობისა! - მივუგე პასუხად.

- მოიცადეთ! - დამიყვირა მან. - ამ სათვალეს ოქროს ჩარჩო არა აქვს?

- არა!

- ჰოდა ეშმაკსაც წაუღიხარ!

წამოვედი.

მაგრამ წამომენია და ისევ გამომძახა:

- არა უშავს, მაინც წავიდეთ.

საწყალი ქუჩის გოგოს ამ შემოთავაზებით თავი დამცირებულად ვიგრძენი და უარი ვუთხარი. ამას გარდა, უკვე გვიანი ღამე იდგა და სხვაგან მიმეჩქარებოდა. თანაც მისი მხრიდან ამგვარი მსხვერპლის გაღება მიზანშეუწონელი იყო.

- არა, ახლა მე მინდა, თქვენთან წამოსვლა.

- მე კიდევ ამგვარ პირობებს ვერ დავთანხმდები.

- თქვენ, რა თქმა უნდა, სხვასთან მიდიხართ, - მითხრა მან.

- არა, - ვუპასუხე მე.

სამწუხაროდ ამის თავი იმხანად არ მქონდა. ქალებს თითქმის კაცებად აღვიქვამდი, სიღუბჭირემ ერთიანად გამომაშრო. მაგრამ ვგრძნობდი ამ უცნაური გოგოს თვალში როგორი საწყალი ვჩანდი და გადავწყვიტე სახე გადამერჩინა.

- რა გქვია? - ვკითხე, - მარი? ჰოდა, მომისმინე, მარი! - ჩემი საქციელის ახსნა დავუწყე. გოგო სულ უფრო და უფრო გაოცებელი მიყურებდა. ნუთუ მას ერთ-ერთი იმათგანი ვგონივარ, საღამოობით ქუჩებში პატარა გოგონების გამოსაჭერად რომ დაიარებიან? ნუთუ ჩემზე მართლა ასე ცუდად ფიქრობდა? განა რამე უხამსობა ვუთხარი? განა ის, ვისაც თავში ამგვარი აზრები აქვს ჩემნაირად მოიქცე-



ოდა? ერთი სიტყვით, ველაპარაკებოდი და ცოტას ვაცილებდი, მინდოდა მენახა რას მოიმოქმედებდა. ისე, მე ესა და ეს მერქვა, პასტორი ვიყავი. – ღამე ნებისა! წადი და აღარ შესცოდო!

და წამოვედი.

ჩემი შესანიშნავი გამონაგონით აღტაცებული ხელებს ვიფშენეტდი და საკუთარ თავს ხმამაღლა ველაპარაკებოდი. როგორი სიხარულის მომგვრელი იყო ქალაქში ხეტიალი და კეთილი საქმეების ქმნა! იქნებ ამ დაცემულ არსებას ისე დავეხმარე, რომ ახალი ცხოვრება დაიწყოს! გონს როცა მოეგება, ჩემს კეთილშობილებას დააფასებს და გულითადი მადლიერებით თვით აღსასრულის უამსაც კი გამიხსენებს. არა, მაინც ღირდა პატიოსნად და უმნიკვლოდ ცხოვრება! შესანიშნავ გუნებაზე მყოფი, თავს ძლიერად, მხნედ და ყველაფრისთვის მზად ვგრძნობდი. ახლა ერთი სანთელიც რომ მქონოდა, ალბათ სტატისაც დავამთავრებდი! მივდიოდი, ხელში ჭიშკრის გასაღებს ვათამაშებდი და ვფიქრობდი, სანთელი სად მეშოვა. ერთადერთი გამოსავალი იყო ქუჩაში, გაზის ფანრის შუქზე წერა. ჭიშკარი გავაღე და სახლში ქალაღდების ასაღებად ავედი.

როდესაც გამოვბრუნდი, ჭიშკარი გარედან ჩავკეტე და ფარანის შუქის ქვეშ მოვეწყვე. ირგვლივ სიჩუმე იდგა; მეზობელი ქუჩიდან მხოლოდ პოლიციელის მძიმე, ხმაურიანი ნაბიჯების ხმა ისმოდა და უფრო შორს, წმინდა ჰანსჰაუგენისკენ ძალი ყეფდა. ხელს არაფერი არ მიშლიდა, ქურთუკის საყელო ავიწიე და მიზანმიმართული ფიქრი დავიწყე. უსაზღვროდ ბედნიერი ვიქნებოდი, ამ პატარა სტატის დასრულება რომ მომეხერხებინა. რთულ ადგილას გავჩერდი, რაღაც ახლისკენ შეუმჩნეველი გადასვლა მჭირდებოდა, რომელსაც მშვიდი, ხავერდოვანი დასასრული ექნებოდა და ბოლოს გასროლის, კლდის გასკდომის ხმასავით თამამად და ელდის მომგვრელად დასრულდებოდა. წერტილი.

მაგრამ სიტყვები არ მოდიოდა. მთელი სტატია ხმამაღლა გადავიკითხე, ყოველ სიტყვას ხმამაღლა წარმოვთქვამდი, მაგრამ გამანადგურებელი დასასრულისთვის ვერაფერი მოვიფიქრე. ყველაფერთან ერთად, სანამ ცვდილობდი მემუშავა, ოდნავ მოშორებით,

შუა ქუჩაში პოლიციელი დაერჭო და მთელი ჩემი სამუშაო განწყობა ჩამიშალა. რაში ენაღვლებოდა, რომ ამ დროს ჩემი სტატიის შესანიშნავ დასასრულზე ვმუშაობდი, რომელიც "კომანდორისთვის" უნდა წამელო. ღმერთო დიდებულო, მიუხედავად ჩემი თავგანწირული მცდელობისა, წყალნალაგებულებით ხავსზე მოჭიდებაც კი ვერ მოვახერხე. დაახლოებით ერთი საათი ვიდექი ასე. პოლიციელი წავიდა, სიცივე ზედმეტად გამჭოლი გახდა და ადგილზე ველარ ვჩერდებოდი. მორიგი ამო მცდელობით იმედგაცრუებულმა და დათრგუნულმა, ბოლოს ჭიშკარი ისევ გავალე და ჩემს ოთახში ავედი.

იქ ძალიან ციოდა და ისეთი სიბნელე იდგა, რომ ფანჯარასაც ძლივს ვხედავდი. ხელისცეცებით ლოგინამდე მივალწიე, ფეხსაცმელი გავიძვრე და გასათბობად ფეხების ზელა დავიწყე. შემდეგ კი ტანსაცმლის გაუხდელად, როგორც ამას უკვე დიდი ხნის განმავლობაში ვაკეთებდი, დავწექი.

მომდევნო დილას, როგორც კი ინათა, ლოგინზე წამოვჯექი და ისევ სტატიას მივუბრუნდი. შუადღემდე ათი თუ თორმეტი სტრიქონის დაწერა მოვახერხე, მაგრამ დასასრულამდე მაინც ვერ მივალწიე.

ავდექი, ფეხსაცმელი ჩავიცვი და გასათბობად ოთახში წინ და უკან სიარული დავიწყე. ფანჯრის მინები შეჭირხლული იყო; გარეთ გავიხედე: თოვდა, ეზოში ქვაფენილი და ჭის სახურავი თოვლის სქელი ფენით იყო დაფარული.

ოთახში დავწრივლებდი, გაუცნობიერებლად წინ და უკან დავდიოდი, კედლებს ფრჩხილებით ვკანწავდი, კარს შუბლით ფრთხილად ვებჯინებოდი, საჩვენებელი თითით იატაკს ვუკაკუნებდი, და დაძაბული ვუსმენდი. ყველაფერ ამას ყოველგვარი საჭიროების გარეშე, მაგრამ წყნარად და დაფიქრებით ვაკეთებდი, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი ყოფილიყო. ამავე დროს, ისე, რომ ამის მოსმენა შემძლებოდა, შიგადაშიგ ხმამალლა ვიმეორებდი: "ღმერთო დიდებულო, ეს ხომ სიგიჟა!" და მაინც იგივეს კეთებას ავადმყოფურად ვაგრძელებდი. საკმაოდ დიდი ხნის, ალბათ რამდენიმე საათის შემდეგ, თავი დავიმორჩილე, ტუჩი მოვიკვნიტე და სიმტკიცის გამოჩენა

ვცადე. ამას ბოლო უნდა მოელოს! საღეჭად ნაფოტი მოვძებნე და ფანქარი ისევ მოვიმარჯვე.

დიდი წვალეებით, ოდნავ მაინც საქმის წინ წასაწევად, ორიოდ მოკლე წინადადება დავწერე, შემდეგ კი გავჩერდი. თავი ცარიელი მქონდა, მუშაობის გაგრძელება აღარ შემეძლო და უბრალოდ, ფართოდ გახელილი თვალებით ამ ბოლო სიტყვებს, დაუმთავრებელ გვერდს, უცნაურ, მოცახცახე ასოებს მივაშტერდი, პატარა აბურძგნულ არსებებს რომ ჰგავდნენ და ქალაქიდან მიმზერდნენ. ბოლოს უკვე აღარაფერი მესმოდა და თავში ერთი აზრიც არ ჭაჭანებდა.

დრო მიდიოდა. ქუჩიდან ეტლებისა და ცხენების ფლოქვების კაკუნის ხმები აღწევდა, საჯინიბოდან კი იენს ოლაის ხმა მესმოდა, რომელიც ცხენებს ელაპარაკებოდა. სრულიად დასუსტებული ვიყავი, ენით ტუჩებს ვისველებდი და სხვა არაფრის გაკეთების თავი არ მქონდა. მკერდში კი ტკივილს ვგრძნობდი.

თვალეებში დამიბნელდა, უფრო და უფრო დავმძიმდი, მოვითენთე და ისევ დავნექი. ხელები ოდნავ მაინც რომ გამეთბო, თითები თმაში შევიცურე და მონაცვლეობით წინ და უკან და გვერდიდან გვერდზე ვისვამდი. თმა პატარ-პატარა ბლუჯებად მძვრებოდა და ბალიშზე იყრებოდა. მაგრამ ამაზე არ ვფიქრობდი, ეს არ მანუხებდა, გარდა ამისა, თავზე თმა კიდევ საკმარისად მქონდა დარჩენილი. ამ უცნაური ბურანის ჩამოფერთხვას შევეცადე, მთელ სხეულში ნისლივით რომ მქონდა მოდებული. წამოვინიე, ხელისგულები მუხლებზე მივიტყაპუნე, რამდენადაც მკერდში ტკივილი ამის საშუალებას მაძლევდა წამოვახველე და ისევ გულაღმა დავეცი. არაფერი არ მშველოდა, გახელილი თვალებით ჭერს ვიყავი მიჩერებული. ბოლოს საჩვენებელი თითი პირში ჩავიდე და წუნა დავინყე. ჩემს ტვინში რაღაც ამოძრავდა; გიჟური, სულელური აზრი გამოსავალს ეძებდა. ხომ არ ვუკბინო? დიდხანს არ მიფიქრია, თვალები დავხუჭე და კბილი კბილს მივაჭირე.

წამოვხტი. სრულიად გამოფხიზლებული ვიყავი. თითიდან ცოცხალი სისხლი წამომივიდა და ავილოკე. ჭრილობა უმნიშვნელო იყო

და არ მტკიოდა, მაგრამ მაშინვე გონს მოვეგე. თავი დავაქნიე, ფანჯარასთან მივედი, ჩვარი მოვძებნე და ჭრილობა შევიხვიე. ამასობაში თვალები ამიწყლიანდა და საკუთარი თავი გამოვიტირე. ეს გამხდარი, ნაკბენი თითი ისეთი სევდიანი იყო. ღმერთო მაღალო, სადამდე მივედი!

ბნელდებოდა. სანთელი რომ მქონოდა, სტატიის დასრულებას ალბათ ამ საღამოს მოვახერხებდი. აზრები ჩვეულებისამებრ მოდიოდნენ და მიდიოდნენ, და განსაკუთრებულად არც რაიმე მტანჯავდა. შიმშილსაც კი ისე მძაფრად აღარ ვგრძნობდი, როგორც ამ რამდენიმე საათის წინ, და დამშვიდებულს შემეძლო დილაზე მომეთმინა. ფარდულში რომ ჩავსულიყავი და ჩემი მდგომარეობა ამეხსნა, ალბათ სანთელს კრედიტითაც ავიღებდი. ამ ადგილს ძალიან კარგად ვიცნობდი; უნინ, როცა გაცილებით უკეთ ვცხოვრობდი და საშუალებაც მქონდა, პურს იქ ვყიდულობდი ხოლმე და მცირეოდენი ეჭვიც კი არ მეპარებოდა, რომ მენდობოდნენ და სანთელსაც მომცემდნენ. დიდი ხნის შემდეგ პირველად ტანსაცმელი გავნმინდე და, რამდენადაც ეს სიბნელეში შესაძლებელი იყო, პალტოს საყელოს დაცვენილი თმის ღეროები მოვაცილე. შემდეგ კიბეზე დავეშვი.

როდესაც ჭიშკრიდან გამოვედი, თავში გამიელვა, რომ უკეთესი იქნებოდა, პური მეთხოვა. ყოყმანმა შემიპყრო და დასაფიქრებლად გავჩერდი. არა, არავითარ შემთხვევაში! ვუთხარი ბოლოს საკუთარ თავს. სამწუხაროდ, იმ მდგომარეობაში ჩემთვის ჭამა არაფრით არ შეიძლებოდა, რადგანაც ისევ ხილვები, გრძნობები, გიჟური აზრები მომეძალებოდნენ და სტატიის დასრულებას ვეღარ შევძლებდი. მე კი აუცილებლად, სანამ "კომანდორს" ისევ არ დავავინყდი, რედაქციაში უნდა გამოვჩენილიყავი. არავითარ შემთხვევაში! გადავწყვიტე სანთელი მეთხოვა და ამ აზრით ფარდულში შევედი.

დახლთან ვილაც ქალი რაღაცებს ყიდულობს. ჩემ გვერდით სხვადასხვანაირ ქალაღში გახვეული, რამდენიმე მცირე ზომის შეკვრა დევს. გამყიდველი, რომელიც მიცნობს და ახსოვს, ჩვეულებრივ რას ვყიდულობ, ქალს სცილდება, ყოველგვარი შეკითხვის გარეშე გაზეთში პურს ახვევს და წინ მიდებს.

– არა, ამჯერად სანთელი მჭირდება, – ამას ხმადაბლა, მოკრძალებით ვეუბნები, რომ არ გაბრაზდეს და სანთელზე უარი არ მითხრას.

ეტყობა ჩემგან ამ სიტყვებს არ მოელოდა, რადგანაც პირველი შემთხვევა იყო, როცა სხვა რამე და არა პური ვითხოვე.

– მაშინ ცოტა ხანს მოცდა მოგიწევთ, – მეუბნება და ქალს უბრუნდება.

ქალი ნავაჭრს იღებს, ხუთ კრონს აწვდის, ხურდას იღებს და მიდის. ახლა მარტო მე და გამყიდველი ვართ.

ის მეუბნება: “თქვენ ესე იგი სანთელი.” სანთლების შეკვრას ხსნის და ჩემთვის ერთ ცალს იღებს.

მიყურებს. მეც ვუყურებ და ჩემი თხოვნის წარმოსათქმელად გამბედაობა არ მყოფნის.

– დიახ, რა თქმა უნდა, თქვენ ხომ უკვე გადაიხადეთ, – უცებ ამბობს. სრულიად უბრალოდ ამბობს, რომ უკვე გადახდილი მაქვს; ყოველი მისი სიტყვა გარკვევით მესმის; სალაროდან ვერცხლის მძიმე, მბზინავი, კრონის მონეტები სათითაოდ ამოიღო და ხუთი კრონიდან, იმ ქალის ხუთი კრონიდან ხურდას მიბრუნებს.

– ინებეთ! – მეუბნება.

წამიერად ფულს დავხედე, მესმის, რომ აქ რაღაც შეცდომაა; რეაქცია არა მაქვს, თავში არანაირი აზრი არ მომდის და ამ სიმდიდრის ელვარებით დამბლადაცემულმა ფული მექანიკურად გამოვართვი.

გაშტერებული, გაოგნებული და განადგურებული დახლთან ვდგავარ, შემდეგ კარის მიმართულებით ნაბიჯს ვდგამ, ისევ ვჩერდები და გულდასმით კედლის თვალიერებას ვიწყებ; ერთგან ტყავის თასმაზე ზანზალაკი, მის ქვემოთ კი ძაფების გორგალი კიდეა. ვდგავარ და ყველაფერ ამას ვუყურებ.

ისე დიდხანს ვყოვნდები, რომ გამყიდველი ფიქრობს, საუბრის გაბმა უნდაო, შესაფუთი ქალაქის დასტების დახლზე გადანწყობას იწყებს და ამბობს: “როგორც სჩანს, ზამთარი მალე მოვა.”

– ჰმ. დიახ... – ვპასუხობ, – როგორც სჩანს, ზამთარი მალე მოვა. როგორც სჩანს. – და ცოტა ხნის შემდეგ ვამატებ – რას იზამ, უკვე დროა. და ასეც სჩანს. თანაც, უკვე დიდი ხანია დროა.

საკუთარ ლაცობას ისე ვაყურადებდი, თითქოს ამ ყველაფერს მე კი არა, ვილაც სხვა ლაპარაკობდა.

– თქვენ ასე ფიქრობთ? – ამბობს გამყიდველი.

ფული ჯიბეში ჩავიდე, კარი გავაღე და წამოვედი. გავიგონე, გამყიდველს ღამე ნებისა როგორ ვუსურვე და მისი პასუხიც მომესმა.

ორი ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოვასწარი, რომ კარი გაიღო და გამყიდველმა დამიძახა. ყოველგვარი გაკვირვებისა და შიშის გარეშე შემოვტრიალდი; უბრალოდ მთელი ფული ხელში ჩავიბლუჯე და მის დასაბრუნებლად მოვემზადე.

– სანთელი დაგავიწყდათ, – მეუბნება ნოქარი.

– ააჰ, მადლობელი ვარ! – მშვიდად ვპასუხობ. – დიდი მადლობა! და სანთლით ხელში ისევ ქუჩას გავუყვები.

ჩემი პირველი საღი აზრი ფულს ეხებოდა. ქუჩის განათებასთან მივედი და ისევ გადავითვალე, ხელისგულზე წონა მოვუსინჯე და გამელიმა. ასე, ყველაფრის მიუხედავად სასწაულებრივი ხსნა მომეკლინა, საოცრად გადავრჩი ძალიან დიდი, დიდი ხნით! ფული ისევ ჯიბეში ჩავიდე და გზა გავაგრძელე.

სტორგატენის სასადილოსთან ვაჩქერდი. საფუძვლიანად და აუმღვრევლად ავნონ-დავნონე, შეიძლებოდა თუ არა ჩემთვის ნახემსება; შიგნიდან თეფშების და დანების წკრიალის ხმა გამოდიოდა. ცდუნება მეტისმეტად ძლიერი იყო და შევედი.

– საქონლის სტეიკი! – მოვითხოვე.

– ერთი საქონლის სტეიკი! – დაიძახა მიმტანმა სარკმელში.

კართან, ცალკე პატარა მაგიდასთან დავჯექი და ლოდინი დავიწყე. ეს კუთხე ნახევრად ჩაბნელებული იყო. თავს მშვიდად ვგრძნობდი და ფიქრებში წავედი. დროდადრო მიმტანი ცნობისმოყვარედ მიყურებდა.

მაშასადამე, მე პირველი, წამდვილად უღირსი საქციელი ჩავიდინე, პირველი ქურდობა, რომელთანაც ყველა ჩემი წინანდელი გამოხტომა ვერ მოვიდოდა. პირველი პატარა და უდიდესი დაცემა... ძალიან კარგი! ამას უკვე არაფერი აღარ ეშველებოდა. თუმცა, ყველაფერი ჩემზე იყო დამოკიდებული, იმ გამყიდველთან ანგარიშის გასწო-

რებას, მოგვიანებით, როდესაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, ყოველ-  
თვის მოვახერხებდი. და ეს, სრულიად არ ნიშნავდა იმას, რომ ეს გზა  
უნდა გამეგრძელებინა; ამავე დროს სრულიად არ ვიყავი ვალდებუ-  
ლი სხვებზე პატიოსნად მეცხოვრა, ასეთი შეთანხმება არ ყოფილა...

– როგორ ფიქრობთ, სტიეიკი მალე იქნება?

– დიახ, ძალიან მალე. – მიმტანმა სარკმელი გააღო და სამზარე-  
ულოში შეიხედა.

მაგრამ ეს საქმე რომ ამოტივტივდეს? გამყიდველს ეჭვი რომ გა-  
უჩნდეს, ან პურის ისტორიის, ხუთი კრონის, ხურდის, იმ ქალმა რომ  
მიიღო, გახსენება დაიწყოს? ხომ სრულიად შესაძლებელია, იქ ჩემს  
ხელახლა გამოჩენაზე ყველაფერი მაშინვე ამოუტივტივდეს. ღმერ-  
თო ჩემო!.. ოდნავ მხრები ავიწურე.

– ინებეთ! – თავაზიანად ამბობს მიმტანი და ბიფსტიეიკს მაგიდა-  
ზე მიდებს. – არ გირჩევნიათ გვერდზე ოთახში გადახვიდეთ? აქ ხომ  
ასეთი სიბნელეა.

– არა, გმადლობთ, ნება მომეცით აქ დავრჩე, – ვპასუხობ.

მისი თავაზიანობა გულს მიჩუყებს, სტიეიკის ფულს მაშინვე ვიხ-  
დი, ჯიბიდან რა ფულიც ამომყვა ვანოდებ და ხელში ვუდებ. ის ილი-  
მება, მე კი თვალეები მიწყლიანდება და ხუმრობით ვეუბნები: “ხურ-  
და დაიტოვეთ და ქალაქგარეთ ფერმა იყიდეთ... აჰ, სამადლობელოდ  
არ ღირს!”

სტიეიკის ჭამას შევუდექი. სულ უფრო მეტი სიხარბითა და დიდ-  
რონი ლუკმებით, დაულეჭავად ვყლაპავდი. ხორცს კბილებით, კაცი-  
ჭამიასავით ვჯიჯგნიდი.

მიმტანი ისევ მოვიდა.

– რაიმეს ხომ არ დალევდით? – მეკითხება და ოდნავ ჩემსკენ იხრება.

შევხედე. ძალიან ჩუმად, თითქმის დარცხვენით ლაპარაკობდა.  
თვალეები ჩახრილი ჰქონდა.

– ცოტა ლუდს ან კიდევ რაც გნებავთ.... ჩემზე... უფასოდ... თუ  
გნებავთ...

– არა, გმადლობთ! – ვუპასუხე. – როგორმე სხვა დროს იყოს. კი-  
დევ შემოგივლით.

გამეცალა და დახლთან ჩამოჯდა. ახლა მხოლოდ მის თავს ვხე-  
დავდი. რა უცნაური ვინმეა!

ჭამას მოვრჩი თუ არა, მაშინვე კარისკენ გავემართე. უკვე გუ-  
ლისრევის გრძნობა მქონდა. მიმტანი ადგა. განათებულ ადგილზე  
გასვლა არ მინდოდა. ამ ნორჩი გოგონას წინაშე, რომელსაც ჩემს სი-  
ლატაკეზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, ზედმეტი წარმოჩინების მე-  
შინოდა. ამიტომ ნაჩქარევად ღამე ნებისა ვუსურვე, თავი დავუკარი  
და წამოვედი.

საჭმელს თავისი მოქმედება უკვე დაწყებული ჰქონდა და ძლიერ  
ტკივილს დიდხანს ვერ გაუძელი. ყოველ ბნელ კუთხეში სულის  
მოთქმას და გულისრევის შეგრძნების გადაძლევას ცვდილობდი. ხე-  
ლებს მუშტებად ვკრავდი, თავს ძალას ვატანდი, ფეხებს ვაბაკუნებ-  
დი და გაცოფებული ვყლაპავდი იმას, რაც გადმოსანთხევად მზად  
იყო, მაგრამ ამაოდ! ბოლოს მოკრუნჩხული, ცრემლებით დაბრმავე-  
ბული, თვალებდაბინდული რომელიღაც შესახვევში შევვარდი და  
კიდევ ერთხელ დავცარიელდი.

სასონარკვეთილი ქუჩაში მივდიოდი და ვტიროდი. იმ გამოუც-  
ნობ სასტიკ ძალებს ვწყევლიდი, ასე უმოწყალოდ რომ მდევნიდ-  
ნენ და შეუბრალებლობისთვის მათ ჯოჯოხეთში, საუკუნო ტან-  
ჯვისთვის ვაგზავნიდი. დიახ, ეს ძალები რაინდული კეთილშობი-  
ლებით არ გამოირჩევიან, ნამდვილად არ გამოირჩევიან და ეს  
ჩემგან იცოდე!.. ვილაც კაცთან მივედი, რომელიც ვიტრინაში  
იყურებოდა და ვთხოვე სასწრაფოდ ეთქვა, მისი აზრით რა უნდა  
მიეცათ ადამიანისათვის, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში  
შიმშილობდა. ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, ვუთხარი; სა-  
ქონლის ხორცს ვერ იტანს.

– გამიგია, რომ რძეა სასარგებლო, ადულებული რძე, – უკიდუ-  
რესად გაკვირებული მპასუხობს. – კი მაგრამ ვისზეა საუბარი?

– გმადლობთ, გმადლობთ! – ვეუბნები, – მართალია, ადულებუ-  
ლი რძე ძალიან კარგი უნდა იყოს.

და ჩემს გზას ვაგრძელებ.



პირველსავე შემხვედრ კაფეში შევედი და რძე ვიკითხე. ცხელი რძე მომართვეს, რომლის ყოველი წვეთი ხარბად, ყლუპ-ყლუპად დავლიე. საფასური გადავიხადე და ისევ წამოვედი. სახლისკენ გამოვემართე.

შემდეგ კი უცნაური ამბავი მოხდა. ჩემს ჭიშკართან, ფანრის ბოძთან, ყველაზე განათებულ ადგილას ვილაც დგას, რომელიც ბუნდოვნად ჯერ კიდევ შორიდან დავინახე – ისევ ის შავებში ჩაცმული ქალბატონია. იგივე ქალბატონი შავებში, როგორც წინა სალამოობით. არანაირი შეცდომა, იმავე ადგილას უკვე მეოთხედ იყო მოსული. სრულიად უმოძრაოდ იდგა.

ეს ყველაფერი ისე უცნაურად მეჩვენება, რომ უნებურად ნაბიჯს ვანელებ. აზრები სრულიად ნათელი მაქვს, მაგრამ ძალიან აღელვებული ვარ და ნერვები ბოლოს მიღებული საკვებისგან აღგზნებული მაქვს. როგორც ყოველთვის გვერდით ვუვლი. ჭიშკრამდე მისული უკვე შესვლას ვაპირებ, მაგრამ უცებ ვჩერდები. მოულოდნელად შთაგონებამ ამიტაცა. ანგარიშმიუცემლად შემოვბრუნდი, ქალბატონს მივუახლოვდი, პირდაპირ სახეში შევხედე და თავი დაუვუკარი: “სალამო მშვიდობისა, ქალბატონო!”

– სალამო მშვიდობისა! – მპასუხობს ის.

მომიტევოს, მაგრამ ვინმეს ხომ არ ეძებდა? დიდი ხანია შემჩნეული მყავდა, იქნებ რაიმეში გამოგდგომოდი? “ყოველი შემთხვევისათვის მიიღეთ ჩემი გულწრფელი პატიება.”

კეთილი, მაგრამ ის არ იყო დარწმუნებული...

ამ ეზოში ჩემსა და სამი-ოთხი ცხენის გარდა არავინ არ ცხოვრობდა, აქ მხოლოდ საჯინიბო და მეთუნუქის სახელოსნო იყო და ყველა შემთხვევაში, ის არასწორ გზაზე იდგა, თუკი აქ ვინმეს ეძებდა.

ქალი სახეს გვერდზე ატრიალებს და ამბობს: “არავისაც არ ვეძებ, უბრალოდ ვდგავარ.”

აი თურმე რა ყოფილა. ის უკვე მერამდენე სალამოა აქ მხოლოდ თავისი ახირების გამო დგას. ცოტა უცნაურიც კი იყო; რაც უფრო მეტს ვფიქრობდი ამაზე, ქალბატონის საქციელი მით უფრო მაც-

ვიფრებდა. ბოლოს გადავწყვიტე უფრო თამამი ვყოფილიყავი. ჯიბეში ფულები შევაჩხრიალე და დიდი ფიქრის გარეშე სადმე თითო ჭიქა ლეინის დასალევად დავპატიჟე... ზამთრის დადგომის აღსანიშნავად, ჰე, ჰე... და თანაც ეს დიდ დროს არ წაილებდა... მაგრამ იქნებ არ სურდა?

არა, გამადლობთ, ის ფიქრობდა რომ არ ღირდა. არა, მას არ შეუძლია ამის გაკეთება, მაგრამ თუკი თავაზიანობას გამოვიჩინდი და ცოტას გავაცილებდი, მაშინ... უკვე ბნელოდა და ასე გვიან კარლიუჰანის ქუჩაზე მარტო სიარული არასასიამოვნო იქნებოდა.

– დიდი სიამოვნებით!

დავიძარიტ; მარჯვენა მხარეს მომყვებოდა. რალაც სასიამოვნო, განუმეორებელი შეგრძნება დამეუფლა – ახალგაზრდა ქალთან სიახლოვის შეგრძნება. მთელი ჩვენი სეირნობის მანძილზე, მისთვის თვალი არ მომიცილებია. თმაზე სუნამო, სხეულიდან წამოსული სითბო, ქალის ეს დამატკბობელი სურნელება, ეს ჰაეროვანი სუნთქვა, რომელიც სახის ყოველ მობრუნებაზე იგრძნობოდა – ყოველივე ეს ჩემი სულის სიღრმემდე აღწევდა. პირბადის მიღმა სავსე, ოდნავ ფერმკრთალ სახეს და პალტოს ქვეშ მალალ მკერდს ბუნდოვნად ვარჩევდი. ეს საოცარი ცდუნება, საფარველთა ქვეშ რომ იმალებოდა, აღმაფრთოვანებდა და ხელშესახები მიზეზის გარეშე იდიოტივით ბედნიერს მხდიდა; ველარ მოვითმინე, ხელით მხარზე შევეხე და სულელურად გამეღიმა. საკუთარი გულისცემა მესმოდა.

– რა უცნაური ხართ! – ვუთხარი.

– მართლა? მაინც რატომ?

ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვეულება აქვს საღამოობით საჯინბოს კარიბჭესთან, ყოველგვარი საჭიროების გარეშე, მხოლოდ იმის გამო იდგეს გაუნძრევლად, რომ თავში ასეთი აზრი მოუვიდა...

აჰ, ამას შესაძლოა თავისი მიზეზებიც ჰქონდა. გარდა ამისა, მას ღამე სეირნობა უყვარდა, მას ეს ყოველთვის ძალიან მოსწონდა. ნუთუ მე ლოგინში თორმეტ საათამდე ვწვებოდი?

მე? თუკი ამქვეყანაზე რაიმეს ვერ ვიტანდი, ეს თორმეტამდე ლოგინში დანოლა იყო. “ჰა-ჰა!”

– ჰა-ჰა, აი, ხომ ხედავთ! – ის კიდევ, როგორც ამ საღამოს, მაშინ სეირნობდა, როდესაც უკეთესი საქმე არაფერი ჰქონდა. ის წმინდა ოლაფის მოედანზე ცხოვრობდა...

– ილაიალი! – წამოვიძახე მე.

– როგორ თქვით?

– უბრალოდ ვთქვი, ილაიალი... მაგრამ განაგრძეთ!

ის წმინდა ოლაფის მოედანზე, საკმაოდ მოსაწყენ ადგილას, დედასთან ერთად ცხოვრობდა, რომელიც დაყრუებული იყო და ამიტომ მასთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა. ასე რომ რა გასაკვირი იყო, მას თუ სეირნობა უყვარდა?

– სულაც არა! – ვუპასუხე.

– კარგით, მაშინ რაღაშია საქმე? – ხმაზე მიუხვდები, რომ ილიმე-ბოდა.

ნუთუ დები არ ყავდა?

დიახ, უფროსი და. ეს საიდან ვიცოდი? მაგრამ ის ჰამბურგში წავიდა.

– ახლახანს?

– დიახ, ხუთი კვირის წინ. – ვინ მითხრა, რომ მას და ჰყავდა?

არავისაც არ უთქვამს, უბრალოდ ვიკითხე.

გავჩუმდით. გვერდზე ვილაც კაცმა ჩაგვიარა, რომელსაც ილლიაში წყვილი ჩექმა ჰქონდა ამოდებული; სხვა მხრივ, სადამდეც თვალი წვდება, ქუჩა ცარიელია. გასართობ პარკთან სხვადასხვა ფერის ფანრების გრძელი რიგი ანათებს. თოვლი შეწყდა, ცა ნათელი იყო.

– ღმერთო ჩემო, პალტოს გარეშე არ გცივათ? – მოულოდნელად მეუბნება ქალბატონი და მიცქერის.

მომეყოლა, პალტოს რატომ არ ვატარებდი? ახლავე გამენდო ჩემი მდგომარეობა, იქნებ სჯობდა აქვე, ახლავე შემეშინებინა? მაგრამ მასთან ერთად სიარული და ის, რომ მან ჩემ შესახებ არაფერი იცოდა, ისეთი ნეტარებით მავსებდა, მოვიტყუე და ვუპასუხე: “არა, სრულიადაც არა მცივა.” და საუბრის თემის შესაცვლელად ვკითხე: “გასართობ პარკში სამხეცე თუ გინახავთ?”

– არა, – მიპასუხა. – სანახავად ღირს?

რა მოხდებოდა იქ წამოსვლა რომ მონდომებოდა? იქ იმდენი ხალხი და სინათლეა! მაგრამ არა, მაშინ უსათუოდ შერცხვებოდა და ჩემი გაცრეცილი ტანსაცმლით და გადაქანცული სახით, რომელიც ორი დღეა არ დამიბანია, შევაშინებდი და გაიქცეოდა. თანაც შეიძლება აღმოეჩინა, რომ ჟილეტიც არ მეცვა...

ამიტომ ვუპასუხე: "არა, იქ წამდვილად არაფერია სანახავი." საბედნიეროდ გამომშრალ თავში რამდენიმე კარგი აზრი, ორიოდე იაფფასიანი სიტყვა მომივიდა: ასეთ პატარა სამხეცეში რა უნდა იყოს სანახავი? საერთოდ ცხოველების გალიაში ყურება არ მიყვარდა. ამ მხეცებმა იციან, რომ მათ ადამიანი უყურებს. საკუთარ თავზე ასობით ცნობისმოყვარე მზერას გრძნობენ, რაც მათზე მოქმედებს. არა, მე ის მხეცები მირჩევნია, რომლებსაც ეჭვიც კი არა აქვთ, რომ ვინმე უყურებს. ისინი თავიანთ სოროებში არიან მიმალულნი, მათ მთვლემარე თვალები აქვთ, ბრჭყალებს ილოკავენ და ფიქრობენ. არა?

დიახ, მე რა თქმა უნდა მართალი ვიყავი.

მხეცები, მხოლოდ თავიანთი ველური თვითმყოფადობით, გავებულები და გამძვინვარებულები შეიძლება რომ საინტერესო იყვნენ. როდესაც ისინი ღამის წყვილადში უსიერი ტყის ტვერში უხმაუროდ მიიპარებიან, და ფრინველთა ყვილი ისმის, და ქარი ხმაურობს, და სისხლის სუნი დგას, და ღრიალი, და გრუხუნი, – ერთი სიტყვით, როცა ველურ მხეცებს, ველური ბუნების სული...

მეშინოდა მისთვის თავი არ მომებზრებინა, საკუთარი სილატაკის გრძნობა ისევ დამეუფლა და გამსრისა. წესიერი ტანისამოსი რომ მქონოდა, მაშინ გასართობ პარკში გასეირნებით გავაბედნიერებდი! არ მესმოდა ამ ადამიანის, რომელსაც შეეძლო სიამოვნება იმით მიეღო, რომ საკუთარი თავისთვის ნება მიეცა, ნახევრად შიმველი მანანნალას თანხლებით მთელი კარლ იუჰანის ქუჩა გაეგლო. ნეტავი რაზე ფიქრობდა? ან მე რატომღა დავეყვებოდი ჩემი იდიოტური ღიმილით? რა აზრი ჰქონდა ამ სიშორეზე, ამ კოხტა სამოთხის ჩიტთან ერთად წამოსვლას? განა არ მიმძიმდა? განა სიცვიე, ქარის ყოველ დაბერვაზე, სახეში არ მირტყამდა და ძვლებამდე არ ატან-

და? და განა სიგიჟე, თვეების განმავლობაში ნახევრად მშვიერად ყოფნის გამო ტვინში უკვე არ მიაღებოდა? მე ხომ სახლში სწორედ მის გამო ვერ მივედი და ერთი ყლუპი რძით ყელი ვერ გავისველე. რომელსაც, ალბათ ჩემი კუჭი შეინარჩუნებდა. რატომ ზურგი არ შემაქცია და ეშმაკთან არ გამაგზავნა....?

სასონარკვეთაში ვიყავი, ამ უიმედო სევდამ უკიდურესობისკენ მიბიძგა და ვთქვი: “თქვენ ჩემთან ერთად აქ ნამდვილად არ უნდა სეირნობდეთ, ქალბატონო; მხოლოდ ჩემი ტანსაცმელიც საკმარისია ყველას თვალში თქვენი კომპრომეტაციისთვის. დიახ, ეს სრული სიმართლეა და არ ვხუმრობ.”

ის შეცბა. სწრაფად შემომხედა და რალაც ხანი ხმას არ იღებს. შემდეგ კი ამბობს: “აჰ, ღმერთო ჩემო!” და მეტი არაფერი.

– ამით რისი თქმა გსურთ? – ვკითხე.

– აჰ, ძვირფასო, ასე ნუ ლაპარაკობთ... უკვე ახლოს ვართ. – და ნაბიჯს აუჩქარა.

ჩვენ უნივერსიტეტის ქუჩაზე გავუხვიეთ და უკვე წმინდა ოლაფის განათებებს ვხედავდით. შემდეგ მან ნაბიჯი ისევ შეანელა.

– მომიტევეთ კადნიერებისათვის, მაგრამ ვიდრე დავმორებულვართ, იქნებ თქვენი სახელი მითხრათ? და თუნდაც წამიერად პირბადე აინიოთ, რომ დაგინახოთ? უსაზღვროდ მაღლიერი დაგრჩებოდით.

პაუზა. მე ვიცდიდი.

– თქვენ ხომ უკვე მნახეთ, – მეუბნება.

– ილაიალი! – ისევ წამოვიძახე.

– ერთხელ, თქვენ ნახევარი დღე კუდში მსდიეთ, სახლამდე გამომყევით. მთვრალი იყავით? – ხმაზე შევატყვე, რომ ისევ ილიმებოდა.

– დიახ, – ვუთხარი, – დიახ, ვშიშობ, რომ მთვრალი ვიყავი.

– საზიზღრად მოიქეცით!

განადგურებულმა ვალიარე, რომ მართლაც საზიზღრად მოვიქეცი.

შემდეგ შადრევანთან მივედი. გავჩერდით და ორი ნომერი სახლის განათებულ ფანჯრებს ვუყურებდით.

– ამის იქით ველარ წამოხვალთ. – მეუბნება, – გმადლობთ სახლში მიცილებსათვის.

თავი დავხარე, სიტყვის თქმას ვერ ვბედავდი. ქუდი მოვიხადე და თავშიშველა ვიდექი. ნეტავ ხელს თუ გამომიწვდის?

– რატომ არ მთხოვეთ, რომ თქვენთან ერთად ცოტა უკან გავბრუნებულიყავით? – მეუბნება ხუმრობით და თავისი ჩექმების წვერებს უყურებს.

– ოჰ, – აღმომხდა, – ოღონდაც თქვენ ისურვეთ!

– კარგით, ოღონდ მცირე მანძილით.

და ჩვენ უკან წამოვედით.

სრულიად დავიბენი. არ ვიცოდი საით წავსულიყავი. ამ ადამიანმა ჩემი აზრები თავდაყირა დააყენა. ალტაცებამ, ნეტარებამ შემიპყრო და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ბედნიერებისგან ვკვდებოდი. მას თვითონვე მოუნდა გამობრუნება, ეს მისი საკუთარი სურვილი იყო. ყოველ შეხედვაზე სითამამე უფრო და უფრო მემატება, ის მამხნევებს და ყოველი სიტყვით თავისკენ მიტყუებს. წამიერად სიღარიბე, არარაობა, მთელი ჩემი საცოდავი მდგომარეობა მავიწყდება. ვგრძნობ, მთელ ტანში სისხლი ტალღებივით როგორ ამიზვირთდა, თითქოს ძველი დრო დაბრუნდა, როცა ჯან-ღონით სავსე ვიყავი და რალაცის გამოსატყუებლად მცირე ეშმაკობას მივმართე.

– ისე, მაშინ თქვენ კი არა, თქვენს დას ავეკიდე.

– ჩემს დას? – გაოცებული ამბობს. გაჩერდა და მიყურებს, ელოდება პასუხს. მთელი სერიოზულობით მეკითხებოდა.

– დიახ, – ვპასუხობ, – ჰმ! ასეა, იმ ორ ქალბატონში უფრო ახალგაზრდას მივყვებოდი.

– უფრო ახალგაზრდას? ოჰო! – უცებ ბავშვივით გულწრფელად გაიცინა. – რა ეშმაკი ხართ! ეს იმიტომ მითხარით, რომ პირბადის აწევა მაიძულოთ, არა? დიახაც მიგიხვდით. მაგრამ ამას ვერ მოესწრებით... ეს თქვენი სასჯელია.

სიცილი და ხუმრობა დავიწყეთ, გაუჩერებლად ვლაქლაქებდით. მე თვითონ არ ვიცოდი რას ვლაპარაკობდი, ბედნიერი ვიყავი.

მითხრა, რომ ერთხელ, დიდი ხნის წინ თეატრში მნახა სამ მეგობართან ერთად. გიჟივით ვიქცეოდი და, როგორც ჩანს, მაშინაც მოვრალი ვიყავი.

ასე რატომ ფიქრობდა?

ოჰ, მე იმდენს ვიცინოდი.

– აი თურმე რატომ! დიახ, იმ დროს ხშირად ვიცინოდი.

– ახლა აღარა?

– ოჰ, რა თქმა უნდა ახლაც. – მშვენიერია უბრალოდ ცოცხლად ყოფნაც კი!

კარლ იუჰანის ქუჩამდე მივედით. “ამის იქეთ აღარ წავიდეთ”, თქვა მან და ჩვენ ისევ უკან, უნივერსიტეტის ქუჩაზე გამოვბრუნდით. როდესაც ისევ შადრევანთან მივედით, ნაბიჯი ოდნავ შევანელე; ვიცოდი, რომ ამის იქით ველარ გავაცვილებდი.

– ახლა კი დროა გაბრუნდეთ, – მითხრა მან და გაჩერდა.

– დიახ, ვფიქრობ აუცილებელია, – ვუპასუხე.

მაგრამ მცირე ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, რომ მისი სადარბაზომდე მიცილება შემეძლო. ღმერთო, ამაში ცუდი ხომ არაფერი იყო, არა?

– არა, – ვუთხარი.

როდესაც სადარბაზოსთან ვიდექით, საკუთარი სილარიბე ისევ მხრებზე ჩამომანვა. ასეთმა უიღბლო, მიუსაფარმა ადამიანმა მხნეობა როგორ უნდა შეინარჩუნოს? ჭუჭყიანი, გატანჯული, შიმშილით დამახინჯებული, ჩამოძონძილი ამ ახალგაზრდა ქალის წინ ვიდექი და მზად ვიყავი ფეხებთან მინა გამსკდომოდა და შიგ ჩავვარდნილიყავი. მოვიბუზე, უნებურად მოვიხარე და ვთქვი: “მეტჯერ ალბათ აღარ შემხვდებით?”

არანაირი იმედი არ მქონდა, რომ ნახვის ნებას დამრთავდა. უკვე თითქმის ისიც კი მინდოდა, რომ გადაჭრით უარი ეთქვა, რაც გამომაფხიზლებდა და ისევ გულგრილად მაქცევდა.

– ო, დიახ! – თქვა მან.

– როდის?

– არ ვიცი.

პაუზა.

– შეგიძლიათ, სულ ერთი წამით პირბადე აიწიოთ? – ვკითხე, – რომ ვიცოდე ვის ველაპარაკები. მხოლოდ ერთი წამით. უბრალოდ, უნდა ვიცოდე ვის ველაპარაკები.

პაუზა.

– შეგიძლიათ სამშაბათს საღამოს, ზუსტად ამ ადგილზე შემხედეთ? – მეუბნება, – გნებავთ?

– დიახ, ძვირფასო, თუკი ნებას დამრთავთ!

– რვა საათზე.

– კეთილი.

მისაკარებელი მიზეზი გამოვნახე და ხელით მოსასხამიდან თოვლი ჩამოვუფერთხე. მასთან სიახლოვე ჟრუანტელს მგვრიდა.

– და ეცადეთ, რომ ჩემზე ცუდი არ იფიქროთ, კარგი? – მითხრა მან. ისევ ილიმოდა.

– არა...

უცებ მკვეთრი მოძრაობით მან პირბადე გადაიწია და წამით ჩვენ ერთმანეთს ვუყურებდით. “ილაიალი!” წარმოვთქვი მე. ფეხისწვერებზე აიწია, კისერზე ხელები მომხვია და პირდაპირ ტუჩებში მაკოცა. ვგრძნობდი, გახშირებული სუნთქვისგან მკერდი როგორ ებურცებოდა.

უცბადვე მომწყდა, სუნთქვაშეკრულმა ჩურჩულით ღამე ნებისა მისურვა, შეტრიალდა და ხმაამოუღებლად კიბეზე აირბინა.

სადარბაზოს კარი ჯახუნით დაიკეტა.

მეორე დღეს თოვამ იმატა, მძიმე, სველ ფანტელებად ცვიოდა, რომლებიც დაცემისთანავე ტალახდებოდა. ნესტი და სიცივე იდგა.

ძალიან ადრე გამეღვიძა, გუშინდელი ემოციების შედეგად აზრები სრულიად აბნეული, გული კი აღფრთოვანებული მქონდა. ალტაცებული, რალაც ხანი გახელილი თვალებით ვინექი და წარმოდგენით ილაიალი ჩემთან იყო: საკუთარ თავს ვეხვეოდი და ჰაერს ვკოცნიდი. ბოლოს ავდექი და ერთი ჭიქა რძე დავლიე, მცირე დროის შემდეგ კი სტიეკი შევჭამე და შიმშილის გრძნობაც გამიქრა, თუმცა ნერვები მაინც ძალიან აღვზნებული მქონდა.



ტანსაცმლით მოვაჭრესთან გავემართე. თავში აზრი მომივიდა, რომ იაფად ნახმარი ჟილეტის ყიდვას შევძლებდი, რომ ქურთუკის ქვეშ რაიმე მაინც მცმოდა.

კიბეს ავუყევი, მაღაზიაში შევედი, ჟილეტი ამოვირჩიე და სინჯვა დაუწყე. სანამ ამ საქმით გართული ვიყავი, ნაცნობმა ჩამიარა; დამიძახა და თავი დამიკრა. ჟილეტი ჩამოვკიდე და მასთან მივედი. ის ტექნიკოსი იყო და სამსახურში მიდიოდა.

– ნამოდი, ლუდი დავლიოთ, – შემომთავაზა, – მაგრამ ცოტა სწრაფად, ბევრი დრო არა მაქვს... ის ქალბატონი ვინ იყო, გუშინ ვისთან ერთადაც სეირნობდით?

– აბა, აბა! – და უკვე მისმა ამ გაფიქრებამ ეჭვიანობა დამაწყებინა – იქნებ ის ჩემი შეყვარებულია?

– ეშმაკმა წამიღოს! – თქვა მან.

– დიახ, ეს გუშინ საღამოს გადაწყდა.

ადგილზე გავაცამტვერე. მაშინვე დამიჯერა. ტყუილი იმიტომ ვუთხარი, რომ თავიდან მომემორებინა. ლუდი დავლიეთ და ქუჩაში გამოვედით.

– ნახვამდის!.. თუმცა მოითმინეთ, – მითხრა მოულოდნელად, – მე ხომ თქვენი რამდენიმე კრონი მმართვეს და მრცხვენია, აქამდე რომ არ დაგიბრუნეთ. მაგრამ ვალს უმოკლეს დროში, აუცილებლად მიიღებთ.

– გმადლობთ! – მიუგე, თუმცა კი ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ის ფულს არასდროს დამიბრუნებდა.

სამწუხაროდ ლუდი მაშინვე თავში ამივარდა და შემახურა. გუშინდელ საღამოზე ფიქრი მომანვა და ავფორიაქდი. სამშაბათს რომ არ მოვიდეს? უცებ რომ გადაიფიქროს და ეჭვები გაუჩნდეს?.. მაგრამ ეჭვები რასთან დაკავშირებით?.. ფიქრებით ფულს ვუტრიალებდი. შემეშინდა, საკუთარი თავის გამო ძალიან შემეშინდა. ჩემი ჩადენილი ყალთაბანდობის ყოველი დეტალი გავიხსენე: პატარა დახლი, სალარო, ჩემი გაძვალტყავებული ხელი დავინახე, რომელმაც ფული ჩაბლუჯა, წარმოვიდგინე, პოლიცია როგორ მოვიდოდა და დამიჭერდა. ხელ-ფეხზე ბორკილები მადევს. არა, მარტო ხელებზე, შესაძ-

ლოა მხოლოდ ერთზე; გისოსები, მორიგე, რომელიც ოქმს ადგენს, კალმის წრიპინი, მისი მზერა, გამანადგურებელი მზერა. აჰ, ბატონი ტანგენი? შემდეგ კი საკანი, მარადი წყვილია...

ჰმმ! მუშტები შეეკარი, გამხნეებას შევეცადე, ნაბიჯს ავუჩქარე და ბაზრის მოედანზე აღმოვჩნდი. აქ ჩამოვჯექი.

შემეშვით, რას მასულელებთ, ბავშვი ხომ აღარა ვარ! ამას ვინ დაამტკიცებს? და გარდა ამისა, გამყიდველი ხმაურის ატეხვას ვერც გაბედავს, თუნდაც გაიხსენოს საქმე როგორ იყო. ის თავის ადგილს ზედმეტად უფრთხილდება. გეთაყვა, აურზაური და ხმაურიანი სცენები არ გვინდა!

მაგრამ ფული ჩემს ჯიბეს ამძიმებდა და მოსვენებას არ მაძლევდა. საკუთარი თავის ჩხრეკა დავიწყე და დავრწმუნდი, რომ უნინ, იმ დღეებში, როცა ვიტანჯებოდი და სინდისი შეუბღალავი მქონდა, უფრო ბედნიერი ვიყავი. და ილაიალი! განა ჩემი ცოდვილი ხელებით ტალახში არ გავსვარე? ღმერთო ჩემო! ილაიალი!

თავს ერთი ჩვეულებრივი, მთვრალი არამზადასავით ვგრძნობდი; უცებ წამოვხტი და პირდაპირ ნამცხვრების გამყიდველს მივაშურე, რომელიც "ელეფანტის" აფთიაქთან იჯდა. ამ სამარცხვინო ლაქის ჩამორეცხვა ჯერ კიდევ შემეძლო. დაგვიანებული არ იყო. მინდოდა მთელი ქვეყნიერებისთვის დამენახებინა თუ რისი შემძლე ვიყავი! სიარულში ფული მოვამზადე, უკლებლივ ყველა მონეტა ხელში მქონდა. დახლთან მივედი, გადავიხარე, თითქოს რალაცის ყიდვა მინდოდა. შემდეგ ხმისგაულებლად ფული გამყიდველს ხელში ჩავუდე და იმწამსვე გამოვბრუნდი.

რა მშვენიერია ისევ სუფთა ადამიანად ყოფნა! ცარიელი ჯიბეები სიმსუბუქის შეგრძნებას მაძლევდა, სასიამოვნო იყო ისევ სუფთად ყოფნა. კარგად რომ დავფიქრდი, იძულებული გავხდი მეღიარებინა, რომ ეს ფული საბოლოო ჯამში ფარულად ნაღველს მმატებდა და მისი გახსენებისას უნებურად მაძაგძაგებდა; გაქვავებული სული არ ვყოფილვარ და ჩემმა პატიოსანმა ბუნებამ ეს უღირსი საქციელი ვერ აიტანა. დიახ, ვერ აიტანა! მადლობა ღმერთს, ჩემი თვითშეფასება ავიმალღე! მაგალითი აიღეთ ჩემგან! – ვთქვი და

ხალხით გადავსებულ ბაზარს მზერა გადავაკვლე. მე მოხუცი სანყალი ნამცხვრების გამყიდველი გავაბედნიერე, როდესაც ის გამოუვალ მდგომარეობაში იყო. ამ საღამოს, მისი შვილები, ლოგინში მშვირები არ დანებებია... თავს ასეთი აზრებით ვინუგეშებდი და საკუთარ საქციელს უზადოდ მივიჩნევდი. მადლობა ღმერთს, ის ფული უკვე მოშორებული მქონდა.

აღელვებული და მთვრალი, ამაყად თავანეული, ქუჩაში მივდიოდი. ის აზრი, რომ ილაილისთან სუფთა და პატიოსანი მივიდოდი და შევძლებდი პირდაპირ თვალებში შემეხედა, უზომო სიხარულს მგვრიდა. არაფერი აღარ მტანჯავდა, თავი ნათელი და ცარიელი მქონდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩემი თავი გამჭვირვალე, სუფთა შუქით ანათებდა. ანცობის გუნებაზე დავდექი, მინდოდა რაიმე უჩვეულო საქციელი ჩამედინა, მთელი ქალაქი თავდაყირა დამეყენებინა, აურზაური ამეტება. გრენსენის ქუჩას მივუყვებოდი და გიჟივით ვიქცევოდი. ყურებში რაღაც სუსტი ხმაური მედგა და სიმთვრალის სიხარულმა მომიცვა. აღტყინებულს თავში მომივიდა, ქუჩაში მდგარ ქალაქის მეკურტნესთვის ჩემი წლოვანება მეთქვა, მას სიტყვაც არ დაუძრავს, მე კი ხელში ჩავეჭიდე, დაჟინებით შევხედე და ახსნა-განმარტების გარეშე გზა განვაგრძე. გამვლელ-გამომვლელთა ხმებსა და სიცილს ვარჩევდი, ტროტუარზე მხტუნავ ჩიტებს ვუმზერდი, ქვაფენილს ვათვალიერებდი და მათ წყობაში სხვადასხვა ნიშნებსა და უცნაურ ფიგურებს ვპოულობდი. ამასობაში კი სტორტინგის მოედანზე აღმოვჩნდი.

უცებ გავჩერდი და ეტლებს მივაჩერდი. მეეტლები იქვე ტრიალებენ და ერთმანეთს შიგადაშიგ ელაპარაკებიან, ცხენები კი უამინდობით დათრგუნულები, თავჩაღუნულნი დგანან. მიდი, მიდი! თავი შევიგულიანე. იდაყვებით წინ ვუბიძგე და პირველივე ეტლში ჩავჯექი. “ულევაალის გზა 37!” – დავიყვირე და დავიძარით.

გზაში მეეტლემ უკან-უკან ყურება დაიწყო და ფისით გაპოხილი ტილოს ქვეშ მოკალათებულს თვალთ მზომავდა. ნუთუ რაღაცაზე ეჭვი გაუჩნდა? ეჭვი არ იყო, რომ მისი ყურადღება, ჩემმა გაცრეცილმა ტანსაცმელმა მიიქცია.

“ერთი ბატონი უნდა მოვინახულო,” – ვუყვირე, რომ მისი გამოკითხვებისგან თავი დამეზღვია და დამარწმუნებლად ავუხსენი, რომ ეს ბატონი აუცილებლად სანახავი მყავდა.

ჩვენ ოცდაჩვიდმეტ წომერ სახლთან ვჩერდებით. ვხტები, კიბეს სირბილით ავრბივარ და მესამე სართულზე ზარის თოკს ვქაჩავ. ზარი ექვსჯერ თუ შვიდჯერ ბრაზიანად წკარუნებს.

კარს ვილაც გოგო ალებს. ჩემს ყურადღებას მისი ოქროს საყურეები და ნაცრისფერ ზედატანზე შავი ლილეები იპყრობს. ის კი შემფოთებული მიყურებს.

კიერულფს, იოაჰიმ კიერულფს ვკითხულობ. თუკი არ შენუხდებოდა, აი, ის, ბენვეულით ვინც ვაჭრობს, ერთი სიტყვით იგი არავისში არ შეგეშლება...

გოგო თავს აქნევს.

– კიერულფი აქ არ ცხოვრობს, – მეუბნება.

შემდეგ მიყურებს და კარის დაკეტვას აპირებს. მას არც უცდია ამ კაცის გახსენება, თითქოს იმას ვისაც ვეძებდი, მართლა იცნობდა; უბრალოდ დაფიქრებულიყო მაინც ეს ზარმაცი არსება. განრისხებულმა ზურგი შევაქციე და კიბეზე ჩავირბინე.

– ის აქ არ არის! – ვუყვირე მეეტლეს.

– აქ არ არის?

– არა. თომთეს ქუჩის თერთმეტში წავიდეთ.

ჩემი მღელვარება ნაწილობრივ მეეტლესაც გადაედო, რომელმაც ალბათ დაიჯერა, რომ აქ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდა და ეტლი უსიტყვოდ დაძრა. ცხენებს ხმამაღალი შეძახილებით მიერეკებოდა.

– ის ბატონი რა გვარისაა? – ეტლის კოფოზე შემობრუნებულმა მკითხა.

– კიერულფი, აი, ბენვეულით მოვაჭრე რომ არის. კიერულფი.

მეეტლესაც მოეჩვენა, რომ ამ კაცს იცნობდა. შემთხვევით ღია ფერის კოსტუმს ხომ არ ატარებს?

– როგორ თქვით? – ნამოვიძახე. – ღია ფერის კოსტუმი? თქვენ სრულ ჭკუაზე ხართ? როგორ გგონიათ, ხუმრობის გუნებაზე ვარ? –

ეს ღია ფერის კოსტუმი საშინლად არ მომეწონა, რადგან ის კაცი სულ სხვაგვარად მყავდა წარმოდგენილი.

– რა მითხარით, რა გვარისაა ის კაცი? კიერულფი?

– დიახაც, – ვუპასუხე, – და რა არის აქ უცნაური? ამაში ცუდია რამე?

– წითური თმა ხომ არა აქვს?

სავსებით შესაძლებელია, რომ წითური იყოს და როცა მეეტლემ ამის შესახებ თქვა, უცებ მტკიცედ გადავწყვიტე, რომ ეს ასეა. მეეტლის მადლიერი დავრჩი და ვუთხარი, რომ იგი მაშინვე მიმიხვდა ვისაც ვეძებდი, რადგან ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც მან მითხრა. შევნიშნე, რომ ძალიან უცნაურიც კი იქნებოდა, წითური თმა რომ არ ჰქონოდა.

– როგორც ჩანს ერთი-ორჯერ სწორედ ის წავიყვანე. – თქვა მეეტლემ, – ხელჯოხიც კი ჰქონდა.

აი აქ კი, ეს ადამიანი ჩემს წინაშე ცოცხალივით წარსდგა და ვთქვი: “ჰე, ჰე, ეს ბატონი ხელჯოხის გარეშე ჯერ არავის დაუნახავს. ამაში კი შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. სრულიად დარწმუნებული.”

დიახ, უეჭველად ეს ის კაცი იყო, რომელიც ერთი-ორჯერ მისი მგზავრი იყო. აშკარად იცნო...

ისეთი სისწრაფით მივექროდი რომ ფლოქვებიდან ნაპერწკლები ცვიოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან აღელვებული ვიყავი, აზრი ერთი წამითაც არ დამიკარგავს. პოლიციელს ჩავუარეთ და შევამჩნიე რომ მისი ნომერი 69 იყო. ამ ციფრმა სულის სიღრმემდე შემძრა და ტვინში ხიჭკვივით ჩამესო. სამოცდაცხრა, ზუსტად 69, ეს არასოდეს არ დამავიწყდება!

მთლიანად ველური ფანტაზიების ტყვეობაში მყოფი, სავარძლის საზურგეზე გადავწექი. ჩემი ტუჩების მოძრაობა რომ არავის დაენახა, ფისით გაპოხილი ტილოს ქვეშ მოვიბუხე და იდიოტურად, საკუთარ თავთან ყბედობა დავიწყე. ჩემს ტვინში სიგიჟე მძვინვარებდა და მეც სრულიად შეგნებულად ნებაზე მივუშვი ის, რადგანაც კარ-

გად ვუნყოფი, რომ ისეთი ძალების მსხვერპლი შევიქმენი, რომელ-  
თაც წინააღმდეგობას ვერ გავუნევი. ყოველგვარი მიზეზის გარე-  
შე, უხმოდ, მძვინვარედ, ორი კათხა ლუდით მხიარულმა და  
მთვრალმა სიცილი დავინყე. ნელ-ნელა ჩემი აღგზნება კლებულობს  
და უფრო და უფრო ვმშვიდდები. ნატკენი თითი სიცივისგან მწინ-  
კნის და გასათობად პერანგის საყელოში ვჩურთავ. ამასობაში  
თომთეს ქუჩაზე აღმოვჩნდით. მეეტლემ გააჩერა.

ეტლიდან აუჩქარებლად გადმოვდივარ, დაქანცულს თავი დამ-  
ძიმებული მაქვს, არაფერზე არ ვფიქრობ. ჭიშკარში შევდივარ, იქი-  
დან ეზოში, რომელსაც ვკვეთ, კარს ვერჩეხები, რომელსაც ვაღებ და  
დერეფნის მსგავს ორფანჯრიან ოთახს ვხედავ. ერთ კუთხეში ორი  
ერთმანეთზე შეწყობილი სკივრი, გრძელი კედლის მოპირდაპირე  
მხარეს კი ხალიჩაგადაფარებული შეუღებავი დივანი დგას. მარ-  
ჯვნივ, მეზობელი ოთახიდან ბავშვის ყვირილი და ხმები ისმის, ჩემ  
ზემოთ, მეორე სართულზე კი ვილაცა რკინას ჩაქუჩს ურტყამს. ამ  
ყველაფერს ერთბაშად, შესვლისთანავე ვამჩნევ.

გაქცევაზე სულ არ ვფიქრობ, ოთახს მშვიდად, აუჩქარებლად  
ვკვეთ, მეორე კარს ვაღებ და ვოგნმანდის ქუჩაზე გავდივარ. ვუყუ-  
რებ სახლს, რომელიც სულ ახლახანს გავიარე და კარს ზემოთ აბრას  
ვკითხულობ: "მოგ ზაურთა დასასვენებელი და თავშესაფარი".

ჩემი მომლოდინე მეეტლისგან გაქცევა და დამალვა თავში ერთი  
წამითაც არ მომდის. ვოგნმანდის ქუჩაზე დინჯად, ყოველგვარი ში-  
შის გარეშე მივაბიჯებ და დანაშაულის განცდა სრულიად არ მაქვს.  
კიერულფი, ეს ბენვეულით მოვაჭრე, რომელიც დიდი ხნის განმავ-  
ლობაში ჩემს ფიქრებს იკავებდა, პიროვნება, რომლის არსებობის  
მჯეროდა და აუცილებლად უნდა მეპოვა, სხვა გიჟურ გამონაგონ-  
თან ერთად, რომლებიც ჩნდებოდნენ და შემდეგ ქრებოდნენ, უეც-  
რად აორთქლდა და მეხსიერებაში მხოლოდ ბუნდოვანი ხატივით,  
შორეული მოგონებასავით მიტრიალებდა.

რაც უფრო შორს მივდიოდი, მით უფრო ვფხიზლდებოდი. სიმძი-  
მეს, დაღლილობას ვგრძნობდი და ძლივს მივლასლასებდი. დიდი და  
სველი ფანტილებით თოვდა. ბოლოს გრენლანზე, ეკლესიასთან გა-

მოვედი და იქ სკამზე დასასვენებლად ჩამოვჯექი. გამვლელები დიდად გაკვირვებულნი მიყურებდნენ. ფიქრებში ჩავიძირე.

ღმერთო დიდებულო, როგორ საშინელ მდგომარეობაში ვარ! მთელი ჩემი საცოდავი ყოფა ყელში ამომივიდა, ისე დავიღალე, რომ მის შესანარჩუნებლად ბრძოლაც კი აღარ მსურდა. ზედმეტად მკაცრმა განსაცდელებმა ბოლო მომიღეს და სრულიად განადგურებული, საკუთარი თავის საცოდავ აჩრდილად გადავიქეცი. მხრებჩამოყრილი, მკერდში ტკივილის შემცირების გამო მოხრილი დავდიოდი. ორი დღის წინ, სახლში საკუთარი სხეული შევათვალიერე და ცრემლების შეკავება ვერ მოვახერხე. პერანგი რომელიც რამდენიმე კვირა არ გამომიცვლია, ოფლისაგან ისეთი გაუხეშებული იყო, რომ ჭიპი გამიხეხა. ჭრილობიდან სისხლი და წყალი ჟონავდა; მართალია ტკივილს ვერა ვგრძნობდი, მაგრამ ეს გარემოება ძალიან მამწუხრებდა. ვერაფრით ვერ ვმკურნალობდი, ის კი თავისით არ რჩებოდა. მოვიბანე, ფრთხილად გავიმშრალე და ისევ ის პერანგი ჩავიცვი. სხვა რა გზა მქონდა...

სკამზე ვზივარ, ყველაფერ ამაზე ვფიქრობ და ძალიან სევდიანი ვარ. საკუთარი თავი, ხელებიც კი მეზიზღება; ეს სუსტი, ბილწი და უღონო ხელები მოუსვენარს მხდიან. წვრილი თითების შემხედვარეს ბრაზი მერევა, საკუთარ ტანს ველარ ვიტან და მზარავს იმის გაფიქრება, რომ ეს ამაო გარსი უნდა ვათრიო. ღმერთო, ნეტავი ამას ბოლო მოეღოს! სიკვდილი მინდოდა.

საკუთარ თვალში სრულიად განადგურებული, შებილწული და დამცირებული, მექანიკურად ავდექი და სახლისკენ გავემართე. გზაში, ჭიშკრის თავზე აბრა დავინახე: "მადამ ანდერსენი, საუკეთესო სუდარები, მთავარი შესასვლელიდან მარჯვნივ." რა მოგონებებია! ვთქვი და ჰამერსბორგზე ჩემი მანსარდა, პატარა საქანელა-სავარძელი, კარის გარშემო აკრული გაზეთები, შუქურის ზედამხედველის განცხადება და მეფუნთუშე ფაბიან ოლსენის ახლადგამოცხვარი პური გამახსენდა. ეჰ, იმ დროს, ახლანდელთან შედარებით გაცილებით უკეთ ვცხოვრობდი. მაშინ ერთ ღამეში სტატია დავწერე, რომელშიც ათი კრონი გადამიხადეს. ახლა კი არაფრის დაწერა

აღარ შემეძლო, სრულიად არაფრის – როგორც კი რამეს დავაპირებდი, თავიდან ყველა აზრი მიქრებოდა. დიახ, მინდოდა, რომ ეს ყველაფერი დასრულებულიყო! შეუჩერებლად მივდიოდი.

ფარდულს რაც უფრო ვუახლოვდებოდი, მით უფრო მეტად ვგრძნობდი ბუნდოვან საშიშროებას, მაგრამ ჩემს გადანყვეტილებაზე მტკიცედ ვიდექი: დანაშაული უნდა მეღიარებინა. საფეხურებს მშვიდად ავუყევი. კართან პატარა გოგონა შემეფეთა, რომელსაც ფინჯანი მოჰქონდა. გავატარე, კარი მოვიკეტე და ნოქართან ისევ პირისპირ, ერთი-ერთზე აღმოვჩნდი.

– საძაგელი ამინდია, არა? – მეუბნება.

რა საჭირო იყო ეს ხრიკები? მაშინვე რატომ არ მომვარდა? მრისხანებამ შემიპყრო და ვთქვი: “აქ იმისთვის სულ არ მოვსულვარ, რომ ამინდზე ვილაქლაქო.”

ჩემმა გაცხარებამ დააბნია. ეს უმაქნისი ვაჭრუკანა არაფრის აზრზე არ იყო; თავშიაც არ მოსვლია, რომ ხუთი კრონი ავნაპნე.

– განა არ იცით, რომ გაგაცუცურაკეთ? – გაღიზინებული ვამბობ, აკანკალებულს სუნთქვა მეკვრის და მზადა ვარ ძალა გამოვიყენო, თუკი შეყოვნდება და საქმის ვითარებას ვერ მიხვდება.

მაგრამ ეს საბრალო ვერაფერს ხვდება.

ღმერთო ჩემო, ეს რა ბრიყვებში გვინევს ცხოვრება. ლანძღვა დავუწყე, დაწვრილებით ვუხსნი, რა მოხდა, სად ვიდექით, როცა ეს ამბავი მოხდა, ფული სად იდო, როგორ ავიღე და ჩავიჯიბე, – როგორც იქნა ყველაფერს ხვდება, მაგრამ საპასუხოდ არაფერს აკეთებს. მხოლოდ თავს აქნევს, კედლის უკან ნაბიჯების ხმას აყურადებს, მანიშნებს, რომ ხმას დაგუდაბლო და ბოლოს ამბობს: “ეს ცუდი საქციელი იყო!”.

– არა, მოითმინეთ! – წინააღმდეგობის სულისკვეთებით აღვსილმა ვიყვირე, და მისი მითმინებისგან გამოყვანას შევეცადე. ჩემი საქციელი არ იყო ისეთი მდაბალი და უღირსი, როგორც ეს მის უბადრუკ ვაჭრულ ტვინს წარმოედგინა. ის ფული არ დავიტოვე, არა, ამის განზრახვა სულ არ მქონია, პირადი გამორჩენა სულ არ მსურდა, ეს ჩემი ღრმად პატიოსანი ბუნების წინააღმდეგ იქნებოდა.



– აბა იმ ფულს რა უყავით?

მაშ იცოდეთ, რომ ყველაფერი ერთ სანყალ დედაბერს მივეცი. აი, ასეთი კაცი ვიყავი, ღარიბები არასოდეს არ მავიწყდებოდნენ...

ჩაფიქრდა. დარწმუნებული არ არის, პატიოსანი ადამიანი ვარ თუ არა, და ბოლოს ამბობს: “ამის მაგივრად ფული არ უნდა დაგებ-რუნებინათ?”

– იქნებ როგორმე შეიგნოთ, – თავხედურად ვპასუხობ. – არ მინდოდა თქვენთვის უსიამოვნებების მიყენება, თქვენი შეწყალება გადავწყვიტე და აი, ჯილდოც კეთილშობილებისთვის. აქ მოვედი და უკვე რამდენი ხანია გიხსნით, საქმე როგორც იყო, რისთვისაც თქვენ სირცხვილისგან უნდა განითლებულიყავით, თქვენ კი არაფერს აკეთებთ, რომ ჩვენი დავა გადაწყვიტოთ. ამიტომაც ხელები დამიბანია და საერთოდ, ეშმაკსაც წაუღიხართ, მშვიდობით!

კარი ხმამაღლა მოვიჯახუნე და ისე წამოვედი.

მაგრამ როცა სახლში, ამ ჩაბნელებულ სოროში, ნოტიო თოვლით დასველებული მოვბრუნდი, ჩემი საბრძოლო სულისკვეთება უცებ გაქრა და ისევ დავჩიავდი. ვნანობდი, რომ იმ სანყალ გამყიდველს თავს ასე დავესხი. ვტიროდი, თავის დასჯის მიზნით ხელებს ყელში ვიჭერდი, ვინანიებდი. ის, რა თქმა უნდა, ძალიან უფრთხილდებოდა თავის სამსახურს და ვერ გაბედა, ხმაური აეტეხა ხუთი კრონის დანაკლისის გამო. მე კი მისი შიშით ვისარგებლე, ხმამაღალი ლაპარაკით ვანვალებდი და ყოველი სიტყვით ვამცირებდი. თვითონ პატრონი კი ამ დროს ალბათ კედელს იქით იყო და მომხდარის გასარკვევად ყოველ წუთს შეეძლო შემოსულიყო. ეტყობა ჩემს უღირს საქციელებს არანაირი საზღვარი აღარ ჰქონდა.

კეთილი. მაგრამ ჩხუბი რატომ არ დავინყე? მაშინ ხომ ყველაფერი დამთავრებული იქნებოდა. მე თვითონ მივცემდი ბორკილების დადების საშუალებას. პატარა წინააღმდეგობასაც არ გავუწევდი, პირიქით, საკუთარი თავის დაპატიმრებაში აქეთ დავეხმარებოდი. ყოვლისშემძლეო ღმერთო, წამიერი ბედნიერებისათვის მზად ვარ სიცოცხლე შევწირო! მთელი ჩემი ცხოვრება ერთი სალაფავისათვის! ამჯერად მაინც შეისმინე ჩემი ვედრება!..

ლოგინში სველი ტანსაცმლით დავწევი. ბუნდოვანი აზრი მქონდა, რომ ამაღამ შეიძლება მოვმკვდარიყავი და უკანასკნელი ძაღლის დაძაბვით, ლოგინი მოვანესრიგე, რომ დილით წესიერი შესახედავი ყოფილიყო. მოვეწყვე და ხელები მკერდზე ჯვარედინად დავიწყვე.

უცებ ილაიალი მახსენდება. როგორ მოხდა, რომ მთელი საღამოს განმავლობაში დამავინწყდა! სულში კვლავ შუქი, წვრილი მზის სხივი აღწევს და მათბობს. მზე უფრო კაშკაშით ანათებს, კდემით აღსავსე, ნაზი, ალერსიანი ნათება, რომელიც ტკბილად მათრობს. შემდეგ კი მზე უკვე მწვავს, საფეთქლებს მიხურებს და აგიზგიზებული ჩემს ნატანჯ ტვინს ნთქავს. ბოლოს თვალწინ სხივების კოცონი მიელავს, ზეცა და დედამიწა ხანძარშია გახვეული, ცეცხლოვანი ადამიანები და მხეცები, ცეცხლოვანი მთები, ცეცხლოვანი ეშმაკები, უფსკრული, უდაბნო, მთელი სამყარო იწვის, ყამი მეორედ მოსვლისა.

მეტი აღარაფერი მინახავს და გამიგია...

მეორე დღეს ერთიანად გაოფლილმა გავიღვიძე. სასტიკი ციებ-ცხელება მქონდა. თავიდან კარგად ვერ გავიგე, რა მომივიდა; გაკვირვებული აქეთ-იქეთ ვიყურებოდი, საკუთარ არსებაში რალაც გარდატეხას ვგრძნობდი და თავს ველარ ცცნობდი. ხელ-ფეხს ვეხებოდი, მიკვირდა, რომ ფანჯარა იმ კედელში და არა საპირისპირო მხარეს იყო. ეზოდან ცხენის ფლოქვების დარტყმის ხმები ისმოდა, მე კი მეჩვენებოდა, რომ ეს ხმები საიდანღაც ზემოდან მოდიოდა. ამასთან ერთად გულიც მერეოდა.

სველი, ცივი თმა შუბლზე მქონდა დაყრილი. იდაყვზე წამოვიწიე და ბალიშს დავხედე: სველი თმა, პატარ-პატარა ბლუჯებად აქაც ეფინა. ღამის განმავლობაში ფეხები ფეხსაცმელებში დამისივდა, თუმცა არ მტკიოდა, უბრალოდ თითებს ძლივს ვამოძრავებდი.

როცა უკვე მოსალამოვდა და დაბნელება დაიწყო, ლოგინიდან წამოვდექი და ოთახში ბოღიალი დავიწყე. პატარა ფრთხილი ნაბი-

ჯებით დავდიოდი, რომ წონასწორობა არ დამეკარგა და ფეხები დამეზოგა. ტკივილი მაინცდამაინც არ მანუხებდა და არ ვტიროდი; სევდიანიც არ ვიყავი, პირიქით, თავს საოცრად კმაყოფილად ვგრძნობდი. ვერ წარმომედგინა, რომ რამე არსებულისგან განსხვავებულად შეიძლებოდა ყოფილიყო.

შემდეგ სახლიდან გამოვედი.

ერთადერთი, რაც ცოტა ისევ მტანჯავდა, შიმშილი იყო, მიუხედავად იმისა, რომ საჭმელი გულისრევის გრძნობას მგვრიდა. მადის ქვენა გრძნობა ისევ გამიჩნდა, რომელიც მუცელს მიწუნნიდა და თანდათან ძლიერდებოდა. ტკივილი მკერდს უმონყალოდ მიჯიჯგნიდა, იქ რაღაც ჩუმი, უცნაური რამე ხდებოდა, თითქოს პანანინა მხეცუკები მას ხან ერთი, ხანაც მეორე მხრიდან ღრნიდნენ, მერე გაილურსებოდნენ და შემდეგ თავის საქმეს ისევ აგრძელებდნენ. უხმაუროდ, აუჩქარებლად მღრღნიდნენ და მაცარიელებდნენ.

ავად არ გავმხდარვარ, მაგრამ გამოფიტული ვიყავი და ოფლი მასხამდა. მინდოდა, სტორტორვეტის მოედანზე მივსულიყავი და იქ დამესვენა, მაგრამ ეს გრძელი და დამლელი გზა იყო. ბოლოს თითქმის მივალწიე, ბაზრისა და ტორვის ქუჩის კუთხეში ვიდექი. თვალელებში ოფლი მეღვრებოდა, რომელიც სათვალის შუშებს მიორთქლავდა და მაბრმავებდა; ამიტომ იძულებული გავხდი, სახის მოსანმენდად გავჩერებულიყავი. სად ვიდექი ვერ ვხედავდი, ამაზე არც ვფიქრობდი. გარშემო გამაყრუებელი ხმაური იდგა.

უცებ ყვირილი გაისმის, გაფრთხილების ცივი და ბასრი შეძახილი. ეს დაყვირება ძალიან კარგად მესმის და ჩემი სუსტი ფეხების შესაფერისად განზე ვხტები. პურის ეტლი, გაშმაგებული ურჩხულივით მოქრის და ბორბლით პალტოს კალთას ედება; ოდნავ უფრო სწრაფი რომ ვყოფილიყავი, ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა. ისე შემეძლო ოდნავ უფრო სწრაფი ვყოფილიყავი, ოდნავ უფრო სწრაფი, ცოტა მეტად რომ გავრჯილიყავი. მაგრამ ახლა უკვე გვიან იყო: ბორბალმა ფეხზე გადამიარა და თითები მომტეხა. ფეხსაცმელში ვივრძენი, ორი თითი როგორ გადაიღრიცა.

მედროგე მთელი ძალით ცხენებს აყენებს. ტრიალდება და შეშინებული მეკითხება, რამე ხომ არ მომივიდა. ო, შეიძლება უარესიც ყოფილიყო... დიდი არაფერი არ მომხდარა... არა მგონია მოტეხილობა იყოს... არა უშავს...

რაც შეიძლება სწრაფად სკამთან მივედი; მომზირალი ხალხი უსიამოვნო გრძნობას მიჩენდა. ბოლოს და ბოლოს სასიკვდილოდ არ დავშავებულვარ და უბედური შემთხვევის კვალობაზე საკმაოდ იოლად გადავრჩი. ყველაზე ცუდი ის მოხდა, რომ ფეხსაცმელი ნაფლეთებად იქცა, წვერი დაფჩენილ ხახას გავდა. ფეხი ავწიე და იმ ხახაში სისხლი დავინახე. რა გაენყობოდა, დამნაშავე არავინ იყო, ამ კაცს ჩემი მძიმე ყოფის კიდევ უფრო დამძიმება სრულიადაც არ ჰქონდა მიზნად; ძალიან შეშინებული გამოიყურებოდა. მისთვის პატარა პური რომ მეთხოვა, ალბათ უარს არ მეტყოდა და ამ თხოვნას დიდი სიამოვნებითაც შემისრულებდა... ამისთვის ღმერთმა წყალობა არ მოაკლოს!

შემძლი აუტანლად მტანჯავდა და არ ვიცოდი, ამ უსირცხვილო მადისთვის როგორ მომეველო. სკამზე ვწრიალებდი. მერე მუხლები მკერდთან ავიტანე. როდესაც ჩამოხეულა, ციხისკენ გავჩანჩალდი. ღმერთმა უწყის, იქამდე როგორ მივალწიე და ბალუსტრადასთან ჩამოვჯექი. მობუზულს, მზერა სადღაც სიცარიელისკენ მქონდა მიპყრობილი, თუმცა კი ვერაფერს ვხედავდი. სრულიად გაუცნობიერებლად ჩემს ქურთუკს ჯიბე ავახიე და ლეჭვა დავუნყე. იქვე მოთამაშე ბავშვების ხმები მესმოდა და გამვლელებს ინსტინქტურად ვგრძნობდი; მეტს ველარაფერს აღვიქვამდი.

შემდეგ უცებ თავში მომდის, რომ ბაზარში წავიდე და უმი ხორცის ნაჭერი ვიშოვო. ვდგები, ბალუსტრადის გასწვრივ გადახურული ბაზრისკენ მივდივარ და კიბეზე ვემშები. ხორცეულის დახლებამდე სანამ მივიდოდი, კიხისკენ შევტრიალდი, მუშტის ქნევით ვითომდა თანხმლებ ძალღს რაღაც დავუყვირე, შემდეგ პირველივე ყასაბისკენ მივტრიალდი და თამამად მივმართე:

– შეგიძლიათ ჩემი ძაღლისთვის ძვალი მომცეთ? მხოლოდ ძვალი, ხორცის გარეშე. უბრალოდ იმისთვის, რომ კბილებში რამე ეჭიროს.

საუცხოო ძვალი მომცეს, რომელზეც ცოტაოდენი ხორციც კი იყო. ძვალი ქურთუკში ჩავიმაღლე და ყასაბს ისეთი მხურვალე მადლობა გადავუხადე, რომ მან გაკვირვებულმა შემომხედა.

– სამადლობლად არ ღირს, – მითხრა.

– რას ამბობთ, – ჩავიბურტყუნე, – ისეთი მადლი მოისხით...

კიბეს ამოვუყევი. გული გამალებით მიცემდა.

მჭედლების რიგში შევუხვებე და ერთ მოყანყალეულ ჭიშკართან გავჩერდი. აქ სრული სიბნელე იდგა და მეც ამ მადლიანი სიბნელით გახარებულმა ძვალს ლოღვნა დავუწყე.

უგემური აღმოჩნდა. მიმხმარ სისხლს საზიზლარი სუნი ასდიოდა და მაშინვე გული ამერია. ისევ მივუბრუნდი. თუნდაც ერთი ლუკმის შენარჩუნება რომ შემძლებოდა, ეს, რა თქმა უნდა თავის კეთილისმყოფელ გავლენას იქონიებდა, მთავარი მისი შენარჩუნება იყო. მაგრამ გული ისევ ამერია. გავბრაზდი, კბილებით ხორცის ნაჭერი მოვგლიჯე და ძალის-ძალად გადავყლაპე. მაგრამ ყოველივე ამაო იყო. როგორც კი ხორცი მუცელში გათბა, მაშინვე უკან ამოვაფრქვიე. გაშმაგებულმა მუშტები შეეკარი, ულონობისგან ავტირდი და ძვალს გააფთრებით დავუწყე ღრღნა. ცრემლები ღაპა-ღუპით მცვიოდა, ამ ცრემლებისგან ძვალი დასველდა და გაჭუჭყიანდა – ვარწყევდი, ვინყევლებოდი, ისევ ძვალს ვღრღნიდი, სასონარკვეთილებისგან ვტიროდი და ისევ ვარწყევდი. მთელი ხმით სამყაროს ძალები დავწყევლე და ჯოჯოხეთში გავგზავნე.

სიჩუმეა. ირგვლივ სულიერი არ ჭაჭანებს, ყველგან სიბნელეა და დუმილი. ჩემი სული საშინლად აფორიაქებულია, მძიმედ და ხმაურინანად ვსუნთქავ, ცრემლები ღვარად ჩამომდის და კბილების კრაჭუნით, ერთიმეორეს მიყოლებით ხორცის ნაჭრებს ვაღებინებ, რომლებსაც ოდნავ მაინც შეეძლოთ შიმშილის დაოკება. ძალიან ვცდილობ, მაგრამ ვერაფერს ვახერხებ და უსუსურობით გაბოროტებულმა ძვალი ჭიშკარს გავუქანე. ველურივით ვყვირი, ცას კრულვით ვავსებ და ხრინწიანი, გაბზარული ხმით ღვთის სახელით ვინყევლები და თითებს კლანჭებივით ვკაკავ...: "შენ გეუბნები, წმინდაო ბააალ, შენ არ არსებობ, მაგრამ რომც იყო, იქამდე დაგწყევლი, სანამ

შენი ზეცა ჯოჯოხეთის ცეცხლით არ ააღდება. შენ გეუბნები, მე მზად ვიყავი შენთვის მემსახურა, მაგრამ შენ გამრიყე და ახლა მე საუკუნოდ ზურგი შეგაქციე, იმიტომ რომ შენ ეს დრო ხელიდან გაუშვი. შენ გეუბნები, ვიცი, რომ შეიძლება მალე მოვკვდე და მანამდე მაინც დაგცინებ, ჩვენო ღვთაებრივო აპის. შენ ჩემი ძალით დამორჩილება გსურდა, მაგრამ არ იცოდი, რომ ვერ გამტეხდი. ეს არ უნდა გცოდნოდა? ჩემი გული სიზმარში გქონდა შექმნილი? შენ გეუბნები, მთელი ჩემი არსებით, მთელი სულითა და გულით დაგცინი და შენი ნყალობისთვის მიმიფურთხებია. ამიერიდან უარს ვაცხადებ შენს არსზე და საქმეებზე. საკუთარ ფიქრებს დავწყევლი თუ ისინი ისევ შენზე იფიქრებენ და ბაგეებს დავიგლეჯ, თუკი ისინი კვლავ შენს სახელს წარმოსთქვამენ. შენ გეუბნები, თუ მართლა არსებობ, სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგ ჩემი უკანასკნელი სიტყვაა – მშვიდობით. ახლა კი მე დავდუმდები, ზურგს შეგაქციე და ჩემს გზაზე წავალ...”

სიჩუმეა.

განრისხებისა და დაქანცულობისგან ადგილიდან არ ვიძვრი, ჩურჩულით ვინყევლები, მწარე გოდებაში ვსლუკუნებ, ჩემი ავადმყოფური გაშმაგებისგან განადგურებული და ძალმიხდილი. ეჰ, ეს ყველაფერი მაინც რიტორიკა და ლიტერატურაა, რის გამოხატვასაც მე ჩემს გაჭირვებაში ლამაზი სიტყვებით ვცდილობ. ნახევარი საათი იქნება, რაც ჭიშკართან ბოძს ჩაჭიდებული ვდგავარ, ვჩურჩულებ და ვსლუკუნებ. მერე ხმები მესმის, ორი კაცის საუბარი, რომლებიც მჭედლების რიგიდან მიახლოვდებიან. ჭიშკარს ვწყდები, სახლების გასწვრივ მივჩანჩალებ და ისევ განათებულ ქუჩებში ვხვდები. როდესაც იუნგსბაკენის რიგში ვეშვები, ჩემი ტვინი უცებ უცნაურად მოქმედებას იწყებს. მეჩვენება, რომ მოედნის კუთხეში მოგროვებული დახლები, სარდაფები, მეორეული ტანსაცმლის ხავსმოდებული სანყოფილები, ყველაფერს აფუჭებენ და მთელ ბაზარს, ქალაქს აუშნობენ. ფუჰ, გაიტანეთ ეს ნაგავი! გონებაში ანგარიში დავიწყე, რა ხარჯი იქნებოდა გასანევი, გეოგრაფიის ინსტიტუტი, ეს ლამაზი შენობა, რომელიც მუდამ აღფრთოვანებას მგვრიდა, აქ

რომ გადმოეტანათ. ალბათ ამ საქმეს ვერც კი შეეჭიდები, სამოცდაათი ან სულაც სამოცდათორმეტი ათასი კრონა თუ არ გაგაჩნია – მცირე თანხაა, 3ე-3ე, ხუმრობა იქით იყოს და კარგი ფულია დასაწყისისთვის. და გამოცარიელებული თავი იმ მოსაზრების თანხმობის ნიშნად დავაკანტურე, რომ დასაწყისისათვის ეს მართლაც კარგი თანხა იყო. ისევ მაკანკალებდა და ნამტირალევი დროდადრო ვსლუკუნებდი.

ისეთი გრძნობა მქონდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დამრჩენოდა, რომ ჩემი მოგზაურობის ბოლოს ვუახლოვდებოდი. თუმცა ეს დიდად არ მანალვლებდა, ყოველ შემთხვევაში, ამაზე ფიქრით ტვინს არ ვანუხებდი. პირიქით, ქალაქიდან პორტში მივდიოდი და ჩემს ოთახს ნელ-ნელა ვმორდებოდი. თავისუფლად შემეძლო აქვე, ქუჩაში გავნოლილიყავი და მოემკვდარიყავი. ტანჯვისგან უფრო და უფრო უგრძნობი ვხდებოდი: დასახიჩრებული ფეხის თითები მტკიოდა. ისიც კი მომეჩვენა, რომ ტკივილმა ზემოთ, თეძომდე ააღწია, მაგრამ დიდად არც ეს მანალვლებდა. უარესი ტანჯვაც მქონდა გადატანილი.

იერნბენის პირსს მივალწიე. აქ არანაირი მოძრაობა არ იყო. არავითარი ხმაური, აქა-იქ, ჯიბეებში ხელჩანყობილ, მოსეირნე პორტის მუშას ან მეზღვაურს თუ მოჰკრავდი თვალს. ჩემი ყურადღება კოჭლმა კაცმა მიიპყრო, რომელმაც გვერდზე ჩავლისას ისე გამჭოლად შემომხედა, რომ უნებურად გავაჩერე, ქუდი ოდნავ ავინიე და ვკითხე, *მონაზონი* ისევ პორტში იდგა თუ არა. შემდეგ თავი ვერ შევიკავე, თითები ცხვირთან დავუტკაცუნე და დავაყოლე “ის დაწყველილი *მონაზონი!*” ამ გემის არსებობა სრულიად დავინყებულე მქონდა! როგორც ჩანს, ქვეცნობიერად მასზე მაინც ვფიქრობდი და ამ ფიქრს თან ვატარებდი.

ღმერთო, დიახ, *მონაზონი* უკვე გავიდა.

მას არ შეეძლო ეთქვა, საით გაცურა?

კაცი ფიქრობს, გრძელ ფეხზე დგას და მოკლეს ჰაერში ოდნავ არწევს.

– არა, – მეუბნება. – იქნებ ის იცით რითი დაიტვირთა?

– არა, – ვპასუხობ.

ამასობაში მონაზონი დამავინყდა და ჩემს მოსაუბრეს ვკითხე ჰოლმესტრანდამდე რა მანძილი იქნებოდა, თუკი მას ძველებურად, გეოგრაფიული მიღებით გადავთვლიდით.

– ჰოლმესტრანდამდე? ალბათ...

– ან ვებლუნგსნესამდე?

– რას გეუბნებოდით, რომ ჰოლმესტრანდამდე იქნება...

– მომისმინეთ, რომ არ დამავინყდეს, – სიტყვა ისევ გავანყვეტი-  
ნე, – თუ შეგიძლიათ, იქნებ ერთი მნიკვი თამბაქო მიბოძოთ, სულ  
მცირეოდენი?

თამბაქო მივიღე, იმ კაცს გულითადი მადლობა გადავუხადე და  
წამოვედი. თამბაქოსთვის არაფერი მიქნია, მაშინვე ჯიბეში ჩავიდე.  
ის კოჭლი თვალს არ მაცილებდა. ჩემი საქციელით ეტყობა ეჭვი გა-  
ვუჩინე; რადგან გაჩერებული თუ მოსიარულე მის ეჭვიან მზერას  
ვგრძნობდი და არ მომეწონა, რომ ეს კაცი თავს არ მანებებდა. შე-  
მოვბრუნდი, ისევ მასთან მივედი, შევხედე და ვუთხარი: “მეტყავე”.

მხოლოდ ეს ერთი სიტყვა: მეტყავე. მეტი არაფერი. ამას რომ  
ვამბობდი გულდასმით ვუყურებდი და ვგრძნობდი, რომ ისეთი საში-  
ნელი მზერა მქონდა, თითქოს იმქვეყნიდან ვუყურებდი. ამ სიტყვის  
წარმოთქმის შემდეგ რამდენიმე ხანს ადგილიდან ფეხი არ მომიც-  
ვლია. შემდეგ ისევ სადგურის მოედნისკენ წავლასლასდი. კოჭლს  
კრინტიც არ დაუძრავს, მხოლოდ მზერით გამაცილა.

მეტყავე? უცებ გავჩერდი. რა თქმა უნდა. როგორ ვერ ვიცანი,  
გრენსენზე, იმ მზიან დილას, როცა ჟილეტი დავაგირავე მაშინ შემ-  
ხვდა. მომეჩვენა, რომ იმ დღის შემდეგ უსასრულობამ ჩაიარა.

როდესაც ამაზე ვფიქრობ, ბაზრის და პორტის ქუჩის კუთხე-  
ში, სახლის კედელს მიყრდნობილი ვდგავარ. უცებ ვკრთები, მი-  
მაღვას ვაპირებ, მაგრამ არ გამომდის და რადგან სხვა გზა არ  
მაქვს, სირცხვილს უკუვაგდებ, თავს ვწევ და “კომანდორის” პი-  
რისპირ ვდგავარ.

ჩვეული თავხედობით კედელსაც კი ერთი ნაბიჯით ვცილდები,  
რათა მან შემამჩნიოს. ამას ჩემდამი სიბრალულის გრძნობის გასაჩე-



ნად კი არა, საკუთარი თავის დასამცირებლად, სამარცხვინო ბოძზე გასაკრავად ვაკეთებ. მზად ვარ, მუხლებზე დავეცე და "კომანდორს" ფეხებით გადათელვა, სახეზე დაბიჯება ვთხოვო. მისთვის სალამიც კი არ მითქვამს.

"კომანდორი" ალბათ მიხვდა, რომ რაღაც მჭირდა და ნაბიჯი შეანელა. რომ გამეჩერებინა, ვუთხარი: "მინდოდა თქვენთვის რაღაც მომეტანა, მაგრამ ვერა და ვერ დავასრულე."

– მართლა? – დაინტერესდა. – ესე იგი ჯერ არ დაგიმთავრებიათ?

– არა, ვერაფრით ვერ მოვახერხე.

"კომანდორის" მეგობრული განწყობა, თვალებს მიწყლიანებს, და თავის მოსათოკად საშინელ ხველას ვიწყებ. "კომანდორმა" ამოიხვნეშა; დგას და გულდასმით მიყურებს.

– დღეისთვის თავის გასატანი ფული თუ გაქვთ? – მეკითხება.

– არა, – ვპასუხობ, – არაფერი გამაჩნია. დღეს საერთოდ არ მიჭამია, თუმცა...

– ღმერთმა გვიშველოს, ადამიანო, ასე არ შეიძლება, საკუთარ თავს შიმშილით სიკვდილის ნება უბრალოდ არ უნდა მისცე! – და ჯიბეებში ხელების ფათურს მოჰყვა.

მაგრამ აქ ჩემში სირცხვილმა გაიღვიძა. ისევ კედელთან ნავბარბაცდი და ხელით მივეყრდენი. ვუყურებ "კომანდორს", რომელიც საფულეში იქექება და არაფერს ვამბობ. ის ათ კრონს მანვდის. ამაზე დიდხანს არც უფიქრია, უბრალოდ ათ კრონს მადლევს და თან იმეორებს, რომ შეუძლებელია ჩემი შიმშილით სიკვდილის დაშვება.

ენის ბორძიკით ვცდილობ უარი ვუთხრა და გამოწვდილ ქალღალდს არ ვართმევ: მე მართლა მრცხვენია... ამას გარდა აქ ძალიან ბევრია...

– იჩქარეთ! – მეუბნება და საათს დასცქერის. – მატარებელს ველოდებოდი და უკვე მისი მოახლოების ხმა მესმის.

ფული გამოვართვი. სიხარულისგან დამუნჯებულს მეტი არაფერი მითქვამს, მადლობის თქმაც კი დამავინწყდა.

– ნუ მოგერიდებათ, – მეუბნება ბოლოს “კომანდორი”, – ამის სანაცვლოდ თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ რამე დამინეროთ.

და წავიდა.

მზერით ვაცილებდი და უცებ გამახსენდა, რომ მაღლობის თქმაც ვერ მოვასწარი. მინდოდა დავწეოდი, მაგრამ ადგილიდან ვერ ვიძვროდი, ფეხები აღარ მემორჩილებოდნენ და ყოველ ნაბიჯზე წაქცევა მელოდა. ის კი სულ უფრო და უფრო მშორდებოდა. აღარ გავეკიდე, მინდოდა დამეძახა, მაგრამ ვერ გავბედე და როცა ბოლოს გული მომეცა და დაუძახე, ის უკვე შორს იყო, ხოლო ჩემი ხმა კი ძალიან სუსტი.

ტროტუარზე ვიდექი, თვალს ვაყოლებდი და ჩუმად ვტიროდი. ასეთი რამ ოდესმე თუ გინახავს! საკუთარ თავს მივმართე; მან ათი კრონი მომცა! იმ ადგილას დავდექი, სადაც ცოტა ხნის წინ ის იდგა და ყველა მისი მოძრაობის გამეორება დავინყე. ქალაქი ცრემლებით დანამულ თვალეზთან მივიტანე, ორივე მხრიდან შევათვალიერე და ხმამაღლა, ყველას გასაგონად დავიფიცე, რომ ეს სიმართლეა და ხელში მართლა ათი კრონი მეჭირა.

რამდენიმე ხნის – შესაძლოა, საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ, რადგან ირგვლივ უკვე სიჩუმე იდგა, – მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ თომთეს ქუჩის 11 ნომერ სახლთან ვყოფილვარ. ეს ის ადგილი იყო სადაც მეეტლე მოვალირე, რომელსაც ერთხელ ჩავუჯექი და ეს სახლი იყო, რომლის გავლითაც ყველასგან შეუმჩნეველად სხვა ქუჩაზე გავედი. ცოტა ხნის გონების მოკრეფისა და გაოცების შემდეგ, ისევ ამავე ჭიშკარში შევედი, პირდაპირ “მოგზაურთა დასასვენებელი და თავშესაფრისკენ” გავემართე, ღამის გასათენებელი ადგილი ვითხოვე და მაშინვე ლოგინი მივიღე.

სამშაბათი.

მზის შუქი და წყნარი, უჩვეულოდ ნათელი დღე. თოვლი დადნა. ყველგან გამოცოცხლება, მხიარულება, ბედნიერი სახეები, ღიმილი

და სიცილი. შადრევნების წყლის ჭავლი მზისგან ოქროსფრად და ზეცისგან ცისფრად ციალებს.

შუადღისთვის თომთეს ქუჩის სახლი დავტოვე, სადაც დღემდე “კომანდორის” მოცემული ათი კრონის წყალობით უზრუნველად ვცხოვრობდი და გარეთ გამოვედი. მშვენიერ გუნება-განწყობაზე ვიყავი და სალამომდე ყველაზე ხალხმრავალ ქუჩებზე დავსეირნობდი, თან ადამიანებს ვაკვირდებოდი. სალამოს შვიდ საათამდე გაცილებით ადრე წმინდა ოლაფის მოედანზე გავიარე და ორი ნომერი სახლის ფანჯრებს თვალი ვკიდე. ერთ საათში ვნახავ! სული მეხუთებოდა. რა მოხდება? კიბეზე როცა ჩამოვა, რას ვეტყვი? სალამო მშვიდობისა, ქალბატონო? თუ უბრალოდ გავუღიმიებ? გადავწყვიტე ღიმილს დავჯერებოდი. რა თქმა უნდა, თავს მოწინებით დავუკრავ.

ჩემი ნაადრევი მოსვლის გამო ცოტა სირცხვილის გრძნობა მქონდა და მოედნიდან წამოვედი. კარლ-იუჰანის ქუჩაზე გადავინაცვლე და უნივერსიტეტის საათისათვის თვალი თითქმის არ მომიცილებია. რვა საათზე ისევ უნივერსიტეტის ქუჩაზე გავუხვიე. გზაში აღმოვაჩინე, რომ მაგვიანდებოდა და ნაბიჯს ავუჩქარე. ფეხი ძალიან მტკიოდა. სხვა მხრივ არაფერი მიჭირდა.

შადრევანთან სულის მოსათქმელად გავჩერდი. დიდხანს ვიდექი და ორი ნომერი სახლის ფანჯრებს ვუყურებდი, მაგრამ ის არ გამოჩენილა. კარგი, მოვიცდი, ალბათ შეეკონდა. ვიცდიდი. ხომ არ შეიძლება ეს ყველაფერი დამსიზმრებოდა? შესაძლოა ჩვენი შეხვედრა უბრალოდ წარმოვიდგინე, როდესაც ღამე ბოდვაში გავატარე? გაურკვევლობაში ყველაფრის გახსენება დავინწყე და სულაც არ ვიყავი დარწმუნებული რომ ეს ცხადში მოხდა.

– ჰმმ! – ჩემს ზურგს უკან მომესმა.

ეს ხმა და მსუბუქი ნაბიჯების ხმა გავიგონე, მაგრამ არ შევტრიალებულვარ და მხოლოდ კიბეს ვუყურებდი.

შემდეგ “სალამო მშვიდობისა!” იყო.

მისი ამ მხრიდან მოსვლით ისეთი გაკვირვებული ვარ, რომ გაღიმიება მავინწყდება და ქუდის მოხდასაც ვავიანებ.

- დიდხანს მელოდით? - მეკითხება და გახშირებულად სუნ-  
თქავს.

- სრულიადაც არა, ახლახანს მოვედი, - ვუპასუხე. - და ასეც  
რომ ყოფილიყო და დიდხანს მეცადა, რა მნიშვნელობა აქვს? უბრა-  
ლოდ ამ მხრიდან თქვენს მოსვლას არ ველოდი.

- დედაჩემი წავიყვანე, დღეს სტუმრად დაპატიყეს. ამ საღამოს  
სახლში არ იქნება.

- აი თურმე რა ყოფილა! - ვთქვი.

მივსერილობთ. კუთხეში პოლიციელი დგას და გვიყურებს.

- კი მაგრამ სად მივდივართ? - მეკითხება და ჩერდება.

- სადაც ინებებთ, სადაც კი ინებებთ.

- ძვირფასო, ეს ხომ ისეთი მოსაწყენია, როცა შენ ირჩევ.

პაუზა.

შემდეგ მხოლოდ იმისთვის რომ რაიმე მეთქვა, შევნიშნე: "თქვე-  
ნი ფანჯრები ჩაბნელებულია."

- დიახ! - გახალისებული მპასუხობს. - ამ საღამოს მოსამსახუ-  
რეც დაგვეთხოვა. ასე რომ სახლში სრულიად მარტო ვარ.

გავჩერდით და ორი ნომერი სახლის ფანჯრებს ისე ვუყურებთ  
თითქოს არასოდეს გვენახოს.

- ასეთ შემთხვევაში, თქვენთან ხომ არ წავსულიყავით? - ვამ-  
ბობ მე - მთელ დროს სადმე კართან ახლოს ჩამოვჯდები, თუ გნე-  
ბავთ...

მთლიანად მაკანკალებდა და ვნანობდი, რომ თავს ასეთი სითა-  
მამის გამოვლენის უფლება მივეცი. ახლა რომ ეწყინოს და წავიდეს?  
საერთოდ რომ ველარ ვნახო? ეჰ, რა დაძონძილი ტანსაცმელი მაც-  
ვია! სასონარკვეთილი მის პასუხს ველოდებოდი.

- კართან ნამდვილად არ იჯდებით, - მეუბნება.

კიბეს ავუყევით.

შემოსასვლელში ბნელოდა. მან ხელი ჩამკიდა და ისე წამიყვანა.  
სულაც არ უნდა ვიყო ასეთი მდუმარე, თქვა მან, ლაპარაკი ყოველ-  
გვარი უხერხულობის გარეშე შემიძლია. შევედით. როცა შუქი აან-  
თო, - სანთელი და არა ლამფა - როცა ეს სანთელი აანთო, ჩაიცინა

და თქვა: "ახლა კი არ უნდა შემომხედოთ. აჰ, როგორ მრცხვენია, მაგრამ მე ამას აღარასოდეს აღარ გავაკეთებ."

– რას აღარ გააკეთებთ?

– მე არასოდეს... არა, ღმერთმა დამიფაროს... მე არასოდეს აღარ გააკოცებთ.

– არასოდეს? – ვთქვი და ორივემ გავიციინეთ.

ხელები მისკენ გავიწვინე, ის გაიწია, გვერდზე გასხლტა და მაგიდას მეორე მხრიდან მოექცა. რალაცა ხანი ერთმანეთს უყუყურებდით, სანთელი კი ჩვენს შორის იდგა.

შემდეგ მან პირბადე მოიხსნა და შლაპა მოიხადა, გაბრწყინებული თვალებით კი ყოველ ჩემს მოძრაობას აკვირდებოდა, – ეშინოდა რომ როგორღაც მკლავებში არ მომემწყვდია. ისევ მისი დაჭერა ვცადე, მაგრამ ფეხით ხალიჩას გამოვედე და წავიქეცი. ნატკენ ფეხზე დაყრდნობა აღარ შემეძლო. დარცხვენილი წამოვდექი.

– ღმერთო, როგორ განითლდით! – თქვა მან, – ძალიან გეტკინათ?

– დიახ, ძალიან.

ჩვენ ისევ მაგიდის გარშემო დავიწყეთ სირბილი.

– მე მგონი თქვენ კოჭლობთ, არა?

– დიახ ვკოჭლობ, მაგრამ ოდნავ.

– წინა ჯერზე ხელის თითი, ახლა ფეხი გტკივათ. რამდენი უბედურება გჭირთ!

– რამდენიმე დღის წინ კინალამ ეტლმა გამიტანა.

– კინალამ გაგიტანათ? ალბათ ისევ მთვრალი იყავით, არა? ღმერთო, რა ცხოვრებას მისდევთ, ყმანვილო! – თითით დამემუქრა და სერიოზული სახე მიიღო. – მოდით ჩამოვსხდეთ! – თქვა მან, – ოღონდ კართან არა; თქვენ ზედმეტად მორცხვი ხართ, აი იქ დაჯექით. თქვენ იქ და მე კი – აქ. აი ასე... აჰ, როგორი მოსაწყენები არიან მორცხვი ადამიანები! ყველაფრის თქმა და გაკეთება თავად გიხდება, მათგან კი არანაირი დახმარება. აი მაგალითად, სავსებით შეგეძლოთ ხელი ჩემი სკამის ზურგზე დაგედოთ, სავსებით შეგეძლოთ ამას თქვენ თვითონვე მიმხვდარიყავით, რა, არ შეგეძლოთ? რაიმე

ამდაგვარი რომ გითხრათ ისე მომაჩერდებით, თითქოს საკუთარ ყურებს არ უჯერებთ. დიახ, დიახ, ასეთი რამ არაერთხელ შემიმჩნევია და თქვენც ახლა იმავეს აკეთებთ. თუმცა ნუ შეეცდებით დამარწმუნოთ, რომ ყოველთვის ასეთი მორიდებული ხართ. ზოგჯერ თავს ზედმეტების უფლებასაც აძლევთ. იმ დღეს საკმაოდ კადნიერი იყავით, როცა შეზარხოშებული უკან მომყვებოდით და თქვენი ხუმრობებით თავს არ მანებებდით: "თქვენ წიგნს დაკარგავთ ქალბატონო, თქვენ წიგნი აუცილებლად დაგეკარგებათ, ქალბატონო!" ჰა-ჰა-ჰა! უნდა გრცხვენოდით!

გაფაციცებით ვუყურებდი. გული ძალიან მიცემდა და სისხლი, მთელ ტანში ცხელ ტალღებად მეღვრებოდა. რა ნეტარებაა, ისევ ადამიანურ საცხოვრებელში ყოფნა, საათის ტიკ-ტიკის მიყურადება და საკუთარ თავთან ცხვირში დუღღუნის ნაცვლად, ახალგაზრდა, მხიარულ ქალიშვილთან საუბარი.

– რატომ დუმხართ?

– რა მომხიბლავი ხართ! – ვთქვი. – თქვენ მე მომაჯადოვეთ, სრულიად მომაჯადოვეთ და ამას ვერსად გავექცევი. თქვენ ყველაზე უჩვეულო არსება ხართ, ვინც კი ოდესმე... ზოგჯერ თქვენი თვალეები ისე კაშკაშებენ... მსგავსი ნათება არასოდეს მინახავს, ისინი ყვავილს მაგონებენ. ეჰ! არა, არა, ალბათ ყვავილს კი არა, არამედ... სიგიჟემდე მიყვარხართ და ვიტანჯები. რა გქვიათ? აუცილებლად უნდა მითხრათ რა გქვიათ...

– და თქვენ რა გქვიათ? ღმერთო, კინალამ ისევ არ დამავიწყდა. გუშინ მთელი დღე ვფიქრობდი, რომ უნდა გკითხოთ. არა, მთელი დღე თქვენზე სულაც არ მიფიქრია.

– იცით მე რა დაგარქვით? მე ილაიალი დაგარქვით. როგორ მოგწონთ? რალაც იდუმალი ჟღერადობა აქვს...

– ილაიალი?

– დიახ.

– რომელიმე უცხო ენაა?

– ჰმ!.. არა, სრულიადაც არა.

– ხო, არა უშავს.

დიდი მოლაპარაკებების შემდეგ ერთმანეთს ჩვენ-ჩვენი სახელები ვუთხარით. ის დივანზე, ჩემს გვერდით დაჯდა, სკამი ფეხით გაწინა და ჩვენ ისევ ყბედობა დავინწყეთ.

– თქვენ დღეს გაპარსულხართ კიდევ, – მითხრა მან, – და საერთოდაც, წინა ჯერთან შედარებით უკეთესად გამოიყურებით, თუმცა ცოტათი უკეთესად, მაგრამ არ იფიქროთ... არა, მაშინ მართლა უსახურად გამოიყურებოდით. თანაც თითი რაღაც საზიზღარი ნაჭრით გქონდათ შეხვეული და ისეთი დაჟინებული იერით ითხოვდით ჩემთან ერთად სადმე ჭიქა ღვინის დალევას. არა ბატონო, გმადლობთ.

– როგორც ჩანს, ჩემთან ერთად წამოსვლა ჩემი საცოდავი იერის გამო არ მოინდომეთ, არა? – ვკითხე.

– არა, – მომიგო მან და თვალები ჩახარა, – ღმერთია მოწმე, ამიტომ არა! ამაზე არც კი მიფიქრია.

– მომისმინეთ, თქვენ ფიქრობთ, რომ ისე შემიძლია ჩავიცვა და ვიცხოვრო, როგორც მომეპრიანება? ხომ ხედავთ არ შემიძლია. მე ძალიან, ძალიან ღარიბი ვარ.

მან შემომხედა.

– ღარიბი ხართ?

– დიახ, ღარიბი.

პაუზა.

– ჩემო ძვირფასო, მეც ღარიბი ვარ, – წარმოთქვა მან და თავი ამაყად ასწია.

ის ალბათ ერთი ჩვეულებრივი ქრისტიანიელი გოგონა იყო, თავისი უარგონით, საკმაო უტიფრობითა და ყბედობით, მაგრამ ყოველი მისი სიტყვა მათრობდა და გულში ღვინის წვეთებივით მეღვრებოდა. როდესაც მისმენდა, თავს გვერდზე ხრიდა. ეს ჩვევა ალფრთოვანებას მგვრიდა და ამ დროს სახეზე მის სუნთქვას ვგრძნობდი.

– იცით რომ... – ვუთხარი, – ოღონდ შემპირდით, რომ არ გაბრაზდებით... გუშინ დასაძინებლად როცა დავწექი, ხელი გამოვიწოდეთ... აი ასე... თითქოს გვერდზე იწექით. მერე კი ჩამეძინა...

– მართლა? სასიამოვნოა! – ჰაუზა. – მაგრამ ამის გაკეთება მხოლოდ ასეთ მანძილზე შეძელით, სხვაგვარად ხომ...

– თქვენ ფიქრობთ, რომ სხვა დროს იგივეს ვერ გავაკეთებდი?

– ვფიქრობ რომ ვერა.

– ო, დიახ, ჩემგან ყველაფერს უნდა მოელოდეთ, – ვუთხარი, ეშმაკურად შევხედე და ნელზე ხელი მოვხვიე.

– ყველაფერს? – თქვა მან და გაჩუმდა.

ზედმეტად წესიერ კაცად მთვლიდა, ეს ამბავი ცოტა მაბრაზებდა და შეურაცხყოფას მაყენებდა; ნელში გავიმართე, მხნეობა მოვიკრიბე და მისი ხელი ავიღე. მაგრამ მან ხელი მშვიდად წამართვა და ოდნავ განზე გაიწია. ამან ისევ მხნეობა დამაკარგვინა, შემრცხვა და ფანჯრისკენ გავიხედე. მაინც საცოდავი ვიყავი და ასეთი თავდაჯერებული არ უნდა ვყოფილიყავი. სხვა საქმეა, ადრე რომ შევხვედროდი, როცა ჯერ კიდევ ადამიანს ვგავდი. იმ დღეებში, როდესაც საქმეები ასე თუ ისე მიმდიოდა. თავს დათრგუნულად ვგრძნობდი.

– აი ხედავთ! – მომიბრუნდა, – აი, ხედავთ რა იოლია თქვენი გამკლავება! საკმარისია ოდნავ შესამჩნევად შუბლი შევიჭმუნხო, ოდნავ განზე გავიწიო და თქვენ მაშინვე იმორცხვებთ... – ცელქად გაიცინა და თვალები ბოლომდე დახუჭა, თითქოს ვერ იტანდა, როცა უყურებდნენ...

– არ არსებობს! – აღმომხდა. – აი ახლა კი გიჩვენებთ, რისი შემძლე ვარ! – მკლავები მხრებზე შემოვაჭდე. ჭკუიდან გადაცდენილი ხომ არ იყო? სრულიად გამოუცდელ ყმანვილად ხომ არა მთვლიდა? ჰა, ამას კიდევ ვნახავთ... ვერავინ იტყვის, რომ მსგავს საქმეებში სხვებზე ნაკლები ვარ. ეს რა ჭინკაა! თუ საქმე მხოლოდ დაძალებაში იყო, მაშინ...

თითქოს მართლაც რამის მაქნისი ვიყავი!

გაუნძრევლად იჯდა. თვალები ისევ დახუჭული ჰქონდა და ორივენი ვლუმდით. ჩემსკენ მოვიზიდე, მკერდზე მივიკარი და მას კრინტიც არ დაუძრავს. ჩვენი გულების ხმამალალი ფეთქვა, მისიც და ჩემიც, ფლოქვების ბაკუნივით ჩამესმოდა.

ვაკოცე.



რას ვაკეთებდი აღარ ვუნყოფი. რაღაც სისულელეებს ვეუბნებოდი, რაზედაც ის იცინოდა, ნაზ სიტყვებს ჩაეჩურჩულებდი, ტუჩებით ვეკროდი, სახეზე ვეფერებოდი და დაუსრულებლად ვკოცნიდი. ზედატანზე ერთი თუ ორი ღილი შეეხსენი და პერანგიდან ორი თეთრი, მრგვალი საოცრება ამოინვერა.

– შეიძლება შეეხედო? – ვამბობ და მეტი სიშიშვლის შესაცნობად სხვა ღილების შეხსნას ვცდილობ, მაგრამ ზედმეტად ანთებული ქვედა ღილებთან ვერაფერს ვხდები. ლიფიც მეტისმეტად ვინრო გამოდგა. – შეიძლება, სულ ცოტას შეეხედავ... სულ ცოტას...?

ის ნელი, ნაზი მოძრაობით ხელს კისერზე მხვევს, ვარდისფერი, ათრთოლებული ნესტოებიდან სუნთქვას მაფრქვევს და მეორე ხელით ღილების გახსნას თავად იწყებს. დარცხვენით, ნყვეტილად იცინის, მიყურებს და ცდილობს ამოიკითხოს, შიში შევამჩნიე თუ არა. თასმებს იხსნის, კორსეტს იხდის, ამ ყველაფერს დიდი სინაზითა და კდემით აღსავსე აკეთებს. და მეც ჩემი უხეში ხელებით ამ ღილებსა და თასმებს ვეხები...

ჩემი ყურადღების გადასატანად მარცხენა ხელს მხარზე მისვამს და ამბობს:

– რამდენი თმა გცვივა!

– ხო, – ვჩურჩულებ და ვცდილობ ტუჩებით მკერდზე დავეკონო. ამ დროისათვის ის უკვე ჩემს გვერდით წევს და კაბა მთლიანად გახსნილი აქვს. უცებ, თითქოს გონს მოეგო, რომ ზედმეტი მოუვიდა, სიშიშვლეს იფარავს, წამოინვეა და სიმორცხვის დასაფარად, ლაპარაკს ისევ ჩემს მხრებზე დაცვენით თმაზე იწყებს.

– თმა ასე რატომ გცვივათ?

– არ ვიცი.

– რა თქმა უნდა, ზედმეტად ბევრს სვამთ, ალბათ... ღმერთო ჩემო, ამის თქმაც კი მერიდება! უნდა გრცხვენოდეთ! მართალი გითხრათ, ამას არასოდეს არ დავიჯერებდი! რომ ასეთი ახალგაზრდა ხართ და უკვე მელოტდებით!.. ახლა კი კეთილი ინებეთ და მომიყევით რა ცხოვრებას ეწევით. დარწმუნებული ვარ, რომ ის უბრალოდ საშინელებაა! მაგრამ მხოლოდ სიმართლე უნდა მითხრათ და

თანაც არაფერი დაფაროთ. სახეზე შეგატყობთ თუ რამეს დამალავთ. აბა დაინწყეთ!

ეჰ, როგორი დაღლილი ვიყავი! რამდენად მერჩივნა წყნარად ვმჯდარიყავი, მისთვის მეცქირა და არ მემოქმედა, რამაც ამდენი წვალება მომიტანა. არაფრის მაქნისი, ჩვარივით ვიყავი.

– ახლავე დაინწყეთ მოყოლა! – მოითხოვა მან.

შემთხვევით ვისარგებლე და ყველაფერი ვუამბე. სიმართლის გარდა არაფერი არ მითქვამს და მისი თანაგრძნობის გასაღვიძებლადაც არაფერი არ გამიმუქებია. იმ ხუთი კრონის ამბავიც კი მოვუყევი, რომელიც მივითვისე.

გაფითრებული, შეშინებული და ოდნავ პირდაღებული მისმენდა. კაშკაშა თვალეში ნალველი ედგა. მინდოდა ჩემი მონაყოლით გამონვეული მძიმე განწყობა გამეფანტა და შემართულმა წარმოეთქვი: “მაგრამ ეს ყველაფერი წარსულში დარჩა და აღარ განმეორდება, ახლა უკვე გადარჩენილი ვარ...”

მაგრამ ის სრულიად დაბნეული იყო. “ღმერთო შენ მიშველე!” აღმოხდა და გაჩუმდა. შემდეგ მცირე ინტერვალებით ისევ იმეორებდა და ისევ ჩუმიდებოდა: “ღმერთო შენ მიშველე!”

ხუმრობა ვცადე, მოვუღიტინე, ჩემსკენ მოვიზიდე. კაბა ისევ შეკრული დამხვდა და ამან გამაბრაზა. რატომ შეიკრა? ნუთუ მის თვალში უფრო ნაკლებად დავეცემოდი, ჩემი თმისცვენა მხოლოდ ჩემი თავის, ჩემი აღვირახსნილი ცხოვრების ბრალი რომ ყოფილიყო? ნუთუ უფრო მოვენონებოდი თავი გარყვნილად რომ მომეჩვენებინა? კმარა უაზრობები! აქ საქმე მხოლოდ დაძალებაში იყო! და თუკი საქმე მხოლოდ დაძალებაში იყო, მაშინ უკან არ დავიხევდი.

კიდევ ერთხელ უნდა მეცადა.

უსიტყვოდ, უბრალოდ ტახტზე გადავანვინე. მენინაღმდეგებოდა, თუმცა არც ისე ძლიერად და თითქოს გაოცებული იყო.

– არა! რა გინდათ? – თქვა მან.

– რა მინდა?

– არა... რატომ, არა...

– ო, დიახ, დიახ!

– არა, გესმით! – დაიყვირა და გესლიანად დაამატა, – მე მგონია, რომ გიჟი ხართ.

– ტყუილია. თქვენ ასე არ ფიქრობთ! – ნირნამხდარი გავჩერდი.

– დიახაც, თქვენ ისეთი უცნაური იერი გაქვთ! და იმ დილითაც, როცა უკან მომყვებოდით, მაშინაც მართლა მთვრალი არ ყოფილხართ?

– არა. მაგრამ მშიერიც არ ვყოფილვარ და, როგორც იცით, ახალი ნაჭამი მქონდა.

– მით უარესი.

– გერჩინათ, რომ მთვრალი ვყოფილიყავი?

– დიახ... მე თქვენი მეშინია! ღვთის გულისათვის, არ შეგიძლიათ თავი გამანებოთ?

ჩავფიქრდი. არა, თავის განებება არ შემეძლო, ძალიან ბევრს ვკარგავდი. აღარ გვინდა ასეთ დროს დივანზე სისულელები! ამ დროს ისინი რა ფანდებს აღარ მიმართავენ! თითქოს არ ვიცოდე, რომ ეს მხოლოდ უბრალო სიმორცხვეა! ხანდახან როგორი გულუბრყვილო ვარ! აბა მშვიდად! კმარა სისულელები!

მოულოდნელად ისეთ წინააღმდეგობას წავეწყდი, მხოლოდ უბრალო სიმორცხვეს რომ ვერ დააბრალებდი. შემთხვევით სანთელი წავაქციე და დაბნელდა, ის კი გააფთრებულ წინააღმდეგობას მიწვედა, სუსტად დაიყვირა კიდევ.

– არა, ეს არა, ეს არა! ამის მაგივრად, თუ გინდათ მკერდზე მაკოცეთ. გეხვენებით, გთხოვთ!

მაშინვე გავჩერდი. ამ სიტყვებმა ისეთი შიშითა და უმწეობით გაიჟღერეს, რომ გულწრფელად დავიბენი. იმის სანაცვლოდ მკერდზე კოცნა შემომთავაზა! რა მშვენიერია, მშვენიერი და გულუბრყვილო! მზად ვიყავი მის წინაშე მუხლებზე დავცემულიყავი.

– კი მაგრამ ძვირფასო! – გაოგნებულმა მივმართე, – ვერაფრით ვერ ვხვდები... ნამდვილად ვერ ვხვდები, ეს რა თამაშია...

ადგა და აკანკალებული ხელებით სანთელი აანთო. მე ისევ დივანზე ვიჯექი და არ ვინძროდი. ახლა რა იქნება? სრულიად მოვიშალე.

მან კედლის საათს შეხედა და შეკრთა.

– აჰ, მალე მოახლე დაბრუნდება, – თქვა. პირველი რაც თქვა ეს იყო.

მინიშნებას მივხვდი და წამოვდექი. მან მოსასხამი აიღო, მაგრამ გადაიფიქრა, ისევ დადო და ბუხართან მივიდა. გაფითრებული იყო და სულ უფრო მეტად ლელავდა. ისე რომ არ გამოსულიყო რომ მაგდებდა, ვკითხე: “მამათქვენი სამხედრო იყო?” ამასობაში კი წასასვლელად მოვემზადე.

– დიახ, სამხედრო იყო. თქვენ საიდან იცოდით?

– არ ვიცოდი. უბრალოდ თავში მომივიდა.

– რა უცნაურია!

– დიახ. ალლო ძალიან მშველის. ჰა-ჰა, ეს ჩემი სიგიჟის ნაწილია...

მან სწრაფად შემხედა, მაგრამ არ მიპასუხა. ვგრძნობდი, რომ ჩემი იქ ყოფნა ტანჯავდა და მინდოდა ამისთვის ბოლო მალე მომელო. კარისკენ გავემართე. ნუთუ მეტს აღარ მაკოცებს? და ხელსაც არ გამომიწვდის? მოლოდინში გავჩერდი.

– უკვე მიდიხარო? – ისევ ბუხართან მდგომმა მითხრა.

არ ვპასუხობდი. დამცირებული და დაბნეული უხმოდ შევცქეროდი. ეჰ, ყველაფერი გავაფუჭე! ისე ჩანდა, თითქოს ჩემი წასვლა სულ არ აღარდებდა; ის ჩემთვის სამუდამოდ დაკარგული იყო და იმაზე ვფიქრობდი, დამშვიდობებისას რა მეთქვა. მნიშვნელოვან, ღრმა სიტყვებს ვეძებდი, რომლებიც მასზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდნენ, მაგრამ ჩემი მტკიცე გადანყვეტილების სანინალმდეგოდ, იმედგაცრუებულმა, ალელვებულმა და ნანყენმა, იმის მაგივრად, რომ ამყად და ცივად დავმშვიდობებულიყავი, რაღაც სისულეების როშვა დავინყე, საჭირო სიტყვები არ მომდიოდა და უკიდურესად თავქარიანად მოვიქეცი. ეს ისევ სიტყვაკაზმული რიტორიკა იყო.

რატომ პირდაპირ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე არ მეუბნება რომ წავიდე? ვკითხე. დიახ, დიახ, რატომ? რა იყო აქ სამარცხვინო. იმის შეხსენების მაგივრად, რომ მალე მოახლე უნდა მოსულიყო, სრული-

ად უბრალოდ შეეძლო ასე ეთქვა: ახლა თქვენი წასვლის დროა, იმიტომ რომ დედაჩემის მოსაყვანად უნდა გავიდე და არ მინდა, რომ ქუჩაში თქვენთან ერთად დამინახონ. რამე სხვას ხომ არ ფიქრობდა? არა, ზუსტად ამას ფიქრობდა. კარგი, ამას მაშინვე მივხვდი. ამისთვის სულ ცოტა იყო საჭირო; როცა მოსასხამი აიღო და ისევ დადო, ამან იმწამს დამარწმუნა. მე ხომ ვთქვი, რომ ალლო მქონდა. და ამისათვის სულაც არ არის საჭირო რომ გიჟი...

– ღვთის გულისათვის, არ შეგიძლიათ, ეს ერთი სიტყვა მაპატიოთ! უნებურად წამომცდა! – წამოიძახა. მაგრამ ის ისევ გაუნძრევლად შორს იდგა და არ მიახლოვდებოდა.

მე კი ჩემსას არ ვთმობდი. ვლავლავებდი, ისეთი გრძნობა მქონდა, რომ თავი მოვაბეზრე, რომ ვერც ერთმა სიტყვამ მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ მაინც ვერ ვჩერდებოდი. ალბათ შესაძლებელია, გიჟი არ იყო, მაგრამ მგრძნობიარე გული გქონდეს, ვთქვი; ისეთნიც არიან, ყველანაირ წვრილმანს რომ ყურადღებას აქცევენ და მათი მოკვლა ერთი მკვეთრი სიტყვითაც შეიძლება. მივანიშნე რომ სწორედ ასეთი ბუნება მქონდა. საქმე იმაში იყო, რომ სილატაკემ ზოგიერთი მიდრეკილება იმდენად გამიმძაფრა, რომ ნამდვილი უსიამოვნებები მომიტანა. – “დიახ, დამერწმუნეთ, ნამდვილი უსიამოვნებები, ვწუხვარ, რომ ამას ვამბობ.” მაგრამ ამას დადებითი მხარეც ახლავს, რომელიც ზოგჯერ მეხმარება. ლარიბი გონიერი ადამიანი მდიდარ გონიერ ადამიანზე გაცილებით უფრო დაკვირვებულია. ის ყოველი ნაბიჯის გადადგმისას გარშემო იყურება, სიტყვებს, რომელიც ესმის, ეჭვით ეკიდება და ყოველ ნაბიჯზე ახალ-ახალი სირთულეები თუ ამოცანები ხვდება, რაც მის აზრებსა და გრძნობებს ამახვილებს. ის მიხვედრილია, ფაქიზი და მრავალნაცადი, სული მისი აალებულია...

ჩემს აალებულ სულზე საკმაოდ ბევრი ვისაუბრე. მაგრამ რაც უფრო დიდხანს ვლაპარაკობდი მით უფრო მოუსვენრობა იპყრობდა და ბოლოს სასონარკვეთილმა, ხელების მტკრევით რამდენჯერმე გაიმეორა “ო, ღმერთო ჩემო!” მშვენივრად ვიცოდი, რომ ვტანჯავდი და ეს საერთოდ არ მინდოდა, მაგრამ მაინც ვტანჯავდი. ბოლოს გა-

დავწყვიტე, რომ მთავარი უკვე ითქვა და მისი სასონარკვეთილებით აღსავსე მზერით შეძრულმა წამოვიძახე:

– ახლა კი მივდივარ, მივდივარ! ხომ ხედავთ უკვე კარის სახე-  
ლურს ჩაეჭიდე ხელი! მშვიდობით! მშვიდობით! გესმით? შეგეძლოთ  
პასუხი მაინც გაგეცათ, რადგან ორჯერ დაგემშვიდობეთ და მტკი-  
ცედ გადავწყვიტე წასვლა. მე შეხვედრასაც კი აღარ გთხოვთ, რად-  
განაც ვიცი, რომ ეს თქვენთვის მტკივნეული იქნება. მაგრამ მითხა-  
რით: რატომ დამტანჯეთ? რა დაგიშავეთ? მე ხომ გზაზე არ გადაგი-  
დექით? უცებ ზურგი რატომ შემაქციეთ, თითქოს უცნობები ვი-  
ყოთ? თქვენ ხომ ბოლომდე გამომაცარიელეთ და ახლა საბოლოოდ  
გადათელილი ვარ. ღმერთია მონმე, გიჟი არა ვარ. თუკი თავს ოდნავ  
ძალას დაატანთ, მშვენივრად მიხვდებით, რომ ახლა სრულიად ჯან-  
მრთელი ვარ. ხელი გამომიწოდეთ! ან უფლება მომეცით, რომ მოგი-  
ახლოვდეთ! შეიძლება? არაფერს დაგიშავებთ, სულ ერთი წამით  
თქვენს წინაშე მუხლს მოვიდრეკ, თქვენს ფეხებთან მუხლებზე დავ-  
დგები, მხოლოდ ერთი წამით. ნებას დამრთავთ? კეთილი, ამას არ  
გავაკეთებ, ვხედავ რომ გეშინიათ და არ გავაკეთებ, გესმით? არ გა-  
ვაკეთებ. მაგრამ თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, ასე რისი გეშინი-  
ათ? მე ხომ მშვიდად ვდგავარ და ადგილიდან არ ვიძვრი. უბრალოდ  
ხალიჩაზე დავიჩოქებდი, აი იმ წითელ წერტილზე, თქვენს ფეხებთან  
რომ არის. მაგრამ თქვენ შეგეშინდათ, თქვენს თვალებში მაშინვე  
დავინახე, რომ შეგეშინდათ; და აი, ადგილიდან არ დავძრულვარ. ნა-  
ბიჯიც კი არ გადამიდგამს, როცა ნებართვას გთხოვდით, ასე არ  
არის? როგორც ამ წუთს გაუნძრევლად ვიდექი, როდესაც ის ადგი-  
ლი გიჩვენეთ, სადაც მუხლებზე დაჩოქება მინდოდა, აი იქ, ხალიჩა-  
ზე, სადაც წითელი ვარდია გამოხატული. თითითაც კი არ მიმინიშ-  
ნებია, ნამდვილად არ მიმინიშნებია, ამას არ ვაკეთებ, რომ არ შეგა-  
შინოთ, მხოლოდ თავს ვხრი და იქით ვიყურები, აი ასე! და თქვენ  
მშვენივრად ხვდებით, რომელ ვარდზე ვლაპარაკობ, მაგრამ არ  
გსურთ, რომ მუხლებზე დაჩოქების ნება დამრთოთ, რადგან გეშინი-  
ათ და ჩემთან მოახლოება ვერ გადაგინწყვეტიათ. არ მესმის, გიჟი რა  
გულით მიწოდეთ. თქვენ ხომ ამის უკვე აღარ გჯერათ, არა? გიჟი

მხოლოდ ერთხელ, დიდი ხნის წინათ, ზაფხულში ვიყავი. ზედმეტად ბევრს ვმუშაობდი და დროზე სადილობა მაკინწყებოდა, იმიტომ, რომ აზრებით საქმეში ვიყავი ჩაფლული. ეს ყოველდღე მეორდებოდა, საჭმელი უნდა მხსომებოდა, მაგრამ ყოველთვის მაკინწყებოდა. ღმერთია მოწმე, სიმართლეს ვამბობ! მიწამ ჩამიტანოს თუ ვტყუოდე! ასე რომ, როგორც ხედავთ, უსამართლოდ მექცევით. ასე სიღარიბის გამო კი არ ვმუშაობდი; მე ინგებრეტთან და გრავესენტან კრედიტით, დიდი კრედიტით ვსარგებლობ. ჯიბეში ბევრი ფული ხშირად მქონია და მაინც საჭმელს არ ვყიდულობდი, იმიტომ რომ მაკინწყებოდა. გესმით! თქვენ დუმხართ, არ მპასუხობთ, ბუხარს არ სცილდებით, უბრალოდ დგახართ და ჩემს წასვლას ელოდებით...

სწრაფად მომიახლოვდა და ხელი გამომიწოდა. დაეჭვებული ვუყურებდი. ეს მან გულით გააკეთა? თუ მხოლოდ იმიტომ, რომ თავიდან მოვეშორებინე? აცრემლებულმა ხელები კისერზე მომხვია. მე კი ვიდექი და ვუყურებდი. ტუჩები მომიშვირა, მაგრამ მისი არ მჯეროდა, ეს მხოლოდ მსხვერპლი იყო, ოღონდ ყველაფერი სწრაფად დამთავრებულიყო.

რალაც თქვა, რაც ისე ჩამესმა: "მე თქვენ მაინც მიყვარხართ!" ეს ძალიან ნაზად, გაურკვეველად თქვა და შესაძლოა არასწორადაც მომესმა, შეიძლება ზუსტად ეს სიტყვები არც ეთქვას; მაგრამ კისერზე ორივე ხელით მგზნებარედ ჩამომეკიდა, ფეხისწვერებზეც წამოიწია, რომ კარგად მომწვდომოდა, და ასე იდგა.

შემეშინდა, რომ მან უბრალოდ თავი აიძულა ჩემთან ალერსიანი ყოფილიყო, და ვთქვი: "რა მშვენიერი ხართ ახლა!"

მეტი არაფერი მითქვამს. უკან დავიხიე, კარს მივებხალე და გავედდი. ის კი, ფეხზე მდგომი, იქვე დარჩა.





მეოთხე ნაწილი



ზამთარი მოვიდა, ცივი, ნესტიანი და თითქმის უთოვლო. მარადიული, ნისლიანი ღამე დადგა და თითქმის მთელი კვირა სუფთა ნიავის ქროლვაც არ იგრძნობოდა. ქუჩებში გაზის ფანრები დღისითაც ენთო, მაგრამ ხალხი ნისლის გამო ერთმანეთს მაინც აწყდებოდა. ყოველი ბგერა, ეკლესიის ზარების გუგუნი, ცხენების ეჟენების წკარუნი, ადამიანთა ხმები, ფლოქვების ბაკუნი – ყველაფერი დახშულ ჰაერში ისე ყრუდ ისმოდა, თითქოს დამარხული იყო. კვირა კვირას მისდევდა და ამინდი არ იცვლებოდა.

მე ისევ ფათერლანდის უბანში ვცხოვრობდი.

ამ მოგზაურთა თავშესაფარს, ავეჯით განწყობილ ოთახებს, სადაც სილატაკის მიუხედავად გაჩერების ნება დამრთეს, სულ უფრო და უფრო ვეჯაჭვებოდი. ფული კარგა ხნის წინ დამიმთავრდა, მაგრამ ვაგრძელებდი აქ მოსვლას, თითქოს ამის უფლება მქონდა და აქაურობას ვეკუთვნოდი. დიასახლისი ჯერ-ჯერობით არაფერს არ მეუბნებოდა; მაგრამ მე მაინც მტანჯავდა, რომ ფულს ვერ ვუხდიდი. სამი კვირა ასე გავიდა.

უკვე რამდენიმე დღე იყო, რაც ისევ დავინწყე წერა, მაგრამ შედეგი არ მაკმაყოფილებდა; ბედი აშკარად არ მწყალობდა, თუმცა გულმოდგინედ ვმუშაობდი და ცდას არ ვაკლებდი. ყველაფერი უშედეგო იყო, იღბალს მიტოვებული ვყავდი.

წერას მეორე სართულის ოთახში ვცდილობდი; ეს საუკეთესო ოთახი იყო. იმ პირველი საღამოდან, როცა ფული ჯერ კიდევ მქონ-

და და ყველაფრის გადახდა შემეძლო, იქ არავინ მანუხებდა. მთელი ეს დრო, იმედი მქონდა, რომ რაიმე სტატიას დავწერდი და მაშინ ოთახის ქირას და სხვა ვალებსაც გავისტუმრებდი; ამიტომ ვმუშაობდი ასე გულმოდგინედ. განსაკუთრებით ერთ დაწყებულ სტატიას ვუკირკიტებდი, რომლისგანაც ბევრს მოველოდი. ეს იყო ალეგორია წიგნის მალაზიაში მომხდარ ხანძარზე; მასში ღრმა აზრი მქონდა ჩადებული, რომელიც რაც შეიძლება კარგად უნდა დამეხვენა, რომ “კომანდორისთვის” ვალის დასაფარად მიმეტანა. “კომანდორი” თავად დარწმუნდებოდა, რომ ამჯერად ის მართლაც ნიჭიერ ადამიანს დაეხმარა; ამაში მცირეოდენი ეჭვიც კი არ მეპარებოდა, მე მხოლოდ დრო მჭირდებოდა, რომ აღმაფრენა მომსვლოდა. ვითომ აღმაფრენა რატომ არ უნდა მომსვლოდა, და თანაც მალე? ხელს არაფერი მიშლიდა. დიასახლისი ყოველ დღე მაჭმევდა; დილით და სალამოს რამდენიმე სენდვიჩს მთავაზობდა და გაცილებით მშვიდი გავხდი. წერის დროს ხელს ჩვრებით აღარ ვიხვევდი და მეორე სართულიდან ქუჩაში ყურება თავბრუსხვევის გარეშე შემეძლო. ახლა ყველანაირად, გაცილებით უკეთ ვიყავი და მიკვირდა, რომ თხზულება ჯერ კიდევ დაუმთავრებელი მქონდა. ამას ახსნა ვერ გამოვუძებნე.

თუმცა ერთ დღეს ერთგვარი მინიშნება მაინც მივიღე, თუ როდენ დასუსტებული ვიყავი და როგორ ზოზინით და უხარისხოდ მიმუშავებდა ტვინი. ამ დღეს დიასახლისმა რალაც ანგარიში მომიტანა და მისი გადახედვა მთხოვა; როგორც ჩანს ეს ანგარიში არასწორია, მის დავთრებს არ ესადაგება, მითხრა მან, მაგრამ შეცდომის პოვნა თვითონ ვერ მოახერხა.

ანგარიშს შევუდექი; დიასახლისი ჩემს პირდაპირ იჯდა და მიყურებდა. ყველა ის ოცი ციფრი შევკრიბე, ჯერ ზემოდან ქვემოთ, და ჯამი სწორი აღმოჩნდა; შემდეგ კი ქვემოდან ზემოთ და ისევ იგივე შედეგი მივიღე. ქალს შევხედე, რომელიც ჩემს პირდაპირ იჯდა და ელოდა რას ვეტყოდი; მაშინვე შევატყვე, რომ ფეხმძიმედ იყო, მიუ-

ხედავად იმისა, რომ ამას სრულიად არ ვცდილვარ, ჩემს დაკვირვებულ მზერას ეს არ გამოეპარა.

– ყველაფერი სწორია, – ვთქვი.

– შეგიძლიათ ყველა ციფრი სათითაოდ გადაამოწმოთ? – მთხოვა, – შეუძლებელია ამდენი იყოს, დარწმუნებული ვარ, რომ შეუძლებელია.

ყოველი ციფრის გადამოწმებას შევეუდექი: 2 პური თითო 25-ად; ლამფის შუშა – 18; საპონი – 20; კარაქი – 32... ამ პატარა ფარდულის ანგარიშის ციფრების რიგის გადამოწმებას განსაკუთრებული ნიჭი არ სჭირდებოდა და მეც კეთილსინდისიერად ვცდილობდი იმ შეცდომის პოვნას, რომელზეც დიასახლისი ლაპარაკობდა, მაგრამ ვერაფერი ვერ აღმოვაჩინე. რამდენიმე წუთის შემდეგ, თითქოს ჯინაზე, თავბრუსხვევა ვიგრძენი. ყველაფერი ამერ-დამერია, შემოსავალს და ხარჯებს ერთმანეთისგან ველარ ვარჩევდი. ბოლოს ყურადღება მოულოდნელად ერთ სტრიქონზე გავამახვილე:  $1 \frac{10}{16}$  ფუნტი ყველი ფუნტი 32-ად. ჩემმა ტვინმა მუშაობაზე საბოლოოდ უარი მითხრა, სიტყვა "ყველს" დავამტერდი და მეტი არაფრის თავი არ მქონდა.

– ეშმაკმა წამიღოს, თუ ოდესმე ასეთი ოკრო-ბოკრო ნაჯღაბნი მენახოს! – აღმომხდა სასონარკვეთილს. ღმერთო ჩემო, აქ პირდაპირ წერია: ათი მეთექვსმეტედი ფუნტი ყველი. ჰა-ჰა, გაუგონარი ამბავია! თავად შეხედეთ!

– დიახ, – დამეთანხმა დიასახლისი, – ჩვეულებრივ, ეს ასეთნაირად იწერება. ეს მწვანე ყველია. კი, ყველაფერი სწორია! ათი მეთექვსმეტედი, ეს ათი უნციაა...

– მაგდენი მესმის! – გავანყვეტინე, თუმცა სინამდვილეში აღარც არაფერი მესმოდა.

ისევ შევეცადე ანგარიშში გარკვევას, რასაც რამდენიმე თვის წინ სულ რაღაც ერთ წუთში მოვახერხებდი. ოფლად ვინურებოდი, მთელი ძალებით ვცდილობდი ამ იდუმალ ციფრებში ჩანვდომას. თვალებს ღრმააზროვნად ვხუჭავდი, თითქოს ნანერში ვერკვეოდი, მაგრამ არაფერი გამომდიოდა; ყველის ათმა უნციამ ბოლო მომიღო; თითქოს ტვინში რაღაც გამებზარა.

თუმცა დიასახლისზე შთაბეჭდილების მოსახდენად, ანგარიშს მაინც ვაგრძელებდი, ტუჩებს ვამოძრავებდი, დრო და დრო რომელიღაც რიცხვს ხმამაღლა ვამბობდი, თითქოს შეუჩერებლად წინ მივინევდი და შემონმებას სადაცაა დავამთავრებდი. დიასახლისი იჯდა და მელოდებოდა. ბოლოს ვთქვი: “თავიდან ბოლომდე გადავამოწმე და რამდენადაც ამის განსჯა შემიძლია, შეცდომა აქ ნამდვილად არ არის.”

– მართლა? – მკითხა მან, – მართლა ასეა?

მშვენივრად ვხედავდი, რომ ჩემი არ სჯეროდა. და უეცრად მომეჩვენა, თითქოს ხმაში ოდნავ აგდებული, ოდნავ გულგრილი კილო შეეპარა, რაც ადრე არ შემიმჩნევია. მითხრა, რომ მეთექვსმეტედების გამოთვლებს, როგორც სჩანს, მიჩვეული არ ვიყავი; და დააყოლა, რომ იძულებულია ანგარიშის გადამოწმება სხვას სთხოვოს, იმას ვინც ამაში უკეთ ერკვევა. ეს ყველაფერი საწყენად, ჩემი შერცხვენის მიზნით არ უთქვამს, უბრალოდ დაფიქრებული და სერიოზული იყო. უკვე კართან მისულმა არც შემომხედა და ისე მითხრა: “მაპატიეთ, რომ დრო წაგართვით!”

წავიდა.

მცირე ხნის შემდეგ კარი კიდევ ერთხელ გაიღო და ისევ დიასახლისმა შემოაბიჯა, როგორც ჩანს შუა გზიდან მობრუნდა.

– სხვათა შორის, – თქვა მან, – არ გენყინოთ, მაგრამ ჩემი ფული გამართებთ. გუშინ საღამოს, მგონი სამი კვირა შესრულდა, რაც აქ ცხოვრობთ, არა? – დიახ, ზუსტად ასეა, დავეთანხმე. – ასეთი დიდი ოჯახით თავის გატანა არც თუ ისე იოლია, ამიტომ კრედიტით აქ ვერავის ვაცხოვრებ...

სიტყვა შევანწყვეტინე.

– მე ხომ გითხარით, რომ სტატიაზე ვმუშაობ და როგორც კი დავამთავრებ თქვენს ფულს მაშინვე მიიღებთ. შეგიძლიათ წყნარად იყოთ.

– მაგრამ თქვენ არასოდეს დაამთავრებთ მაგ სტატიას, არა?

– ასე გგონიათ? შთაგონება შესაძლოა ხვალ ან თუნდაც ამაღამ მენვიოს. სავსებით შესაძლებელია, რომ გონება ამაღამ გამინათდეს და მა-

შინ, სტატისას სულ რაღაც თხუთმეტ წუთში დავასრულებ. მე სხვა ადამიანებივით არ ვმუშაობ. არ შემიძლია დღეში გარკვეული რაოდენობის გვერდების წერა, მე ჩემს წუთებს უნდა ველოდო. და არავინ იცის შთავგონება რა დღეს და რომელ საათზე ეწვევა, ეს თავისთავად ხდება.

დიასახლისი წავიდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ჩემდამი ნდობა საკმაოდ შეერყა.

როგორც კი მარტო დავრჩი, ნამოვხტი და სასონარკვეთილებისგან საკუთარი თმის გლეჯა დავიწყე. არა, გამოსავალი ნამდვილად არ არის! არანაირი ხსნა! ტვინი აღარ მემსახურება! განა სრულ იდიოტად არ გადავიქცევი, თუკი ყველის ერთი ნაჭრის ღირებულებასაც კი ვერ ვანგარიშობ? მაგრამ საკუთარ თავს ასეთ შეკითხვებს თუ ვუსვამ, შესაძლებელია, ჭკუიდან შევიშაღე? და ანგარიშში ჩართულმა, განა იშვიათი დაკვირვებულობის წყალობით არ შევამჩნიე, რომ დიასახლისი ფეხმძიმედ იყო? მე ხომ ამის შესახებ წარმოდგენაც არ მქონდა, ჩემთვის ეს არავის უთქვამს და ჩემდა უნებურადაც არ შემიტყვია – ეს საკუთარი თვალებით დავინახე და იმწუთასვე გავვიგე, როდესაც სასონარკვეთილი მეთექვსმეტედებს ვანგარიშობდი. ეს ყველაფერი როგორ უნდა ამეხსნა?

ფანჯარასთან მივედი და გარეთ გავიხედე; ჩემი ფანჯარა ვოგნმანდის ქუჩაზე გადიოდა. ქვემოთ, ტროტუარზე ბავშვები თამაშობდნენ, ღარიბულად ჩაცმული ბავშვები სიღარიბით მოცულ ქუჩაზე. ისინი ერთმანეთს ცარიელ ბოთლს ესროდნენ და ჭყიოდნენ. საოჯახო ნივთებით დატვირთულმა ეტლმა ჩაიარა; ალბათ ქუჩაში გაგდებული ოჯახი იყო, თუ საცხოვრებელის შეცვლა წელიწადის ასეთ შეუფერებელ დროს უწევდათ. ეს ფიქრი მაშინვე მომივიდა. ზედ საბნები, ბალიშები და ავეჯი, დაჭიანებული საწოლები და კარადა, წითელი სამფეხა სკამები, ჭილოფები, ათასგვარი ხარახურა და რკინის ჭურჭლეული დაეყარათ. ამ ყველაფრის ზემოთ კი სულ ერთი ციდა, უშნო, ნვინტილიანი გოგონა იჯდა და რომ არ გადავარდნილიყო, გალურჯებული სანყალი ხელებით რაღაცას ეჭიდებოდა. გაზინტილი, ნესტიანი ლეიბების გროვაზე იჯდა და ცარიელი ბოთლით მოთამაშე ბავშვებს უყურებდა.

ქუჩაში ვიყურებოდი და ყოველგვარი სიძნელის გარეშე ამ ყველაფერს ძალიან იოლად ვხვდებოდი. ფანჯარასთან მდგომს სამზარეულოდან დიასახლისის მოახლე გოგონას ღიღინი მესმოდა. ვიცოდი რომელ სიძლერასაც მღეროდა და მაინტერესებდა, თუ დაუშვებდა შეცდომას. საკუთარ თავს ვუთხარი, რომ ჭკუასუსტი ამ ყველაფრის გაკეთებას თავს ვერ მოაბამდა; მადლობა ღმერთს, ისეთივე სრულ ჭკუაზე ვიყავი, როგორც სხვები.

უცებ დავინახე, რომ ორი ბიჭუნა ერთმანეთში წაკინკლავდა. ერთ-ერთს, დიასახლისის შვილს ვიცნობდი. ფანჯარას ვაღებ, რომ მოვისმინო ერთმანეთს რას ეუბნებიან, და უცებ ქვემოთ ბავშვები გროვდებიან და მსუნაგად მიყურებენ. რას ელოდებოდნენ? რომ რამეს გადავუგდებდი? გამხმარ ყვავილს, ძვლებს, სიგარის ნამწვებს, რაიმეს, რაც საჭმელად ან სათამაშოდ გამოადგებოდათ? ჩემს ფანჯარას სევდიანი და სიცივისგან გალურჯებული სახეებით უყურებდნენ. ამასობაში კი ორი პატარა მტერი ყვირილს განაგრძობს. მათი ბავშვური პირებიდან სალანძღავი სიტყვები, საშინელი მეტსახელები, მეზღვაურთა გინება იფრქვევა, რაც მათ ალბათ გემთსატიერთში ისწავლეს. ისე გაერთნენ, რომ ამბის გასაგებად გამოვარდნილ დიასახლისსაც კი ვერ ამჩნევენ.

– რატომ და... – თავს იმართლებს დიასახლისის შვილი, – კისერში მომიჭირა და კინალამ დამახრჩო! – მერე თავის მეტოქეს მიუბრუნდა, რომელიც ამასობაში ავად ხითხითებდა და განრისხებული ყვირის, – ქალღველო მხეცო! ბინძურო ნაბიჭვარო, როგორ ბედავ, ხალხის ყელში წვდომას. შენ გიჩვენებ...

და დედამისი, ეს ფეხმძიმე ქალი, რომლის მუცელიც მთელს ამ ვიწრო ქუჩაზე დომინირებს, თავის ათი წლის ბიჭს საპასუხოდ ხელს სტაცებს და მის გაყვანას ცდილობს: “ჩუ! ენა გააჩერე! ლანძღვა-გინება სად ისწავლე? ისე იყეფები, თითქოს უკვე წლები კახპებში დაეთრეოდე! ახლავე სახლში შედი!”

– არ შევალ!

– დიახაც, შეხვალ.

– არ შევალ!



ფანჯარასთან ვდგავარ და ვხედავ, დედამისი ნელ-ნელა როგორ ცოფდება. ეს საზიზლარი სცენა ჩემში ღრმა აღშფოთებას იწვევს, თავს ველარ ვიკავებ და ბიჭს ვუყვირი, რომ ჩემთან ერთი ნუთით ამოვიდეს. ორჯერ დაუყვირე, რათა ისინი გამეჩერებინა და ეს სანახაობა შემეწყვიტა. მეორედ ძალიან ხმამაღლა გამომივიდა, დიასახლისმა თავი ასწია და დარცხვენით შემომხედა, მაგრამ უცებ დარცხვენამ გადაუარა და საკუთარი უპირატესობის შეგრძნებით აღსავსე, უტიფრად მიმზერს. შემდეგ შვილს შენიშვნას აძლევს და ჩემს გასაგონად, ხმამაღლა ეუბნება: “გრცხვენოდეს, ყველას უნდა დაანახო, როგორი საძაგელი ბიჭი ხარ!”

ამ ყველაფრის ყურებისას არაფერი არ გამომრჩენია. ჩემი დაკვირვებულობის ნყალობით, ყოველი წვრილმანიც კი აღვიქვი, თანმიმდევრობით გავიაზრე და საკუთარი აზრი გამოვიტანე. ესე იგი, გონება საღსალამათი მქონდა. ან კი რატომ უნდა დამზიანებოდა?

მომისმინე, უცებ საკუთარ თავს მივმართე, შენს გონებრივ ჯანმრთელობაზე უკვე საკმარისი ხანია რაც ღელავ, ახლა კი მორჩი ამ სისულელეებს! განა ეს სიგიჟის ნიშანია, როცა ყველაფერს ნათლად ხედავ და აღიქვამ? უბრალოდ სასაცილო ხარ, დამერწმუნე, ამ ყველაფერს თავისი იუმორი ახლავს. ერთი სიტყვით, ყველას თავისი ახირებები აქვს, განსაკუთრებით უბრალო რამეებში. ეს არაფერს ნიშნავს, ეს უბრალო შემთხვეველობაა. გეუბნები, სასაცილო ხარ. ეს ანგარიში და ლატაკთა ათი მეთექვსმეტედი აყროლებული ყველი, ჰა-ჰა, ზაფრანიანი და პილპილიანი ყველი! ამ სასაცილო ყველს რაც შეეხება, მისგან კაცი შეიძლება დაჩლუნგდეს, ამ ყველის სუნიც კი საკმარისია, რომ ადამიანი იმქვეყანას გაისტუმროს... ყველა არსებულ მწვანე ყველს დავცინოდი... რაიმე საჭმელად გამოსადეგი მომეცით! ვთქვი, თუ გნებავთ, ათი მეთექვსმეტედი ნალების კარაქი მომეცით! ეს სხვა საქმეა!

აღგზნებულს საკუთარ ხუმრობებზე მეცინებოდა და მათ საშინლად თავშესაქცევად ვთვლიდი. არანაირი ნაკლი აღარ მქონდა და სრულიად ჯანსაღი ვიყავი.

ოთახში დავდიოდი, საკუთარ თავს ველაპარაკებოდი და მხიარულება მემატებოდა. ხმამალა ვიცინოდი და ძალიან გახარებული ვიყავი. თითქოს მართლაც მხოლოდ ამ მოკლე სიხარულის წუთს, უცნაურ და გასხივოსნებული აღფრთოვანებით სავსე გაელვებას ველოდებოდი, რათა შრომისუნარიანობა დამბრუნებოდა. მაგიდას მივუჯექი და ჩემი თხზულების წერა განვაგრძე. სამუშაო გაცილებით მეტი წარმატებით მიიწვედა წინ. მართალია სისწრაფე აკლდა, მაგრამ ის მცირეოდენი, რაც გავაკეთე, პირველხარისხოვანი იყო. თანაც მთელი საათი დაღლის გარეშე ვმუშაობდი.

ახლა წიგნის მალაზიაში მომხდარი ხანძრის შესახებ ალეგორიული თხზულების ძალიან მნიშვნელოვან მომენტზე ვარ. ის ისეთი მნიშვნელოვანი მეჩვენებოდა, რომ ყველაფერი რაც კი აქამდე დაწერილი მქონდა, მასთან შედარებით არარაობა იყო. ჭეშმარიტად ღრმა აზრის გამოსატყა მინდოდა, რომ წიგნები კი არა ადამიანთა ტვინები ინვოდნენ, მინდოდა ამისგან ნამდვილი ბართლომეს ღამე მომეწყო. მოულოდნელად კარი გაიღო და დიასახლისი შემოვარდა და ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, პირდაპირ ოთახის შუაგულში გაჩერდა.

წამოვიყვირე, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს დარტყმა მიმეღოს.

– რა? – იკითხა მან. – მომეჩვენა თითქოს რაღაცა მითხარით. ჩვენ ახალი ჩამოსული გვყავს და ამ ოთახში უნდა დავაბინავოთ. თქვენ კი ამაღამ ქვემოთ, ჩვენთან გაგაჩერებთ, თუმცა თქვენი საკუთარი სანოლი არ გექნებათ. – და სანამ პასუხის გაცემას მოვახერხებდი, მაგიდიდან წყნარად ჩემი ქალღმერთის აკრეფა დაიწყო, ისე რომ სულ ერთმანეთში აურია.

სიხარული მაშინვე გამიქრა, გავბრაზდი, სასონარკვეთილებამ შემიაპყრო და ფეხზე წამოვდექი. ხმის ამოუღებლად მაგიდის ალაგების საშუალება მივეცი; კრინტიც არ დამიძრავს. დიასახლისმა ქალღმერთები ხელში შემაჩეჩა.

სხვა გზა არ იყო, ოთახი გავათავისუფლე და ამგვარად უძვირფასესი დროც სამუდამოდ დაიკარგა! ახალჩამოსულს კიბეზე შევ-

ხვდი. ახალგაზრდა კაცი იყო ხელზე ამოსვირინგებული დიდი, ცისფერი ლუზით. უკან, ზურგზე აკიდებული დიდი სკივრით მეკურტნე მოჰყვებოდა. ჩამოსული აშკარად მეზღვაური, ესე იგი შემთხვევითი, ერთი ლამის სტუმარი იყო. ის ჩემს ოთახს მეტი ხნით არ უნდა დაჰატრონებოდა. შესაძლოა ხვალვე გაემგზავროს, ბედმა გამიღიმოს და ის ბედნიერი ნუთები ისევ მარგუნოს. ერთადერთი რაც ახლა მჭირდებოდა, ხუთნუთიანი შთაგონება იყო და ჩემს ნაშრომს ხანძრის შესახებ დავასრულებდი. მანამდე კი ბედს უნდა შევრიგებოდი.

აქამდე მეპატრონეების ნახევარში, სადაც ერთ ოთახში ცოლქმარი, ქალის მამა და ოთხი ბავშვი ბინადრობდნენ, ფეხი არ შემიდგამს. მოსამსახურე სამზარეულოში ცხოვრობდა და იქვე ეძინა. კარს უხალისოდ მიუუახლოვდი და დავაკაკუნე. არავინ არ მიპასუხა, თუმცა შიგნიდან ხმები მესმოდა.

როდესაც შევედი, ქმარს ხმა არ ამოუღია და მისალმებაზეც კი არ მიპასუხა; ისე გულგრილად შემომხედა, თითქოს სრულიად არ ვაინტერესებდი. ბანქოს ეთამაშებოდა კაცს, რომელიც ნავსადგურში მყავდა ნანახი, მტვირთავს, მეტსახელად “სირჩა”. საწოლზე თოთო ბავშვი ღულუნებდა. მოხუცი კაცი, დიასახლისის მამა, დივანზე მოკუნტული იჯდა და თავი ხელებზე ისე ჰქონდა ჩამოდებული, თითქოს მკერდი ან მუცელი სტკიოდა. თითქმის თეთრი თმა ჰქონდა და ამ მოკრუნჩხულ მდგომარეობაში დასაგესლად მომართულ მწერს ჰგავდა.

– მაპატიეთ, მაგრამ თქვენთან ლამის გასათევი ადგილის სათხოვნელად მოვედი, – დიასახლისის ქმარს მივმართე.

– ასე ჩემმა ცოლმა თქვა? – იკითხა მან.

– დიახ, ჩემი ოთახი ახალმა მდგმურმა დაიკავა.

ამაზე არაფერი მიპასუხა და ისევ ბანქოს მიუბრუნდა.

ყოველ ცისმარე დღეს ასე იჯდა და სტუმრებთან ბანქოს თამაშობდა; არა ფულზე, უბრალოდ დროის მოსაკლავად, ხელების დასასაქმებლად. მეტს არაფერს არ აკეთებდა და მოძრაობებიც ზანტი და უხალისო ჰქონდა. მისი ცოლი კი მთელი დღე, კიბეზე ზემოთქვემოთ დაქროდა, სახლში ფუსფუსებდა და კლიენტებს შოულობდა,

თან პორტის მუშებთან და მტვირთავებთანაც მოლაპარაკებელი იყო; ისინი ყოველ მოყვანილ კლიენტზე გარკვეულ გასამრჯელოს იღებდნენ და ხშირად თვითონაც აქ რჩებოდნენ ხოლმე. ეს ახალი სტუმარი, სწორედ “სირჩას“ მოყვანილი იყო.

ოჯახის წევრი ბავშვებიდან ორნი შემოვიდნენ, ორი პატარა გოგონა, გამბდარი, ჭორფლიანი, ჭუჭყიანი სახეებით; თითქმის დახეული კაბები ეცვათ. ცოტა ხანში დიასახლისიც შემოვიდა. ვკითხე, ამაღამ სად მიპირებდა გამწესებას, რაზედაც მოკლედ მომიჭრა, რომ დაძინება აქვე, ყველასთან ერთად ანდა შემოსასვლელში, დივანზე შემეძლო. როცა ამას მეუბნებოდა, აქეთ-იქეთ დადიოდა, ოთახს ალაგებდა და ჩემსკენ ერთხელაც არ გამოუხედავს.

მისი პასუხი რომ მოვისმინე, ყურები ჩამოვყარე და ბედს შეგუებული, კართან ისეთი სახით ავიტუზე, თითქოს სხვისთვის ოთახის დათმობა სიამოვნებასაც კი მანიჭებდა; ქუჩაში რომ არ აღმოვჩენილიყავი, კმაყოფილი გამომეტყველების მიღებას ვცდილობდი. და ვთქვი: “ოჰ, კარგით, როგორმე მოვენყობი!” და გავჩუმდი.

დიასახლისი ისევ ოთახში დანრიალეზდა.

– რადგანაც ამაზე ვფიქრობ, უნდა გითხრათ, რომ ჩემთვის კრედიტში ოთახების გაცემა და ადამიანების გამოკვება არაფრით არ შეიძლება. – თქვა მან. – ეს ერთხელ უკვე გითხარით.

– დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ მე მხოლოდ ორი დღე მჭირდება სტატიის დასამთავრებლად, – ვუპასუხე. – შემდეგ სიამოვნებით, ხუთი კრონით მეტსაც კი გადაგიხდით, დიახ, დიდი სიამოვნებით.

ვხედავდი, რომ ჩემი სრულიად არ სჯეროდა. მე კიდევ არ შემეძლო ამ სახლიდან ამაყად, ესოდენ მცირე შეურაცხყოფის გამო წამოსვლა. ვიცოდი, აქედან გამოსულს რაც მელოდა.

რამდენიმე დღე გავიდა.

მე ისევ ქვემოთ, სახლის მეპატრონეებს ვიყავი შეხიზნული. რადგან შემოსასვლელში ღუმელი არ იდგა და ძალიან ციოდა, ღამე ოთახში იატაკზე მეძინა. ჩამოსული მეზღვაური ისევ ჩემს ოთახში

ცხოვრობდა და ეტყობოდა, რომ მალე წასვლას არც აპირებდა. შუადღისთვის დიასახლისი მოვიდა და თქვა, რომ მან მთელი ფული წინანარ გადაიხადა; და საერთოდაც, გამგზავრებამდე, შტურმანობის მისაღებად გამოცდა აქვს ჩასაბარებელი და აქ ამიტომ გაჩერდა. ეს რომ მოვისმინე მივხვდი, რომ ის ოთახი ჩემთვის სამუდამოდ დაკარგული იყო.

შემოსასვლელში გავედი და სკამზე ჩამოვჯექი. თუკი რაიმეს შეთხზვა ოდესმე მენერა, ეს მხოლოდ აქ, ამ სიჩუმეში იყო შესაძლებელი. ჩემი ალეგორიული თხზულება აღარ მიტაცებდა; თავში ახალი იდეა, შესანიშნავი გეგმა გამიჩნდა: გადავწყვიტე შუასაუკუნეების ცხოვრებიდან, ერთმოქმედებიანი პიესა “ჯვრის ნიშანი” დამენერა. შესაფერისი გმირი უკვე მოფიქრებული მყავდა – ლამაზი ფანატიკური მეძავი, რომელმაც ტაძარში, ვნების ან სისუსტის გამო კი არა, ზეცისადმი სიძულვილის გამოსახატად შესცოდა, ზედ საკურთხევის საფეხურთან, საკურთხევის გადასაფარებელი თავქვეშ ჰქონდა, უბრალოდ ზეცის მიმართ ავხორცული ზიზღის გამო.

დრო მიდიოდა და ეს გმირი, ჩემს წარმოსახვას სულ უფრო მეტად იპყრობდა. ბოლოს, ის უკვე ცოცხალივით ზუსტად ისეთი წარსდგა ჩემს წინაშე, როგორც მჭირდებოდა. მეძავს უფორმო და საზიზღარი ტანი უნდა ჰქონოდა: მაღალს, ძალიან გამხდარს და ოდნავ შავგრემანს, სიარულისას ქვედატანში გრძელი ფეხები უნდა გამოსჩენოდა. ამას გარდა, დიდი, წინწამონეული ყურები უნდა ჰქონოდა. ერთი სიტყვით, მისი იერ-სახე არასანდომიანი და არაფრისმთქმელი უნდა ყოფილიყო. რაც მაინტერესებდა, იყო მისი გასაოგნებელი ურცხვობა, განზრახ ჩადენილი ცოდვის სასონარკვეთილი გამოვლინება. ამან მართლაც ძალიან გამიტაცა, ტვინი ამ უცნაური სიმახინჯისგან თითქოს გამებერა და პიესას მთელი ორი საათის განმავლობაში ვწერდი.

დიდი წვალების, ხანგრძლივი შესვენებების შემდეგ, რომელთა დროს ტყუილად ვწერდი და მერე ვხევედი, ათი ან, შესაძლოა, თორმეტი ფურცელი დაწერე და დაღლილობა ვიგრძენი. სიცივისა და დაქანცულობისგან სრულიად გახევებული ავდექი და ქუჩაში გავე-

დი. ბოლო ნახევარი საათი, სხვა ყველაფერთან ერთად, დიასახლისის ბავშვების განუწყვეტელმა ჭყვიილმა შემანუხა. ასე რომ, მეტი არაფრის დაწერა აღარ შემეძლო. ამიტომაც დრამენის გზას შორს გავუყევი, საღამომდე ქუჩაში ვიყავი და სულ ჩემი პიესის გაგრძელებაზე ვფიქრობდი. ვიდრე სახლში მივბრუნდებოდი თავს აი რა გადამხდა:

კარლ-იუჰანის ქუჩის ბოლოში, სადგურის მოედანთან ახლოს, ფეხსაცმელების მაღაზიასთან ვიდექი. ღმერთმა უწყის, მაინცდამაინც ამ მაღაზიასთან რატომ გავჩერდი. ვიტრინაში ვიყურებოდი, თუმცა იმ წუთას სულ არ მახსოვდა რომ ფეხსაცმელები მჭირდებოდა; ჩემი ფიქრები სადღაც შორს, ქვეყნიერების სხვა ნაწილში დაქროდნენ. ზურგს უკან ხალხი დადიოდა და ლაპარაკობდა, მაგრამ მათი წარმოთქმული სიტყვები არ მესმოდა. შემდეგ ვილაც ხმამაღლა ამბობს: “საღამო მშვიდობისა!”

ეს ჩემი ნაცნობი, მეტსახელად “ქალწულა” იყო.

– გამარჯობა! – დაბნეულად ვუპასუხე, რადგან შეხედვისთანავე “ქალწულა” ვერ ვიცანი.

– როგორაა საქმეები? – მკითხა.

– არა უშავს... ძველებურად.

– მომისმინეთ, მითხრა, ისევ “კრისტიანთან” ხართ, არა?

– კრისტიანთან?

– როგორც მახსოვს, ერთხელ მითხარით, რომ ბითუმად მოვაჭრე კრისტიანთან ხარჯთაღმრიცხველად მუშაობთ.

– აჰ დიახ! მაგრამ იქიდან უკვე წამოვედი. იმ ადამიანთან მუშაობა შეუძლებელი იყო და ერთმანეთს მალევე დავცილდით.

– რატომ?

– ერთხელ არასწორი ჩანანერი გავაკეთე, და...

– ყალბი?

– ყალბი? – “ქალწულა” გულწრფელად მეკითხებოდა, ყალთაბანდობა ხომ არ ჩავიდინე. თანაც ძალიან სწრაფად და ცნობისმოყვარედ მკითხა. ღრმად შეურაცხყოფილმა შევხედე და პასუხი არ გავეცე.

– ღმერთო ჩემო! ეს ხომ ჩვენს შორის ყველაზე საუკეთესოსაც შეიძლება დაემართოს! – ნუგეშის საცემად მითხრა მან. ჯერ კიდევ ფიქრობდა, რომ ყალთაბანდობა ჩავიდინე.

– ღმერთო ჩემო! მაინც რა არის ის, რაც შეიძლება ჩვენს შორის ყველაზე საუკეთესოსაც დაემართოს? – ვკითხე. – ყალთაბანდობა? მომისმინეთ, ჩემო მეგობარო, თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ ასეთი სიმდაბლის ჩადენა შემეძლო? ამას მე მეუბნებით?

– კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო, განა გარკვევით არ თქვით...

თავი ავნეი, “ქალწულას” თითქმის ზურგი შევაქციე და ქუჩას გავხედე. უცებ თვალში წითელი კაბა მომხვდა, წითელკაბიანი ქალბატონი ვიღაც კაცთან ერთად მოდიოდა. “ქალწულას” რომ არ დავლაპარაკებოდი, მისი მდაბალი ეჭვით შეურაცხყოფილს თავი არ ამენია და არ შევეტრიალებულიყავი, ეს წითელი კაბა ალბათ ჩემი ყურადღების მიღმა დარჩებოდა. თუმცა ეს რა ჩემი საქმე იყო? თუნდაც ეს კაბა თვით მისს ნაგელის, კამერ-ფრეილინის საკუთრება ყოფილიყო? რაში მანაღვლებდა?

“ქალწულას” კი ენა არ გაუჩერებია. თავისი შეცდომის გამოსწორებას ცდილობდა. საერთოდ არ ვუსმენდი, მთელი ეს დრო წითელ კაბას ვუყურებდი, რომელიც მიახლოვდებოდა. მკერდი ამითრთოლდა, თითქოს წვრილი ნემსი შემესო და ჩემთვის, ტუჩების გაუნძრევლად ჩავიჩურჩულე: “ილაიალი!”

ახლა უკვე “ქალწულაც” შეტრიალდა, ქალბატონისა და ბატონის დანახვაზე, მათ თავის დაკვრით მიესალმა და შემდეგ თვალი გააყოლა. მე თავი არ დამიკრავს, ან შესაძლოა დავუკარი კიდევ, მაგრამ ეს ვერ შევამჩნიე. წითელი კაბა კარლ-იუჰანის ქუჩას მიუყვებოდა და ბოლოს გაუჩინარდა.

– ვისთან ერთად იყო? – იკითხა “ქალწულამ”.

– “ჰერცოგი” ახლდა, ვერ დაინახეთ? ასეთი მეტსახელი აქვს – “ჰერცოგი”. იმ ქალბატონს იცნობთ?

– დიახ. მხოლოდ სალამით, თქვენ?

– არა – მივეუგე მე.

– მომეჩვენა, რომ თავი მდაბლად დაუკარით.

- თავი დაეუკარი?

- ნუთუ არ დაგიკრავთ? - თქვა "ქალწულამ". - ძალიან უცნაურია! ის ხომ მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ თქვენ გიყურებდათ.

- საიდან იცნობთ? - ვკითხე.

საერთო ჯამში არ იცნობდა. ყველაფერი ამ შემოდგომის ერთ საღამოს მოხდა. უკვე გვიანი იყო. სამი შეზარხოშებული დარდიმანდი გრანდ კაფედან ახალი გამოსული იყო, როდესაც ამ ქალბატონს კამერმეიერთან მარტოდ მოსიარულეს შეეფეთნენ და გამოელაპარაკნენ. თავდაპირველად მან ისინი თავიდან მოიშორა, მაგრამ ერთ-ერთმა დარდიმანდმა, რომელსაც ცა ქუდად არ მიაჩნდა და მინა ქალამნად, მიკიბ-მოკიბვის გარეშე სახლამდე მიცილების ნებართვა სთხოვა. ღმერთი იქნებოდა მოწმე, რომ თავიდან ერთი ღერი თმაც არ ჩამოუვარდებოდა, უბრალოდ სადარბაზომდე მიაცილებდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ სახლში უსაფრთხოდ მივიდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მთელი ღამე ვერ მოისვენებდა. ისინი ერთად მიდიოდნენ, დარდიმანდი გაუთავებლად ლაპარაკობდა, ათასგვარ გიჟურ იდეას იგონებდა, საკუთარი თავი ფოტოგრაფ ვალდემარ ატერდაგად წარუდგინა. დარდიმანდმა ყურადღება არ მიაქცია ქალის ცივ დამოკიდებულებას და ბოლოს და ბოლოს თავისი ხუმრობებით გააცინა, რის შემდეგაც სახლამდე გაცილების ნებართვა მიიღო.

- კი მაგრამ შემდეგ რა მოხდა? - ვიკითხე სულშეხუთულმა.

- შემდეგ? აჰ, დაივიწყე. ის ხომ მაინც ქალბატონია.

რალაც ხანს ორივენი დავდუმდით, "ქალწულაც" და მეც.

- მაშ "ჰერცოგი" ეს იყო, არა? წყეულიმც ვიყო! აი თურმე როგორი ყოფილა! - დაამატა ჩაფიქრებულმა. - მაგრამ თუკი ის მასთან ურთიერთობს, მასზე პასუხისმგებელი არა ვარ.

მე ისევ ხმას არ ვიღებდი. რა თქმა უნდა "ჰერცოგი" მას თავბრუს დაახვევს! ძალიანაც კარგი! რა ჩემი საქმეა? გონებაში მას კეთილი გზა ვუსურვე! და თავის დასაწყნარებლად მასზე ყველაზე უარესი რალაცების ფიქრი დავინყე, რომელიც შეიძლება დამარ-



თნოდა და მდაბიო სიამოვნებით აღვსილმა ტალახში ამოვსვარე. ერთადერთი ის მალიზიანებდა, რომ ამ წყვილს ქუდი მოეუხადა, თუკი ეს მართლაც ასე ვქენი. რატომ უნდა მომეხადა ქუდი ასეთი ადამიანების წინაშე? ის უკვე სრულიად არ მენაღვლებოდა, ოდნავადაც კი; ის სრულიად აღარ იყო მიმზიდველი, სილამაზე დაკარგა – ღმერთო ჩემო, როგორ ჩამომტყნარა! სრულიად შესაძლებელია, რომ მხოლოდ მე მიყურებდა. ამაში უცნაური არაფერია, შესაძლოა სინანულმა გაიღვიძა. მაგრამ ამის გამო მე მას მისალმების ნიშნად ფეხებში სულელივით ვერ ჩაეუვარდები, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ის ასე საეჭვოდ ჩამოტყნა. დაე “ჰერცოგს” ეკუთვნოდეს და გააბედნიეროს! შესაძლოა ის დღეც დადგეს, როცა ამაყად ჩაეუვლი და მისკენ არც კი გავიხედები. შეიძლება თავს უფლება მივცე და მაშინაც ასე მოვიქცე, თუკი თვალებს ჯიქურ გამისწორებს და სისხლივით წითელ კაბაში იქნება. ძალიანაც შესაძლებელია! ჰა-ჰა, რა საზეიმო სანახაობა იქნება! რამდენადაც საკუთარ თავს ვიცნობ, პიესის წერას ამაღამვე დავასრულებ და ეს ქალბატონი ერთ კვირაში ჩემს წინაშე მუხლებზე იდგება. მთელი თავისი წარმტაცობით და ჰა-ჰა, თავისი მთელი წარმტაცობით...

– მშვიდობით! – ვთქვი მოკლედ.

მაგრამ “ქალწულამ” მომბარუნა და მკითხა:

– ამჟამად რითი ხართ დაკავებული?

– რითი? ვწერ, რა თქმა უნდა. რითი უნდა ვიყო კიდევ დაკავებული? მე ხომ მხოლოდ ამით ვსულდგმულობ. ამჟამად დიდ დრამაზე ვმუშაობ, “ჯვრის ნიშანი”, შუასაუკუნეების ცხოვრებიდან.

– წყეულიმც ვიყო! – გულწრფელად აღფრთოვანდა “ქალწულა”.  
– ამის დაწერა რომ მოახერხოთ, მაშინ ხომ...

– ეს ამბავი დიდად არ მანუხებს! – მივუგე მე. – ერთ კვირაში თუ რაღაც ასე, ჩემს ამბავს უთუოდ გაიგებთ.

ეს ვთქვი და წამოვედი.

სახლში მიბრუნებისთანავე ჩემს დიასახლისთან მივედი და ლამფა ვთხოვე. ლამფა ძალიან მჭირდებოდა, რადგან ღამე დაწოლას არ ვაპირებდი. პიესა თავში მიტრიალებდა და დიდი იმედი მქონდა, რომ

დილისთვის მოზრდილ ნანილს დავენერდი. დიასახლისს ჩემი თხოვნა ძალზედ მდაბლად მოვახსენე, რადგან შევატყვე, უკმაყოფილო იყო რომ დავბრუნდი. ჩემი არაჩვეულებრივი პიესა თითქმის დავამთავრე, ვუთხარი, სულ რაღაც ორი სცენა დამრჩა დასაწერი. და მივანიშნე, რომ ეს პიესა შეიძლება რომელიმე თეატრს იქამდე დაედგა, ვიდრე ამას მე თვითონ შევიტყობდი. და თუკი ის ამ სიკეთეს ჩაიდენდა, მაშინ...

მაგრამ დიასახლისს ლამფა არ ჰქონდა. ცოტა ხანს იფიქრა, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიხსენა, რომ სადმე ლამფა ჰქონოდა. თუმცა თორმეტ საათამდე თუ მოვიცდიდი, მაშინ სამზარეულოს ლამფის გამოტანას შევძლებდი. სანთელს რატომ არ ვყიდულობდი?

გავჩუმდი. სანთლისთვის ათი ერე არ მქონდა და ეს ალბათ მშვენივრად იცოდა. სამწუხაროდ გეგმები ისევ ჩამემალა! მოახლე გოგო ჩვენთან ერთად იყო, უბრალოდ ოთახში იჯდა და სამზარეულოში საერთოდ არ იმყოფებოდა, ესე იგი ლამფა იქ არც კი ენთო. ვიდექი და ამას ვფიქრობდი, მაგრამ არაფერი მითქვამს.

უცებ მოსამსახურე მომიბრუნდა: “მგონი ცოტა ხნის წინ დაგინახეთ, როცა სასახლიდან გამოდიოდით. სადილზე მინვეული ხომ არ ბრძანდებოდით?” და საკუთარ ხუმრობაზე ხმამაღლა გაიცინა.

დავჯექი, ჩემი ქაღალდები ამოვიღე. ვიფიქრე, მუშაობა, აქვე მეცადა, სადაც ვიჯექი. ქაღალდები მუხლებზე დავინყე და ყურადღების მოსაკრეფად იატაკს მივაჩერდი, მაგრამ ამან არ მიშველა, არაფერი არ მშველოდა, გაშეშებული ვიჯექი. ამასობაში დიასახლისის გოგონები შემოვიდნენ, კატასთან თამაში დაიწყეს და აურზაური ატეხეს. ეს კატა უჩვეულოდ დიდი ზომის და თითქმის უბენვო იყო, როცა გოგონები მას სახეზე უბერავდნენ, თვალები უწყლიანდებოდა და ცრემლი ცხვირზე ჩამოსდიოდა. სახლის პატრონი და კიდევ ორი სტუმარი მაგიდასთან ბანქოს თამაშობდნენ. როგორც ყოველთვის მხოლოდ დიასახლისი საქმიანობდა და რაღაცას კერავდა. მშვენივრად ხედავდა, რომ ასეთ ხმაურში მუშაობა არ შემეძლო, მაგრამ ანგარიშს უკვე საერთოდ აღარ მინევდა; მან გაიღიმა კიდევაც, როდესაც მოსამსახურემ სასახლეში სადილის შესახებ მკითხა.

ჩემ მიმართ მთელი სახლი მტრულად იყო განწყობილი. თითქოს, იმ ფაქტმა, რომ ჩემი ოთახი ასე სამარცხვინოდ დავთმე, მათ უფლება მისცა როგორც არასასურველ სტუმარს ისე მომპყრობოდნენ. თვით მოსამსახურემაც კი, ამ პატარა, ბრტყელმკერდა, ყავისფერთვალება, შუბლზეთმაჩამოყრილმა გომბიომ, დამცინა, როდესაც სალამოს სენდვიჩები ავიღე. მუდმივად მეკითხებოდა, ჩვეულებრივ სად ვსადილობდი, რომ რალაც არ დაუნახავს "გრანდ ოტელიდან" კბილების ჩიჩქნით გამოვსულიყავი. ცხადი იყო, რომ კარგად იცოდა ჩემი სავალალო მდგომარეობა და ჩემთვის ამის შეხსენება სიამოვნებას ანიჭებდა.

ამ ყველაფრით გარემოცული, პიესის ერთი სტრიქონის დაწერასაც ვერ ვახერხებ. ჩემი ყოველი მცდელობა ამაოა. თავი ზანზარს იწყებს და ბოლოს იძულებული ვარ შევეშვა. ფურცლებს ჯიბეში ვიდებ და თავს ვწევ. მოსამსახურე ჩემს პირდაპირ იჯდა და ყურება დაუწყებდა. მის ვინრო ზურგს, დამრეც მხრებს ვუყურებ, რომელიც ჯერ ჩამოყალიბებულიც კი არ იყო. თავს რატომ მესხმის? თუნდაც სასახლიდან გამოვსულიყავი, მერე რა მოხდა? რაში ენალვლებოდა? ბოლო დღეებში სულ თავხედურად დამცინოდა, როცა კი კიბის საფეხურზე წავიბორძიკებდი ან ქურთუკით ლურსმანს წამოვედებოდი. ჯერ კიდევ გუშინ ჩემი პიესის შავი ხელნაწერი ფურცლები, რომელიც შემოსასვლელში მოვისროლე, მალულად შეაგროვა და შემდეგ ოთახში ყველას გასაგონად წაიკითხა, თან დამცინოდა და მასხრად მიგდებდა. მისთვის ერთხელაც კი არ მიწყენინებია და არ მახსოვს, რომ რაიმე სამსახურის განწევა მეთხოვნოს. პირიქით, სალამოობით იატაკზე ლოგინს მე თვითონ ვშლიდი, ის რომ არ შემენუხებინა. კიდევ თმის ცვენაზეც დამცინოდა. დილაობით პირსაბანში თმის ღერები დაცურავდნენ და ეს ახალისებდა. ფეხსაცმელი ძალიან ცუდ მდგომარეობაში მქონდა, განსაკუთრებით ის, პურის ეტლის ქვეშ რომ მოჰყვა, და ამაზეც დამცინოდა. "ღმერთმა დაგლოცოთ, თქვენი ფეხსაცმელებიანად!" იტყოდა, "შეხედეთ, ძაღლის სახლივით დიდი არაა!" ფეხსაცმელი მართლაც გვარიანად გაცვეთილი მეცვა, მაგრამ ახლის შეძენის საშუალება ჯერჯერობით არ მქონდა.

სანამ ამ ყველაფერს ვიხსენებდი და მოსამსახურის ღია, დაუფარავი მტრული დამოკიდებულება მაოცებდა, გოგონებმა ლოგინში მნოლიარე მოხუცის გაჯავრება დაიწყეს. ისინი მის გარშემო ხტუნავდნენ და ამ საქმიანობაში სრულად ჩაერთნენ. გამხმარი ბალახის ღეროები ჰქონდათ, რომელსაც ყურებში უჩხიკინებდნენ. თავიდან არ ჩავრეულვარ. მოხუცს მათ მოსაშორებლად თითიც კი არ გაუნძრევია. თავის მწვალებლებს მხოლოდ გაავებული მზერით უყურებდა და შეღიტილების დროს ყურებში შეჩრილი ღეროების მოსაცილებლად, თავს აქეთ-იქეთ ატრიალებდა.

ეს სანახაობა ჩემთვის თანდათან აუტანელი ხდებოდა, მაგრამ თვალს მაინც ვერ ვაცილებდი. მამა შიგა და შიგ თავს სწევდა, წამოიხარხარებდა და მოთამაშეებს აჩვენებდა, რაც ხდებოდა. რატომ არ ინძრევა ეს მოხუცი? რატომ არ მოისვრის ამ გოგონებს? საწოლისკენ ნაბიჯი გადავდგი.

– შეეშვი! შეეშვი! მაგას დამბლა აქვს! – წამოიყვირა სახლის პატრონმა.

იმის შიშით რომ მისი უკმაყოფილება არ დამემსახურებინა და ამ მოახლოებულ ღამეს გარეთ არ აღმოვჩენილიყავი, კრინტი არ დამიდრავს, ისევ მორჩილად დავუბრუნდი ჩემს ადგილს. რატომ უნდა ჩამეყო ცხვირი ოჯახის საქმეებში და ამით ჩემი თავშესაფარისთვის და სენდვიჩებისთვის საფრთხე შემექმნა? რა საჭიროა ამ ნახევრად მკვდარი მოხუცისათვის თავის გამოდება? ვიგრძენი, ნელ-ნელა, როგორ ვქვავედებოდი.

პატარა მწვალებლები კი მოხუცს არ ეშვებოდნენ. იმითი უკმაყოფილობმა, რომ მოხუცი თავს არ აჩერებდა, მათ გამხმარი ღეროების თვალებსა და ნესტოებში შერჭობაც დაიწყეს. მოხუცი მათ სიძულვილით უყურებდა, მაგრამ ვერც სიტყვის თქმას და ვერც ხელის განძრევას ვერ ახერხებდა. უცებ ის მთელი ტანით წამოიწია და ერთ-ერთ გოგონას პირდაპირ სახეში შეაფურთხა, შემდეგ ისევ წამოიწია და მეორესაც შეაფურთხა, მაგრამ ააცილა. დავინახე, სახლის პატრონი სკამიდან როგორ წამოფრინდა და სახეანითლებულმა იყვირა: “ბებერო ღორო! ბავშვებს თვალეებში აფურთხებ, არა!”

– კი მაგრამ ისინი, ხომ მას მოსვენებას არ აძლევდნენ! – ჩემდა უნებურად წამოვიძახე. თუმცა, იმის შიშით, რომ არ გავეგდე, განრისხება ხმამაღლა არ გამომიხატავს, მხოლოდ მთელი სხეული მიკანკალებდა.

სახლის პატრონი ჩემსკენ მოტრიალდა.

– ჰეი, თქვენ! სხვის საქმეში რა ჯანდაბად ერევით? ხმა ჩაიგდეთ, გესმით? თქვენთვისვე უკეთესი იქნება.

მაგრამ აქ ხმა უკვე დიასახლისმა აღიმალლა და მთელი სახლი მისმა ლანძღვამ შეაზანზარა.

– ღმერთო, შენ მიშველე, თქვენ რა, ყველანი შეიშალეთ? – აყვირდა, – ორივენი წყნარად იყავით, თორემ აქედან გაგყრით, გაიგეთ! უჰ! საკმარისი არ არის, რომ ერთი მუქთახორა შევიკედლე, ახლა კიდევ ეს ჯოჯობეთი უნდა ვითმინო. ამას აღარ დავუშვებ, გესმით! სუ! გაჩუმდით, ბავშვებო და ცხვირები მოიხოცეთ, თორემ იცოდეთ მე მოგხედავთ. გაგონილა ასეთი ამბავი! პირდაპირ ქუჩიდან გამოგეცხადებიან, რწყილების წამლის შესაძენად ერთი ერეც კი არ აბადიათ და შუალამისას, ალიაქოთსა და კინკლაობას ტეხავენ. ამას მე არ დავუშვებ, გასაგებია? ხოლო ის, ვინც უცხოა, აქაურობას მოშორდეს. ჩემს სახლში სიმშვიდე უნდა იყოს. გასაგებია?!

სიტყვა არ მითქვამს, პირიც კი არ გამიღია, ისევ კართან ახლოს, ჩემს ადგილს დავუბრუნდი და ყვირილს ვუსმენდი. ყველანი ყვიროდნენ, ბავშვებიც და მოსამსახურეც კი, რომელსაც დაუინებით უნდოდა აეხსნა, ეს ჩხუბი საიდან დაიწყო. ხმა რომ არ ამომელო, ყველაფერი ადრე თუ გვიან მორჩებოდა, ენაზე კბილი უნდა დამეჭირა, და ყველაზე ცუდი არ მოხდებოდა. განა რა უნდა მეთქვა? განა გარეთ ზამთარი არ იდგა და უკვე არ ღამდებოდა? იმის დრო იყო, რომ საკუთარი თავის გასატანად მაგიდაზე მუშტი დამებრახუნებინა? ნურას უკაცრავად, სისულელეები არ გვინდა! ამიტომაც მორჩილად ვიჯექი და არსადაც არ წავსულვარ, თუმცა ამაზე მიმანიშნეს. კედელზე ჩამოკიდებულ მაცხოვრის ოლეოგრაფიულ გამოსახულებას თვალს არ ვაშორებდი და დიასახლისის თავდასხმების მიუხედავად ჯიუტად ვდუმდი.

– კეთილი, თუ მე მიგულისხმეთ, ქალბატონო ვინც აქედან უნდა წავიდეს, ამაზე ადვილი არაფერია. – თქვა ერთ-ერთმა მოთამაშემ.

იგი ფეხზე წამოდგა, მეორე მოთამაშემაც მას მიბაძა.

– თქვენ არ გგულისხმობდით. არც თქვენ, – მიუბრუნდა დიასახლისი მოთამაშეებს. – მაგრამ თუ საჭირო იქნება, მაგასაც ვიტყვი ვისაც. თუ საჭირო გახდა. გიჩვენებთ ვისაც ვგულისხმობ.

წყვეტილად ლაპარაკობდა, დარტყმებს პატარ-პატარა ჰაუზებით მაყენებდა და ამას განზრახ წელავდა, რათა უფრო ნათლად მივმხვდარიყავი, რომ ვისაც ის გულისხმობდა, მე ვიყავი. სიმშვიდე! საკუთარ თავს მივმართე. მხოლოდ სიმშვიდე! მას ჩემი აქედან წასვლა არ უთხოვია, ამას ლიად, გარკვევით არ ამბობს. არანაირი სიამაყე და უადგილო თავმოყვარეობა! რაც შეიძლება ჭკუით უნდა ვიყო!.. ოლეოგრაფიაზე გამოსახულ ქრისტეს ძალიან უცნაური, მწვანე ფერის თმა ჰქონდა. ის მწვანე ბალახს, ანდა უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საძოვარი მდელოების ხშირ ბალახს წააგავდა. ჰა! სრულყოფილად აღვნიშნე, ზუსტადაც საძოვრების ხშირ ბალახს... და მაშინვე ამ აზრს სხვა მოჰყვა. მწვანე ბალახმა ბიბლიის ის ადგილი გამახსენა, სადაც ყოველი ცოცხალი, ხორცშესხმული არსება ბალახთანაა შედარებული, რომელიც ბოლოს იწვის. შემდეგ განკითხვის დღეზე ვფიქრობ, როდესაც ყველაფერი ცეცხლში გადაიბუგება. უცებ ლისაბონის მინისძვრაზე გადავერთე და ბუნდოვნად ესპანური თითბრის საპურ-ჭყებელი და სპილოს ძვლის სამელნე გამახსენდა, რომელიც ილია-ლისთან ვნახე. ეჰ, ყველაფერი წარმავალია! როგორც ბალახი, რომელიც დაიწვა! ბოლოს მაინც ოთხი ფიცარი და სუდარაა – მადამ ანდერსენთან, მთავარი შესასვლელიდან მარჯვნივ...

ამ ყველაფერმა თავში იმ სასონარკვეთილ ნუთებში გამიელვა, როდესაც დიასახლისი უკვე სახლიდან გაძევებას მიპირებდა.

– არც კი ესმის! – დაიყვირა მან – მე გეუბნებით, ჩემი სახლი დატოვეთ, გასაგებია? ღმერთო ჩემო, ეს კაცი ალბათ გიჟია! სადაც გინდათ იქ წადით. გაიგეთ?

კარისკენ გავიხედე, მაგრამ არა იმიტომ რომ წავსულიყავი, წასვლაზე საერთოდ არ მიფიქრია, უბრალოდ თავში ერთმა კადნიერმა

აზრმა გამიელვა: კარში გასაღები რომ ყოფილიყო, ოღონდ გარეთ არ აღმოვჩენილიყავი, ამათთან ერთად თავს ჩავიკეტავდი. ის აზრი, რომ ახლა ისევ ქუჩაში მომინევდა ყოფნა, ისტერიულ შიშს მგვრიდა. მაგრამ კარში გასაღები არ იყო და იმედგადანურული წამოვდექი.

შემდეგ დიასახლისის ყვირილში მისი ქმრის ხმა ისმის. გოცებულად ადგილზე გავშეშდი. კაცი, რომელიც სულ ახლახანს მემუქრებოდა, მოულოდნელად ჩემს მხარეზე გადმოდის და ამბობს: “არ იცი, რომ ასეთ დროს, ადამიანების სახლიდან გაგდება არ შეიძლება? ამის გამო შეიძლება ციხეში მოხვდე.”

არ ვიცოდი, ამის გამო ციხეში მართლა მოხვდებოდა თუ არა, მე ასე არ ვფიქრობდი, მაგრამ შეიძლება მართალიც იყო, და დიასახლისიც მაშინვე გონს მოეგო, გაჩუმდა და თავი გამანება. მოგვიანებით ვახშამზე ორი სენდვიჩიც კი შემომთავაზა, მაგრამ არ გამოვართვი. ეს, ერთადერთი, მისი ქმრის მიმართ მაღლიერების ნიშნად გავაკეთე. განვაცხადე, რომ ქალაქში მქონდა ნაჭამი.

ბოლოს, როდესაც შემოსასვლელს მივაშურე და დასანოლად მომზადება დავიწყე, დიასახლისი უკან გამომყვა, ზღურბლთან გაჩერდა, უზარმაზარი მუცელი მომიშვირა და ხმამალა მითხრა: “მაგრამ იცოდეთ, ეს ბოლო ღამეა, რომელსაც აქ ათენებთ.”

– რა გაენწყობა! – ვუპასუხე.

ხვალ თუ ძალიან შევეცდები, თავშესაფარს როგორმე ვიპოვი. სადმე ღამის გასათევი ადგილი გამოიძებნება. ახლა კი გახარებული ვიყავი, რომ ამ ღამეს ჭერქვეშ გავატარებდი.

დილის ხუთ თუ ექვს საათამდე მეძინა. როცა გამეღვიძა, ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, მაგრამ მაშინვე ავდექი. სიცვიც გამო, ტანსაცმლიანად მეძინა და ჩაცმა აღარ მჭირდებოდა. წყალი მოვსვი, კარი ჩუმად გამოვალე და დიასახლისთან შეხვედრის თავიდან ასაცილებლად უჩუმრადვე გავედი გარეთ.

გარდა რამდენიმე პოლიციელისა, რომელთაც ღამე მორიგეობაში გაატარეს, ქუჩაში სულიერი არ ჭაჭანებდა. ცოტა ხანში რამდენი-

მე კაცმა ქუჩის ფანრების ჩაქრობა დაიწყო. უმიზნოდ მივბოდი-  
ლებდი, ეკლესიის ქუჩაზე გავედი და ციხე-სიმაგრისკენ დავუყევი.  
მეძინებოდა, დამზრალი ვიყავი, ზურგი და მუხლები ხანგრძლივი სი-  
არულისგან მტკიოდა; ძალიან მშიერი, სკამზე ჩამოვჯექი და ჩავ-  
თვლიმე. სამი კვირა მხოლოდ ჩემი დიასახლისის დილა-სალამოს ნა-  
ბოძები სენდვიჩებით ვიკვებებოდი. ახლა უკვე ზუსტად ოცდაოთხი  
საათი იყო გასული, რაც არ მეჭამა და შიმშილი ისევ მწინკნია. სას-  
წრაფოდ რაიმე გამოსავლის მოძებნა იყო საჭირო. ამ ფიქრში, სკამ-  
ზე ჩამომჯდარს ისევ ჩამეძინა...

ვიღაცების ხმებმა გამომალვიძეს, და როცა აზრზე მოვედი, და-  
ვინახე, რომ დღის შუქი ანათებდა და ყველაფერი გამოცოცხლებუ-  
ლი იყო. ავდექი და წამოვედი. ბორცვების თავზე მზე ამოდიოდა.  
ცას ნათელი, ნაზი შეფერილობა დაჰკრავდა. ამდენი ბნელი კვირის  
შემდეგ, ასეთმა მშვენიერმა დილამ სიხარულით აღმავსო, ყველა ჩე-  
მი სატკივარი გადამავინყა და გავიფიქრე, რომ ბევრჯერ გაცილე-  
ბით უარეს მდგომარეობაშიც ვყოფილვარ. მკერდზე ხელი დავირ-  
ტყი და ჩუმად ავლიღინდი. ჩემი ხმა ისე ნალვლიანად და სუსტად  
ჟღერდა, რომ გული ამიჩუყდა. ამას გარდა, მშვენიერმა დილამ, ნა-  
თელმა ცამ ჩემზე ზედმეტად შთამბეჭდავად იმოქმედა და გულა-  
მოსკვნილი ავტირდი.

– რა მოგივიდათ? – მკითხა ვიღაც გამვლელმა.

პასუხის გაუცემლად, სახეზე ხელები ავიფარე და სწრაფად გა-  
ვეცალე.

ნავსადგურში ჩავედი. დიდი ორჩხომელიდან, რომლის თავზე  
რუსული დროშა ფრიალებდა, ნახშირს ტვირთავდნენ. სახელის გარ-  
ჩევა დავინყე: „კოპეგორო“, ამოვიკითხე. დიდხანს გავერთე ამ  
უცხოური გემის ყურებით, რომელიც თითქმის გადმოტვირთული  
იყო. ბალასტის მიუხედავად ბორტზე დახაზული ნიშნული წყლის  
დონიდან უკვე ცხრა ფუტს უჩვენებდა და გემბანზე მტვირთავების  
მძიმე ჩექმების ბრავუნს, გემი ფუტურო გუგუნით პასუხობდა.

მზე, შუქი, ოკეანის მარილიანი სუნთქვა, მთელი ეს საინტერესო,  
მხიარული ცხოვრება ჩემში აღგზნებას იწვევდა და გული გახშირე-



ბულად მიცემდა. უცებ თავში გამიელვა, რომ ჩემი პიესისთვის რამდენიმე სცენის დაწერას ალბათ აქვეც მოვახერხებდი და ფურცლები ჯიბიდან ამოვიღე.

იმ სიტყვების მოფიქრებას შევეცადა, რომელიც ბერს უნდა წარმოეთქვა, მგზნებარე და შეუწყნარებლობით გაუღენთილი სიტყვების, მაგრამ ვერ შევძელი. მაშინ ბერს თავი დავანებე და მოსამართლის სიტყვის დაწერას შევეცადა, რომელიც ტაძრის წამბილწველს მიმართავდა. ნახევარი გვერდი დავწერე და გავჩერდი. ეს სიტყვები შესაფერის გარემოს უბრალოდ ვერ შექმნიდნენ. ის ხმაურიანი საქმიანობა, ადამიანების ფუსფუსი, ამწეების გრუხუნის, ლიანდაგებზე ვაგონების გაუთავებელი ღრჭიალი, რაც ირგვლივ ტრიალებდა, არაფრით ესადაგებოდა შუასაუკუნეების პირქუშ და ჩამყაყბულ ატმოსფეროს, რომელსაც ჩემი პიესა ბურუსივით უნდა მოეცვა. ჩემს ფურცლებს თავი მოვუყარე და წამოვდექი.

მიუხედავად ამისა, მშვენივრად დავიწყე და დარწმუნებული ვიყავი, რაღაცას მივალწევდი თუ ყველაფერი კარგად წავიდოდა. მთავარი იყო, სადმე თავშესაფარი მეპოვა! გამალებულ ფიქრში, ზედ შუა ქუჩაში გავჩერდი, მაგრამ მთელს ქალაქში ვერც ერთი წყნარი ადგილი ვერ გავიხსენე, სადაც დროებით მოვეწყობოდი. ერთადერთი გამოსავალი ისევ ფატერლანდის უბანში მდებარე პანსიონში მიბრუნება იყო. მისი გახსენებაც კი მზარავდა. საკუთარ თავს ვუმტკიცებდი, რომ ეს არ შეიძლებოდა, მაგრამ მაინც წინ, იმ აკრძალული ადგილისკენ მივიწევდი. ჩემი სიმბდალე მაშინვე ვალიარე, ეს, რა თქმა უნდა, სამარცხვინო და დამამცირებელი იყო, მაგრამ ჩემზე არანაირი შეგონება არ ჭრიდა. მე ოდნავი სიამაყეც აღარ მქონდა. გავბედავ და ვიტყვი, რომ მაშინ ჩემზე მოტეხილი არსება დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებოდა. და მე წავედი.

კართან გავჩერდი და ყველაფერი კიდევ ერთხელ ავწონ-დავწონე. დიახაც, უნდა გამერისკა. არაფერი განსაკუთრებული არ იყო. ჯერ ერთი, თავშესაფარი სულ რამდენიმე საათით მჭირდებოდა; მეორე – ღმერთმა დამსაჯოს, თუკი ოდესმე ამ სახლის ზღურბლს კიდევ გადავაბიჯო! ეზოში შევედი. უსწორმასწოროდ დაგებულ რიყის

ქვებზე გავიარე, ჯერ კიდევ ვყოყმანობდი და კართან მისული კინალამ უკან გამოვბრუნდი. კბილი კბილს დავაჭირე. არა, ახლა შენი უადგილო თავმოყვარეობა შენთვის შეინახე! ყველაზე უარეს შემთხვევაში ბოდიშს მოვუხდინდი და ვეტყოდი, რომ გამოსამშვიდობებლად შემოვირბინე, როგორც ამას თავაზიანობა მოითხოვდა, და ბინის ქირის დავალიანების გადახდაზე მოველაპარაკებოდი. შემოსასვლელის კარი გავაღე.

შევედი თუ არა ადგილზე გავშეშდი. ჩემ წინ, ორ ნაბიჯში, თავად სახლის პატრონი, ქუდისა და ქურთუკის გარეშე იდგა და საკეტის ჭუჭრუტანიდან ოთახში იყურებოდა. როცა დამინახა, ხელით მანიშნა, რომ ჩუმად ვყოფილიყავი და ისევ გააგრძელა თვალთვალი. თან იცინოდა.

– აქ მოდით! – ჩურჩულით მიხმო.

ფეხაკრებით მივუახლოვდი.

– ერთი ამას შეხედეთ! – მითხრა უხმო სიცილით აცახცახებულმა. – შეიხედეთ! ჰა-ჰა! შეხედეთ იქ წვანან! ამ ბებერ კაცს შეხედეთ! ბებერ კაცს ხედავთ?

ოთახში, ლოგინზე, ზუსტად ჩემს პირდაპირ, ქრისტეს ოლეოგრაფიული გამოსახულების ქვეშ, დიასახლისისა და ჩამოსული მეზღვაურის ორი სხეული დავინახე; მუქ გადასაფარებელზე ქალის ფეხები თეთრად ქათქათებდნენ. მოპირდაპირე კედელთან მდგარ სანოლში კი მისი დამბლადაცემული მამა ამას უყურებდა, ხელებზე დაყრდნობილი, მოკრუნჩხული იჯდა და როგორც ყოველთვის, განძრევა არ შეეძლო.

სახლის პატრონისკენ მოვტრიალდი. ახარხარებისგან თავს ძლივს იკავებდა. თითები ცხვირზე ჰქონდა ნაჭერილი.

– ბებერი კაცი დაინახეთ? – ჩამჩურჩულა მან. – ღმერთო ჩემო, ბებერი კაცი დაინახეთ? როგორ ზის და მათ როგორ უყურებს! – და ისევ საკეტის ჭუჭრუტანისკენ დაიხარა.

ფანჯარასთან მივედი და ჩამოვჯექი. ამ სანახაობამ სრულიად ამრია და განწყობა გამიფუჭა. კი მაგრამ მე რა შუაში ვიყავი? ქმარი თუ ამას ეგუებოდა და თანაც ერთობოდა, არანაირი მიზეზი არ

მქონდა, რომ ეს ამბავი გულთან ახლოს მიმეტანა. მოხუცზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, მოხუცი მოხუცი იყო. შესაძლოა არაფერიც არ დაუნახავს, ეგებ სულაც ეძინა. ღმერთმა უწყის, იქნებ მოკვდა კიდეც. ეს რომ მართლაც ასე ყოფილიყო, სრულიადაც არ გამიკვირდებოდა. ეს ამბავი ოდნავადაც არ მალეღებდა.

ჩემი ფურცლები ისევ ამოვიღე და გარემე შთაბეჭდილებების უგულებელყოფას შევეცადე. მოსამართლის სიტყვა შუაში განწყვეტილი იყო: და ამას ღმერთი და კანონი მიბრძანებს, ბრძენთა საბჭო ასე მიბრძანებს და საკუთარი სინდისიც ამას მიბრძანებს... ფანჯარაში ვიყურებოდი და იმის მოფიქრებას ვცდილობდი, სინდისს რა შეიძლებოდა მისთვის ებრძანებინა. ოთახიდან პატარა ხმაური გაისმა, მაგრამ ეს მე არ მეხებოდა, საერთოდ არ მეხებოდა; თანაც მოხუცი უკვე მკვდარი იყო – ის შეიძლებოდა დღეს, დილის ოთხი საათისთვის გარდაცვლილიყო; ასე რომ, ეს ხმაური სულ არ მანალვლებდა. კი მაგრამ, მაშინ რა ჯანდაბად ვფიქრობდი ამაზე? ახლა სიმშვიდე!

და საკუთარი სინდისიც ამას მიბრძანებს...

მაგრამ თითქოს ყველაფერი ჩემს წინააღმდეგ შეიკრა. სახლის პატრონი არანაირად წყნარად არ იყურებოდა საკეტის ჭუჭრუტანაში, დროდადრო მისი გაგუდული სიცილი მესმოდა, თანაც ვხედავდი, როგორ ცახცახებდა. ამასობაში ქუჩაშიც რაღაც ხდებოდა და ყურადღებას ესეც მიფანტავდა. იქ პატარა ბიჭუნა ტროტუარზე მზეს ეფიცებოდა; წყნარად, უზრუნველად იჯდა, დაჭრილ ქალაღლებს ერთმანეთში კვანძავდა და არავის არ აწუხებდა. უცებ ხტება და იგინება. ტრიალდება და უღალწვევრება, ზრდასრულ მამაკაცს ხედავს, რომელიც მეორე სართულზე, ღია ფანჯრიდან გადმომდგარიყო და მას თავზე აფურთხებდა. ბიჭუნა ბრაზისგან ატირდა და უმწეოდ ილანძლებოდა, კაცი კი მას სახეში უყურებდა და ხარხარებდა. ხუთმა წუთმა ასე ჩაიარა. ბიჭუნას ცრემლებისთვის რომ არ მეყურებინა, შემოვტრიალდი.

საკუთარი სინდისი ამას მიბრძანებს...

ადგილიდან დაძვრას ვერ ვახერხებდი. ბოლოს ყველაფერი ამერ-დამერია და იმ დასკვნამდე მივედი, რომ აქამდე დანერვილიც

არაფრად არ ვარგოდა და მთელი ჩემი ჩანაფიქრი საშინელი უაზრობა იყო. შუა საუკუნეებში, სინდისზე საუბარი არ შეიძლებოდა. სინდისი პირველად შექსპირმა, ცეკვების ძველმა ოსტატმა გამოიგონა და შესაბამისად მოსამართლის მთელი სიტყვა მცდარი იყო. ნუთუ ამ ნაწერს არანაირი ფასეულობა არ გააჩნდა? თავიდან გადავიკითხე და ეჭვები გამიქარწყლდა. ისეთი შესანიშნავი, საკმაოდ მოზრდილი, ექსტრაორდინარული ადგილები აღმოვაჩინე, რომ პიესის დამთავრების მათრობელა სურვილი ისევ გამიღვივდა.

ავდექი, სახლის პატრონს, რომელიც ხელების ქნევით სიჩუმისკენ მიმანიშნებდა, ყურადღება არ მივაქციე და კარისკენ გავემართე. შემოსასვლელი მტკიცედ, გაბედულად დაგტოვე, კიბე ავიარე და მეორე სართულზე, ჩემს ყოფილ ოთახში შევედი. მეზღვაური იქ არ იყო და ცოტა ხნით მანდ ყოფნას ვინ დამიშლიდა? მის ნივთებს არ შევეხები, მაგიდასაც არ გამოვიყენებ, უბრალოდ, კართან სკამზე ჩამოვჯდები და ჩემთვის ესეც საკმარისი იქნება. ფურცლები სწრაფად მუხლებზე დავილაგე.

რამდენიმე წუთის განმავლობაში საქმე საუცხოოდ წამივიდა. თავში ერთიმეორეს მიყოლებით, სრულყოფილებამდე მისული ფრაზები მომდიოდნენ და შეუჩერებლად ვწერდი. გვერდს გვერდზე ვავსებდი, წინ-წინ მივიწვედი, ჩუმად ვლულლულებდი ჩემი მშვენიერი განწყობით კმაყოფილი და თითქმის არ ვიცოდი რას ვაკეთებდი. ერთადერთი, რაც მესმოდა, ჩემივე მხიარული ლულლული იყო. თან კარგი აზრი დამებადა, რომ პიესის ერთ ადგილას ეკლესიის ზარი აგუგუნებულებოდა. ყველაფერი გადასარევედ მიდიოდა.

შემდეგ კიბეზე ნაბიჯების ხმა მესმის. კანკალმა ამიტანა, თავს ველარ ვიკავებ, შიმშილისგან აღგზნებული და ყველაფრით შეშინებული, მზად ვარ ნებისმიერ წამს ადგილიდან წამოვხტე. ნერვიულად ვუსმენ, ფანქარი ისევ ხელში მიჭირავს და ვუსმენ, და ერთ სიტყვასაც ველარ ვწერ. კარი იღება და ის წყვილი შემოდის, ცოტა ხნის წინ საკეტის ჭუჭრუტანიდან რომ დავინახე.

შემოჭრისათვის ბოდიშის მოხდაც ვერ მოვასწარი, რომ დიასახლისმა გაოგნებულმა იყვირა: “ღმერთო დიდებულო, ეს ისევ აქ არის!”

– მაპატიეთ! – ვამბობ, მაგრამ სათქმელის დამთავრებას არ მაც-  
ლიან.

დიასახლისმა კარები ფართოდ გააღო და დაიკვილა: “ღმერთს  
ვფიცავარ, აქაურობას ამ წუთშივე თუ არ დატოვებთ, პოლიციას  
დავუძახებ!”

წამოვდექი.

– მე მხოლოდ გამომშვიდობება მინდოდა, – ამოვიბურტყუნე, –  
იძულებული გავხდი დაგლოდებოდით. ხელი არაფრისთვის მიხლია,  
უბრალოდ სკამზე ვიჯექი...

– არაფერი დაშავებულა, – თქვა მეზღვაურმა, – ასეთი რა მოხ-  
და? შეეშვით!

კიბეზე ჩასვლისას, უცებ განვრისხდი ამ სქელ, დამძიმებულ ქალ-  
ზე, რომელიც ფეხდაფეხ მომყვებოდა და ერთი სული ჰქონდა კარიდან  
როდის მიმბრძანებდა. წამიერად გავშეშდი, ენაზე ათასგვარი სალან-  
ძლავი სიტყვა მომადგა და მზად ვიყავი მისთვის ეს ერთბაშად სახეში  
მიმეხალა. მაგრამ გონს დროზე მოვეგე და ენას კბილი დავაჭირე – ენას  
კბილი დავაჭირე იმ უცნობის მიმართ მაღლიერების გრძნობის გამო,  
რომელიც მას უკან მოჰყვებოდა და შეეძლო ყველაფერი გაეგონა. დია-  
სახლისი ზურგსუკან მომდევდა და განუწყვეტლივ ილანძლებოდა, ჩემი  
ბრაზი კი ყოველი ნაბიჯის გადადგმასთან ერთად მატულობდა.

ეზოში გამოვედი. ნელა მოვდიოდი, ჯერ ისევ ვჭოჭმანობდი,  
ღირდა თუ არა მეპასუხა. გაცოფებულს თავში ყველაზე სისხლიანი  
აზრები მომდიოდა. მზად ვიყავი ადგილზე მომეკლა, მუცელში წიხ-  
ლი ჩამერტყა. კარიბჭესთან შიკრიკს ვეფეთები, ის მესალმება, მაგ-  
რამ მე არ ვპასუხობ. მაშინ ის დიასახლისს მიმართავს და მესმის,  
რომ მე მკითხულობს, მაგრამ არ ვტრიალდები.

ჭიშკრიდან რამდენიმე ნაბიჯში შიკრიკი მენევა, ისევ მესალმება  
და მაჩერებს. წერილს მანვდის. გაბრაზებული კონვერტს უხალისოდ  
ვხსნი და იქიდან ათკრონიანი ვარდება, მაგრამ არანაირი წერილი,  
არც ერთი სიტყვა.

კაცს ვუყურებ და ვეკითხები: “ეს რა მაიმუნობაა? ვისგანაა ეს  
წერილი?”

– ნამდვილად არ ვიცი. – მპასუხობს, – ვილაც ქალბატონმა გად-  
მომცა.

ადგილზე გაეჩერდი. შიკრიკი წავიდა. ფულს კონვერტში ვაბრუ-  
ნებ, მერე ვკუჭავ, უკან ვბრუნდები, დიასახლისს ვუახლოვდები,  
რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში კარიდან მითვალთვალებს  
და კონვერტს სახეში ვესვრი. არაფერი არ მითქვამს, კრინტი არ და-  
მიძრავს, წამოსვლამდე მხოლოდ ის დავინახე, რომ დაკუჭულ კონ-  
ვერტს ათვალეობდა.

აი ეს კი ღირსეული საქციელია! უსიტყვოდ, ამ ნაძირალასთან  
ლაპარაკის გარეშე, ფულის მსხვილი კუპიურა მშვიდად დაკუჭო და  
შეურაცხმყოფელებს პირდაპირ სახეში გაუქანო. სწორედაც ამას  
ჰქვია ღირსეულად მოქცევა! ამ პირუტყვებს ასე უნდათ!

როდესაც სადგურის მოედნისა და თომთეს ქუჩის კუთხეში აღ-  
მოვჩნდი, ქუჩა თვალწინ დამიტრიალდა, თავში გუგუნის დამენყო და  
რომ არ წავეცულიყავი კედელს მივეყუდე. ადგილიდან დაძვრას  
ვერ ვახერხებდი, წელშიც კი ვერ გავიმართე და კედელს როგორც  
მივეყუდე მოკრუნჩხული, ისევე დავრჩი, ვგრძნობდი, რომ გონებას  
ვკარგავდი. ეს ღონემიხდილობა ჩემს გიჟურ მრისხანებას უფრო ამ-  
ძაფრებდა, ფეხი ავწიე და ტროტუარს დავარტყი. ძალის მოსაკრე-  
ბად რას აღარ ვაკეთებდი: კბილებს ვაკარგუნებდი, შუბლს ვიჭმუხ-  
ნიდი, თვალებს ვატრიალებდი და ამან თითქოს მიშველა. აზრები  
დამენმინდა და მივხვდი, რომ დალუპვის პირას ვიყავი მისული. კე-  
დელს ხელის კვრით მოვცილდი, ქუჩა ჩემს გარშემო ისევ ბზრია-  
ლებდა. გაცოფებისგან სლუკუნის ამივარდა. მთელი ძალებით ვებ-  
რძოდი განსაცდელს და მამაცურად თავს ვიმაგრებდი: დაცემა არ  
მსურდა, მინდოდა სიკვდილს ფეხზე მდგომი შევგეგებოდი. გვერ-  
დზე კარტოფილით დატვირთულმა ოთხთვალამ წელი სვლით ჩამია-  
რა. ვხედავ, რომ კარტოფილია, მაგრამ გაცოფებისგან და სიჯიუ-  
ტისგან ავიხირე, რომ ეს კარტოფილი კი არა კომბოსტოა და საშინ-  
ლად დავიფიცე, რომ ეს კომბოსტო იყო. საკუთარი ხმა საკმაოდ  
კარგად მესმოდა და ფიცს შეგნებულად ისევ და ისევ ვიმეორებდი,  
რადგან აშკარა ტყუილი ფიცისგან უცნაურ დაკმაყოფილებას ვი-

ლებდი. ამ უმაგალითო ცოდვით მთვრალმა, სამი თითი ავნიე და აკანკალებული ტუჩებით სახელითა მამისა, ძისა და წმიდისა სული-სა დავიფიცე, რომ იქ კომბოსტო იყო.

დრო მიდიოდა. უახლოეს საფეხურზე ჩამოვჯექი, შუბლიდან და კისრიდან ოფლი მოვიწმინდე და დასამშვიდებლად ღრმად ამოვი-სუნთქე. მზე ჩადიოდა და საღამოვდებოდა. ისევ საკუთარ მდგომა-რეობაზე დავფიქრდი. შიმშილი შეუბრალებლად მტანჯავდა, რამ-დენიმე საათში კი ისევ დაღამდებოდა. სანამ დრო მქონდა, რაიმე უნდა მომეფიქრებინა. ფიქრით ისევ იმ ოთახებს ვუტრიალებდი, სა-იდანაც გამომაძევეს; იქ დაბრუნება, რა თქმა უნდა, არ მინდოდა, მაგრამ ეს აზრი თავიდან ვერ მოვიშორე. ისე, ქალს ყველანაირი უფ-ლება ჰქონდა, რომ გამოვეგდე. რატომ მეგონა, რომ ადამიანები თავშესაფარს მომცემდნენ, თუკი მათ ფულს არ გადავუხდიდი! ის ხომ ამასთან ერთად მაჭმევდა კიდეც; გუშინაც კი, როდესაც დია-სახლისი ჩემზე გაბრაზებული იყო, ორი სენდვიჩი მაინც შემომთავა-ზა და ეს მხოლოდ სიკეთით მოუვიდა, რადგან იცოდა რომ ასე მჭირ-დებოდა. ესე იგი, ჩემი ჩივილი სრულიად უადგილო იყო და საფე-ხურზე მჯდომმა გულში ვთხოვე – არა, შევევედრე, – რომ მას ჩემი უსაქციელობა შეენდო. განსაკუთრებით მწარედ იმას ვნანობდი, რომ უმადურობა გამოვიჩინე და ფული სახეში ვესროლე...

ათი კრონი! უცებ წამოვუსტვინე კიდეც. ვისგან იყო ის წერილი, შიკრიკმა რომ მომიტანა? ამაზე მთელი შეგნებით მხოლოდ ახლა დავფიქრდი და მაშინვე მივხვდი, რაშიც იყო საქმე. სირცხვილისა და ტკივილისგან დატანჯულმა, ხრინწიანი ხმით რამდენჯერმე ჩავი-ჩურჩულე “ილაიალი” და თავი გავაქნიე. მე არ ვიყავი, რომელმაც ჯერ კიდევ გუშინ გადავწყვიტე, რომ შეხვედრისას, ამაყად ჩავუვ-ლიდი და მისდამი უღრმეს გულგრილობას გამოვხატავდი? ამის მა-გივრად კი მხოლოდ სიბრაღის გრძნობა გავუღვიძე და მოწყა-ლების თანხა გამოვსტყუე. არა, არა, არა, ჩემს გადაგვარებას ბოლო არ უჩანდა! წესიერი ადამიანის იერი მის წინაშეც კი ვერ შევინარჩუ-ნე. მუხლებამდე, წელამდე ლაფში ჩავეფალი და აქედან ველარასო-დეს ვერ ამოვალ! ეს უკვე ბოლო ზღვარია! ათი კრონი მოწყალებად

მიიღო, ისე, რომ საიდუმლო შემწესთვის მისი უკან მიგდების საშუალება არ გქონდეს, ორივე ხელით ყველანაირ შემოთავაზებულ ფულს ჩაებლაუჭო, და საკუთარი რწმენის წინააღმდეგ ბინის ქირის გადასახდელად გამოიყენო...

იქნებ როგორმე ამ ათი კრონის დაბრუნება მოვახერხო? დიასახლისთან მისვლა და ფულის უკან მოთხოვნა უაზრობა იყო, მაგრამ აქ სხვა გზაც უნდა იყოს, თუ გავჩერდები და დავფიქრდები, თუკი მართლა მოვინდომებ, გავჩერდები და დავფიქრდები. ღმერთია მოწმე, ამ ათი კრონის მოპოვებას უბრალო ფიქრი არ უშველიდა, აქ მთელი ჩემი არსებით უნდა დავფიქრებულებიყავი. დავჯექი და ფიქრი დავინწყე.

აღბათ უკვე ოთხი საათი ხდებოდა. ჩემი პიესა რომ დამესრულებინა, ორ საათში თეატრის დირექტორთანაც შეიძლებოდა მისვლა. ჯობიდან ხელნაწერი ამოვიღე და გადავწყვიტე, ბოლო სამი თუ ოთხი სცენა ავად თუ კარგად დამენერა. ვფიქრობ და ოფლში ვინურები და თავიდან ბოლომდე ვკითხულობ, მაგრამ არაფერი არ გამომდის. არავითარი სისულელე! მე ვთქვი, არანაირი თავქარიანობა! და ჩემი ძვირფასი სიცოცხლისათვის პიესის წერას შევუდექი. რაც კი თავში მომდის, ყველაფერს ვწერ, ოღონდაც მალე დავამთავრო და მოვიშორო. ვცდილობ თავი დავარწმუნო, რომ ისევ შთაგონება დამეუფლა, ვცრუობ, საკუთარ თავს ვატყუებ და წერას ისე ვაგრძელებ, თითქოს სიტყვების შერჩევა არ მჭირდებოდეს. მშვენიერია! შესანიშნავი მიგნებაა! დრო და დრო ვჩურჩულებ, მხოლოდ დანერე! მაგრამ ბოლოს უკანასკნელი დიალოგები საეჭვოდ მომეჩვენა: ისინი პირველი სცენებისგან ძალიან მკვეთრად განსხვავდებოდნენ. გარდა ამისა, ბერის სიტყვებს შუასაუკუნეებისა არაფერი არ ეცხობთ. ფანქარი კბილებით გადაკვანიტე, წამოვხტი, ხელნაწერის ყოველი ფურცელი ნაკუნებად ვაქციე, ქუდი მინაზე დავაგდე და ფეხებით შევდექი. “დავილუპე!” ჩემთვის ვჩურჩულებ. “ქალბატონებო და ბატონებო, დავილუპე!” ამ სიტყვების გარდა ველარაფერს ვამბობ და მხოლოდ მინაზე დაგდებულ ქუდს ვთელავ.

ჩემგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით პოლიციელი დგას და მიყურებს. შუა ქუჩაში დგას და თვალს არ მაცილებს. როდესაც



თავს ვწევ, ერთმანეთს მზერას ვუსწორებთ. შესაძლოა უკვე დიდი ხანია, რაც აქ დგას და მაკვირდება. მინაზე დაგდებულ ქუდს ვიღებ, თავზე ვიხურავ და მისკენ მივდივარ:

– ხომ არ იცით რომელი საათია? – ვეკითხები.

ის ცოტა ხანი იცდის, სანამ საათს ამოიღებს, თან თვალს არ მამორებს.

– ოთხ საათს ოდნავ გადაცილებულია, – მპასუხობს.

– ზუსტად ასეა! – ვამბობ, – ოთხ საათს ოდნავ გადაცილებულია, სრულყოფილი სიზუსტეა! როგორც ჩანს, საკუთარი საქმე კარგად იცით, ვიფიქრებ თქვენზე.

ამ სიტყვებით დავცილდი. პოლიციელი გაოგნებისგან გაშეშდა და პირდაღებულმა მზერა გამომაყოლა, საათი ისევ ხელში ეჭირა. როდესაც სასტუმრო “როიალს“ მივუახლოვდი, უკან მოვიხედე. ის ისევ ისე იდგა და თვალებით მაცილებდა.

ჰა-ჰა, პირუტყვებს ასე უნდა მოექცე! ძალიან დახვეწილი უპატივცემულობით! ეს მათზე შთაბეჭდილებას ახდენს და კრძალვით აღავსებს... საკუთარი თავით უაღრესად კმაყოფილი ვიყავი და ისევ ავლილინდი. აღელვებულს ტკივილი სრულიად გადამავიწყდა და მცირე უსიამო გრძნობაც კი არ მანუხებდა. მთელი ბაზარი საოცარი სიმსუბუქით აღვსილმა გავიარე, არკადებთან შევუხვიე და მაცხოვრის ტაძართან სკამზე ჩამოვჯექი.

ბოლოს და ბოლოს განა სულ ერთი არ იყო, ამ ათ კრონს დავაბრუნებდი თუ არა? რადგანაც მივიღე, შესაბამისად ჩემი გახდა და რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვისგან იყო ის გამოგზავნილი. ყველა შემთხვევაში ფული უნდა მიმეღო, რადგანაც მე გამომიგზავნეს და შიკრიკისთვის მისი დატოვება დიდი უაზრობა იქნებოდა. ახლა კი ისიც სისულელე იქნებოდა, სხვა ათკრონიანი დამებრუნებინა, და არა ის, რომელიც გამომიგზავნეს. ასე რომ, აქ ვერაფერსაც ველარ მოვიმოქმედებდი.

შევეცადე ყურადღება ბაზარში მოფუსფუსე ხალხისკენ მიმეპყრო და უმნიშვნელო წვრილმანებზე მეფიქრა; მაგრამ არ გამომივიდა, რადგან ის ათკრონიანი თავიდან არ ამომდიოდა. ბოლოს

გავბრაზდი და მუშტები შევკარი. ფული უკან რომ გამეგზავნა, ამით მას ტკივილს მივაყენებდი, ვთქვი, ასე რატომ უნდა მოვქცეულიყავი? მე ყოველთვის მზად ვიყავი თავი ამაყად დამეჭირა, ყოველგვარ დახმარებაზე ქედმაღლურად თავი გამექნია და მეთქვა, "არა, გამაძლობთ". და აი, ამან სად მომიყვანა: ისევ ქუჩაში აღმოვჩნდი. მაშინაც კი, როცა ამის საუკეთესო შესაძლებლობა მქონდა, ჩემს თბილ და მყუდრო საცხოვრებელში არ ვრჩებოდი; სიამაყე მიპყრობდა, პირველსავე სიტყვაზე, რომელიც არ მომწონდა ვფეთქებოდი, ათკრონიან კუპიურებს აქეთ-იქეთ ვისროდი და ჩემს გზას ვაგრძელებდი... საკუთარი თავი თვითონვე დავსაჯე, თავშესაფარი მივატოვე და აი, ისევ მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდი.

თუმცა ეშმაკსაც ნაუღია! მე ეს ათი კრონი არ მითხოვია და დიდხანს ხელშიც კი არ მეჭირა. მაშინვე სრულიად უცხო, არასოდეს რომ აღარ ვნახავდი, ისეთ ადამიანებს მივეცი. აი, ასეთი კაცი ვიყავი, თუ საჭიროება მოითხოვს, ყველაფრის გამღები! და თუ ილიალის შეფასებაში არ ვცდებოდი, მასაც არ უნდა ენანა, რომ ფული გამომიგზავნა. მაშინ რაზე ვლელავდი? ყველაზე მცირე, რისი გაკეთებაც მას ჩემთვის შეეძლო, დროდადრო ათი კრონის გამოგზავნა იყო. ბოლოს და ბოლოს ამ საბრალო გოგონას ვუყვარდი, ჰა! შესაძლოა უიმედო სიყვარულითაც კი... ამ აზრმა დიდხანს შემეიყოლია. მცირეოდენი ეჭვის შეტანაც კი არ შეიძლებოდა, რომ მას ვუყვარდი, საბრალო გოგონა!..

ხუთი საათი შესრულდა. ნერვიული აღმასვლა დამთავრდა, ისევ გამოვცარიელდი და თავში კვლავ ყრუ გუგუნის ხმა ჩამიდგა. გარინდული მზერით სივრცეში სააფთიაქო მაღაზია "ელეფანტის" მიმართულებით ვიყურებოდი. შიმშილი სასტიკად და მტკივნეულად მტანჯავდა. ამასობაში, ვიდრე ვზივარ და სივრცეში ვიყურები, მზერაში თანდათან ადამიანის ფიგურა იკვეთება, რომელსაც ბოლოს მკაფიოდ ვხედავ და ვცნობ: აფთიაქთან ნამცხვრებით მოვაჭრე ქალია.

გამაჟრჟოლა, სკამზე ვსწორდები და ფიქრს ვიწყებ. დიახ, რა თქმა უნდა, ეს ის ქალი იყო, მაგიდაც იგივე ედგა და ზუსტად იმავე ადგილას იჯდა! ერთი-ორჯერ წამოვუსტვინე და თითები დავატაკაცუნე, შემდეგ სკამიდან ვდგები და აფთიაქისკენ მივემართები. ახლა

სისულელეების გარეშე! რა მნიშვნელობა აქვს, უკეთური გზით ნაშოვნი ფული თუ კონგსბერგის ვერცხლის პატიოსანი ნორვეგიული მონეტები მივეცი ამ ქალს. არ ვაპირებდი სასაცილოდ გამოვჩენილიყავი, ხოლო უზომო სიამაყემ შეიძლება შეგინიროს კიდევ!

ქალის მიმართულებით მივდივარ და მის წინ ვჩერდები. ვიღიმები, ნაცნობივით თავს ვუქნევ და ძალდაუტანებლად, თითქოს ჩემი მიბრუნება თავისთავად ნაგულისხმები იყო.

– გამარჯობა! – ვუუბნები, – ალბათ ვერ მიცანით არა?

– ვერა, – შენელებულად მპასუხობს და მიყურებს.

კიდევ უფრო გულმოდგინედ ვუღიმი, თითქოს ის მეხუმრებოდეს, რომ ვერ მცნობს და ვუუბნები, “ნუთუ არ გახსოვთ, ცოტა ხნის წინ რამდენიმე კრონი რომ მოგეცით? რამდენადაც მახსოვს, მაშინ არაფერი მითქვამს თქვენთვის, მართალია, არაფერი; ასე ჩვეულებრივ არ ვიქცევი. როდესაც საქმე წესიერ ხალხთან გაქვს, ყოველი წვრილმანის გამო შეთანხმების დადება და, ასე ვთქვათ, კონტრაქტზე ხელის მოწერა საჭირო აღარ არის. ჰა-ჰა! მაგრამ ეს მე ვიყავი ვინც ფული მოგცათ.”

– აჰ, ესე იგი თქვენ იყავით! დიახ, ახლა დავფიქრდი და გამახსენდით.

ვიდრე სამადლობელ სიტყვებს მოჰყვება, ვასწრებ, დახლზე დალაგებული საკვებს ვათვალიერებ და სწრაფად ვუუბნები: “კეთილი, ახლა კი ნამცხვრის წასაღებად მოვედი.”

ვერ ხვდება.

– ნამცხვრები, – ვიმეორებ. – მათ წასაღებად მოვედი. ჯერ მხოლოდ ნაწილი მინდა, მთლიანად დღეს არ დამჭირდება.

– მათ წასაღებათ მოხვედით? – ხელმეორედ მეკითხება.

– დიახ, სწორედაც მათ წასაღებად ვარ მოსული! – ვპასუხობ ხმამაღალი სიცილით, თითქოს მისთვის ეს თავიდანვე ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ მათ წასაღებად ვარ მოსული. მაგიდიდან ფრანგული ფუნთუშის მსგავს ნამცხვარს ვიღებ და ჭამას ვინწყებ.

ამის დანახვაზე ქალი ხტება და ინსტინქტურად თავისი საქონლის დაცვას ცდილობს, რითაც მიმანიშნებს, რომ ჩემს მიბრუნებას და თან ასეთ ყაჩაღურს, სრულებითაც არ მოელოდა.

– არ მოელოდით? – ვამბობ, – მართლა არ მოელოდით? – რა სასაცილო ქალი იყო! განა ოდესმე ჰქონია ისეთი შემთხვევა, რომ ვინმეს მისთვის ერთი ბლუჯა კრონები მიეზარებინა და შემდეგ უკან არ მოეთხოვა? არა! მაგაშია საქმე! ისიც ხომ არ იფიქრა, რომ ეს მოპარული ფული იყო, რაკი ასე უბრალოდ მივეცი? არა, არ უფიქრია! ძალიან კარგი, შესანიშნავი! ეს მაინც კარგია, შეიძლება ითქვას, სასიამოვნოა, რომ პატიოსან ადამიანად ჩამთვალა! ჰა-ჰა! ის მართლაც კარგი ადამიანია!

კი მაგრამ, მაშინ ეს ფული რატომღა მივეცი? ქალი აღშფოთდა და ნივილ-კივილი ატეხა.

მე ავუხსენი, ფული რატომაც მივეცი, მშვიდად და დამაჯერებლად ავუხსენი: ასეთი ჩვევა მქონდა, იმიტომ რომ ყველას ვენდობოდი. როცა კი ვინმეს თამასუქი ან ხელნერილი შეუთავაზებია, ყოველთვის თავს გავაქნევდი და ვეუბნებოდი: არა, გმადლობთ! ღმერთია მოწმე, ყოველთვის ასე ვაკეთებდი.

მაგრამ ქალს კვლავინდებურად არ ესმოდა.

მაშინ ამის ახსნას სხვაგვარად შევეცადე და ლაპარაკი მკაცრად, ხუმრობის გარეშე დავიწყე. განა ოდესმე მისთვის წინასწარ არ გადაუხდიათ? ვკითხე. რა თქმა უნდა, შეძლებულ ხალხს ვგულისხმობდი, მაგალითად, ვინმე კონსულს. არასოდეს? მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ თუკი ის ამ სოციალურ წესს არ იცნობდა, ამის გამო მე უნდა დავზარალებულიყავი. უცხოეთში ეს ძალიან მიღებული იყო. მაგრამ იქნებ ის საზღვარგარეთ ნამყოფი არ იყო? აჰ, ამაშია საქმე! მაშინ მას არაფრის თქმის უფლება არ ჰქონდა... და დახლიდან რამდენიმე ნამცხვარი ავიღე.

ქალმა ბრაზიანად ჩაიღრინა, ჯიუტად ცდილობდა, რომ ჩემთვის არაფერი არ გაეტანებინა, ერთი ნამცხვარი ხელიდანაც კი წამგლიჯა და უკან დააბრუნა. მაშინ გავცეცხლდი, მაგიდაზე მუშტი დავაბრაზუნე და პოლიციის დაძახებით დავემუქრე. ჩემი მხრიდან ეს კიდევ ლმობიერება იყო, ვუთხარი; რაც მერგებოდა ყველაფერი რომ წამელო, გაკოტრდებოდა, რადგან მაშინ ძალიან დიდი თანხა მივეცი. მაგრამ მე ამდენის აღებას არ ვაპირებდი და ფაქტობრივად, კუთ-

ვნილის მხოლოდ ნახევარი მინდოდა. თანაც შევპირდი, რომ აღარასოდეს აღარ დავბრუნდებოდი. ღმერთმა დამიფაროს იმის ხილვისგან, რა სახის ადამიანს წარმოადგენდა.

ბოლოს ქალმა დანაშაულებრივ ფასად, ყველაზე მაღალ ფასად, რაც კი მის წარმოსახვაში ეტეოდა, ოთხი თუ ხუთი ცალი ნამცხვარი ამოარჩია, მითხრა რომ ისინი ამელო და გავმქრალიყავი. მაგრამ მე კვლავ არ მოვეშვი, ვედავებოდი და ვუმტკიცებდი, რომ სულ ცოტა ერთი კრონით მაინც მომატყუა, და ამას გარდა, თავისი ფასებით ცოცხლად გამატყუა. “არ იცით, ასეთი ბინძური ხრიკების გამო რომ შეიძლება ციხეში მოხვდეთ?” ვუთხარი, “ღმერთმა გიშველოს, და სამუდამო კატორღაში შეიძლება თავი ამოყო, შე ბებერო სულელლო!” მან ერთი კექსიც მომიგდო და კბილების ღრჭიალით მითხრა, გავცლოდი.

წამოვედი.

უჰ, ასეთი უსინდისო გამყიდველი ალბათ არავის არ უნახავს! ბაზრის გაყოლებაზე მივდიოდი, ნამცხვრებს მივირთმევდი, თან ამ ქალზე და მის უსირცხვილობაზე გაუჩერებლად ხმამაღლა ვმსჯელობდი. მთელ ჩვენს ლაპარაკს ვიმეორებდი და ვფიქრობდი, რომ მასთან შედარებით დიდი უპირატესობა მქონდა. ნამცხვრებს ყველას თვალწინ ვჭამდი და ამას ხმამაღლა ვლაპარაკობდი.

ნამცხვრები ერთი მეორეს მიყოლებით ქრებოდნენ, მაგრამ რამდენსაც არ ვჭამდი, მაინც არ მშველოდა, ჩემი შიმშილი უძირო და დაუოკებელი იყო. ღმერთო დიდებულო, რატომ მეცოტავენოდა? ისე დავხარბდი, კინალამ ბოლო ნამცხვარიც შემომეჭამა, რომელიც თავიდანვე გადავწყვიტე იმ ბიჭუნასთვის შემომენახა, ვოგმანის ქუჩაზე ჟღალწვერიანმა თავზე რომ დააფურთხა. მთელი ეს დრო მასზე ვფიქრობდი და მის სახეს ვერ ვივინყებდი, როცა წამოხტა, ატირდა და გინება დაიწყო. როდესაც შეაფურთხეს, ჩემსკენ გამოიხედა, რომ გაეგო, მეც დავცინოდი თუ არა. ღმერთმა უწყის, იქ რომ მივიდოდი, ვნახავდი მას თუ ვერა! ვოგმანის ქუჩაზე მივიჩქაროდი. იმ ადგილს ჩავუარე, სადაც ჩემი პიესა ნაფლეთებად ვაქციე და სადაც ფურცლების ნაგლეჯები ირგვლივ ჯერ კიდევ ეყარა. იმ პოლი-

ციელს, ჩემი საქციელით ცოტა ხნის წინ რომ გავაოგნე, შორიდან მოვუარე და ბოლოს იმ საფეხურებთან მივედი, სადაც დილით ბიჭუნა იჯდა.

ის არ დამხვდა. ქუჩა თითქმის დაცარიელებული იყო. უკვე ბინდდებოდა და ბიჭუნა ვერსად ვერ დავლანდე; ალბათ სახლში იყო შესული. ნამცხვარი კარის ზღურბლზე, ფრთხილად დავდე, ხმამაღლა დავაკაკუნე და გამოვიქეცი. ის რასაკვირველია, ამ ნამცხვარს იპოვნის! ვუთხარი საკუთარ თავს. სახლიდან როგორც კი გამოვა, მაშინვე იპოვის! და სულელური სიხარულისგან, რომ ბიჭუნა ნამცხვარს იპოვიდა, თვალებზე ცრემლები მომადგა.

ისევ ნავსადგურისკენ ჩავედი.

ახლა უკვე აღარ მშოიდა, მაგრამ ტკბილის ქამისგან გულისრევა მეწყებოდა. თავში ისევ გიჟური აზრები დამიტრიალდნენ: რა იქნება, უჩუმრად ერთ-ერთ გემს ბაგირები რომ გადავუჭრა? რა მოხდება, უცებ რომ “ხანძარიას“ ყვირილი დავიწყო? ბაქანის გასწვრივ მივდივარ, დასაჯდომად ყუთს ვპოულობ, ხელებს მკერდზე ვიჯვარედინებ და ვგრძნობ, რომ თავში აბდაუბდა მიმძაფრდება. სრულიად გარინდული ვარ, თითისაც აღარ ვანძრევ, რომ გაჭირვებას შევებრძოლო.

ორჩხომელა “კოპეგოროს” ვუყურებ, რომლის თავზეც რუსული დროშაა. მოაჯირთან ვილაც კაცი შევნიშნე, რომელსაც მარცხენა მხრიდან წითელი შუქი ანათებდა. წამოვდექი და დავუძახე. არანაირი მიზანი არ მამოძრავებდა, არც პასუხს მოველოდი. უბრალოდ ვთქვი: “კაპიტანო, ამაღამ გადიხართ?”

– დიახ, ცოტა ხანში. – კაცი მპასუხობს. შვედურად ლაპარაკობდა. მაშინ ალბათ ფინელია, გავიფიქრე.

– ჰმ! მეზღვაური ხომ არ გჭირდებათ? – ამ წუთას სრულიად გულგრილი ვიყავი, უარს მეტყოდა თუ არა, პასუხს ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ვუყურებდი და ველოდებოდი.

– არა, – თქვა მან, – ყველა შემთხვევაში იუნგას გარდა არავის არ ავიყვანდი.

იუნგა! გამაჟრჟოლა, სათვალე ჩუმად ჩავიცურე ჯიბეში და გემბანზე ავედი.

– გამოცდილი მეზღვაური არა ვარ, – ვუთხარი, – მაგრამ რასაც მეტყვიტ ყველაფერს გავაკეთებ. გეზი საით გიჭირავთ?

– ჯერ ლიდსში, იქ ნახშირით დავიტვირთებით, რომ კადიზში წავილოთ.

– ძალიან კარგი! – ვთქვი და თავის წარდგენა განვაგრძე, – ჩემთვის სულ ერთია, საით გავცურავთ. ჩემს საქმეს გავაკეთებ.

ცოტა ხანს ჩაფიქრებულმა მიყურა.

– აქამდე ზღვაში არ ყოფილხართ, არა? – მკითხა.

– არა, მაგრამ როგორც გითხარით, სამუშაო მომეცით და ყველაფერს გავაკეთებ. ცოტ-ცოტა ყველაფერი ნაცადი მაქვს.

ის ისევ ჩაფიქრდა. თავში უკვე გადაუნყვიტე, რომ მივდიოდი და პასუხის მოლოდინში შემეშინდა, ისევ არ გავეგდე.

– კაპიტანო, აბა რას იტყვიტ? – ვკითხე ბოლოს. – რასაც მეტყვიტ, იმას მართლა გავაკეთებ. თუმცა რას ვლაპარაკობ? ბოლო კაცი უნდა ვიყო, თუ იმაზე მეტს არ გავაკეთებ, რასაც კი თქვენ დამვალეტ. საჭიროების შემთხვევაში მზად ვარ ზედიზედ ორჯერ ვიმორიგეო. ეს მხოლოდ წამადგება და მჯერა, რომ ამის გამკეთებელი ვარ.

– კარგი, შეგვიძლია ვცადოთ, – მითხრა და ჩემს ბოლო სიტყვებზე ოდნავ გაელიმა. – თუ არ გამოგვივიდა, შეგვიძლია ერთმანეთს ინგლისში დავცილდეტ.

– რა თქმა უნდა! – ვუპასუხე ბედნიერმა და გავიმეორე, რომ ერთმანეთს შეგვეძლო ინგლისში დავშორებოდით, თუ კარგად არ ვიმუშავებდი.

შემდეგ მან სამუშაო მომცა.

როდესაც ფიორდებს გავცდით, აღგზნებითა და დაქანცულობით სველი, მხრებში გავიმართე, ნაპირს გავხედე და ქალაქს დავემშვიდობე, ქრისტიანიას, სადაც ფანჯრები ყველა სახლში ასე კაშკაშებდნენ.